

გიორგი თავაძაიშვილი

ძველი საღვთოები სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველოს ახალშეფუძვურ ტერასაზე



წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვიანულებზე აღმოჩენილ დიუნური სადგომებს. შავიზღვისპირეთის გეომორფოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განხილულია ახალშავზღვეური ტერასის ასაკთან, წარმოქმნის ფაქტორებთან და გავრცელების არეალთან დაკავშირებული საკითხები, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე კი წარმოჩენილია ტერას-წარმოქმნის კავშირი და გავლენა ადრერკინის ხანის კოლხეთის სამეურნეო სახის ჩამოყალიბების პროცესზე.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათში მიკვლეული დიუნური სადგომის შესწავლის შედეგების მიმოხილვას, ძველზე აღმოჩენილი საცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო-ხარიტუალო კომპლექსებისა და თანმხლები არქეოლოგიური მასალის ანალიზს. ახალი მონაცემების საფუძველზე, განხილულია ზღვისპირა სადგომების ხასიათისა და ფუნქციონირების პერიოდთან, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული საკითხები.

**რედაქტორი:** ისტორიის აკადემიური დოქტორი ნინო ინაიშვილი

**რეცენზენტები:** ისტორიის აკადემიური დოქტორი ნანა ხახუტაიშვილი  
ისტორიის აკადემიური დოქტორი ირაკლი ჩავლეიშვილი

ISSN 1987-8133

ISBN 978-9941-412-87-5

© "შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი" – 2012

© გიორგი თავაშაიშვილი

## შენსახალი

თქვენს წინაშე წარმოდგენილი ნაშრომი — „ძველი სადგომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვიურ ტერასაზე“ ერთგვარი ცდაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრ-ერკინის ხანის ზღვისპირა სადგომების შესწავლის შედეგების განზოგადებისა, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე კი ცალკეულ პრობლემურ საკითხთა გამოკვეთისა და ახლებურად გააზრებისა.

საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური კომპლექსები ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახითაა მოღწეული, რაც გეოკლიმატური თუ სხვა ლოკალური მიზეზებით იყო გამოწვეული. ასეთმა ვითარებამ განაპირობა დიუნურ სადგომებთან დაკავშირებული მოსაზრებების გარკვეულად პიპოტეტური ხასიათი. როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზების გამო, ზოგიერთი საკითხის გარშემო დღესაც გვიჭირს კატეგორიულად მსჯელობა. ამდენად, ჩვენი კვლევა, ძირითადად, ცალკეული ხარვეზის შევსების სურვილითაა განპირობებული.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ბ-ნი დავით ხახუტაიშვილი გახლდათ, არქეოლოგიურ ვათხრებს აწარმოებდა ქობულეთში, ბობოყვათის ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე. ამ უბანზე სამუშაოების დასრულება ფინანსური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა, მაგრამ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ბ-ნი დავითის გადაწყვეტილებით, ამ მასალის მეცნიერული ანალიზი ჩვენ დაგვევალა, რაც აისახა კიდევ სამეცნიერო პუბლიკაციებსა და სადისერტაციო ნაშრომში. სამწუხაროდ, კვლევის შედეგების მონოგრაფიულად გამოცემა ჩვენი მეცნიერ-ხელმძღვანელის სიცოცხლეში ვერ მოვახერხეთ. ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომით, შესაძლოა, დაგვიანებით, მაგრამ კიდევ ერთხელ, მსურს დავადასტურო უდიდესი მადლიერება და პატივისცემა ღვანლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ დავით ხახუტაიშვილის პიროვნების მიმართ.

მონაკვეთების განსხვავებული ნიშნის მქონე ნეოტექტონიკური მოძრაობები. შავი ზღვის დონე თანამედროვე ნიშნულს დაახლოებით 6 ათასი წლის წინ გაუსწორდა და შესაბამისად, სტრატиграფიულად ძველი ნალექები დაიფარა შედარებით ახალგაზრდა ზღვიურ-კონტინენტური ფაციესით. მას შემდეგ შავი ზღვის ისტორიაში გამოიყოფა მცირეამპლიტუდიანი ტრანსგრესიული და რეგრესიული ფაზები. რეგრესიულ ფაზებში ხდებოდა ზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ზედაპირების დადაბლება, ხოლო ტრანსგრესიულ ფაზებში – რეგრესიული ფაზების ნალექების გადაფარვა აკუმულაციური ნყებებით. ამის მაგალითია შავი ზღვისპირეთში ნალექების მძლავრი ფენების ქვეშ დამარხული კულტურული შრეები.

ზემოთ აღნიშნული კულტურული ფენების წარმოქმნის დროსა და პირობების, ასევე, აქ წარმოდგენილი არქეოლოგიური არტეფაქტების შესწავლა, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ზღვისპირეთის ისტორიული წარსულის ამსახველი სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებისა და არსებული პრობლემების კომპლექსური კვლევის გარეშე. ზღვისპირა სადგომების არქეოლოგიური შესწავლის ადრეულ ეტაპზე, როდესაც ამ უბანზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალა, თავისი სპეციფიკური ფორმებისა და ხასიათის გამო, არ იძლეოდა მყარ საფუძველს ძეგლების სავარაუდო თარიღის დადგენისა და თვით ძეგლის ხასიათის განსაზღვრისათვის, მიზანშეწონილად ჩაითვალა ზღვისპირა ზოლის გეომორფოლოგიური და პალეოგეოგრაფიული კვლევის სპექტრის გაფართოვება (Соловьев, 1947; Кыртин, 1950:160,274). ასეთი მიდგომა საკმაოდ პროდუქტიული და პერსპექტიული აღმოჩნდა როგორც კონკრეტული ძეგლების, ასევე ზოგადად, კოლხეთის ადრეული ხანის მატერიალური კულტურის შესწავლის თვალსაზრისითაც.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ზღვისპირა ზოლში გამოვლენილი დიუნური სადგომების მიმოხილვისას, არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, გაგაცნობთ იმ მონაცემებსაც, რომლებიც საკვლევი რეგიონის გეოლოგიური, უპირატესად კი, გეომორფოლოგიური შესწავლის შედეგად დაგროვდა. ეს უკანასკნელი უფრო კომპლაციური სახითაა მოტანილი, მაგრამ ცალკეული საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის, მათი გამოყენება ასეთი ფორმით მიზანშეწონილად მივიჩნით. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება

ზღვის სანაპირო ტერასებს, მათი ფორმირების დროსა და არეალს, სამეურნეო ათვისების ეტაპებს. დიუნური სადგომების ლოკალიზაციიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ახალშავზღეურ ტერასასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რადგან სადგომების ნაშთები უშუალოდ ამ ტერასაზეა დადასტურებული.

შავი ზღვის ტერასები დიდი ხანია მრავალმხრივი კვლევის ობიექტს წარმოადგენს (Федоров, 1982:108-117; Семенов, 2001:245-252). მიუხედავად ამისა, დღემდე ვერ მოხერხდა საერთო აზრის შემუშავება ზოგიერთი პრობლემის გარშემო, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკითხს ზღვისპირა ტერასების წარმოქმნის ფაქტორების შესახებ (Макарова, 2009:389; Мещеряков, 1965: 390).

ტერასტანარმოქმნის მექანიზმის კვლევის სირთულე მეტწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზღვის ნაპირის ფორმირება სხვადასხვა გეოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებში ხდება. ის ემორჩილება როგორც დედამიწის ქერქის საერთო სტრუქტურულ-გეოლოგიურ კანონზომიერებებს, ასევე გეოგრაფიული ზონალურობის კანონს. შესაბამისად, ზღვის სანაპირო ზოლის შესწავლისას, ანგარიშგასწავლია როგორც სანაპირო ზოლის გეოლოგიური ზრდის მონაცემები, ასევე დედამიწის ქერქის ტექტონიკური მოძრაობის ხასიათი, კლიმატური პირობები და ორგანული სამყარო.

აღნიშნული საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომის შედეგია ის, რომ ტერასტანარმოქმნის პროცესში მკვლევართა ერთი ჯგუფი მთავარ როლს კლიმატურ პირობებს ანიჭებს, მეორენი — ტექტონიკას, სხვები — ერთსაც და მეორესაც. თუ პრობლემის კვლევის დინამიკას ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, დავერწმუნდებით, რომ ტერასტანარმოქმნის პროცესში პრიორიტეტული ფაქტორების განსაზღვრა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული კონკრეტულ პერიოდში გარემომცველ სამყაროზე არსებულ ზოგად წარმოდგენებზე.

XVIII საუკუნეში, როდესაც ხმელეთი მყარ და უცვლელ ელემენტად, ხოლო ზღვა მერყევად და ცვალებადად მიაჩნდათ, უპირატესობა კლიმატურ ფაქტორს ენიჭებოდა. XIX საუკუნეში, პლუტონისტური იდეების ჩამოყალიბების კვალობაზე, დამკვიდრდა აზრი, რომ სანაპირო ზოლის გადაადგილება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო დედამიწის ქერქის მოძრაობასთან, ე.ი. პრიორიტეტი ტექტ-

ამ ნაკლებად დამუშავებული ტალღებით. შემდგომ, სანაპირო ზოლი გადაადგილდება ზღვის მიმართულებით. უკვე შენელებული აზევეების დროს, იმავე ადგილას და მკვიდრი ქანების დაშლის იგივე ტემპის დროს, ზღვა ეუფლება ნაპირს. შედეგად, სანაპირო ზოლი გადაადგილდება უკვე ხმელეთის მიმართულებით. აზევეების ტემპის შემდგომი ამალღება ასწორებს კალთას და ყალიბდება მომავალი ტერასის დახრილი ზედაპირი (Зенкович, 1949:55).

ტერასის ფორმირება იწვევს აბრაზიის ტემპის განვითარებას, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო ვერტიკალურ მოძრაობებზე, არამედ სხვა ფაქტორებზეც, რომელთაც, შესაძლოა, მხოლოდ პერიოდული ხასიათი ჰქონდეთ (Зенкович, 1949:53). ასეთ ფაქტორებს განეკუთვნება ზღვის სანაპიროს ერთ დროს ჩაძირული რელიეფი და სანაპიროზე მსხვილმარცვლოვანი ალუვიური ჩამონატანი (ჯაოშვილი, 1985:118).

დროთა განმავლობაში, აკუმულაციური ტერასის ფხვიერ გრუნტზე, ქარის მოქმედების შედეგად იქმნება სანაპირო ზეინულეები, ანუ დიუნები.<sup>1</sup> მათ ჩამოყალიბებას ხელს უწყობს როგორც მცენარეული საფარისაგან გაუმაგრებელი ქვიშების დიდი მასების არსებობა (განსაკუთრებით, თუ შეიმჩნევა ტენდენცია ქვიშების შეუნყვეტილვადგროვებისა), ასევე, ძლიერი და განმეორებადი ქარების მოქმედება ზღვიდან ნაპირის მიმართულებით (Леонычев, 1955: 190; Razzhigaeva, Ganzel, 2005:140-149; Barrett-Mold, 2007; Шуйский, Выхованец, Орган, 2009:201-216). ზღვიური ბრიზი გაცილებით ძლიერია, ვიდრე ღამის სანაპირო (ხმელეთის) ბრიზი. საღამო ხანს ქვიშა უფრო ნესტიანია და მისი ზეინულეები გამოირჩევა საგრძნობი სიმკვრივით, ამიტომაც, სქარბობს ქვიშების გადაადგილება ზღვიდან

<sup>1</sup> დიუნა (გერმ. Düne) — ქარის მიერ დაგროვილი ქვიშის ბორცვი. ნარმოიქმნება მცენარეულობით გაუმაგრებელ ქვიშიან ზედაპირზე (ზღვის, მდინარის, ტბის სანაპიროებზე). დიუნის ქარპირა შეზნეჟილი კალთა დამრეცია (8-20°), ქარზურგა გამოზნეჟილი კალთა - ციცაბო (32-40°), სიმაღლე 5-30 მ, ზოგჯერ 100 მეტრს აღწევს. დიუნა გადაადგილდება გაბატონებული ქარის მიმართულებით ათიოდე მეტრის სიჩქარით ნელინადმი.

ნაპირის მიმართულებით. მცენარეული საფარი ხელს უშლის ქვიშების ნაპირისკენ სიღრმისეულ გადაადგილებას და საფუძველს უყრის ქვიშაზვინულების ჩამოყალიბების პროცესს. ეს ზვინულები, წარმოადგენენ რა წინაღობას პლაჟიდან მცოცავი ქვიშებისათვის, ფართოვდებიან სიგრძეში, სიგანესა და სიმაღლეში, შემდეგ კი გადაიზრდებიან დიუნებში. ეს უკანასკნელნი, შეერთების შემთხვევაში, ქმნიან სანაპირო ზოლში გადაჭიმულ ჯებირებს. როგორც ცალკეულ დიუნას, ისე მათ რიგს, ზღვიდან მოსული ბრიზის შედეგად, ახასიათებს სანაპიროდან ხმელეთის სირღმეში გადაადგილების ტენდენცია (Соколов, 1884:28; Гранова, 200:278-281).

სანაპირო დიუნების ზრდის ტემპი ყველაზე მაღალი ფორმირების პირველ თვეებშია. შემდგომში, ეს ტემპი იკლებს და საბოლოოდ, ახალი ეოლური ფორმა მოდის დინამიკურ წონასწორობაში. სხვა სიტყვებით, ქვიშაზვინული ვითარდება ექსპონენტური კანონის მიხედვით. რაც უფრო მეტი ნალექია სანაპირო ზოლში და რაც უფრო მდიდარი და ხელსაყრელია ამ ნალექებით ქარისა და ქვიშის ნაკადის კვების რეჟიმი, მით უფრო სწრაფად იზრდება დიუნის ზომები (განსაკუთრებით სიმაღლე), უფრო მეტი ქვიშა მიენოდება მის ზედაპირს, უფრო ხანგრძლივდება სანაპირო ეოლური რელიეფის ფორმირების პროცესი (Выхованец, 2010).

ზღვისპირა ქვიშაზვინულების წარმოქმნის შედეგად, მდინარეები, რომლებიც ვერ ძლევენ ქვიშნარ ბარიერს, სწორი კუთხით იცვლიან მიმართულებას და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მიედინებიან სანაპიროს პარალელურად. იმ შემთხვევაში, თუ მდინარე გზადაგზა მოახერხებს პატარა შენაკადებით შეივსოს წყლის მარაგი, ის შეძლებს გაარღვიოს ზვინული რომელიმე სუსტ მონაკვეთზე (საქართველოში ასეთი სურათი დამახასიათებელია მდინარეებისათვის: ოქუმი, ერისწყალი, მალთაყვა, ნატანები, ჩოლოქი). სხვა შემთხვევაში, იწყება ქვიშაზვინულის ზღვის სანაპირამდეგო მხარის დატბორვა და ტერიტორიის დაჭაობება (Зенкович, Кикнадзе, 1981 : 50-51).

ახალშავ ზღვური ტერასის წარმოქმნის დრო პოლოცენის გეოლოგიურ ეპოქას უკავშირდება, რომელიც მოიცავს უკანასკნელ 10-12 ათას წელს და ზოგადად, ვიურმული გამყინვარების უკანდა-

ხევისა და ჰავის გათბობის ხანას შეესაბამება (Roberts, 1998; Чумичев; Кошкин, 2005:68-76).

ქობულეთის ტორფნარის მცენარეულ მასალაზე დაყრდნობით ვ. დობჭუროვსკიმ და მ. ნეიშტადტმა განსაზღვრეს, რომ ახალშავზღვური ტერასა 6 ათასი წლის წინათ ჩამოყალიბდა (Дохтуровский, 1936:56; Нейштадт, 1957:86). პ. ფიოდოროვის აზრით, ტერასის ფორმირებას ჩვ.წ.-მდე 2 ათასი წლის წინათ უკონდა ადგილი (Федоров, 1960:62). იარანოვი თვლიდა, რომ ახალშავზღვური ტერასა თანადროულია ხმელთაშუა ზღვის ნიციკეს ტერასისა (Фелоров, 1960:61). დ. წერეთელის აზრით, ახალშავზღვური ტერასა ჩამოყალიბდა 4-5 ათასი წლის წინ (Церетели, 1966:45). ჭ. ჯანელიძე თვლის, რომ ახალშავზღვური ტერასის ზედაპირი ფანაგორიული რეგრესიის შედეგად წყლისგან განთავისუფლდა 3300-3200 წლის წინ (Джанелидзе, 1980:52).<sup>2</sup> ზ. ჯანელიძე, არქეოლოგიური მასალისა და რადიონახშირბადული დათარიღების საფუძველზე ასკვნის, რომ შავი ზღვის სანაპირო ზვირთცემის აქტიური ზემოქმედებიდან 3500-3600 წლის წინ გამოვიდა, რომლის შემდეგაც დაიწყო სანაპირო ზოლის სამეურნეო ათვისების ხანა (Janelidze, 2007).

ახალშავზღვური ტერასის აბსოლუტური ასაკის რადიონახშირბადის მეთოდით დადგენის ცდა განახორციელა კ. შილიკმა. სანაპირო ნიჟარების შესწავლის საფუძველზე მკვლევარი მივიდა და-

<sup>2</sup> შავი ზღვის პოლოცენური ტერასის ფორმირების ზედა ზღვრული ასაკის განსაზღვრისას, ავტორი, ნაწილობრივ, ეყრდნობა ახალშავზღვურ ტერასაზე აღმოჩენილი სადგომების სოლოვიოვის მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოს (ქვ.წ. XII-VI სს), რაც ტერასის ზედა ასაკის განსაზღვრისათვის არ გამოდგება, რადგან ის (განსაკუთრებით ქვედა ზღვარი-XIII სს.) არ შეესაბამება ზღვისპირა სადგომების ფუნქციონირების პერიოდს. ლ. სოლოვიოვი მდ. ფსირცხასთან გამოყოფს ფენას (B<sub>2</sub>), რომელსაც შუა ბრინჯაოს ხანით ათარიღებს. ამ ფენაში მკვლევარი არ ადასტურებს ზღვისპირა სადგომებისათვის დამახასიათებელი ქსოვილისანაბეჭდვანი კერამიკის არსებობას, მიუთითებს მხოლოდ თიხის რქისებრი სადგორის ორი ნატეხის შესახებ, რომლებიც ადრეული პერიოდის უნდა ყოფილიყო. იგივე ნაპროში სოლოვიოვი აღნიშნავს, რომ ყველაზე ადრეული კვალი დონური სადგომებისა ფიქსირდება მაჭარაში. ამ სადგომს ლ. სოლოვიოვი ქვ.წ. X-IX საუკუნეებით ათარიღებს (Соловьев, 1947 : 270, 279).

სკენამდე, რომ ტერასის ზედაპირი ზღვის ნყლიდან განთავისუფლდა  $3240 \pm 60$  წლის წინათ (Шихов, 1977).

შავი ზღვის სანაპირო ზოლში ახალშავზღვეური ტერასა ფიქსირდება ვრცელ ტერიტორიაზე: კავკასიის სანაპიროზე, ყირიმში, უკრაინის სამხრეთ ნაწილში, ბულგარეთის და რუმინეთის ზღვის სანაპირო ზოლში. საქართველოს ზღვისპირა ზოლში ახალშავზღვეური ტერასა მთელი სანაპიროს გასწვრივაა დადასტურებული.<sup>3</sup> კოლხეთის დაბლობზე ის არ გვხვდება, ვინაიდან, ეს უკანასკნელი, ტექტონიკურ დაძირვას განიცდიდა, რის შედეგად, ახალშავზღვეური ნალექები უახლესი წარმონაქმნების ქვეშ არის დამარბული (ჯანელიძე, 1973:103).

მდინარეების ფსოუსა და ხოშუფსეს ხერთვისში აღნიშნული ტერასა 1კმ-ზე ვრცელდება და აღმოსავლეთისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. გაგრასთან ის 3-5 მეტრის სიმაღლეზე ვიწრო ზოლად მიუყვება კირქვიან მასივს და მდ. ბზიფის მიდამოებში საგრძნობლად ფართოვდება. ალახაძესთან (მდ. ბზიფის შესართავი) ზღვეური ტერასის სიგანე 2 კმ-ს აღწევს და ჩამოყალიბებულია მცირედ გამოფიტული კენჭნარიდან. სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ახალშავზღვეური ტერასა კვლავ ვიწროვდება, ხოლო ლიძავასთან, კერძოდ, მდინარე მჩიშტას აბრაზიულ ნაპირთან, თითქმის იკარგება.

ახალშავზღვეური ტერასა წარმოდგენილია მდინარე ხიპსთასთან. სოხუმში ის იკვეთება ქალაქის ფარგლებშიც. აღნიშნული ტერასა დასტურდება მდინარე კელასურის შესართავთან და გრძელდება ოჩამჩირემდე, სადაც მისი სიმაღლე 3-5 მეტრია, მდინარე ლალიძგას შესართავთან კი დახრილია და მისი სიგანე 2კმ-ს შეადგენს.

ლალიძგა-ენგურის ხერთვისში ტერასა გამოკვეთილია 3-5 მ სიმაღლეზე. კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში ძველშავზღვეური ყურე ნაკლებად ანეგებოდა ნაპირს და შესაბამისად, ტერასამ ვერ მოახერხა ხმელეთის სირღმეში გავრცელება.<sup>4</sup>

<sup>3</sup> ახალშავზღვეური ტერასის გავრცელების ზონებისა შესახებ ვეყრდნობით: Мамашидзе, 1975.

<sup>4</sup> მკვლევართა აზრით, კოლხეთის დაბლობში წარმოდგენილია მდინარეული ტერასები, ხოლო ზღვეური ჩაძირულია. თუმცა, არსებობს განსხვავებ-

ახალშავზღვეური ტერასა ფიქსირდება ურეკში, წვერმაღალა-სა და შეკვეთილში. ამ უბანზე საინტერესოა ტერასის რელიეფი: პლაჟის საწინააღმდეგო მხარეს, შეკვეთილში, ტერასა განვითარებულია მაღალ საფეხურზე 200-300მ სიგანითა და 5-5.5მ სიმაღლით. ტერასას ზემოდან აწევს სანაპირო ზვინული, რომლის სიმაღლე 10-12 მეტრია, ხოლო სიგანე 20-30 მ. ზვინულის უკან კვლავ ტერასის ზედაპირი იკვეთება, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 4-5 მეტრია, ხოლო სიგრძე 1-1.5 კმ.

ახალშავზღვეური ტერასა კარგადაა განვითარებული ქობულეთში, სადაც მისი აბსოლუტური სიმაღლე 4-5 მეტრია. როგორც ნატანებში, ისე ქობულეთ-ფიჭვნარში, ახალშავზღვეურ ტერასას ზემოდან აძევს უფრო ახალგაზრდა, შედარებით ნაკლები სიმაღლის ქვიშაზვინულები. ფიჭვნარში გამოიყოფა ქვიშაზვინულების 2 რიგი: პირველი, შედარებით დაბალი, გავრცელებულია მთელი სანაპიროს გასწვრივ 3-5 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო მეორე, უფრო მაღალი, ვრცელდება აღმოსავლეთით 6-7 მ სიმაღლეზე.

ტერასა, რომელიც ფიჭვნარში შედარებით ფართოა, ციხისძირის მიმართულებით თანდათან ვიწროვდება, შედარებით სუსტად ფიქსირდება კვირიკეში. ბუკნარსა და მწვანე კონცხს შორის ახალშავზღვეური ტერასა მკვეთრი შეერილით გამოცალკევებულია სანაპირო პლაჟისაგან და ვრცელდება 3-5 მ სიმაღლეზე. ტერასას მწვანე კონცხის შეერილი წყვეტს გარკვეულ მონაკვეთზე, მაგრამ იგი კვლავ ჩნდება მწვანე კონცხსა და მახინჯაურს შორის, ხოლო ბათუმის მიმართულებით თანდათანობით ვიწროვდება. გონიოსა და სარფის ტერიტორიაზე ტერასა უფრო მკრთალადაა გამოკვეთილი.

როგორც ხედავთ, ახალშავზღვეური ტერასა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კარგად შემორჩენილ ტერასას, რომელიც ვრცელდება შავი ზღვის მთელი სანაპიროს გასწვრივ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის ადგილები, სადაც კონცხის ფუძისეული ჯიშები უშუალოდ არიან შეჭრილი ზღვაში.

ახალშავზღვეური ტერასის ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვანი

კორექტივები შეიტანა ისტორიული კოლხეთის მკვიდრთა ყოფაცხოვრებაში.

ზოგადად, ზღვისპირა ზოლის სამეურნეო ათვისების ხანა შესაძლოა დაეუკავშიროთ გამყინვარების შემდგომ პერიოდს, როდესაც კლიმატური პირობების შეცვლამ (დათბობა) რეალური პირობები შეუქმნა ადამიანს სანაპირო ზოლში დასახლებისათვის. ნეოლითელი ადამიანი სახლდება სანაპირო ზოლში და საფუძველს უყრის მწარმოებლურ მეურნეობას (Хахутаишвили, 1984:147). მიუხედავად იმისა, რომ ძვ.წ. IV ათასწლეულში დამთავრდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის ფორმირება (რაც გულისხმობს, რომ შემდგომ ადგილი აღარ ჰქონია ბუნებრივი გარემოს მკვეთრ ცვლილებებს). მომდევნო ხანაში მაინც ჰქონდა ადგილი მცირე მასშტაბის რყევებს, რის შედეგადაც, შავი ზღვის დონე ოკეანის დონესთან შეფარდებით მერყეობდა 1.5-5 მეტრის ფარგლებში (ჯანელიძე, 1973:11-12). ზღვის დონის რყევა კი აკუმულაციურ ვაკეთა სანაპირო ტერიტორიების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახლავთ, რადგან ზღვის დონის ამალღება იწვევს მდინარეთა შეგუბებას შესართავებთან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამ მდინარეების მოტანილი ნაშალი მასალის ინტენსიურ დაგროვებას (Меншиков, 1980: 632-635; Мямарев, 1986:29). ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში დაწყებულმა ტრანსგრესიულმა მოვლენებმა, აიძულა ნეოლითელი ადამიანი მიეტოვებინა ზღვისპირა ზოლი, ხოლო მათი საცხოვრისი მდინარეული ნატანის სქელი ფენით დაიფარა (Джанелидзе, 1980: 145).<sup>5</sup> მოვლენათა ასეთი განვითარებით ხსნიან იმ გარემოებას, რომ კოლხეთში ნეოლითური ნამოსახლარები წარმოდგენილია ძირითადად გორაკებზე, რომლებიც გარს არტყია კოლხეთის დაბლობს. ამ მოსაზრების მომხრეები თვლიან, რომ კოლხეთის დაბლობ-

<sup>5</sup> მდინარე კოლხიდას ახალშავზღვურ ნალექებში განმარხებული ტორფის ზედა ფენის აბსოლუტური ასაკი  $4460 \pm 150$  წელია, ხოლო ქვედა ფენის აბსოლუტური ასაკი —  $7060 \pm 100$  წელი. ტორფის აღნიშნული პორიზონტი მონოლითურია - არ შეიცავს სხვა სახის ნალექებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ სანაპირო ზოლში 7000 წლიდან  $4200 \pm 4400$  წლების წინანდელ ინტერვალში ტორფის წარმოქმნა განუწყვეტილად წარმოებდა, რაც შავი ზღვის რყევების დამადასტურებელია (ჯანელიძე, 1973:110-111).

ზე ნეოლითური მასალა არ ჩანს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი მოექცა ნატანის ქვეშ ისეთ სიღრმეზე, რაც თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის პირობებშიც კი, მიუწევდომელია არქეოლოგებისათვის (Хачуταιшвили, 1984:147). ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევარში იწყება ზღვური რეგრესია. კვლავ ჩნდება დასახლებანი კოლხეთის დაბლობზე. ისპანის (ქობულეთის რ-ნი) ადრე-ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ქვედა კულტურული დონე მოწმობს, რომ ამ კონკრეტული პერიოდის პალეოკლიმატური პირობები იძლეოდა საშუალებას, რომ ამ უბანზე სამოსახლოები უშუალოდ ჯარგვალზე გაემართათ (ხახუტაიშვილი, 1980: 17-20).

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში იწყება ახალშავ ზღვური ტრანსგრესია. მდინარეებს თანდათან ეკეტებათ ზღვაზე გასასვლელი და იწყება ტერიტორიების დაჭაობების პროცესი.<sup>6</sup> ისპანელებმა ამჯერადაც გამოიჩინეს გამოსავალი და სახლები ხიმიწვევზე გაემართეს (II კულტურული დონე)(ხახუტაიშვილი, 1986:12). მაგრამ, ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში, როდესაც სრულდება ახალშავ-ზღვური ტერასის რელიეფის ფორმირება, მოსახლეობა ტოვებს სამოსახლებს, ინაცვლებს მალაობებისაკენ, ხოლო ეს ადგილები კვლავ ტორფის სქელი ფენით იფარება (Dzhanelidze, Meladze, Russo, Sakvarelidze, 1993:187-193; ხახუტაიშვილი, 1979:7-11).<sup>7</sup>

<sup>6</sup> ისპანში, ზედაპირიდან 2,5 მეტრის სიღრმემდე, დაგროვილია სფაგნიუმიანი ტორფი, რომლის ქვეშ ძვეს ქვიშა და ხრეში (ზღვური ნარმონაქმნი), შემდეგ თიხა, რომლის ქვეშ 8-9მეტრის სიღრმეზე, განთავსებულია ბლანხიან-მერქნებიანი ტორფი — ძირითადი წყალმუქრაფი შრე, რომელმაც ქაობის ფორმირებას ჩაუყარა საფუძველი (კვასხვაძე, 1965:21; ფალავანდიშვილი, 2003:107). აქვე, აღვნიშნავთ, რომ აკუმულაციური დაბლობი, მდინარეების მიერ დიდი რაოდენობით ნაშალი მასალის ჩამოტანის პირობებში, ზღვის დონის ამაღლებისას, წყლით კი არ იფარება, არამედ პირიქით, ზღვის მხარეს იზრდება. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც ზღვის დონის ამაღლების ტემპი ჩამორჩება მდინარეების მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალის რაოდენობას. იქ, სადაც პატარა მდინარეები უერთდებიან ზღვას და სუსტ აკუმულაციას ახდენენ, ზღვა ხმელეთის მიმართულებით ვრცელდება (ჯანელიძე, 1973:13-14).

<sup>7</sup> ისპანში და მიმდებარე ტერიტორიაზე, დაიწყო ფორმირება თხელწყლიან-ლაგუნურმა ტბებმა, რომლებიც დროთა განმავლობაში დაიფარა წყალმცენარეებითა და სფაგნუმის ხავსით, რის შედეგად დასაბამი მიეცა ქა-

ახალშავლვეური ტრანსგრესიის დასრულების შემდეგ, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, დაიწყო ფანაგორიული რეგრესია. ოკეანისა და ზღვის დონემ აინია 5 მეტრით თანამედროვე ნიშნულთან შედარებით. დაინია მდინარეების ეროზიულმა ბაზისმა და დაიწყო დაშრობა მინებმა, რომლებიც ადრე მდინარეებითა და ჭაობებით იყო დაფარული (Хахутаншвили, 1987:56). მოსახლეობა კვლავ უბრუნდება ძველ საცხოვრებელ ადგილებს და აახლებს სამეურნეო საქმიანობას (Микеладзе, Хахутаншвили, 1985:5; ხახუტაიშვილი, 1985:12-13). მოგვიანოდ, ზღვისპირა ზოლში საფუძველი ეყრება ახალი ქალაქების ჩამოყალიბების პროცესსაც (Разумов, 1978:56; Хахутаншвили, 1984:149-150; Шамба, 1988).

ფანაგორიული რეგრესიის დრო ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც, ზღვისპირა სადგომების ფუნქციონირების დანყება, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მონაცემები, რომელიც ზღვის დონის მდგომარეობას შეეხება თანამედროვე ნიშნულთან მიმართებაში. ეს დეტალი საყურადღებოა თუნდაც სადგომებზე მიმდინარე სანარმოო პროც-

ობის ნარმოქმნას (ფალაენდიშვილი, 2003: 25; Klerk, Haberl, Kaffke, Krebs, Machuladze, Mince, Schulz, Joosten, 2009:890-910; Мачулаძე 2004:32-33). ისპანის მსგავსად, ახალშავლვეური ტერასის უკან, ტორფით დაფარა ბრინჯაოს ადრეული პერიოდის ნამოსახლარები (ფოთი, ყულევი, ანაკლია). მ.ბარამიძე ჩრდილოეთ კოლხეთში გამოყოფს ხელოვნურ ბორცვთა ჯგუფს, რომლებზეც ცხოვრების კვალი არ ჩანს (ესართიას ბორცვი, განმუხური 1, მზიური, შეშელეთი, რეფი 3, ნყემი 2 და სხვ). აქ მოტანილი (მოზივინული) ჩანს ასეულობით ტონა მიწა, ხოლო ზოგიერთ ბორცვს (შეშელეთი) ხელოვნური არხიც კი აქვს შემოვლებული. მკვლევარი თვლის, რომ გამზადებული ბორცვების ათვისება ვერ მოეხსნო სწორედ ახალშავლვეური ტრანსგრესიული მოვლენების გამო, როდესაც მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს ტერიტორია (ბარამიძე, 1998:6). საგულისხმოა, რომ ტორფები არ არის გავრცელებული ქობულეთის დაბლობის მდ. აჭყვის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც, დ. ხახუტაიშვილის აზრით, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ახალშავლვეური ტრანსგრესიის დასაწყისში ნარმოქმნილმა ტერასამ ვერ გაუძლო მდ. კინტრიშის "დანოლას" და არ მოხდა მდ. დეხვას მიმდებარე უბნების ისეთი დაჭაობება, რაც ტორფის ნარმოქმნას შეუწყობდა ხელს. როგორც ჩანს, ამ უბანზე იმდროინდელი ზედაპირი უფრო მაღალ გეოგრაფიულ ნიშნულზე იყო განლაგებული, ვიდრე ისპანის უბანში (ხახუტაიშვილი, 1998: 82).

ესის ხასიათის გარკვევის თვალსაზრისით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ფანაგორიული რეგრესიის თაობაზე დღესდღეობით პოზიციები ჩამოყალიბებულია<sup>8</sup>, ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა აღნიშნულ პერიოდში ზღვის დონის რყევის პარამეტრების შესახებ.

3. ფიოდოროვი, ახალშავზღეური ნალექების გადამხურავი კონტინენტალური ხასიათის ფანაგორიულ დანალექების შესწავლის საფუძველზე, აღნიშნავდა, რომ გვიან პოლოცენში, ფანაგორიული რეგრესიის დროს, ზღვის დონემ დაბლა დაინია 5-6 მეტრით (Федоров, 1978:69; 1982:151-155).<sup>9</sup> ზღვის დონის უფრო დაბალ ნიშნულზე მიუთითებენ კ. შილიკი (10მ) და ა. ოსტროვსკი (15-17მ) (Шилик, 1977). მკვლევართა აზრით, ჩრდილო შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქების (ოლვია, ნიმფეი) ნაშთები დასტური უნდა იყოს ზღვის დონის მკვეთრი დაცემისა (Разумов. Хасни, 1978:34; Балабанов, Гаприндашвили, 1987) (ტაბულა 2).

არსებობს მოსაზრება, რომ რეგრესიის პერიოდში ზღვის დონის ნიშნულის დაცემის ფაქტი არ ნარმოადგენს ცალმხრივ პროცესს, როდესაც, თუნდაც მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე მიღებული დასკვნებით შეიძლება შემოვიფარგლოთ. მკვლევართა ჯგუფის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის დონის რყევას ფანაგორიული რეგრესიის დროს ჰქონდა ადგილი, ზღვის დონეს, თანამედროვე ნიშნულთან შეფარდებით, 5 მეტრს ქვევით არ ჩამოუნეცია (Дикарѣв, 2011:35). ჭ. ჯანელიძე მიუთითებს, რომ 5 მეტრზე ქვევით ზღვის დონის დაცემას უნდა მოჰყოლოდა ზღვისპირა ზოლში გრუნტის წყლების დონის დაცემა, ზედაპირული დრენაჟის გაუმჯობესება, ქაობების ამოშრობა, რასაც არ ჰქონია ადგილი (Джанелидзе, 1980:48). ქრონოლოგიურად, ფანაგორიული რეგრესიის ბოლო პერიოდს შეესაბამება და იმ ხანის გეოგრაფიულ გარემოს

<sup>8</sup> ზოგი მკვლევარი უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს ფანაგორიული რეგრესიის ცალკე ფაზად გამოყოფის მართებულობას (Дикарѣв, 2011).

<sup>9</sup> ზღვის დონის 4-5 მეტრით დაწევაზე უკანასკნელი 1,5-2 ათასი წლის წინ მიუთითებენ სხვა მკვლევრებიც (Балабанов, Порогов, Горлов, Каїтამба, 2004).

ასახავს ჰიპოკრატეს (ძვ.460-356) ცნობა, სადაც კოლხეთის ზღვისპირა ზოლზეა საუბარი: „...ვინც ფასისში ცხოვრობს მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, არამედ დაცურავენ ალმა-დალმა ერთ ხეში ამოღებული ნავეებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს..“ (ყაუხჩიშვილი, 1965: 45). ჰიპოკრატეს ცნობა ნათლად მეტყველებს, რომ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში მარტო სავარგულების სიმცირე და სამეურნეო ცხოვრების პირობები კი არა, ჭაობიანი რელიეფის გამო, ფეხით (ან ცხენით) გადაადგილება კი იყო გართულებული.<sup>10</sup>

ფანაგორიული რეგრესია გრძელდება ძვ.წ.III-II საუკუნეებამდე. ამ პერიოდში იწყება ნიმფეური (ლაზური)<sup>11</sup> ტრანსგრესია,<sup>12</sup> რომელიც ჩვენი ათასწლეულის შუა ხანებამდე გაგრძელდა (ზოგი მკვლევრის აზრით, ის წელი ტემპით დღესაც გრძელდება). ლაზუ-

<sup>10</sup> ვავიხსენოთ აპოლონიოს როდოსელის „არგონავნიკაში“ დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხები მიცვალებულ მამაკაცებს მიწაში კი არ მარხავენ, არამედ ტყავეებში შეხვეულს ხეებზე უკიდებენ (ურუშაძე, 1964:318-319). დ. ხახუტაიშვილის ვარაუდით, დასაფლავების ამ წესს კოლხეთის მკვიდრნი, შესაძლოა, მიმართავდნენ იმის გამო, რომ ტრანსგრესიის პერიოდში გრუნტული წყლების დონე აკუმულაციურ დაბლობებზე მიწის პირამდე აღწევდა და სამარხი ორმოც წყლით ივსებოდა. ამის გამო, მიცვალებულებს მიწის ზედაპირზე ასვენებდნენ და ზედ ზვინულს აკეთებდნენ (ხახუტაიშვილი, 1995:15).

<sup>11</sup> ხშირად, ერთი და იგივე მოვლენა, ან ტერასა, სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. მაგ.:ახალშავეზლური ტერასა—ძველშავეზლურად, ფლანდრიულად და ვერსილურად (ატლანტიკის ოკეანისა და ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე), ლიტორინულად (ბალტიის ზღვაზე), ფანაგორიული რეგრესია-ევრისულ რეგრესიად, ნიმფეური ტრანსგრესია—ლაზურ ტრანსგრესიად (Долуханов, 1988: 69).

<sup>12</sup> დ. წერეთელი ლაზურ ტრანსგრესიას ადრერკინის ხანის სინქრონულად მიიჩნევდა. ჭ. ჯანელიძის მტკიცებით, ლაზური (ნიმფეური) ტრანსგრესია დიუნეკრის ტრანსგრესიის ანალოგია და გვიანანტიკური ეპოქის თანადროულად უნდა მივიჩნიოთ (Джанелидзе,1980:57).

რი ტრანსგრესიის დროს მსოფლიო ოკეანის დონემ 4-5 მეტრით აინა და თანამედროვე ნიშნულს მიუახლოვდა (Джанелидзе, 1975:27; Горлов,Поротов, Столярова). მკვლევართა ჯგუფი, სანაპირო ზოლში გამოყოფს 1-2 მეტრის ტერასას, რომელსაც ნიმფურ ტერასად მოიხსენიებენ, სხვები კი მას თანამედროვე წარმონაქმნად მიიჩნევენ.

გამოთქმულია მოსაზრება შუა საუკუნეების ტრანსგრესიული ფაზის (600-700 წლის წინ) არსებობის შესახებ. მაგრამ ქვიშაზვინულები, რომლებსაც ამ ფაზის დანატოვრად მიიჩნევენ, განთავსებულია თანამედროვე შტორმული მოქმედების ზონაში. შესაბამისად, მართებული ჩანს პოზიცია, რომ აღნიშნული ფაზის გამოყოფისათვის დამატებითი კვლევის ჩატარებაა აუცილებელი (Джанелидзе, Балабанов, Квириквелия, 1982:45).

ლაზური ტრანსგრესია, ისევე, როგორც ახალშავზღვეური, თავისი შედეგებით ტრაგიკული აღმოჩნდა კოლხეთის ზღვისპირა ზოლში არსებული ქალაქების თუ სხვა ტიპის დასახლებებისათვის (ფაზისი, დიოსკურია, ფიჭვნარი). ძვ.წ. II საუკუნისათვის, ეკონომიკურ საფუძველს გამოცლილებმა, მათ ფაქტობრივად შეწყვიტეს არსებობა (Хухутაишвили, 1984:150-151).<sup>13</sup> როგორც ჩანს, ტრანსგრესიის პროცესი მალალ ფაზაზე დიდი ხნით არ შეჩერებულა. ახ.წ. პირველი საუკუნეებისათვის, სტაბილური გეოკლიმატური პირობების ჩამოყალიბების კვალობაზე, მოსახლეობა დაუბრუნდა ძველ საცხოვრებლებს, კვლავ შეიქმნა საფუძველი სამეურნეო პროცესის განახლებისა და ახალი ტიპის დასახლებების გაჩენისათვის.

<sup>13</sup> დ. ხახუტაიშვილის აზრით, ამ პროცესის ნათელი დადასტურებაა ფიჭვნარის ნაქალაქარი, რომელმაც არსებობა შეწყვიტა ძვ. წ. II საუკუნეში. ნაქალაქარზე მიკვლეული საცხოვრისების იატაკი ერთმანეთზე რამდენიმე რიგად დანყობილი მორებით იყო შედგენილი, რაც, მკვლევრის აზრით, ნელისაგან დასაცავად იყო გაკეთებული (იქვე, გვ.151). ამავე დროს, მკვლევართა ერთი ნაწილი არ იზიარებს ვერსიას ლაზურ ტრანსგრესიასთან კოლხური ქალაქების ეკონომიკური პოტენციალის დაცემის კავშირის შესახებ (Горлов, Поротов, Бжания, 2004:29-37; Абрамзон, Безрученко, Бжания, Горлов, Поротов, Кайтамба, 2003).

## თავი მეორე

### საქართველოს ზღვისპირა სადგომების შესწავლის მოკლე ისტორია

1934 წელს გეოლოგმა ლეონიდ სოლოვიოვმა ქ. სოხუმის გარეუბან „ნითელ შუქურასთან“ მიაკვლია მანამდე უცნობ კერამიკულ მასალას, რომელიც ყურადღებას იპყრობდა მორგვის გარეშე გამოძერწვის არქაული ფორმითა და გარე ზედაპირზე ქსოვილის ანაბეჭდებით. სამწუხაროდ, არც მაშინ და არც შემდგომ წლებში, აკრეფილი მასალისაგან ამ ჭურჭლის მთლიანობაში აღდგენა ან დაუზიანებელი ნიმუშის მოპოვება არ მოხერხდა. ეს, მეტწილად, იმით იყო განპირობებული, რომ ძალზე დაბალი იყო აღნიშნულ ჭურჭელთა გამოწვის ხარისხი. შედეგად, ისინი გათხრების პროცესში ჰაერზე მოხვედრისთანავე ადვილად იფშვნებოდნენ.

პირველი ცნობა ამ აღმოჩენის შესახებ 1937 წელს გამოაქვეყნა ალექსანდრე იესენმა, რომელმაც 1935 წელს ლეონიდ სოლოვიოვთან ერთად დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ქ. ოჩამჩირესთან და ადგილ „ნითელ შუქურასთან.“ ა. იესენმა, ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის შემცველი ნასახლარები, თანმხლები საყოფაცხოვრებო კერამიკის საფუძველზე, ყობანური და ყობანური ზედა ფენების პერიოდით (ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისი) დაათარილა (Несен, 1937:251-252).

მომდევნო წლებში, საქართველოს ზღვისპირა ზოლში არქეოლოგიური გათხრების მასშტაბის გაზრდის კვალობაზე, ნათლად გამოიკვეთა ზღვისპირა ნამოსახლარების გავრცელების არეალი, მეტ-ნაკლებად დაზუსტდა მათი ფუნქციონირების პერიოდი. ყველა ძეგლზე დადასტურდა არქეოლოგიური მასალის ერთგვაროვნება და მოპოვებულ კერამიკულ ნიმუშებში ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების უდიდესი წილი. ამავე დროს, დადასტურდა, რომ ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა მხოლოდ ქვიშაზვინულების კულტურული ფენებისთვისაა დამახასიათებელი და არ ფიქსირდება კოლხეთის ზღვისპირა ზოლის მიმდებარე ნამოსახლარებზე.

1947 და 1950 წლებში გამოქვეყნდა ლეონიდ სოლოვიოვის ნაშრომები, რომლებშიც შეჯამებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე

გამოვლენილი ზღვისპირა ნამოსახლარების შესწავლის შედეგები (Соловьев, 1947:23-50; 1950:265-286). ლ. სოლოვიოვი „ნითელი შუქურისა“ და ოჩამჩირის ნამოსახლარების მსგავსი არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის ფაქტს ადასტურებს მოქვეში, მაჭარასთან, სოხუმთან, ვერეშჩაგინის ბორცვზე, ახალ ათონთან და მდინარე ფსირცხასთან.

ლ. სოლოვიოვი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ნამოსახლარები მიკვლეულია ზღვასთან ახლოს, ხოლო კულტურული ნაშთები წარმოდგენილია არა უწყვეტი ფენის, არამედ ბუდეების სახით. მიკვლევარი ნამოსახლარების ტოპოგრაფიისა და კერამიკული მასალის ანალიზის<sup>1</sup> საფუძველზე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს ძეგლები სანარმოო დასახლებებს წარმოადგენენ, ხოლო უშუალოდ წარმოების ხასიათს ზღვის წყლიდან მარილის მოპოვებას უკავშირებს. ლ.სოლოვიოვმა აფხაზეთში მიკვლეული მსგავსი ტიპის ნამოსახლარები ზოგადად ძვ.წ. X-VI საუკუნეებით დაათარილა (Соловьев, 1950: 274-279).<sup>2</sup>

1950 წელს გამოქვეყნდა ბორის კუფტინის ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა რიონის დაბლობსა და შავი ზღვის სანაპიროზე 1935 - 1939 წლებში ჩატარებულ არქეოლოგიური კვლევის ძირითად შედეგებს (Куптин, 1950:274-297). სხვა ძეგლებთან ერთად, ნაშრომში საუბარია ოჩამჩირესთან მიკვლეული ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის შემცველი სადგომების შესახებ. ხაზგასმულია ძეგლის სპეციფიკური ხასიათი. ავტორს გამოთქმული აქვს მოსაზრება ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების ხის ფორმებში გამოძერწვისა და თიხის სადგრების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების შესახებ. საყურადღებოა ბორის კუფტინის დაკვირვება, რომ ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის მორგვის გარეშე დამზადება განპირობებული იყო არა მორგვის არცოდნით, არამედ ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლებისათვის სასურველი ფორმის მიცემის სურვილით. ოჩამჩირის სადგომზე მსჯელობისას, კუფტინი იზიარებს სოლოვიოვის მოსაზრ-

<sup>1</sup> ლ. სოლოვიოვმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის ფრაგმენტები აბაზანის ფორმის ჭურჭლებს ეკუთვნოდა.

<sup>2</sup> უფრო კონკრეტულად დიუნური სადგომების დათარიღების შესახებ ქვევით, ცალკე თავში გვექნება საუბარი.

ებას დიუნური სადგომების ხასიათის მარილის მოპოვებასთან კავშირის თაობაზე.

1950 წელს გამოქვეყნდა ოთარ ჯაფარიძის ანგარიში გურიაში ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შესახებ (ჯაფარიძე, 1950:118-121). ო. ჯაფარიძემ სოფ. გრიგოლეთის მახლობლად და ადგილ „კუჩხის აბანოსთან“, ჩატარა გათხრები, სადაც აღმოჩნდა წითელი ფერის ლარიანი კრამიტის ნატეხები,<sup>3</sup> ორკაპა თიხის სადგრები, საყოფაცხოვრებო ქურჭლები და ბადის ქვის სანაფები. მიუხედავად იმისა, რომ ორკაპა თიხის სადგრებს ო. ჯაფარიძე ხარის კულტს უკავშირებს, სადგრების სიმრავლე მათ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობაზეც აფიქრებიანებს.

1955 წელს გამოქვეყნდა ნინო ხოშტარიას ნაშრომი ურეკის არქეოლოგიური შესწავლის შესახებ (Хоштариа, 1955:25-75). ნ. ხოშტარია ადასტურებს, რომ სადგომებზე კერამიკული მასალა პორიზონტალურად კი არ არის განლაგებული, არამედ რკალისებურად მიუყვება დიუნის კონფიგურაციას. ურეკის არქეოლოგიური მასალიდან მკვლევარი გამოყოფს ცუდად გარჩეული თიხისაგან ნაძერწ მასიურ კერამიკულ ნატეხებს, რომელსაც, ო. ჯაფარიძის მსგავსად, ლარიანი კრამიტის ნარჩენებად მოიხსენიებს. რქისებრი სადგრების ხასიათს მკვლევარი როგორც საკულტო, ისე პრაქტიკული დანიშნულებით ხსნის. ნ. ხოშტარიამ ურეკის დიუნაზე მიაკვლია თიხის რქისებრშვერიანი სადგრებისაგან შედგენილ ნაგებობას, მაგრამ იმდენად დაზიანებულს, რომ თავი აარიდა კონკრეტულ განსაზღვრებას და მიუთითა მხოლოდ, როგორც „რთულ ნაგებობაზე“.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ ნაშრომში ნინო ხოშტარიამ, ფსევდო-არისტოტელეს (ძვ.წ. IVს.) ცნობაზე („სასწაულებრივ ხმათათვის“) დაყრდნობით, პირველმა გამოთქვა ვარაუდი დიუნური სადგომების შესაძლო კავშირზე მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება-დამუშავებასთან. ამ პროცესს მკვლევარი ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ვარაუდობს, უფრო ადრეული პერიოდისათვის კი სადგომების ხასიათს ზღვის წყლიდან მარილის მოპო-

<sup>3</sup> სავარაუდოდ, „აბაზანისმაგვარი“ ქურჭლების ფრაგმენტები — გ.თ.

ვებას უკავშირებს.

საყოფაცხოვრებო კერამიკის ანალიზის საფუძველზე, ნინო ხოშტარია ზღვისპირა სადგომებს ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის საწყისით ათარილებს, თუმცა შესაძლებლად მიიჩნევს აქ უფრო ადრეული ფენების არსებობასაც.

1953 და 1956 წლებში ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით მცირე მასშტაბის დაზვერვითი და არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ქობულეთ-ფიჭვნარში. ექსპედიციამ შეისწავლა ზღვისპირა სადგომების ნაშთები, რომელიც ნ. ხოშტარიამ ძვ.წ. II ათასწლეულ-ით დაათარილა (Хоштариа, 1957).

1958 წელს გამოქვეყნდა მემედ თრაფშის ნაშრომი, რომელშიც გარკვეული ადგილი დაეთმო სოხუმის მიდამოებში, „ნითელ მუქურასთან“ ჩატარებული გათხრებს (Траш, 1958:185). ექსპედიციამ აღნიშნულ ძეგლზე მიაკვლია ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკისა და რქისებრი სადგრების შემცველ 25-30 სმ სიმძლავრის ფენას. ამ ფენაში დადასტურდა ორმოები, რომლებსაც აშკარად ეტყობოდა ცეცხლის მოქმედების კვალი. ეს ორმოები მ. თრაფშმა სანარმოო ადგილების ნაშთებად მიიჩნია, ხოლო თვით სადგომი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარილა. მ. თრაფშმა, ლ. სოლოვიოვისა და ბ. კუფტინის მსგავსად, ზღვისპირა სადგომების ხასიათი მარილის მოპოვებას დაუკავშირა.

1961-64 წლებში გამოქვეყნდა ალექსანდრე რამიშვილის ნაშრომები, რომლებიც ფიჭვნარსა და ჩაქვში 1960-1964 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგებს მიეძღვნა (რამიშვილი, 1961:7-8; 1964<sup>1</sup>:26-27; 1964<sup>2</sup>:119-131; 1964<sup>3</sup>:17-27). აღნიშნული მასალა ა. რამიშვილმა განაზოგადა მომდევნო წლებში გამოქვეყნებულ სტატიებსა(რამიშვილი, 1974:104-111; 1975<sup>1</sup>:136-152; 1975<sup>2</sup> : 36-44) და სადისერტაციო ნაშრომში (Рахшвиши, 1971).

ა. რამიშვილის ხელმძღვანელობით, ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე შეისწავლეს ექვსი კულტურული ფენა, რომლებიც ერთმანეთისაგან სტერილური შრეებით იყო გამოყოფილი. I-III ფენაში მიკვლეულია სათავსოების ნაშთი, რომელიც შემორჩა მონითალო ან მოშავო ფერის მოედნების სახით. აქვე აღმოჩნდა თიხის რქისებრი სადგრებისაგან შედგენილი ნაგებობა, რომელსაც ალ. რამიშვი-

ლმა საკულტო ხასიათი მოუძებნა და მოიხსენია „სამსხვერპლოს“ სახელით.

ფიჭვნარის დიუნური სადგომის კერამიკულ მასალაში მრავლადაა წარმოდგენილი ქვიშამინარევი თიხისაგან ნაძერნი მოზრდილი ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებსაც რამიშვილი „აბაზანებად“ მოიხსენიებს (მკვლევარი მიუთითებს როგორც უსახო, ასევე ქსოვილისანაბეჭდიან ნიმუშებზე). სადგომზე დიდი რაოდენობით იყო მოპოვებული თიხის რქისებრი სადგრები. მკვლევარი ამ უკანასკნელთა დანიშნულებას სამეურნეო პროცესში პრაქტიკული გამოყენებით განსაზღვრავს, თუმცა, სადგართა ცალკეული ჯგუფის საკულტო საგნებად გამოყენებასაც არ გამოორიცხავს.

აღ. რამიშვილი ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების ფუნქციონირებას ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ვარაუდობს.

ნ. ხომტარიას მოსაზრებაზე დაყრდნობით და ახალი მასალის მოშველიებით, ა. რამიშვილმა ზღვისპირა სადგომების ხასიათი მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება-დამუშავებას დაუკავშირა (Рамшвили, 1975<sup>2</sup>:36-44).

1966 წელს გამოქვეყნდა ვადიმ ბუანიას ნაშრომი, რომელიც მაჭარის ზღვისპირა ნამოსახლარის გათხრებს ეხება (Бжания, 1966: 113-126). მაჭარის დიუნაზე გამოვლინდა 4 კულტურული ფენა, რომელთაგან II და III ფენა გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ამ ფენებში დადასტურდა ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკისა და თიხის ცილინდრული სვეტების (სადგრები?-გ.თ.) ფრაგმენტები. ვ. ბუანიას ეკუთვნის პირველი ცნობა ტამიშის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე დიუნური კერამიკის აღმოჩენის შესახებ (Бжания, 1967: 230).

1971 წელს გამოქვეყნებულ ამირან კახიძის ნაშრომში განხილულია ზღვისპირა ნამოსახლარებთან დაკავშირებული საკითხები (კახიძე, 1971:32-33). მართალია, ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე, მაგრამ, ასევე, მიმოხილულია ფიჭვნარის ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი ნამოსახლარები, მათ შორის, დიუნური სადგომები. მკვლევარი ქვიშაზვინულებზე მიკვლეულ სადგომებს საკულტო ადგილებად მიიჩნევს, სადაც, მისი აზრით, წლის გარკვეულ დროს სრულდებოდა

სელის, ხარის კულტთან ან ზღვის ლეთაებასთან დაკავშირებული ხარიტუალო ცერემონიალები. ამავე დროს, ა. კახიძეც იზიარებს იმ ვარაუდს, რომ ქობულეთ-ფიჭვნარის მოსახლეობის ერთი ნაწილი დასაქმებული უნდა ყოფილიყო ზღვის სანაპიროზე რკინის გამოდნობისათვის საჭირო ნედლეულის დამზადებაში – მაგნეტიტური ქვიშის მოპოვება-გაუხეხებაში (კახიძე, 1971:32-33). ფიჭვნარის დიუნური სადგომის შესახებ საუბარია ა. კახიძის სადისერტაციო ნაშრომში (Кახиძე, 1971).

1980 წელს გამოქვეყნდა იური ვორონოვის ნაშრომი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების მიმოხილვას მიეძღვნა. წიგნში განხილულია ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების კოლხური კულტურის ნამოსახლარი სოხუმის შემოგარენში, მდინარეების — ბესლეტკას, კელასურის, მაჭარასა და კოდორის ზღვასთან შეერთების ადგილას (Воронов, 1980: 29 -34). საინტერესოა ავტორის ცნობა, რომ ქსოვილისანაბნეჭდიანი კერამიკის ფრაგმენტები მიკვლეული იყო ნამოსახლარ მაჭარა 2-ზე, რომელიც ზღვიდან 5 კმ-ით დაშორებით და ზღვის დონიდან 200-250 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. ი. ვორონოვი სადგომების ხასიათის თაობაზე იზიარებს ლ. სოლოვიოვის მოსაზრებას.

1982 წელს გამოქვეყნდა თეიმურაზ მიქელაძისა და დავით ხახუტაიშვილის ნაშრომი, რომელიც კოლხური ნამოსახლარის „ნამჭედურის“ გათხრებს მიეძღვნა. გვიანბრინჯაო-ადრერკინის მრავალფენიანი ძეგლის არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე, განხილულია ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები. ამ კონტექსტში საუბარია დიუნური სადგომების დანიშნულების შესახებაც (მიქელაძე, Хახутаншвили, 1985).<sup>4</sup>

დიუნური სადგომების ფუნქციონირების საკითხებს დიდ ად-

<sup>4</sup> „ნამჭედურის“ უძველეს კოლხურ ნამოსახლარზე, რომელიც ზღვისპირა ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს, კარგადაა ნარმოდგენილი დიუნური სადგომების თანადროული არქეოლოგიური მასალა. ჩვენი აზრით, ფიჭვნარის დიუნურ სადგომებზე დასაქმებული ხალხი „ნამჭედურის“ თუ იქვე განთავსებული ჩოლოქისპირა გორა-სამოსახლოების მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ.

გილს უთმობს დ. ხახუტაიშვილი ძველი კოლხეთის რკინის მეტალურგიისადმი მიძღვნილ ნაშრომში (Хухуташвили, 1987: 182-194). მკვლევარი ადასტურებს, რომ ზღვისპირა ზოლში მიკვლეული უძველესი რკინისსადნობი ქურა-სახელოსნოები ნედლეულად გამოიყენებდნენ მაგნეტიტს, რომელსაც მოიპოვებდნენ ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ რკინის მეტალურგიის ისტორიისადმი მიძღვნილ სხვა ნაშრომებში, დ. ხახუტაიშვილი მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მეტალურგიული ნარმოების ადრეულ ეტაპზე, ნედლეულად იყენებდნენ მხოლოდ მაგნეტიტს, ხოლო ძვ. წ. X საუკუნიდან მაგნეტიტსა და პემატიტს (Хухуташвили, 1982:89; ხახუტაიშვილი, 1976:102).<sup>5</sup>

დიუნური სადგომების შესახებ საუბარია დავით ხახუტაიშვილის მიერ 1997 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ქობულეთის ქვეყანა“. ნაშრომში მკვლევარი დეტალურად იხილავს საქართველოს ქვიშაზვინულების არქეოლოგიურ მასალას და ასკვნის, რომ რკინის სანარმოო კერები, დიუნურ სადგომებთან კავშირში, ქმნიდნენ ერთიან სამეურნეო კომპლექსს, რომლებიც ხანგრძლივი სამეურნეო-ტექნიკური განვითარების შედეგად იყო წარმოქმნილი (ხახუტაიშვილი, 1995:72). დიუნური სადგომების ფუნქციონირების პერიოდი დ. ხახუტაიშვილის მიერ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. VII საუკუნით არის განსაზღვრული.

1986 წელს გამოქვეყნდა ნანა ხახუტაიშვილის მონოგრაფია "სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში", სადაც მდიდარი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, წარმოიჩენილია საქართველოს ზღვისპირეთის სამეურნეო სახე უძველესი დროიდან ადრერკინის ხანის ჩათვლით (ხახუტაიშვილი, 1986:99-101). ნაშრომში მკვლევარი ეხება ზღვისპირა სადგომების თემასაც და გვთავაზობს სადგომების ფუნქციონ-

<sup>5</sup> დ. ხახუტაიშვილის დასკვნა დაფუძნებულია რკინის მეტალურგიის უძველესი ქურა-სახელოსნოების წიდეების ანალიზზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს ზღვისპირა ზოლში მიკვლეული ქურა-სახელოსნოების თარიღის ქვედა მაჩვენებელი, აღნიშნულ რეგიონში ამ ეპოქის რკინის ნაკეთობების არარსებობის გამო, სრულად არ არის გაზიარებული ქართველი არქეოლოგების მიერ (ბარამიძე, 1998:34; მიქელაძე, 1985:90).

ალური დანიშნულების თავისებურ ახსნას. ნ. ხახუტაიშვილის აზრით, სადგომებზე მეურნეობის სხვადასხვა დარგს (მაგნეტიტისა და მარილის მოპოვება) სეზონურად მისდევდნენ და თანმხლებად, საკულტო რიტუალებსაც ასრულებდნენ.

დიუნური სადგომების ხასიათის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქეთევან მირიანაშვილს (მირიანაშვილი, 1975:98), გიორგი შამბას (Шамба, 1984:76) და თ. ჩიგოშვილს (ჩიგოშვილი, 1999).<sup>6</sup> ურეკის ქვიშაზვინულებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (ყვავილნარი, კუჩხის აბანო, მაგნეტიტი, კაპროვანი) აღმოჩენილი დიუნური სადგომების მასალა განხილულია ეაჟა სადრადისა და ჯუანშერ ამირანაშვილის გამოკვლევაში (სადრადე, ამირანაშვილი, 2005:23-32).

დიუნური კერამიკის აღმოჩენის თაობაზე ინფორმაცია პერიოდულად ქვეყნდებოდა სხვადასხვა არქეოლოგიურ ანგარიშებში. ბობოყვათისა და ციხისძირის დიუნური სადგომების გათხრებს ეხებოდა ჩვენი პუბლიკაციები და სადისერტაციო ნაშრომი (თავამაიაშვილი, 1987; 1988; 1991; 1999).

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში, საქართველოში საგრძნობლად შემცირდა არქეოლოგიური გათხრების მასშტაბი. როგორც სხვა ძეგლებზე, ასევე ზღვისპირა ქვიშაზვინულებზეც, სხვადასხვა კვლევადიება, თუ არ ჩავთვლით 2011 წელს ფიჭვნარის დიუნაზე ფორს-მაჟორულ სიტუაციაში ჩატარებულ გათხრებს, ფაქტობრივად არ გაგრძელებულა.

<sup>6</sup> ქ. მირიანაშვილის მოსაზრებას, რომ დიუნურ სადგომებზე თევზის დამარილებით იყენებდნენ დაკავებული, სადგომების დანიშნულების შესახებ მიძღვნილ თავში განვიხილავთ. თ. ჩიგოშვილისათვის, როგორც ჩანს, ბოლომდე მისაღები, ან საკმარისად არგუმენტირებული არ იყო დიუნური სადგომების დანიშნულების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, რადგან ის თვლიდა, რომ დიუნური სადგომების ხასიათის საკითხი უფრო საფუძვლიან კვლევას მოითხოვს. მკვლევარს მიაჩნდა, რომ დიუნური სადგომების სწრაფი გამოჩენა დროის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა, რამაც დღის ნუსრიგში დააყენა ზღვიდან იმ საჭირო ნედლეულის მოპოვება და დამუშავება, რომელიც მაშინდელი წარმოებისათვის იყო აუცილებელი (ჩიგოშვილი, 1999:10).

## თავი მესამე

### საქართველოს დიუნური სადგომების მოკლე მიმოხილვა

როგორც აღენიშნეთ, საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, მრავლადაა აღმოჩენილი დიუნური სადგომების ნაშთები, მათთვის დამახასიათებელი მსუბუქი საცხოვრისი კვალითა და სპეციფიკური კერამიკული ნიმუშებით.<sup>1</sup> ზოგი სადგომი საფუძვლიანადაა შესწავლილი, სხვათა კვლევა კი თავიდანვე დაზვერვითი ხასიათით იყო განსაზღვრული.

საქართველოს ზღვისპირეთში აღმოჩენილ დიუნურ სადგომებს მიმოვიხილავთ გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

**ბიჭვინთა.** სადგომი მდებარეობს დასახლება ღძაას ტერიტორიაზე. სადგომი ზღვის ნაპირიდან დაშორებულია 80-100 მეტრით და ვრცელდება დასახლება ასიკშუას სამხრეთ საზღვრამდე. აღნიშნული ტერიტორია დაფარულია ციტრუსოვანთა ნარგავებით, აქვეა საცხოვრებელი სახლები შესაბამისი ინფრასტრუქტურით.<sup>2</sup> დიუნური მასალის შემცველი ფენა იწყება თანამედროვე ზედაპირიდან 1.5-1.8 მეტრის სიღრმეზე. დიუნური ფენის სიმძლავრე 0.2-0.3 მეტრია. ფენაში ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული მასალა, სადაც სჭარბობს სქელკედლიანი, უხემად ნაძერწი (სადა და ქსოვილისანაბეჭდიანი) ჭურჭლების ფრაგმენტები (აფაქიძე, 1971:172; შამაია, 1984: 29-30).

**ახალი ათონი.** სადგომი მდებარეობს კურორტ ახალი ათონის აღმოსავლეთ ნაწილში, ოთხი მეტრის სიმაღლის ტერასაზე.

<sup>1</sup> ზღვისპირა სადგომებზე საუბრისას, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ სადგომების ნაშთები, თანხლები სპეციფიკური კერამიკით, ძირითადად, ზღვის სიახლოვეს, ქვიშაზვინულებზე ფიქსირდება. იშვიათ შემთხვევაში, მათი ნაშთები დასტურდება ზღვისგან მოშორებულ ადგილებშიც (ოქუში, მაჭარა: *Рампшвили*, 1975:44; *Воронов*, 1980: 29-34).

<sup>2</sup> არ გამოვრიცხავთ, რომ სადგომების დახასიათებისას მოტანილი ცალკეული მონაცემი, დღეს უკვე აღარ შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

ზღვის მხარეს 0,5 კმ-ზე ტერასის კალთა სისტემატურად ირეცხება, ამიტომ ძველი საგრძნობლად დაზიანებულია. ტერასის ქრილში ფენები შემდეგი თანმიმდევრობითაა განლაგებული: ა) ჰუმუსოვანი ფენა - 0.20 მეტრი სიმძლავრის; ბ) მუქი რუხი თიხნარი - 0.80 მეტრი სიმძლავრის; გ) დიუნური მასალების შემცველი მუქიყავისფერი ქვიშანარევი თიხნარი - 0. 80 მეტრი სიმძლავრის; დ) ღია რუხი ქვიშნარი (ზღვური დანალექი). დიუნური მასალა ნარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების ფრაგმენტებით.

ახალი ათონის ჩრდილოეთით 1.5 კმ-ზე, მდინარე ფსირცხას შესართავთან, ტერასის ქრილში, დაფიქსირდა თიხის სადგრების ფრაგმენტები და დიუნური კერამიკა თანმხლები საყოფაცხოვრებო ჭურჭლების ნატეხებით (Соловьев, 1950 : 270).

**სადგომი მდ.ფსირცხასთან.** მდებარეობს ახალი ათონის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ზე, ოთხმეტრიან ტერასაზე. ტერასის ქრილში კერამიკული ნაშთებით გაჯერებულია მხოლოდ ფენა "ვ". ამ ფენაში, მართალია არ იყო დაფიქსირებული ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა, მაგრამ მიაკვლიეს მათ თანმხლებ საყოფაცხოვრებო ჭურჭლების ფრაგმენტებს და თიხის რქისებრშვერილიანი სადგრის რამდენიმე ნიმუშს. აღნიშნული ფენის ქვედა დონე ლ. სოლოვიოვმა შუა ბრინჯაოს ხანით დაათარილა (Соловьев, 1950:270).

**შიცკუარა.** სადგომი მდებარეობს ქ. სოხუმიდან 17 კმ-ს დაშორებით მდინარე შიცკუარასთან, ახალი ათონისაკენ მიმართულ გზატკეცილთან. აქ სანაპირო გორაკები ებჯინება ზღვის ნაპირს, თვით სადგომი კი ოთხმეტრიან ტერასას უკავშირდება. ადგილმდებარეობის გამო, სადგომი ნაპირის მხრიდან საგრძნობლად დაზიანებული.

ტერასის ქრილში შემდეგი სურათი იკითხება: ა) ჰუმუსოვანი ქვიშნარი - 0.30 მეტრის სიმძლავრის; ბ) მოყავისფრო რუხი თიხნარი - 1. 00 მეტრი სიმძლავრის; გ)რუხი თიხნარი - 0. 20 მეტრი სიმძლავრის; დ) დიუნური მასალების შემცველი ზღვური ნიჟარებიანი რუხი-მოყავისფრო თიხნარი - 0.50 მეტრი სიმძლავრის; ე) ღია რუხი ქვიშნარი (ზღვის დანატოვარი).

დიუნური კერამიკა ნარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების ფრაგმენტებით. ეს მასალა მოქცეულია ანტიკური ფე-

ნის ქვეშ. ლ. სოლოვიოვის აზრით, შიცკუარას ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა ანტიკური ნამოსახლარის ქვედა პორიზონტის თანადროულია. როგორც ჩანს, ანტიკური ნამოსახლარის გაფართოების შედეგად შეწყვიტა სადგომმა არსებობა (Соловьев, 1950: 269).

**ვერეშჩაგინის გორა.** სადგომი მდებარეობს ქ. სოხუმიდან 12 კილომეტრზე, ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე. გორაკი ოვალური ფორმისაა და გადაჭიმულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. სადგომის საერთო ფართობი 6 ჰექტარია. თვით ნამოსახლარი ორფენიანია, შეიცავს ელინისტური და წინაანტიკური ხანის მასალებს. კულტურული ფენა იწყება თანამედროვე ზედაპირიდან ახლოს და ვრცელდება 1.3 მეტრის სიღრმეზე. კულტურული ფენები უკეთესადაა შემორჩენილი გორაკის აღმოსავლეთ ნაწილში.

წინაანტიკური ხანის კერამიკა წარმოდგენილია პითოსების, ქოთნებისა და ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის ფრაგმენტებით. წინაანტიკური ხანის ფენაში აღმოჩენილია ფიჩხნარევი გამოძნვარი თიხის ფრაგმენტები, რომელიც შელესილობის ნაშთადაა მიჩნეული. აქვე მიკვლეულია სწორკუთხა თიხატკემნილი იატაკი (კერის ნაშთი). კერამიკის გარდა, ძეგლზე აღმოჩენილია ბრინჯაოსა და რკინის ნაკეთობები.

სადგომი თარიღდება ძვ.წ.VIII-VII საუკუნეებით (Ивашенко, 1935: 58-66; Соловьев, 1947:269; Шамба, 1984:18-23; Джошуа, Шенкао, 2003).

**წითელი შუქურა.** სადგომი მდებარეობს ქ. სოხუმის დასავლეთით 4 კმ-ზე, გუმისთის კონცხის ძირას, დასახლება "წითელ შუქურასთან". სადგომს უკავია 8 ჰექტარი ფართობი (განფენილია 1 კმ სიგრძეზე და 100-300 მ სიგანეზე). სანაპიროს ქრილში ფენები შემდეგი თანმიმდევრობითაა განლაგებული: ა) რუხი ჰუმუსნარევი ქვიშნარი -0.20-0.60 მეტრი სიმძლავრის; ბ) ანტიკური (ნაწილობრივ წინაანტიკური) ხანის მასალების შემცველი მუქი რუხი ქვიშნარი - 0.30-0.70 მეტრი სიმძლავრის; გ) დიუნური კერამიკის შემცველი მუქი რუხი ქვიშნარი - 0.70-1.00 მეტრი სიმძლავრის; დ) ღია რუხი ქვიშნარი (ზღვური დანალექი).

სადგომისათვის არ არის დამახასიათებელი უწყვეტი კულ-

ტურული ფენები. არქეოლოგიური მასალა თავმოყრილია ბუდეებსა და მოედნებთან, რომლებსაც ასევე უკავშირდება კენჭებით მოკირწყლული მოედნები. ეს უკანასკნელნი, ცეცხლის მოქმედების შედეგად, მონითალო-მოშავო შეფერილობისაა. კერამიკული მასალა წარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების ფრაგმენტებით, თიხის სადგრებისა და საყოფაცხოვრებო კერამიკის ნატეხებით. ქვის ინვენტარიდან დასტურდება სათევზაო ბადის ორმხრივ გვერდებამოლარული საძირავები.

სადგომი თარიღდება ძვ.წ. VII-V საუკუნეებით (Соловьев, 1950: 268; Трапш, 1958:185-189; Шамба, 2005:32).

**მაჭარა.** სადგომი მდებარეობს ქ. სოხუმიდან 10 კმ-ს დაშორებით, მდინარე მაჭარის მარცხენა ნაპირზე. ძველი მრავალფენიანია. დიუნური კერამიკის შემცველია მე-2 ფენა, რომელიც იწყება ჰუმუსოვანი ფენის შემდეგ. ფენის სიმძლავრე 0.30-0.35 მეტრია. აღნიშნულ ფენას ვ. ბუანია ძვ.წ. II ათასწლეულების პირველი საუკუნეებით ათარიღებს (Бжаншя, 1961:113-126).

სადგომის კერამიკული მასალაში წარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი, საყოფაცხოვრებო ჭურჭლების, თიხის რქისებრი სადგრების ფრაგმენტები, რომლებიც საყოფაცხოვრებო ორმოებშია აღმოჩენილი. ქვის ინვენტარი წარმოდგენილია საფეკვაავების, ბადის საძირავებისა და უროების ნიმუშებით (Бжаншя, 1961:113-114).

**აგუძერა.** სადგომის ნაშთები მიკვლეულია სოფელ აგუძერას ტერიტორიაზე, მაჭარიდან 2 კმ დაშორებით. აქვე გაითხარა ელინისტური ხანის სამაროვანი. დიუნური მასალა ფიქსირდება ქვედა ჰორიზონტზე, ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე და ვრცელდება 30 მ სიგრძეზე. კერამიკული ინვენტარი წარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი აბაზანებითა და რქისებრი სადგრებით. მკვლევრები ამ მასალას მაჭარის მეორე და ოჩამჩირის ქვედა ფენის თანადროულად მიიჩნევენ (Шамба, Квиციшя, 1980:120).

**ტამიში.** სადგომი მდებარეობს ოჩამჩირის რ-ნის სოფელ ტამიშის ტერიტორიაზე, ზღვის ნაპირიდან 300 მეტრის, ხოლო მდინარე ტამიშიდან — 200 მეტრის დაშორებით. სადგომი ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ოთხივე მხრიდან შემოსასაზღვრულია ქაობით. სადგომის სამხრეთ ნაწი-

ლში, რომელიც ზღვისკენაა მიმართული, ჭრილში იკვეთება ორი ძირითადი ფენა: 1. თანამედროვე ზედაპირიდან 0.2 - 0.3 მ სიღრმეზე. ფენა დარღვეულია მიწისზედა სამუშაოების შედეგად (ძველი და ახალი მასალა ერთმანეთშია არეული); 2. 0.9 მ. სიმძლავრის ფენა (I პორიზონტი 0.3-0.5 მ სიღრმეზე და II პორიზონტი 0.5-0.8 მ სიღრმეზე). ფენაში, მორგვზე დამზადებული ჭურჭლების ფრაგმენტებთან ერთად, წარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკისა და თიხის რქისებრი სადგრების ნატეხები. ამ ფენაში ფიქსირდება 1.2 მ და და 3.2 მ დიამეტრის ორმოები. მკვლევართა აზრით, პატარა ორმოები გამოიყენებოდა პროდუქტის შესანახად, ხოლო მობრძილი ორმოები საცხოვრებლის ნაშთს წარმოადგენდა (ერთ-ერთი ორმოს იატაკი, „ნითელი შუქურისა“ და მოქვის დიუნური სადგომების მსგავსად, კენჭებით იყო მოკირწყლული). ქვის იარაღებიდან ძეგლზე აღმოჩენილია ორმხრივ გვერდებამოღარული ბადის საძირავეები, საფეკვაეები და უროები.

სადგომი თარიღდება ძვ.წ. IX-VII საუკუნეებით (Бжания, 1967: 225-231; Барамилдзе, Пхакаძე, Бжания, Шамბა, Чигოшвили, Квириквелия, Хубутня, 1982:64-68).

**მოქვი.** სადგომი მდებარეობს ქ. ოჩამჩირის დასავლეთით 5 კილომეტრზე. უკავია I კექტარი ფართობი. აღმოსავლეთით სადგომს ესაზღვრება მდინარე მოქვის შესართავი, დასავლეთით – ჭაობები. ამ ადგილებში ქვიშაზვინული ფაქტობრივად არ იკითხება. დიუნური კერამიკა ჩნდება მდინარე მოქვის მარცხენა დაბალ ნაპირას. როგორც ჩანს, ეს მონაკვეთი უფრო მოსახერხებელი იყო სამეურნეო საქმიანობისათვის. აქაც ქვიშაზვინულები იმდენადაა ჩაძირული მდინარის ალუვიურ დაჭაობებულ ნატანში, რომ ზედაპირზე ზვინულების მხოლოდ ნაზურგები მოჩანს. ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების ფრაგმენტები სწორედ ამ ნაზურგებზეა დადასტურებული.

სადგომი თარიღდება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით (Соловьѣв, 1950:268; ჩიგოშვილი, 1999:21).

**ოჩამჩირე.** დიუნური სადგომი მდებარეობს ქ. ოჩამჩირეს ფარგლებში, ზღვისპირა პარკთან. განფენილია 500 მეტრის სიგრძეზე და 50 მ სიგანეზე. კულტურული ფენები ზღვის მოქმედების

შედეგად საგრძნობლად დაზიანდა. მათი გავრცელება ზღვისკენ მიმართულ კალთაზე მიუნიშნებს, რომ სადგომის არსებობის პერიოდში ზღვა დაშორებული იყო ქვიშაზვინულისაგან. ნათლად ჩანს, რომ სადგომის ფუნქციონირების შემდგომ, ქვიშაზვინულმა დადაბლება განიცადა. ოთხმეტრიანი ქვიშაზვინულის ჭრილში შემდეგი სურათი იკვეთება: ა) ღია რუხი ქვიშნარი 0.1-0.2 მ (თანამედროვე საფარი); ბ) ღია ყავისფერი ქვიშნარი 0.2-0.4 მეტრი სიმძლავრის (დიუნური ფენა); გ) ღია რუხი კენჭნარევი ქვიშა (ზღვური დანატოვარი).

დიუნური კერამიკის შემცველი ფენა არ არის უწყვეტი. იგი წარმოდგენილია მონითალო-მოშავო ბუდეების სახით, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საცხოვრისებთან, ასევე სამეურნეო საქმიანობასთან. საცხოვრებელი მოედნები 3-4 მ დიამეტრისაა. ისინი გამართულია კერამიკულ ნაყართან, ან მოკენჭილ ადგილებთან. კერამიკული მასალა წარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი და სადაზედაპირიანი აბაზანების ფრაგმენტებით, ასევე თიხის რქისებრშვერილიანი სადგრების ნატეხებით.

სადგომი თარიღდება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით (Соловьев, 1950: 267-268).<sup>3</sup>

**გუდავა.** სადგომი მდებარეობს გალის რაიონში. კულტურული ფენები 2 მ სიმძლავრისაა და იწყება ზედაპირიდან 0.3-0.4 მ სიღრმეზე. კერამიკული მასალა წარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლებისა და რქისებრი სადგრების ფრაგმენტებით.

სადგომი თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანის ბოლოთი და ადრერკინის ხანის დასაწყისით (Шамна, 1984:5-8).

გუდავაში, დასახლება პრიმორსკში, გაითხარა დიუნური სადგომი, სადაც დაფიქსირდა ერთმანეთისაგან ქვიშნარი შრეებით გამოყოფილი 7 დონე. 1-3 დონეზე აღმოჩნდა ოთხკუთხა ცეცხლისკვალიანი მოედნები კერამიკული ნაყართ. ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლებისა და თიხის სადგრების ფრაგმენტებთან ერთად, ნანა-

<sup>3</sup> სოლოვიოვი ოჩამჩირის სადგომს „ოჩამჩირის მეორე ნასახლარად“ (Бродское Очамирское селение) მოიხსენიებს. „ოჩამჩირის პირველი ნასახლარს“, ოჩამჩირისაგან 3 კმ დაშორებით მიკვლეულ, ელინისტური ხანის ნასახლარს უწოდებს (Соловьев, 1950:266).

ხია მათი თანადროული საყოფაცხოვრებო კერამიკის ნატყეხები.

მკვლევართა აზრით, სადგომმა არსებობა შეწყვიტა ძვ.წ.VI საუკუნეში (Барамидзе, Квирквелиა, Хубутია, Квициниа, Хвистანი. 1982:89).<sup>4</sup>

**ყულევი.** ყულევის დიუნურ სადგომზე მწირი ინფორმაცია გვაქვს. დიუნური კერამიკის ნაშთები, მიკვლეულია მდინარე ცივასთან და მდინარე ხობთან. ნ. ხოშტარია მიუთითებს დიუნურ ფენაში ცეცხლისკვლიან ორმოებში სადგრების მიკვლევის ფაქტზე და იქვე აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ ორმოში, სადგრებთან ერთად, აღმოჩნდა დიდი ზომის ჯამი,<sup>5</sup> რომლის კედელზე შემორჩენილი მასის ლაბორატორიულმა ანალიზმა რკინის კვალი დაადასტურა (Хоштариа, 1955:34-35; პაპუაშვილი, 2002:32).

**ურეკი.** ურეკში დიუნური სადგომების ნაშთები მიკვლეულია ვრცელ ტერიტორიაზე, სოფელ გრიგოლეთთან, შეკვეთილთან, ადგილ „კუნხის აბანოსთან“, მდინარე სეფისწყალთან („კაპროვანი“). კულტურული ფენის სიძლიერე 1-2 მეტრია. ვერტიკალურ ჭრილში მკაფიოდ იკვეთება დიუნის სპეციფიკური კონფიგურაცია - ორმხრივი დაფერდება. კულტურულ ფენას ზემოდან ადევს ჰუმუსოვანი და მინანარევი ქვიშნარი ფენები. დიუნური კერამიკის შემცველი კულტურული ფენა 2-3 პორიზონტისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სტერილური შრეებით. ფენები დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიართულებით. ურეკის დიუნებზეც მიკვლეულია მონითალო-მოშაო ფერის მოედნები, კერამიკული ნაყარითა და მოზელილი თიხის გუნდებით. კერამიკული მასალა წარმოდგენილია ქსოვილისანაბეჭდიანი და სადაზედაპირიან-

<sup>4</sup> სამწუხაროდ, გუდავას დიუნურ სადგომსაც განადგურება ემუქრება. რუსეთის ხელისუფლება სოჭის ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობისათვის 140-150 მილიონი კუბური მეტრის ინერტული მასალის მოპოვებას აპირებს, რომლის ნაწილის ამოღებას აფხაზეთის სანაპიროდან გეგმავს. მ. ბარამიძის ინფორმაციით, სამუშაო უბანში ექცევა გუდავას დიუნური სადგომის ორი ზოლი („აფხაზეთში კულტურის გენოციდის ახალი ტალღა დაიწყო.“ 20096.).

<sup>5</sup> ჩვენი აზრით, ნ. ხოშტარიას მიერ მითითებული „ჯამი“ სადაზედაპირიანი „აბაზანები“ უნდა ყოფილიყო (გ.თ.).

ნი მოზრდილი ქურჭლების ფრაგმენტებითა და თიხის რქისებრშვერილიანი სადგრების ნატეხებით (Χουιτარια, 1955:25-75; სადრაძე, ამირანაშვილი, 2005:21-32; თავაშიაშვილი, 1987).

ნ. ხოშტარია ურეკის სადგომს ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარილებს, თუმცა არ გამოიციხავს უფრო ადრეული ფენების არსებობასაც.

ურეკის ტერიტორია, წლების განმავლობაში, სილის კარიერად იყო ქცეული. შედეგად, სარძნობლად დაზიანდა როგორც დიუნური სადგომები, ასევე ადრერკინის ხანის ვრცელი სამაროვანი (მიქელაძე, 1985:6).

ფიჭვნარი. ფიჭვნარის დიუნური სადგომი ყველაზე უკეთაა შესწავლილი. სადგომი მდებარეობს ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის დაშორებით, მიუყვება სანაპირო ზოლს და განფენილია 2 კილომეტრზე.<sup>6</sup>

ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე გამოვლენილია 6 კულტურული ფენა, რომლებიც ერთმანეთისაგან სტერილური შრეებითაა გამოყოფილი. ქვედა ფენა, თანამედროვე ზედაპირიდან, 7.5 მეტრზეა განთავსებული. თითოეულ ფენაში რამოდენიმე დონეა დადასტურებული. უფრო სრულად შესწავლილია სადგომის ზედა ორი ფენა (1500 კვ. მ), ნაკლებად ქვედა ფენები (500 კვ. მ).

ფიჭვნარის სადგომზე ნაგებობათა ნაშთები შემორჩენილია ოვალური ფორმის მოშაო-მონითალო მოედნების სახით (საშუალო ზომა 13X6მ). როგორც წესი, ნაგებობის სამხრეთ ნაწილში სამსხვერპლო იყო გამართული, რომელიც რქისებრშვერილიანი თიხის სადგრებით იყო შედგენილი (ზომები: 2X1მ). ა. რამიშვილის აზრით, ფიჭვნარის დიუნაზე საცხოვრებლად მსუბუქი „ფაცხისმაგვარი“ ნაგებობები უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ფიჭვნარის სადგომის არქეოლოგიურ მასალაში ძირითადად წარმოდგენილია სადა და ქსოვილისანაბეჭდიანი ქურჭლების ფრაგმენტები, რქისებრშვერილიანი სადგრების, ოთხკუთხა ფილების, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ქურჭლების ნატეხები.

<sup>6</sup> როგორც აღვნიშნეთ, ფიჭვნარის დიუნური სადგომი პრაქტიკულად განადგურდა 2011 წელს, ზღვისპირა ზოლში წარმოებული სასტუმრო კომპლექსების მშენებლობის დროს.

სადგომი თარიღდება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით (რამიშვილი, 1974:104).<sup>7</sup>

**ბობოყვათი.** სადგომი მიკვლეულია ქობულეთის რ-ნის სოფ. ბობოყვათში (თავამაიშვილი, 1987). სადგომს ჩრდილოეთით საზღვრავს მდინარე დებვას ძველი კალაპოტი, აღმოსავლეთით – ბათუმი-თბილისის საავტომობილო ტრასა. სამხრეთით სადგომის გავრცელების საზღვარი დადგენილი არ არის. უფრო ვრცლად ბობოყვათის სადგომის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი.

**ციხისძირი.** სადგომი მდებარეობს ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირში (თავამაიშვილი, 1988). სადგომს სამხრეთით ესაზღვრება ბორცვი, რომელზეც პეტრას ციხის ნაშთებია შემორჩენილი, აღმოსავლეთით ბათუმი-თბილისის საავტომობილო ტრასა, ჩრდილოეთით ძეგლის გავრცელების საზღვარი დადგენილი არ არის. სადგომის ნაშთებს ზემოდან აძევს ანტიკური ხანის ვრცელი სამაროვანი. სამარხების ჩაჭრის შედეგად დიუნური მასალების შემცველი ფენა საგრძნობლადაა დაზიანებული. სადგომის აღმოსავლეთით წინაანტიკური დასახლების ნაშთებია მიკვლეული.

სადგომზე შედარებით მცირე ფართობია შესწავლილი. დიუნური მასალა წარმოდგენილია აბაზანისმაგვარი ქურჭლების, თიხის სადგრების და საყოფაცხოვრებო კერამიკის ფრაგმენტებით. ციხისძირის სადგომზე გაითხარა საკულტო ცერემონიალისათვის მონყობილი თიხის რქისებრშვერილიანი სადგრებით შედგენილი სამსხვერპლო. იქვე აღმოჩნდა ქურჭელი, რომელზეც ცხოველთა გამოსახულებები იყო დატანილი (თავამაიშვილი, 2002).<sup>8</sup>

**ჩაქვი.** სადგომი მდებარეობს დაბა ჩაქვსა და სოფელ ბუკნ-

<sup>7</sup> ა. რამიშვილი, კვლევის ადრეულ ეტაპზე, ფიჭვნარის დიუნის ქვედა ორ ფენას ძვ.წ. X-VIII, ხოლო პირველ და მეორე ფენას – ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს მიაკუთვნებდა (რამიშვილი<sup>1</sup>, 1964:129-130). მოგვიანოდ, ფიჭვნარისა და ჩაქვის დიუნური სადგომების მასალის საფუძველზე, მკვლევარმა ეს თარიღი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დააკონკრეტა. ა. კახიძეს მიაჩნია, რომ ფიჭვნარის დიუნური სადგომი არსებობდა ძვ.წ. VI საუკუნემდე (კახიძე, 1965: 67).

<sup>8</sup> ბობოყვათისა და ციხისძირის სადგომები ჩვენს მიერ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით არის დათარიღებული. ამის თაობაზე, როგორც მოგახსენეთ, ქვევით გვექნება საუბარი.

არს შორის. კულტურული ფენები კარგად შეიმჩნევა ზღვის სანაპიროს გასწვრივ მაღალი ტერასის ქრილში 250-300 მეტრის სიგრძეზე. სადგომი ერთფენიანია. კულტურული ნაშთები ვრცელდება 2.5-3 მეტრის სიგანეზე და ზედაპირიდან 0.5-2 მეტრის სიღრმეზე. ზღვის წინ ნამონების გამო მთლიანად დარღვეულია ტერასის ძირითადი ნაწილი. კულტურული ფენის ქვედა დონე, ალაგ-ალაგ, თხელი ნაცროვანი ფენით არის დაფარული. სწორედ ამ ადგილებში ჩნდება თიხის სადგრებისა და სხვა კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. ჩაქვის დიუნური სადგომის კერამიკული მასალა ერთგვაროვანია: 1. უხეში კერამიკა - მსხვილკენჭებნარევი თიხისაგან ხელით ნაძერწი, წითელი ფერის, ცუდად გამომწვარი სქელკედლიანი ჭურჭლების ნატეხები; 2. თიხის რქისებრი სადგრები; 3. საყოფაცხოვრებო ჭურჭლების ფრაგმენტები.

სადგომი თარიღდება ძვ.წ.VIII-VII საუკუნეებით (რამიშვილი<sup>1</sup>, 1964:119-131).

**გონიო.** დიუნური სადგომის კვალი დასტურდება როგორც გონიოს ციხის, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964; ხახუტაიშვილი, კახიძე, მამულაძე, ინაიშვილი, აფხაზავა, ხალვაში, 1997). ძეგლის შესწავლის პროცესში ჩნდება როგორც აბაზანისმაგვარი ჭურჭლების, ასევე თიხის რქისებრშვერილიანი სადგრების ნატეხები, თანადროული საყოფაცხოვრებო კერამიკის ფრაგმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე დღესაც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, ჯერჯერობით, გონიოს დიუნური სადგომი არ გამხდარა საფუძვლიანი კვლევის ობიექტი.

ასეთი გახლავთ მოკლე ჩამონათვალი საქართველოს ზღვისპირეთში გამოვლენილი დიუნური სადგომებისა. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ უბანზე არქეოლოგიური ძიება კვლავაც გაგრძელდება. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვფლობთ სრულ ინფორმაციას აფხაზეთში ბოლო პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შესახებ. თუმცა, ვეჭვობთ, რომ საქართველოს ამ რეგიონში, გუშინდელი და დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით, სერიოზული სახის კვლევადიებას უპირობა ადგილი.

## თავი მეოთხე

### არქეოლოგიური გათხრები ბობოყვათის ზღვისპირა ქვიშაზვინულაზე

ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ბობოყვათის დიუნურ სადგომზე, რადგან ბობოყვათის ქვიშაზვინულაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საკმაოდ მრავლისმთქმელი აღმოჩნდა, რაც გვაძლევს საშუალებას — ახლებურად გავიაზროთ დიუნურ სადგომებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.<sup>1</sup> ბობოყვათის არქეოლოგიური მონაპოვარის საფუძველზე, შევეცდებით, მეტნაკლები სისრულით წარმოვაჩინოთ საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულების არქეოლოგიური მასალა და შევაჯეროთ დიუნური სადგომების ფუნქციონირების თაობაზე ადრე გამოთქმული მოსაზრებები.

ბობოყვათის დიუნური სადგომი მდებარეობს ქობულეთის

<sup>1</sup> ბობოყვათის დიუნური სადგომი, ანალოგიური ტიპის ძეგლების მსგავსად, არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, რთულ ძეგლთა კატეგორიას განეკუთვნება. 1982 წელს, როდესაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბობოყვათის დიუნაზე გათხრები დაიწყო, მსგავს ძეგლებზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჩვენ არ გექონია. დღევანდელი გადასახედიდან ეხედებით, რომ ბევრი რამ მეთოდოლოგიურად შეიძლება სხვანაირად გაკეთებულიყო. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, აღარ მოგვეცა ქვიშაზვინულაზე მუშაობის გაგრძელების საშუალება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიცია 1982-85 წლებში იკვლევდა როგორც ბობოყვათის დიუნურ სადგომს, ასევე, ციხისძირის ანტიკურ სამაროვანს (სადაც, მოგვიანებით გაითხარა დიუნური სამსხვერპლო). ექსპედიციის შემადგენლობა: ხელმძღვანელი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ხახუტაიშვილი, ხელმძღვანელის მოადგილე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან კახიძე, ექსპედიციის წევრები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ნინელი ვაშაკიძე, სერგო გოგიტიძე, მეცნიერ-თანამშრომლები ნინო ინაიშვილი, ირაკლი იაშვილი, გიორგი თავაშიაშვილი, მხატვარ-არქიტექტორი — ანზორ ჯაველიძე, ფოტოგრაფი — ედუარდ კვირიკაძე, მძლოლები — თემურ ინაიშვილი, რევაზ ქათამაძე.

რაიონის სოფელ ბობოყვათში, ზღვის თანამედროვე ნაპირიდან 200—250 მ დაშორებით. სადგომს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება მდინარე დეხვას ძველი კალაპოტი, დასავლეთით ბათუმ-ქობულეთის საავტომობილო გზა, სამხრეთით სადგომის გავრცელების საზღვარი ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ არის.

აღნიშნული ტერიტორია ადრე ერთნაირი კულტურების მოსაყვანად იყო გამოყენებული. აქ, ისევე როგორც სხვა სავარგულეებში, სისტემატურად ტარდებოდა საკულტივაციო სამუშაოები, რასაც, საბედნიეროდ, დიუნური სადგომისათვის დიდი ზიანი არ მიუყენებია. ძველი უფრო მეტად დაზიანდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გეოკლიმატური ცვლილებებისა და ზღვასთან სიახლოვის შედეგად.

ჯერ კიდევ დაზვერვითი სამუშაოების ეტაპზე ცხადი გახდა, რომ ბობოყვათის დიუნური სადგომის გათხრები მთელ რიგ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული. როგორც წესი, ძალიან ვაჭირდა ქვიშნარ გრუნტში ურიკის გადაადგილება. ამავ დროს, ქარის მოქმედების გამო (სადგომები, როგორც წესი, სანაპირო პლაჟთან, ღია ადგილებზეა განლაგებული) ფოტოფიქსაციისათვის ერთი და იგივე ადგილი რამდენჯერმე მზადდებოდა გადასაღებად. დიუნური კერამიკა, განსაკუთრებით, უხარისხოდ გამომწვარი დიდი ზომის ე.წ. აბაზანები, პრეპარაციის პროცესში და ალაგების დროს, ადვილად იფშვებოდა. მიუხედავად ამისა, ბობოყვათის დიუნაზე ვრცელი ტერიტორიის შესწავლა მოხერხდა. ზედაპირული ფენა მოიხსნა 12 ათასი კვ.მ ფართობზე. უშუალოდ დიუნური სადგომის ნაშთები დადასტურდა აღნიშნული ფართობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. დეხვას ზღვასთან შეერთების ადგილას (ტაბულა 7).

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გავლებულ 3 მ სიღრმის თხრილის ქრილში გამოიკვეთა დიუნის სპეციფიკური კონფიგურაცია - ორმხრივი დაფერდება (ტაბულა 7). ზღვის მიმართულებით დაქანებული ფერდი დღევანდელ ჰორიზონტამდე შევსებული იყო ზღვის დანატოვარი ქვიშაქვით (როგორც ჩანს, სადგომის ფუნქციონირების დროს, ზღვა მაინც ახერხებდა ქვიშაზვინულის დასავლეთ საზღვართან მიახლოებას). სანინალმდევო მიმართულების ფერდზე კი ფენები შემდეგი თანმიმდევრობით იყო განლაგებული:

1. ქარის მოქმედებით წარმოქმნილი საკმაოდ მკერძი შავი ფენა (0.25-1.5 მ სიმძლავრის), რომელშიც გვიანი შუა საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის მასალა ერთმანეთში იყო არეული;

2. ყავისფერი მინანარევი ქვიშნარი ფენა (0.2-0.3 მ სიმძლავრის), ძირითადად ელინისტური ხანის მასალების შემცველი;

3. სილნარი, თითქმის სტერილური ფენა;

4. დიუნური მასალების შემცველი მონითალო-მოშავო ქვიშნარი ფენა (0.25-0.40 მ სიმძლავრის).

ფენები, ბუნებრივი დარეცხვის გამო, ძირისკენ უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი. დიუნური კერამიკის შემცველი ფენა ყველგან უწყვეტ ზოლად არ დაფიქსირდა. ის ძირითადად, ცალკეული ბუდობების სახით იყო გამოკვეთილი.<sup>2</sup>

ძეგლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო მოედანი გაიშალა სანაპიროს პარალელურად, როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის მიმართულებით. სწორედ ამ ზოლში აღმოჩნდა ზღვისპირა დიუნური სადგომებისათვის დამახასიათებელი კომპლექსები, რომელთა შესახებ დანერჩილებით შევჩერდებით.<sup>3</sup>

### დროებითი საცხოვრებლები და სამეურნეო უბნები.

როგორც წესი, ბობოყვათის დიუნურ სადგომზეც, ღია-რუხი ფერის ქვიშნარი გრუნტის ფონზე, აშკარად გამოიკვეთა მონითალო-მოშავო შეფერილობისა და ოვალური ფორმის მოედნები. მიუხედავად იმისა, რომ მიმდებარე ტერიტორიის მსგავსად, მოედნების რელიეფიც ქვიშის სტრუქტურითაა შედგენილი, ადვილად შესამჩნევია, რომ მოედნებზე ქვიშა უფრო დატკეპნილია. მოედნების მონითალო-მოშავო შეფერილობა, ერთი მხრივ, ცეცხლის კვალს წარმოადგენს, ნანილობრივ კი, თიხისა და სამშენებლო ბაზალტის ნარჩენების კონცენტრაციის შედეგად უნდა ყოფილიყო წარმოქ-

<sup>2</sup> ეს სურათი ტიპურია დიუნური სადგომებისათვის.

<sup>3</sup> გასათხრელი ტერიტორია, ნესისამებრ, დაიყო სექტორებად (NO, NW, SW, SO) და კვადრატებად (4X4მ).

მნილი.<sup>4</sup>

შესასწავლი ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე გაინმინდა ოვალური ფორმის, მონითალო-მოშავო ფერის მოედანი (№1)<sup>5</sup> (ტაბულა 8), რომლის მთელ ფართობზე, განსაკუთრებით, საზღვრის გასწვრივ, მიმობნეული იყო უხეშად ნაძერწი აბაზანისმაგვარი ქურჭლების<sup>6</sup>, საყოფაცხოვრებო კერამიკის, თიხის რქისებრი სადგრებისა და ოთხკუთხა ფილების ფრაგმენტები. მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ქვიშაში ჩაჭრილი, ბაზალტის ქვებისაგან ნაგები კერის ნაშთი (ზომები: 1.1 X 1.0 X 0.45). სამშენებლოდ შერჩეული ქვები, მიუხედავად მრავალნახნაგა ფორმისა, მოსწორებული ნაწილით წყობის შიგნით იყო მოქცეული. ხანგრძლივი ცეცხლის მოქმედების შედეგად, წყობის შიგნით ქვიშაშავად იყო შეფერილი. მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ერთმანეთში ჩანყობილი და ნაწილობრივ დაზიანებული ორი საშუალო ზომის დერგი. დერგს, რომელიც შიგნით იყო მოქცეული, შენარჩუნებული ჰქონდა პირველადი გამოწვის მოყავისფრო ფერი, მეორე დერგი კი, რომელიც ასევე ყავისფერკეციანი უნდა ყოფილიყო, ძლიერი ცეცხლის მოქმედების შედეგად, თითქმის შავად იყო შეფერილი.

აღნიშნული მოედნის საზღვრის გაყოლებაზე, ფენა, ერთგვარი ზოლის სახით, უფრო მუქად იყო შეფერილი. იატაკთან შედარებით ეს ფენა 5-10 სმ სიმაღლეზე იყო შემორჩენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს მოედანი, თავის დროზე, მსუბუქად იყო შემოსაზღვრული და გადახურულიც.<sup>7</sup> მოედნის მთელ ფართობზე მიმობნეული იყო ბაზალტის ფლეთილი ქვების, სადაზედაპირიანი უხეში

<sup>4</sup> ლ.სოლოვიოვი თვლიდა, რომ დატკეპნილი ქვიშნარი გრუნტის წარმოქმნა ნიადაგის პუშუსით გაქვნიით არის განპირობებული (Соловьев, 1950: 266).

<sup>5</sup> NW სექტორის მე-3,4,5,27,28,29-ე კვადრატები. მოედნის ზომები: 8მ X 4მ.

<sup>6</sup> როგორც აღენიშნეთ, დიუნურ სადგომებზე ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილია უხეშად ნაძერწი ქსოვილისანაბეჭდიანი და სადაზედაპირიანი ქურჭლების ე.წ. აბაზანების ფრაგმენტები. უფრო დეტალურად, ამ ტიპის ქურჭლების თაობაზე, ქვემოთ ვისაუბრებთ.

<sup>7</sup> მსგავსი მოედნები მსუბუქი გადახურვის კვალით დასტურდება ფიქვენარის დიუნურ სადგომზეც (Павловский, 1975: 138).

კერამიკისა და საყოფაცხოვრებო ქურჭლების ნატყეხები.

სამუშაო უბნის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზევე გაინმინდა მოშავო-მონითალო ფერის მოედანი (№2)<sup>8</sup>. მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში ჩაზავებული იყო უხეში, სადაზედაპირიანი აბაზანისმგვარი ქურჭლების მოზრდილი ფრაგმენტები და თიხის სადგრების ნატყეხები. მოედნის შუაში და ჩრდილოეთ კუთხეში დადასტურდა ბაზალტის ქვებისაგან შედგენილი ნყობის ფრაგმენტი, რომელიც, შესაძლოა, კერის ნაშთი ყოფილიყო. პირველ მოედანზე მიკვლეული კერის მსგავსად, №2 მოედანზე შემორჩენილ ნყობის ქვებს ერთი (სავარაუდოდ, შიდა) მხარე ჰქონდათ დამუშავებული. მოედნის საზღვრებს გარეთ, ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან,<sup>9</sup> აღმოჩნდა ერთმანეთზე სამრიგად დალაგებული 6-6 კუთხეებმომრგვალებული თიხის ფილა, რომლებზეც სხვადასხვა სახის ორნამენტი იყო დატანილი (ტაბულა 19). ფილები ერთმანეთზე მჭიდროდ იყო დაწყობილი და მათი ალაგება თითქმის დაუზიანებლად მოხერხდა (ფილების გაფორმებაზე დანვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ). იქვე ელაგა ორი ნიმუში მთლიანი თიხის რქისებრი სადგრისა. მოედნის პერიმეტრის გაყოლებით, გვერდიგვერდ აღმოჩნდა მინარევეებით გაუმჭლევებელი თიხის ორი მოზრდილი გუნდა<sup>10</sup>.

სადგომის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე გაინმინდა მოშავო-მონითალო ფერის ოვალური ფორმის მოედანი (№3)<sup>11</sup>. მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ბაზალტის ქვების ფრაგმენტები იყო მიმოზნეული. მოედნის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან, დაფიქსირდა ზღვის კენჭებისაგან შედგენილი პატარა ბუდეები. ჩვენი აზრით, ეს პატარა ბუდეები მსუბუქი გადახურვის შემამაგრებელი ხის ბოძების ქვიშაში გასამყარებლად უნდა ყოფილიყო მოწყობილი (ტაბულა 9).

სადგომის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე გაინმინდა მოშა-

<sup>8</sup> NW სექტორის 31, 32, 33, 34-ე კვადრატები. მოედნის ზომები: 8 X 3.5მ.

<sup>9</sup> NW სექტორის 31-ე კვადრატი.

<sup>10</sup> თიხის გუნდები დასტურდება უკლებლივ ყველა დიუნურ სადგომზე, რაც ნათლად მიუნიშნებს, რომ დიუნური კერამიკის გამოძერწვა (რასაკვირველია, გამონვაც) ადგილზე ხდებოდა.

<sup>11</sup> SW სექტორის 22, 23, 42, 43-ე კვადრატები. მოედნის ზომები: 6.5X3მ

ვო-მონითალო ფერისა და ოვალური ფორმის მოედანი (№4)<sup>12</sup> (ტაბულა10). მოედნის ჩრდილოეთ კუთხეში ბაზალტის ფლეთილი ქვები და აბაზანების მოზრდილი ნატეხები იყო ჩაზავებული. მოედნის ჩრდილოეთის საზღვართანაც დაფიქსირდა ბაზალტის ქვებისაგან შედგენილი წყობის (კერის) ნაშთი. მოედნის სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა ბაზალტის ქვებისა და აბაზანების ნაყარი. სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან, აღმოჩნდა პირჩაბრუნებული, მხარზე ბადისებური ორნამენტით შემკული ქოთანის, რომელიც, ცეცხლის მოქმედების შედეგად, საგრძნობლად იყო გაშავებული. მოედნის შუანელზე, აღმოსავლეთ საზღვრის გაყოლებით, აღმოჩნდა კარგად გამოძერწილი და გამოშვარი, შვერილებმომტკრეული თიხის ორი სადგარი. იქვე ელაგა იგივე ტიპის სადგარის ორი ფრაგმენტი. ერთ-ერთ მათგანზე ტალღისებური კლაკნილი ზოლი იყო გამოყვანილი. სადგრებთანვე აღმოჩნდა მოზრდილი კანელურებიანი პითოსის ორი ნატეხი, რომლებზეც რელიეფური ქედებით კონცენტრირებული წრეები იყო გამოყვანილი. აღწერილი კერამიკული ნიმუშების უკან, აღმოსავლეთით, მოედნის საზღვრის გაყოლებით, ჩალაგებული იყო ბაზალტის ქვები, რომელთა მოსწორებული პირი სადგრებისა და კანელურებიანი ჭურჭლების ნატეხებისაკენ იყო მოქცეული. ჩვენი აზრით, მოედნის ამ უბანზე მცირე საკურთხეველი იყო მოწყობილი.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული მოედნების შესახებ?

ზღვისპირა ქვიშაზვირულზე მკვეთრად გამოხატული ნაგებობათა ნაშთები მიკვლეული არ არის. მკვლევართა აზრით, დიუნური სადგომები ადამიანთა დროებით (სეზონურ) საქმიანობას უკავშირდებოდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კონკრეტულ ძეგლებზე დიდი ნაგებობების მშენებლობა არ იყო აქტუალური და აუცილებელიც.

ლ. სოლოვიოვმა ოჩამჩირის დიუნურ სადგომზე გათხრილი მონითალო-მორუხო ფერის მოედნები დაპყო სამეურნეო და საცხოვრებელ ადგილებად (Соловьев, 1950:266). შედარებით მცირე ზო-

<sup>12</sup> SW სექტორის 29, 30, 31, 32-ე კვადრატები. მოედნის ზომები: 7.5X3მ.

მის მოედნები (3X4მ), რომლებიც ზღვის კენჭებისაგან მოკირწყლულ საფუძველზე იყო გამართული, საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებს დაუკავშირა, ხოლო დიდი ზომის (25-40მ) მოედნები, რომლებსაც, მკვლევრის მინიშნებით, უფრო ქვაბულის (котловина) ფორმა ჰქონდათ, სამეურნეო საქმიანობის კვალად (სანარმოო უბნად) მიიჩნია (Соловьев, 1947). ლ. სოლოვიოვი მიუთითებდა, რომ ოჩამჩირის დიუნური სადგომის კულტურულ ფენაში გამოკვეთილ მოშავო-მონითალო ლაქებში, ზოგ შემთხვევაში, კომბინირებული იყო „საცხოვრებელი მოედნები“ და „სანარმოო ნარჩენები“ (ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის ფრაგმენტების გროვები) (Соловьев, 1950: 267).

ნ. ხოშტარიას დასაშვებად მიაჩნდა სადგომებზე ხის ნაგებობათა არსებობა, რომლებიც, მკვლევრის აზრით, კრამიტით უნდა ყოფილიყო გადახურული (Хоштария, 1955: 26).<sup>13</sup>

ალ. რამიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დიუნურ სადგომებზე დროებით საცხოვრებლად მსუბუქგადახურვიანი „ფაცხისებური“ ნაგებობება უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მისი აზრით, მოშავო-მონითალო ფერის მოედნები სწორედ ამგვარი ნაგებობების ნაშთს წარმოადგენს. ბობოყვათის დიუნური სადგომის მოედნებისაგან განსხვავებით, ფიჭვნარის დიუნური სადგომის მოედნები, ზომითაც დიდია (13X6მ), თან, თითოეულ მათგანზე, თიხის რქისებრშვერილიანი სადგრებისაგან შედგენილი სამსხვერპლოები იყო მონყობილი (Рамшвили, 1975: 138).

ზღვისპირ სადგომები, მიუხედავად არქეოლოგიური მასალის საგრძნობი ერთგვაროვნებისა, ზოგიერთი ნიშნით, მაინც განსხვავდება ერთიმეორისაგან. ფიჭვნარის დიუნური სადგომი, ანალოგიური ტიპის ძველთა შორის ერთადერთია, სადაც საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობა ერთ კომპლექსშია წარმოდგენილი. ბობოყვათის დიუნურ სადგომზე კი, საყოფაცხოვრებო და საკულტო ადგილები (სამსხვერპლოები) ცალ-ცალკეა განლაგებული.

ბობოყვათში, ფაცხისებური ნაგებობის ნაშთად, ანუ დროებ-

<sup>13</sup> სავარაუდოდ, ეს აზრი ქ-ნ ნინო ხოშტარიას მას შემდეგ გაუჩნდა, როდესაც, ო. ჯაფარიძის მსგავსად, "აბაზანისმაგვარი" ქურჭლები შეცდომით ლარიანი კრამიტის ნატეხებად მიიჩნია.

ით საცხოვრისად, მხოლოდ კერით შედგენილი მოედნები შეგვიძლია მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით, სადგომზე მოსულთათვის დაგეგმილი სამუშაოების სანყის ეტაპზე, უმთავრესი ამოცანა უნდა ყოფილიყო აბაზანების ჯერ გამოძერწვა, ხოლო შემდეგ გამონვა. თუ გავითვალისწინებთ სადგომებზე მიკვლეული აბაზანების ფრაგმენტების რაოდენობას, ამავე დროს მათი დამზადების სპეციფიკურ ხასიათს, ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი საკმაოდ შრომატევადი უნდა ყოფილიყო, რისთვისაც სპეციალური სამუშაო უბნების მოწყობაც იქნებოდა აუცილებელი. სავარაუდოდ, ამ უბნებზე უნდა მოეზიდათ (გაემქლევიბინათ) დიდი რაოდენობით თიხა, შემდეგ მიღებული თიხის გუნდები გარკვეული ხნით უნდა დაეტოვებინათ ჰაერზე (და არა მზეზე), იქვე, ჭურჭლის გამოსაძერწ ფორმებში (უკვე, მზეზე) გამოეშროთ ეს ჭურჭლები. როგორც ჩანს, გამონვისათვის სპეციალურ ჭურებს არ იყენებდნენ,<sup>14</sup> სავარაუდოდ, ამ პროცესისათვის უნდა გამოეყენებინათ ნახევრადლია კერები. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი ნახევრადლია კერის ნაშთს წარმოადგენდა ნაგებობა, რომლის კედლები ბაზალტის ფლეთილი ქვებისაგან იყო შედგენილი.<sup>15</sup> აღნიშნული კერის კედლებზე აბაზანისმაგვარი ჭურჭლების მოზრდილი ნატეხებიც იყო შემორჩენილი. ეს ნაგებობა ცალკე უბნად წარმოდგება და არ შეადგენს სხვა უფრო დიდი კომპლექსის ნაწილს. ნაგებობის შიგნით, ქვიშასა და ბაზალტის ქვებისაგან შედგენილ კედლებს ეტყობოდა სუსტი, მაგრამ ხანგრძლივი ცეცხლის ზემოქმედების კვალი (ტაბულა 11).

ჩვენამდე შემორჩენილი მასალის მიხედვით, ძნელია დაბეჯითებით ვისაუბროთ სადგომებზე გამოყენებული საცხოვრებელი, ან სამეურნეო ნაგებობების ტიპზე. კვლევის დღევანდელ ეტაპზე, საესებით მისაღებად მიგვანჩნია ალ. რამიშვილის ვარაუდი, რომ დიუნურ სადგომებზე მსუბუქი „ფაცხისებური“ ნაგებობები უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ამ აზრის გასამყარებლად, მსურს ერთ საკითხზე შევამჩრო

<sup>14</sup> ყოველ შემთხვევაში, არც ერთ დიუნურ სადგომზე სპეციალური დახურული ჭურის ნაშთები არ ყოფილა მიკვლეული.

<sup>15</sup> NW სექტორის 34 კვადრანტი. ზომები: 2.5X1.2მ.

თქვენი ყურადღება. როგორც მოგახსენეთ, დიუნური სადგომები, ძირითადად, მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილას დასტურდება. ცნობილია, რომ ძველად (და არა მხოლოდ ძველად) ადამიანები სამოსახლოების შერჩევის დროს უპირატესობას ანიჭებდნენ მდინარეების მიმდებარე ადგილებს. საქართველოს ზღვისპირა ზოლში, დიუნური სადგომების მოსაზღვრე ტერიტორიაზე, მიკველულია თანადროული გორა-სამოსახლოები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ქვიშაზვინულებზე მოღვაწეთა ძირითადი საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. სხვა სიტყვებით, სადგომებზე მუშაკნი მომთაბარე და ნაპირ-ნაპირ მოსიარულე ხალხი კი არა, არამედ ადგილობრივი მოსახლეობა იყო. არ გამოვრიცხავთ, რომ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, მუშაკნი სახლებში ბრუნდებოდნენ ფეხით თუ მდინარის აყოლებით, შესაძლოა, მცირე ზომის ნაგებობათა კი (შეგახსენებთ, რომ კოლხურ გორა-სამოსახლოებს გარშემო შემოუყვებოდა ფართო თხრილები, რომლებიც, თავდაცვითი ხასიათის გარდა, სატრანსპორტო არტერიასაც წარმოადგენდა) (Микеладзе, Хахутаншвили, 1985) (გავიხსენოთ ჰიპოკრატეს ცნობა).<sup>16</sup> შესაძლოა, ქვიშაზვინულებზე დასაქმებულთა მცირე ჯგუფი სხვადასხვა მოტივით სადგომზე დარჩენილიყო. ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ სადგომის სეზონურობა არ ითვალისწინებდა ქვიშაზვინულზე სერიოზული ნაგებობების შენებას. შესაბამისად, მსუბუქი კონსტრუქციის ("ფაცხისებური") ნაგებობები, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, სავსებით მორგებული იქნებოდა არსებულ რეალობასთან.

როგორც ნესი, დიუნურ სადგომებზე საცხოვრებელ და სამეურნეო მოედნებზე უკეთ შემონახულია საკულტო ცერემონიალებისათვის მონყობილი ადგილები – სამსხვერპლოები.

### სამსხვერპლოები.

ბობოყვათის ქვიშაზვინულების გათხრებამდე, ადრე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ჩვენთვის კარგად იყო ცნობი-

<sup>16</sup> ისინი (კოლხები-გ.თ.) ცოტას დადიან ფეხით ..არამედ დაცურავენ აღმადღამა ერთ ხეში ამოღებული ნაგებობით, რადგან არხები ბევრია..." (ყაუხჩიშვილი, 1965: 45).

ლი, რომ დიუნურ სადგომებზე მუშაკთა ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კულტმსახურებას და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს.

ფიჭვნარის დიუნური სადგომის გათხრების დროს აღმოჩნდა თიხის რქისებრი სადგრებისაგან შედგენილი ნაგებობა, რომელიც ძეგლის მკვლევარმა ალ. რამიშილიმა "სამსხვერპლოს" სახელით მოიხსენია (რამიშილი, 1964:17, სურ.2,3). კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ უფრო ადრე, ურეკის ქვიშაზვინულზე, მსგავსი ტიპის ნაგებობა ნ.ხოტარიამ გათხარა,<sup>17</sup> მაგრამ ნაგებობის საგრძნობი დაზიანების გამო, თავი შეიკავა მისი დანიშნულების განსაზღვრისაგან (Хоштариа, 1955: рил.4). ციხისძირისა და ბობოყვათის დიუნური სადგომის გათხრებმა, საგრძნობლად შეავსო ჩვენი ცოდნა როგორც სამსხვერპლოების კონსტრუქციის, ასევე ამ ტიპის ნაგებობების აგების ძირითადი პრინციპების შესახებ.

ბობოყვათის დიუნაზე სამსხვერპლოები მიკვლეულია სადგომის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში<sup>18</sup>. ისინი გვერდიგვერდ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დამხრობითაა განლაგებული. ბობოყვათის სამსხვერპლოები დამოუკიდებელ კომპლექსებს წარმოადგენენ და სხვა დიდ ნაგებობას არ ეკუთვნიან (ტაბულა 12).

სამხრეთით მდებარე სამსხვერპლო (ზომები:2.40X1.20X 0.35მ) ნაგებია ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული მასიური რქისებრ-შვერილიანი და წანვეტებულძირიანი სადგრებისაგან. ზოგ ადგილას კედლის ამოსაყვანად ბაზალტის და რიყის ქვებია გამოყენებული, რომლებიც ზომით და ფორმით სადგრებისაგან არ განირჩევიან, რაც მათი სპეციალური დამუშავებით უნდა აიხსნას. როგორც სადგრებს, ასევე რიყისა და ბაზალტის ქვებს, სამსხვერპლოს შიგნით ქვიშასაც, ეტყობა სუსტი, მაგრამ ხანგრძლივი ცეცხლის ზემოქმედების კვალი. სამხრეთის სამსხვერპლო შუაში გადატხრულია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ერთ რიგში ვერტიკალურად ჩალაგებული 6 სადგრით. ერთი მათგანი მთლიანი სახითაა შემორჩენილი, დანარჩენს კი რქისებრი დაბოლოებანი მო-

<sup>17</sup> ამ ექვსის საფუძველს გვაძლევს ნახატი, რომელიც ნ. ხოტარიას ნაშრომშია ჩართული (Хоштариа, 1955:35, რილ.4).

<sup>18</sup> SW სექტორის მე-16, 17, 21, 22-ე კვადრატები.

მტკვრული აქვს. სადგართა ამ რიგის სამხრეთით, მათ პარალელურად, ოთხ ფენად, ერთმანეთზე დანყობილია აბაზანისმაგვარი ქურჭლების საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტები, თან ისე, რომ ამ უკანასკნელთა მოსწორებული პირის მხარე სამსხვერპლოს შიგნითაა მოქცეული. ვერტიკალურ ქრილში "აბაზანისმაგვარი" ქურჭლების ნატეხებისაგან შედგენილი ნყოფა თხელი ფილებით ნაგები კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს<sup>19</sup> (ტაბულა 13).

ჩრდილოეთით მდებარე სამსხვერპლო (ზომები: 2.50X1.30X 0.25მ) საგრძნობლად დაზიანებულია (თითქმის მთლიანად მოშლილია დასავლეთისა და სამხრეთის კედელი). შეიძლება დავუშვათ, რომ ისიც, ზემოთ აღწერილი სამსხვერპლოს მსგავსად, ოვალური ფორმის უნდა ყოფილიყო. სამსხვერპლოს ჩრდილოეთ კუთხეში შემორჩენილია თიხის მასიური სადგრებისაგან შედგენილი კედელი. სადგრებს ზემოდან, რამდენიმე ფენად, აქვთ "აბაზანისმაგვარი" ქურჭლების სხვადასხვა ზომის ფრაგმენტები. ჩრდილოეთით მდებარე სამსხვერპლოს სადგრებს და ქვიშას, ისევე, როგორც სამხრეთისას, ემჩნევა სუსტი, მაგრამ ხანგრძლივი ცეცხლის მოქმედების კვალი.

ჩვენი აზრით, სამსხვერპლოების აგების პრინციპი შემდეგში მდგომარეობდა: თავდაპირველად, გარკვეულ სიღრმეზე ითხრებოდა ორმო, რომლის კედლების გასწვრივ, ვერტიკალურად აწყობდნენ თიხის რქისებრშვერილიან სადგრებს (ზოგ შემთხვევაში რიყისა და ბაზალტის დამუშავებული ქვებს). ისინი ნანვეტებული ძირით მაგრდებოდნენ ქვიშაში, ხოლო ბრტყელი კორპუსით ედგმებოდნენ ორმოს კედლებს. არ გამოვრიცხავთ, რომ მშენებელთა მეცადინეობით, სამსხვერპლოს ორმო (ოვალური ფორმით) აბაზანისმაგვარ ქურჭელს (ზედხედი) ემსგავსებოდა. ჩვენთვის გაურკვეველი, მაგ-

<sup>19</sup> ა. რამიშვილის დაკვირვებით, ფიჭვნარის დიუნის სამსხვერპლოებთან შედარებით მოზრდილი აბაზანისმაგვარი ქურჭლების ფრაგმენტები იყო დაფიქსირებული, რაც მკვლევარს აფიქრებინებს, რომ მოზრდილი აბაზანები ერთგვარ გამონაკლის ნარმოადგენდნენ და მათ განსხვავებული დანიშნულება ჰქონდათ. თუ გავითვალისწინებთ დიუნური სადგომების ხასიათის დადგენისათვის აბაზანისმაგვარ ქურჭლების ყველა დეტალის მნიშვნელობას, ა.რამიშვილის კონკრეტული მოსაზრება ნაკლებად არგუმენტირებულად გვეჩვენება.

რამ გარკვეული დატვირთვა უნდა ჰქონოდა რქისებრი სადგრებით სამსხვერპლოს შიდა სივრცის შუაში გადატიხვრასაც. ამით უნდა დასრულებულიყო სამსხვერპლოს ძირითადი კონსტრუქციის გამართვის პროცესი. ორმოებში ცეცხლის დანთების შემდეგ, რიტუალური მსვლელობის დროს, სადგომებზე მოპოვებულ პროდუქტს აბაზანებით სიმბოლურად მიიტანდნენ სამსხვერპლოსთან და შიგ ჩაყრიდნენ (ძღვენი, შესანირავი), შემდეგ, რიტუალის დროს გამოყენებულ აბაზანებს, სამსხვერპლოს გვერდით გატეხდნენ და ნატეხებს სადგრებითა და ქვებით ამოყვანილ კედლებზე დაალაგებდნენ. სადგრებზე დალაგებული აბაზანები, ფაქტობრივად, უკვე სამსხვერპლოს მიწისზედა ნაწილს წარმოადგენდა. მიწისზედა წყობა კი გარკვეულად ხელს უწყობდა ორმოში ცეცხლის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას და იმავდროულად, ხელს უშლიდა ქარის მოქმედებით სამსხვერპლოს გარემომცველი ქვიშის ორმოებში მოხვედრას.

თუ რატომ იყო სამსხვერპლოები ჩაყრილი ქვიშაში, შემოთ მოგახსენეთ. პრაგმატული თვალსაზრისით (ცეცხლის შენარჩუნება, ქვიშებისათვის ბარიერის შექმნა) ასეთი ახსნა არ უნდა იყოს მიუღებელი. მაგრამ, ხომ არ იყო სამსხვერპლოების აგების პრინციპი სხვა პირობითობითაც განსაზღვრული? ან კიდევ, რას უნდა ნიშნავდეს სამსხვერპლოს კედელში თიხის სადგრების ჩანაცვლება სადგრებისავე ფორმის ბაზალტის ქვებით? სადგომის მასალის შეჯერების საფუძველზე, გაგვიჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა, სამსხვერპლოს (როგორც რიტუალის ცენტრალური ადგილის) კონსტრუქციული გადაწყვეტა, კერის, როგორც ტრადიციულად წმინდა ადგილის, იმიტაციის სურვილით იყო განპირობებული.

ფიჭვნარის სადგომზე აღმოჩენილი სამსხვერპლოები, ძირითადად, ვერტიკალურად ჩალაგებული სადგრებისაგანაა შედგენილი. ბობოყვათის სამსხვერპლოებისაგან განსხვავებით, ფიჭვნარის სამსხვერპლოები არა ოვალური, არამედ მართკუთხა ფორმისაა (Рамнишвили<sup>1</sup>, 1975:138, рис.2). თუმცა, გამოჩაკლისიც გვხვდება. ფიჭვნარში ერთ-ერთი სამსხვერპლოს მოსაწყობად, ვერტიკალურად ჩამაგრებულ სადგრების გვერდით, ჰორიზონტალურად დალაგებული სადგრებია გამოყენებული (Рамнишвили, 1975:138). ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ჩალაგებული სადგრებით შედგენილი

სამსხვერპლო აღმოჩნდა ციხისძირის დიუნურ სადგომზეც, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1985 წელს იყო შესწავლილი (ტაბულა 14).

სამსხვერპლო აღმოჩნდა ციხისძირის ანტიკური სამაროვნის ტერიტორიაზე, ზედაპირიდან 1.5 მ სიღრმეზე. დიუნური კერამიკა დაფიქსირდა 35-40 სმ სიმაღლის ლორღიან (დამწვარ-დანახშირებული კონგლომერატებით) ფენაში. ეს ფენა, ალაგ-ალაგ, დარღვეული იყო ინჰუმაციური სამარხების ჩაჭრის შედეგად. სამუხაროდ, ციხისძირის დიუნური სადგომზე ჩვენ მხოლოდ სამსხვერპლოს გათხრა მოვახერხეთ.<sup>20</sup>

ციხისძირის სამსხვერპლო ოვალური ფორმისაა, დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ზომები: SN-2.5მ W-1მ). სამსხვერპლოს სამხრეთი მონაკვეთი შედგენილია ნახევარწრედ ვერტიკალურად ჩალაგებული 13 სადგრით, ხოლო შუა ნაწილი და ჩრდილოეთის მონაკვეთი, ასევე ვერტიკალურად ჩალაგებული 13 სადგრით. სადგრების ძირი წანვეტებულია, რაც განპირობებულია ქვიშაში მათი დამაგრების მოხერხებულობით, ხოლო ზედა, სავარაუდოდ, რქისებრშვერილიანი ნაწილი მომტკრეული აქვთ, რის შედეგად, სამსხვერპლოს კედელი ერთი სიმაღლის ვერტიკალურად ჩალაგებული თიხის აგურებით ნაგები კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამსხვერპლოს შიგნით ქვიშა წითლად არის შეფერილი, რაც სუსტი ცეცხლის კვალს ნარმოადგენს. სამსხვერპლო აღმოსავლეთით შემოსაზღვრულია ჰორიზონტალურად ჩალაგებული სადგრების ერთი რიგით. სამხრეთ კიდეგანაც შემორჩენილია ჰორიზონტალურად ჩალაგებული რამდენიმე სადგარი. ასეთი კომბინირებული კონსტრუქციის სამსხვერპლო სხვა სადგომებზე არ ყოფილა მიკვლეული.

ციხისძირის სამსხვერპლოს მიმდებარე ტერიტორიაზე დადასტურდა დიუნური სადგომებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაყარი, რომელშიც სჭარბობდა მასიური მართკუთხა ფორმის რქისებრშვერილიანი სადგრების ფრგმენტები და "აბაზანისმაგვარი" ჭურჭლების სხვადასხვა ზომის ნატყეხები. მცირე რაოდენობით

<sup>20</sup> NO სექტორის II 25 და II 26 კვადრატების საზღვარი

ნარმოდგენილი იყო ადრერკინის ხანის საყოფაცხოვრებო კერამიკა და ორმხრივამოლარული ქვის საძირავები. სამსხვერპლოსთან მივაკვლიეთ საინტერესო ნიმუშს თიხის ფილისა, რომელსაც, ერთ-ერთ ზედაპირზე, თავმომრგვალებული პატარა სახელური ჰქონდა მიძერნილი (ტაბულა 20).

ციხისძირის სამსხვერპლოსთან აღმოჩნდა დიუნური სადგომებისათვის უჩვეულო ფორმის ჩამსხვერეული ჭურჭელი. რესტავრაციის პროცესში გაირკვა, რომ ჭურჭელს აკლდა რამდენიმე ფრაგმენტი. ჭურჭელი შემკულია ცხოველების რელიეფური გამოსახულებით. უფრო ვრცლად, ციხისძირის ჭურჭლის თაობაზე, ადრერკინის ხანის ზღვისპირეთის მოსახლეობის უძველესი რწმენა-ნარმოდგენების მიმოხილვის დროს გვექნება საუბარი.

### **ბობოყვათის დიუნური სადგომის არქეოლოგიური მასალა**

საქართველოს ზღვისპირა სადგომების არქეოლოგიური მასალა გარკვეული ერთგვაროვნებით ხასიათდება, რაც მნიშვნელოვანწილად ხაზს უსვამს სადგომების სპეციფიკურ ხასიათს.

ბობოყვათის, ისევე, როგორც სხვა დიუნური სადგომის, მასალაში მნიშვნელოვანი წილი მოდის კერამიკულ ნაწარმზე. შედარებით ნაკლებია ქვის ინვენტარი, მხოლოდ ორიოდ ნიმუში გვაქვს ბრინჯაოს ნაკეთობისა.

კერამიკულ მასალაში წარმოდგენილია:

1. უხეშად ნაძერნი და ზერელედ გამომწვარი ე.წ. "აბაზანები"
2. თიხის რქისებრშვერილიანი სადგრები;
3. თიხის კუთხეებმომრგვალებული ფილები;
4. საყოფაცხოვრებო ჭურჭლები

### **აბაზანისმაგვარი ჭურჭლები**

ზოგადად, დიუნურ სადგომების კერამიკულ მასალაში, ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ცუდად გარჩეული, სილა და ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული და ზერელედ გამომწვარი ჭურჭლები ე.წ. "აბაზანები", რომელთა ნაწილს, მხოლოდ გარე ზედაპირზე, ქსოვილის ანაბეჭდის კვალი აქვს შემორჩენილი (ტაბულა 17). სხვების ზედაპირი კი სადაა და სავარაუდოდ, ხელი-

თაა მოსწორებული. ბობოყვათის დიუნაზე ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა არ დასტურდება. აქ, ძირითადად, სადაზედაპირიანი აბაზანებია (უფრო სწორად, მათი ფრაგმენტები) წარმოდგენილი.

როგორც მოგახსენეთ, აბაზანების ერთი ნაწილის ზედაპირი სადაა, სხვებზე კი ქსოვილის ანაბეჭდებია შემორჩენილი.<sup>21</sup> აღნიშნული ჭურჭლების ცალკეული დეტალის (პირის, გვერდის, ტანის, ოვალური ძირის) მიხედვით, ვიქმნით ზოგად წარმოდგენას მათ ფორმაზე. მოყვანილობით, ისინი წაგრძელებული კორპუსის აბაზანებს ჩამოგვგვანან. ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლები შედარებით უფრო უკეთესადაა გამოძერწილი და გამოძნეარიც. მათი გაფორმებაც უფრო დახვეწილია, განსაკუთრებით პირის კუთხეები, რომლებიც, თითქოს რალაცის გადმოსალერელად არის გამოძერწილი. ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების პირის ქობა კარნიზისებურად პროფილირებულია, ვერტიკალურ ჭრილში კი სამკუდბედის ფორმისაა (ტაბულა 16). სადაზედაპირიანების პირი, უმეტეს შემთხვევაში, აგრძელებს კედლის ვერტიკალურ ხაზს, მხოლოდ იშვიათ ნიმუშზეა გამოყოფილი მოსწორების დროს დარჩენილი ღარი. ქსოვილისანაბეჭდიან ნიმუშებს ძირი შუაგულისკენ შევიწროებული აქვთ (ყოველ შემთხვევაში, ასე აღწერენ მათ ლ. სოლოვიოვი და ბ. კუფტინი) (ტაბულა 16), სადაზედაპირიანების ძირი კი ჩვეულებრივი ოვალის ფორმითაა გამოყვანილი.

ჯერჯერობით, ვერც ერთ დიუნურ სადგომზე ვერ მოხერხდა ამ ტიპის ჭურჭლის მთლიანი ნიმუშის აღება, რაც სწორედ მათი გამონვის დაბალი ხარისხით აიხსნება. ჭურჭლების მონითალო ფერი განპირობებული უნდა იყოს თიხებში რკინის დიდი შემცველობით. ჩვენ დღესაც გვიჭირს ჭურჭლების ზომებზე გადაჭრით საუბარი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ დიუნურ სადგომზე აღნიშნული ჭურჭლების მთლიანი ნიმუში არ იყო ნანახი, სადგომების მკვლევარნი, მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით, მაინც გამოთქვამდნენ ვარაუდს მათი შესაძლო ზომების შესახებ: ნ. ხოშტარია აღნ-

<sup>21</sup> სწორედ ამ ნიშნის მიხედვით, ეს ჭურჭლები სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება „ქსოვილისანაბეჭდიანი“ კერამიკის სახელით (რუსულენოვან ლიტერატურაში როგორც «текстильная керамика», «сосуды с отпечатками ткани») (ტაბულა 17).

იშნავდა, რომ ურეკში აღმოჩენილი მსგავსი ტიპის ჭურჭლების სიგანე 15,5 სმ, ხოლო სიგრძე 27-30სმ უნდა ყოფილიყო (Хоштариа, 1955:31). ლ. სოლოვიოვის აზრით, ამ ჭურჭლების სიღრმე 15სმ-ს უნდა შეადგენდეს, სიგრძე კი 25-40სმ-ს (Соловьѳв, 1950:279). ა. რამიშვილი თვლიდა, რომ ჭურჭლების სიგრძე, სავარაუდოდ, 50სმ, სიღრმე 10 სმ, სიგანე კი 15 სმ უნდა ყოფილიყო. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ფიჭვნარის დიუნაზე უფრო დიდ ნიმუშებსაც მიაკვლიეს, რომელთა ზომები (ასევე სავარაუდოდ): სიგრძე 100სმ., სიღრმე 50 სმ, სიგანე 50 სმ უნდა ყოფილიყო (Рамишвили, 1971:22). დღესდღეობით, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭურჭლების სისქე (ყოველ შემთხვევაში, პირის ნაწილში) 1,5-2 სმ-ს ფარგლებში მერყეობს.

ბობოყვათის დიუნაზე მსგავსი კეცის დიდი ზომის ყურსაც მივაკვლიეთ. მსგავსი ყური ა. რამიშვილსაც პქონდა ფიჭვნარის დიუნაზე დაფიქსირებული. მისი აზრით, ეს ყურები, შესაძლოა, აბაზანებს ეკუთვნოდათ (Рамишвили<sup>1</sup>, 1971:142).<sup>22</sup> თუმცა, ა. რამიშვილისავე ცნობით, ფიჭვნარისა და ურეკის სადგომების გათხრების დროს აღმოჩენილი აბაზანების მინიატურული მოდელები ყურების გარეშე იყო გამოძერწილი (Рамишвили<sup>1</sup>, 1975).

კვლევის ადრეულ ეტაპზე, როდესაც დიუნურ სადგომებზე გათხრები ჯერ კიდევ დაზვერვითი ხასიათის ატარებდა, ქსოვილის-ანაბეჭდიანი თუ სადაზუდაპირიანი უხეში კერამიკის<sup>23</sup> ფორმას და

<sup>22</sup> ვერ გავიზიარებთ ა. რამიშვილის მოსაზრებას, რომ ზემოთ აღნიშნულ ყურებს აბაზანისმაგვარ ჭურჭლებს გაძერწვის შემდეგ გადმოსაბრუნებლად და დანიშნულების ადგილამდე მისატანად უკეთდებდნენ. ჯერ ერთი, აბაზანისმაგვარი ჭურჭლების არც ერთ ნატეხზე არ დადასტურდა ყურის მიერთების კვალი, რაც ჩვეულებრივად რჩება ნებისმიერი სახის ყურიან ჭურჭელზე. ამავე დროს, თუ ასეთი ნესით ძერწავდნენ აბაზანებს, მაშინ სად არის აღნიშნული ყურების დანარჩენი ნუშუშები: ამგვარი ყურის სულ 4-5 ფრაგმენტი გვაქვს, ხოლო აბაზანების ათასობით ნატეხია მიკვლევული. ასევე, ეჭვი გვეპარება, რომ ყურების დაძერწვა ჭურჭელთა გადმობრუნებისათვის ყოფილიყო აუცილებელი. რაც შეეხება მათი საშუალებით ჭურჭლების ტრანსპორტირების შესაძლებლობას, აქ, მხოლოდ ცარიელი ჭურჭლების ტრანსპორტირება შეიძლება ვიგულისხმოთ.

<sup>23</sup> რომელსაც, პრაქტიკულად, მხოლოდ ფრაგმენტების სახით ხვდებოდნენ.

– აქედან გამომდინარე, დანიშნულებასაც, არაერთგვაროვნად გაი-  
აზრებდნენ ხოლმე.<sup>24</sup> მაგალითად, ნ. ხომტარიამ (Хомтариа, 1955:37-  
38) და ო. ჯაფარიძემ (ჯაფარიძე, 1950:118) ისინი ლარიანი კრამიტ-  
ის ნატეხებად მიიჩნიეს. კრამიტებად მოიხსენიებდნენ მათ თავიანთ  
მოგვიანო ნაშრომებში ა. აფაქიძე (აფაქიძე, 1963: 75; 1968:31) და მ.  
ინაძე (Инаძე, 1968: 31). რაც შეეხება ლ. სოლოვიოვის, მ. თრაფშისა  
და ბ. კუფტინის ნაშრომებს, რომლებიც დიუნურ სადგომებს ეხება,  
იქ, ძირითადად, ქსოვილისანაბეჭდიან აბაზანებზეა საუბარი. პირ-  
ველად სადაზედაპირიანი აბაზანები დეტალურად ა. რამიშვილმა  
განიხილა (რამიშვილი<sup>1</sup>, 1964).

როგორც აღვნიშნეთ, დიუნური სადგომების მკვლევრები  
თანმხედებიან, რომ აბაზანების გამოძერწვა და გამოწვა ქვიშაზინ-  
ულებზე ხდებოდა, რისი დასტურია გამოძერწვისა და გამოწვის  
ზერელე ხასიათი და ამავე დროს, დიუნურ სადგომებზე გამოსაძე-  
რნი თიხის საშუალო ზომის გუნდების მიკვლევის ფაქტი.<sup>25</sup>

უკლებლივ ყველა დიუნურ სადგომზე, კერძოდ, ნითლად შე-  
ფერილი მოედნების მიმდებარე ტერიტორიაზე, დასტურდება საშ-  
უალო ზომის (0,30-0,40მ<sup>2</sup>) თიხის გუნდები, რომლებიც, ზღვისპირა  
ზოლის მიმდებარე ტერიტორიიდან, შესაძლოა, სწორედ „აბაზანებ-  
ის“ გამოსაძერწად იყო მოტანილი. სადგომების მკვლევრები ხაზს  
უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ, როგორც აბაზანების, ასევე სადგ-  
რების თიხა, გაჯერებულია საშუალო თუ მცირე ზომის ქვიშების  
მინარევებით. შესაძლოა, ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ სა-  
ქართველოს ზღვისპირეთში ძირითადად პლასტიკური თიხებია გა-  
ვრცელებული (ნიჟარაძე, 1967:88). ზოგადად, ჰაერზე გაშრობის და  
გამოწვის დროს თიხებს აქვთ შეკუმშვის უნარი და სხვადასხვა თი-  
ხებში ეს უნარი სხვადასხვანაირია. პლასტიკურ თიხებში ის მეტად

<sup>24</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ქურჭლები იმდენად ზე-  
რელედაა დამზადებული (ამიტომაც მოიხსენიებენ მათ „უხეში“ კერამიკ-  
ის სახელით), რომ ცალკეული დეტალის შესახებ ნამდვილად ჭირს კატე-  
გორიულად საუბარი.

<sup>25</sup> ნ. ხომტარიას აზრით, დიუნურ სადგომებზე მოსულები, სავარაუდოდ,  
იმავე თიხას მოიხმარდნენ, რასაც დღეს იყენებენ ადგილობრივები სამ-  
შენებლო აგურების დასამზადებლად (Хомтариа, 1955:31).

არის გამოხატული. ამასთან, ძლიერ შეკუმშვას ან შეშრობას შეიძლება თან მოჰყვეს გაბზარვა, ამიტომაც, ასეთი თიხები სუფთა სახით წარმოებაში გამოუსადეგარია და მათ "განზავებას", ან "გამჭლეებას" ახდენენ, ე.ი. უმატებენ ისეთ მინარევებს, რომლებიც გამონვისას შეკუმშვას არ განიცდიან (მაგ. ქვიშებს) (მორჩაძე, 1979 : 7; Зхуц.Самсонов.1968: 45). როგორც ჩანს, ზღვისპირა სადგომების მკვიდრთ გააჩნდათ ეს გამოცდილება და ამ ცოდნას წარმატებით იყენებდნენ: თიხის მოზელვის დროს, მის გასამჭლეებლად ქვიშაზვინულებზე არსებულ მასალას იყენებდნენ.

ბ. კუფტინის აზრით, აბაზანისმაგვარი ჭურჭლები ხის ფორმებში მზადდებოდა (Куптин, 1950:290).<sup>26</sup> ლ.სოლოვიოვი თვლიდა, რომ, რადგან ეს ჭურჭლები ოთხკუთხა „სტანდარტული“ ფორმის იყო, შესაძლოა, ისინი ხეში ამოკვეთილ, ან ქვიშაში ამოღებულ ფორმაში მზადდებოდა. თუმცა, ლ. სოლოვიოვი იმასაც არ გამოირიცხავს, რომ ამ ჭურჭლების დამზადება ჭურჭლისავე ფორმის კერამიკულ ყალიბებშიც ყოფილიყო შესაძლებელი (Соловьев, 1947). ა. რამიშვილი თვლიდა, რომ გამოძერწვის დროს ჭურჭლის ფორმის მისაცემად თვით ქვიშის პატარა ზვინულიც იქნებოდა საკმარისი (Рамшвили<sup>1</sup>, 1975:142). ვ. სადრაძე და ჯ. ამირანაშვილი არ იზიარებენ ბ. კუფტინისა და ა. რამიშვილის ვარაუდს აბაზანების ფორმებში დამზადების თაობაზე და თვლიან, რომ რადგან აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ნატეხებს ეტყობათ ორივე მხრიდან მოგლუვების კვალი, ისინი არა ქვიშის ყალიბში, არამედ ხელით უნდა ყოფილიყვნენ დამზადებულნი (სადრაძე, ამირანაშვილი, 2005:27-28). დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, თუ რას გულისხმობენ მკვლევრები ჭურჭლების ორივე მხრიდან მოგლუვებაში, მაგრამ ფაქტია, რომ ქსოვილისანაბეჭდიან აბაზანებს მხოლოდ გარე ზედაპირზე აღენიშნებათ ქსოვილის ანაბეჭდები, რაც საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტად მიგვაჩ-

<sup>26</sup> ბ. კუფტინის აზრით, ამ ტიპის ჭურჭლების დასამზადებლად, მეთუნეები ვერ მყარ (ხის ფორმებში) აგებდნენ ქსოვილის ნაჭრებს, შემდეგ შემოალესაუდნენ თიხას სასურველი ფორმით და გამოშრობას შემდეგომ, ნაჭრითვე ამოიღებდნენ ფორმიდან. შედეგად, ჭურჭლის გარე ზედაპირზე რჩებოდა ქსოვილის წართვის ანაბეჭდი.

ნია მათი ყალიბში (თუნდაც ქვიშის) დამზადებისათვის.

ის ვითარება, რომ დიუნურ სადგომებზე სხვა ტიპის (სამეურნეო, სამხარეულო, სუფრის) მორგვზე დამზადებული კერამიკაცაა დაფიქსირებული, ადასტურებს, რომ აბაზანების შემთხვევაში მორგვის არგამოყენება იმით იყო განპირობებული, რომ მორგვი, კონკრეტულ მოცემულობას უბრალოდ ვერ აკმაყოფილებდა, რადგან ეს მოცემულობა სწორედ არაორდინარული, მაგრამ წარმოების სპეციფიკით წინასწარ გააზრებული პარამეტრების მქონე ჭურჭლების შექმნის სურვილით იყო განსაზღვრული.

საქართველოს ზღვისპირეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ასევე მოგვიანო პერიოდის ნამოსახლარებზე, არ დასტურდება ამ ტიპის ჭურჭელთა ანალოგიური, ან მსგავსი ნიმუშები, რაც იმაზე უნდა მიუნიშნებდეს, რომ მათი გამოყენება შეზღუდული იყო როგორც დროში, ასევე სივრცეში. დღეს უკვე სადავო არ არის, რომ ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე მიმდინარე სანარმოო პროცესში აბაზანისმაგვარ ჭურჭლებს ძირითადი ფუნქცია პქონდათ დაკისრებული.<sup>27</sup>

როგორც სადაზედაპირიანი აბაზანები, ასევე ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლები, ერთი ტიპის კერამიკას განეკუთვნებიან. მათი ფორმა თვალნათლივ მეტყველებს, რომ ისინი არ მზადდებოდნენ მყარ და სწორ გრუნტზე დასადგამად. ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლის პირის კუთხები სპეციალურად იყო გამოყვანილი. ჭურჭელთა ოვალური ძირი, კონკრეტულ სანარმოო პროცესში, ჭურჭლის ფსკერზე რალაცის დაგროვების, ან დალექვისათვის უნდა ყოფილიყო მოსახერხებელი.<sup>28</sup> ის ფაქტი, რომ ჭურჭელთა დასამზადებელ

<sup>27</sup> ერთი ვერსიით, მარილის გამოსახარშად (სოლოვიოვი, კუფტინი), მეორე ვერსიით მაგნეტიტური ქვიშების გასაუხვევლად (რამიშვილი). აბაზანების დანიშნულების თაობაზე ჩვენ აზრს ქვევით მოვახსენებთ.

<sup>28</sup> ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ოვალურიძირიანი ჭურჭელი გამოშრობის პროცესში ბრტყელძირიანთან შედარებით ნაკლებად იბზარება. ბრტყელძირიანი ჭურჭელი უფრო ადრე მრება, უფრო იკუმშება და ბზარებიც ადვილად უჩნდება (Семетов, Коробкова, 1983: 222).

მასალად თიხაა გამოყენებული, თვალნათლივ უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მომხმარებლისათვის (ალბათ, დამამზადებლისათვისაც) გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა როგორც სასურველ ფორმის მიცემის იოლი შესაძლებლობა, ასევე კონკრეტულ საწარმოო პროცესში ამ ჭურჭელთა გამძლეობა. თუ ცეცხლის მიმართ გამძლეობას ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ ქვიშაზვინულების მასალაში ვერ დავადასტურეთ აბაზანებზე ცეცხლის აქტიური ზემოქმედების ნიშნები, რადგან არც ერთ დიუნურ სადგომზე, ამ ტიპის ჭურჭლებზე არ ფიქსირდება მეორადი გამოწვის, ე.ი. მათი ცეცხლზე ინტენსიური გამოყენების კვალი.<sup>29</sup> თუ წყლის ზემოქმედების მიმართ გამძლეობაზე ვისაუბრებთ, მაშინ ამ იდეის ავტორებს, შესაძლოა, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დავეთანხმოთ, რადგან წყალთან მიმართებაში თიხის ნაკეთობა წაყენებულ მოთხოვნებს, რასაკვირველია, უფრო მეტად დააკმაყოფილებდა. ალბათ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ აღნიშნული ჭურჭლების ერთი დამახასიათებელი დეტალიც: ქსოვილისანაბეჭდიანი აბაზანების პირის კუთხეები სამკუთხა ღარის ფორმითაა გამოყვანილი, რაც, შესაძლოა, სითხის გადმოღერის მიზნით ყოფილიყო გაკეთებული.

ალბათ, ერთ კითხვასაც უნდა ვუპასუხოთ: რა ფაქტორებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ზერელედ გამოძერწვა და გამოწვა?

1. უპირველეს ყოვლისა, აბაზანისმაგვარი ჭურჭლების დიდი რაოდენობის საჭიროებით, რაც ქვიშაზვინულებზე მიმდინარე არა მცირე ფორმატის სამუშაოებზე, არამედ დინამიურ და მასშტაბურ საწარმოო პროცესზე უნდა მიუნიშნებდეს;

2. აბაზანების სპეციფიკური ფორმა არ გვაძლევს საფუძველს

<sup>29</sup> მ. თრაფში კი მოუთითებს, რომ "ქსოვილისანაბეჭდიან" ჭურჭლებს ზედაპირი ცეცხლის ზემოქმედების გამო გაშავებული პქონდათ, მაგრამ არ მიანიშნებს, თუ სად და რა პირობებში აღმოჩნდა ეს მასალა (Трапун, 1958). აქვე, ლ. სოლოვიოვის მარილის მოპოვების ვერსიის მეორე ვარიანტი უნდა გავიხსენოთ, რომლითაც მკვლევარი მარილწყლით შევსებულ ჭურჭლებში წყლის აორთქლების პროცესის დაჩქარებისათვის ცეცხლზე გავარჯერებული ზღვის კვსების გამოყენებას (ჭურჭლებში წაყრას) გულისხმობს. ვფიქრობთ, რომ ვერსიის ეს ვარიანტი ძალიან სუსტია და ამიტომ მასზე უფრო ვრცლად აღარ შევხერხდებით.

ამ ჭურჭლების უტილიტარული დანიშნულებით (საოჯახო, ან სხვა ტიპის სამეურნეო საქმიანობა) გამოყენების შესაძლებლობა ვივარაუდოთ, რაც უფრო მოტივირებულს გახდოდა დამამზადებლებს (მომხმარებლებსაც), რომ აბაზანების ხარისხობრივ პარამეტრებზეც ეზრუნათ.

3. დაბოლოს, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ აბაზანები, ქვიშაზვინულებზე მიმდინარე სანარმოო ციკლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ სამუშაო სეზონზე ყოფილიყო გათვლილი. ჩვენი დაკვირვებით, აბაზანისმაგვარი ჭურჭლები არატრანსპორტაბელური ჩანს, რაც მათი გამოყენების სტაციონარულ ხასიათს უსვამს ხაზს. საეჭვოა, რომ ასეთი ნესით დამზადებული ჭურჭლები, თუნდაც ერთი წლის შემდეგ, ღია ადგილას დატოვების შემთხვევაში, გამოსაყენებლად ვარგისი ყოფილიყო სანარმოო პროცესის ახალი ციკლისათვის.<sup>30</sup>

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ ამ წინაპირობების ერთობლიობა, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო სხვა, ნაკლებად არსებით მოთხოვნებზე (დახვენილი ფორმა, ლუმელში გამონვა). ეს ფაქტორები, ჩვენი აზრით, ალბათ განსაზღვრავდა კიდევ "აბაზანების" დამზადების ოპტიმალურ პარამეტრებს.

აბაზანისმაგვარი ჭურჭლების გამოწვევის თაობაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. ჭურჭლის დაბალი ხარისხი და კეცის ანალიზი, თვალნათლივ ადასტურებს, რომ ეს ჭურჭლები ღია ცეცხლზე იყო გამომწვარი. სიახლე გახლდათ ის, რომ ბობოყვათის დიუნური საადგომის გათხრების დროს, ჩვენ მივაკვლიეთ აბაზანისმაგვარი ჭურჭლების გამოსაწვავ ღია კერას, რომელიც ბაზალტის დიდი ზომის ფლეთილი ქვებისაგან იყო შედგენილი.

<sup>30</sup> ქვიშაზვინულებზე მიმდინარე სამუშაო სეზონი, მიუხედავად იმისა, თუ დიუნური სადგომების ფუნქციონალური რაობის რომელ ვერსიისკენ გადავიხრებით (მარილის მოპოვება თუ მაგნეტიტის მოპოვება-დამუშავება), წლის ცხელი თვეებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. უფრო ვრცლად ამის თაობაზე დიუნური სადგომების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ მიძღვნილ თავში ვისაუბრებთ.

### თიხის რქისებრშვერილიანი სადგრები<sup>31</sup>

დიუნური სადგომების არქეოლოგიურ მასალაში ასევე მნიშვნელოვანი წილი მოდის თიხის რქისებრშვერილიან სადგრებზე. ისინი ქვიშანარევი თიხისგანაა დამზადებული, მონითალო-მოყავისფრო შეფერილობით ხასიათდებიან და, მცირე გამონაკლისის გარდა, ზერელედ არიან გამომწვარი (ტაბულა 18).

საქართველოს ზღვისპირეთის დიუნურ სადგომებზე სადგართა ოთხი ტიპი გამოიყოფა:

1. მასიური სადგრები. მათი ტანი და შვერილები პორიზონტალურ ჭრილში მართკუთხედის ფორმისაა. სადგრებს ძირი ბრტყელი აქვთ, რქისებრი შვერილები კორპუსის ვერტიკალურ ხაზს მიყვება და ბოლოსკენ (თავისკენ) კორპუსთან ერთადაა გადაშლილი;

2. საშუალო ზომის მართკუთხაგანივკვეთიანი და ძირწანვეტილებული სადგრები. სადგრების რქისებრი შვერილები პრიმიტიულად, უსიმეტროდაა გამოყვანილი. წანვეტილებული ძირი ქვიშაში ჩასამაგრებლად არის გამიზნული. ძირითადად, ამ ტიპის სადგრებითაა ნაგები ბობოყვათის სამსხვერპლოს კედლები.

3. საშუალო ზომის კვადრატულგანივკვეთიანი სადგრები. I და II ტიპის სადგრებისაგან განსხვავებით, ისინი ხასიათდებიან გამოძერწვისა და გამოწვის უკეთესი ხარისხით. რქისებრი შვერილები ზოგჯერ კორპუსისაგან ოდნავ გადაშლილია, ზოგჯერაც ვერტიკალურადაა მიმართული და აგრძელებს კორპუსის ძირითად ხაზს. ამ ტიპის სადგრებს ახასიათებთ ბრტყელი, ზოგჯერ ოდნავ გაფართოებული ძირი. ბობოყვათის სადგომზე აღნიშნული ტიპის სადგრები გამოყენებულია მცირე საკურთხეველების მოსაწყობად.

4. წრიული და ოვალურგანივკვეთიანი სადგრები. ისინი ხასიათდება ბრტყელი, კორპუსისაგან გადაშლილი ძირით.

ბობოყვათის დიუნურ სადგომზე, ძირითადად, I-III ტიპის

<sup>31</sup> ადრეულ ნაშრომებში კერამიკულ ნაკეთობათა ეს ჯგუფი სხვადასხვა სახელითაა მოხსენიებული. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება «სადგამი», «სვეტი», რუსულ ნაშრომებში «шпик», «ко. вышки» (Соловьев, 1947), «столбик», «столбик» (Куфтин, 1950), «рожек» (Хонгария, 1955), «шпидрические столбик» (Важаня, 1982).

სადგრები დასტურდება. რაც შეეხება სადგართა IV ტიპს, ისინი, ძირითადად, ფიჭვნარისა და ურეკის დიუნურ სადგომებზეა მიკვლეული (Раминшвили<sup>1</sup>, 1975:144; Хоштариа, 1955:33; სადრაძე, ამირანაშვილი, 2005: 29; თავამაიშვილი, 1987).

ბობოყვათის დიუნაზე მოპოვებულია თიხის სადგართა რამდენიმე ნიმუში, რომლებიც ტალღისებური და წერტილოვანი ორნამენტით არის შემკული. ფრაგმენტის სახით მოღწეულ ერთი სადგრის გვერდზე კი ამოკანვრით შესრულებული ცხოველის გამოსახულებაა დატანილი (თავამაიშვილი, 1987:39-40; 1988: 52-45).

სადგართა სიმაღლე 15-20 სმ. (III ტიპი) და 25-30 სმ-ია (II ტიპი). დიდი ზომის სადგრები, რომელთა მთლიანი ნიმუში ბობოყვათში ვერ მოვიპოვეთ, ა. რამიშვილის აზრით, 50 სმ-ს უნდა აღემატებოდეს (რამიშვილი, 1964).

ფიჭვნარის სადგომის ადრეულ ფენებში მიკვლეული სადგრები, კერძოდ, მრგვალგანივკვეთიანი ნიმუშები, უფრო ადრეული ჩანს ბობოყვათისა და ციხისძირში აღმოჩენილ სადგრებზე. როგორც ვაკვირდებით, მრგვალგანივკვეთიანი სადგრები მოგვიანოდ ჩანაცვლა მართკუთხა და ოთხკუთხაგანივკვეთიანმა სადგრებმა, რომლებიც გამოყენებულია დიუნურ სადგომებზე "სამახვერპლოების" და მცირე ზომის საკურთხეველების მოსაწყობად.

თიხის უძველესი სადგრები საქართველოდან ენეოლითის ხანას განეკუთვნება (ფხაკაძე, 1963:100-102). სადგრები, ოღონდ განსხვავებული სტილიზაციით, ცნობილია ადრეებრინჯაოს ხანიდან. ეს სადგრები წარმოადგენენ აგურის ფორმის ბრტყელ საგნებს, რომელთა ერთი ბოლო მომრგვალებულია, ხოლო მოპირდაპირე მხარეს რქისებრი შეერილებია დაძერწილი (ხიზანანთ გორა, ზემო ავჭალა, ზღუდარის გვერდი, კულუხომი, ქულბაქი და სხვ) (კიკვიძე, 1972:52, ტაბ. I; ფხაკაძე, 2000; 1999). ცოტა განსხვავებული მოყვანილობის სადგრებია ნაპოვნი აზერბაიჯანში (ქიულ-თეფე, ბაბა დერვიში). სომხეთში (არიჭი, შრეშ-ბლური, არევიკი, კარმირ-ბლური, მოხრაბლური) აღმოჩენილი სადგრები ძირითადად ხარის ფიგურასადგრებს წარმოადგენს (Есаян, 1981:14; Хачатрян, 1979). ჩრდილოეთ კავკასიის ნიმუშები ოთხკუთხა ფორმისაა, მასიური, ცალ მხარეს შეერილებით და მეორე მხარეს მიძერწილი ყურით, ან ორივე

მხარეს შვერილებით და შუაში მიძერწილი ყურით (ნესტეროვის სამაროვანი, დოლინსკოე, ლუგავოე და სხვ) (Мунчаев, 1961; Крупнов, 1954:99; Крутлов, Подгаецкий, 1941). სადგრები გვხვდება ძველი სამყაროს სხვა რეგიონებში (კრეტა, ანატოლია, კილიკია, მერსინის ბორცვი, ბეისესულთანი, თუფე-ჰავრი, ნუზი, თულ-ბარაკი, ალიშარა, თარსი, თესულთანი, თესალია, დიარბექირი) (Mellaart, 1963; Gastang, 1953:90,106; Lloyd, Mellaart, 1955; Wall, Thompson, 1912; Kelly-Buccellati, 2004:67-68; Rise, 1998). ისინი დიდი რაოდენობითაა მიკვლეული საქართველოს ზღვისპირეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლარებსა და დიუნურ სადგომებზეც (Соловьев, 1950; Кухтин, 1950; Хоштария, 1955; Трапш, 1958; Бжания, 1966; Рамшвили, 1975; ინაიშვილი, 1977; Цвинария, 1978; Микеладзе, Хахутаншвили, 1985; ჩავლეიშვილი, 1987; თავაშიაშვილი, 1987. ჯიბლაძე, 2006).<sup>32</sup>

თიხის რქისებრშვერილიანი სადგრები მრავლადაა წარმოდგენილი ფიჭვნარის ნამოსახლარებზე („ნამქედური“, „ჩოლოქისპირა ნამოსახლარი“), რომლებიც ზღვისპირა ზოლში, მდინარეების – ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისის მიდამოებშია განლაგებული. ეს ნამოსახლარები სტერილური შრეებით გამოყოფილ მრავალფენიან გორა-სამოსახლოებს წარმოადგენენ. ზოგადად, მათი ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. XV-II საუკუნეებით განისაზღვრება. აღნიშნულ ძეგლებზე წვენთვის საინტერესო მასალა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენებშია მიკვლეული. კერძოდ, თიხის სადგრები ჩნდებიან ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ ფენებში, გვხვდებიან ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარშიც და ქრებიან ნინაანტიკურ ხანაში (VII-VI სს) (Микеладзе, Хахутаншвили, 1985:18).

ფიჭვნარის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სადგრები ქვიშანარევი თიხისაგანაა დამზადებული და ხელითაა ნაძერწი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც გამოძერწვის, ასევე გაფორმების თვალსაზრისით. ზოგადად, ნამოსახლარის სადგრებისათვის დამახასიათებელია წითელი ან რუხი შეფერილობა და არათანა-

<sup>32</sup> ლ. ჯიბლაძე კოლხეთის ზღვისპირა ზოლში (ბრინჯაო-ადრერკინის ხანა) სადგართა 15 გვერდს გამოყოფს.

ბრად გამომწვარი კეცი. სადგრების უმეტესობას (მცირე გამოწვარის გარდა) ერთი ბოლო ბრტელი აქვს (მრგვალი ან ოთხკუთხედი), მეორე კი წანვეტებული (გაფორმებული ერთი ან რამდენიმე კონუსისებრი შვერილით), რაც მათ ვერტიკალურ (შვერილებით ზევით) მდგომარეობაში გამოყენებაზე უნდა მოუნიშნებდეს.

სადგრების გამოძერწვის სტილი განსხვავებულია როგორც კორპუსის, ასევე ზედა და ქვედა ნაწილების გაფორმების თვალსაზრისით. ყველაზე ადრეული, ნამჭედურის VI ფენაში (ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარი) აღმოჩენილი სადგრები დაბალღეროიანია. ორქიმიან სადგართა დიდი ნაწილი მართკუთხა განივკვეთიანია, სიგანე 8-10 სმ-ია, სიმაღლე 6-8 სმ, სიფართო 2-3 სმ. მათი შვერილები 2-3 სმ სიმაღლისაა და კორპუსისაგან ოდნავ გარეთაა გადაშლილი. მრავალქიმიანი სადგრები მეტწილად მრგვალ და ოვალურ-განივკვეთიანია. შვერილების ჩათვლით, მათი სიმაღლე 12-14 სმ უდრის. ორქიმიანი სადგრების ზოგ ნიმუშზე, კორპუსზე ან შვერილებს შუაში, მცირე სიღრმის ფოსოებია დატანილი.

ნამჭედურის V ფენასა (ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარი) და ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე აღმოჩენილი სადგრების გარკვეული ნაწილი დაბალღეროიანია, უფრო სქარბობს წაგრძელებული ფორმის სადგრები (ჩავლეიშვილი, 1988: ტაბ. XIV; მიკელაძე, ზაფარაშვილი, 1985: ტაბ. 80). სადგრები ჭრილში მრგვალი, ოვალური და ოთხკუთხა განივკვეთისაა. ზედა ნაწილის გაფორმების მიხედვით, გამოიყოფა ერთი, ორი და სამქიმიანი (ჩავლეიშვილი, 1988: ტაბ. XV, 3, 5, 6; XIV, -2, 4, 5, 7, XV-1, 2, 3, 5, 6; XIV-1, XV-4) სადგრები, ხოლო ქვედა ნაწილის გაფორმებით – სწორი, გაფართოვებული და მრგვალძირიანი ნიმუშები. ამ უკანასკნელთ აქვთ როგორც ბრტყელი, ასევე გულამოღებული ძირი. ნამყვანია ორქიმიანი სადგრები. ამ ტიპის სადგრები ზოგჯერ გაფორმებულია ერთი ან რამდენიმე ჭდეული წერტილით (ჩავლეიშვილი, 1988: ტაბ. XV-1). "ნამჭედურის" ერთ-ერთ ორშვერილიან სადგარზე ხარის რქების სქემატური გამოსახულება ამოკანრული. იგივე სადგრის ერთი გვერდი გაფორმებულია ოთხი, ხოლო მეორე – სამი წერტილით.<sup>33</sup> სადგართა უმეტესობას

<sup>33</sup> ამგვარი გაფორმება დამახასიათებელია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის როგორც კოლხეთის, ასევე სხვა რეგიონის კერამიკული ნიმუშებისა-

ატყვია ცეცხლის ზემოქმედების კვალი. სადგართა სიმაღლე 6-8 სმ. ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება ცალქიმიან სადგრებს, მათი ქიმების გაფორმებაც განსხვავდება ერთიმეორისაგან. ცალქიმიანი სადგრების ზოგი ნიმუშის ქიმი გაბრტყელებულია, ზოგსაც კორპუსზე გამჭოლი ნახვრეტი აქვს, ან ყური აქვს მიძერნილი.<sup>34</sup>

თიხის რქისებრი სადგრები მრავლად აღმოჩნდა ფიჭვნარში, გვიანბრინჯაოს ხანის საკულტო ცერემონიალისათვის მოწყობილი

თვის. არიქში აღმოჩენილ სადგარზე დატანილ ნერტილებში ხნულში ჩაყარილი თესლის გამოხატულებას ხედავენ (Хачатрян, 1979:78). ეგვიპტურ და კრეტულ ზოგ სკულპტურაზე ნერტილები "სიცოცხლის თესლის" სიმბოლოურ გამოსახულებად მიჩნეული (Кушнарёва, 1977:52). ბ. კუფტინის მოსაზრებით, ხარის რქისებრ სადგრებზე დატანილ ფოსოებში იდგმებოდა ხის ტოტი, რომელიც წმინდა ხის იმიტაციას წარმოადგენდა (Куптин, 1947: 71).

<sup>34</sup> ზოგი მკვლევარი ამ ტიპის სადგრებს იტიფალურ საგნებად – ფალოსებად განიხილავს (ჩაველიძე, 1987:31). ფალოსის კულტი უნივერსალური რელიგიური ინსტიტუტია, რომელიც განსაკუთრებით კონცენტრირებული იყო ღვთაებების გარშემო (რუხაძე, 1966:17). ფალოსის კულტში სიმბოლოურად განსახიერებულია განაყოფიერების იდეა, ბუნების, ცხოველებისა და ადამიანების გამრავლება, მინის სიუხვე (კახიძე, მაძულაძე, 1993: 49). ბევრ ქართულ ხალხურ დღესასწაულში ("მურყვანობა", "ბერიკაობა", "დეგვიბ", "აგბა ლაგრაღ" და "ადრეკილაი") ფალოსი რიტუალის მთავარი კომპონენტია (კიკვიძე, 1976:173; მაკალათია, 1926:129-135; ონიანი, 1966:64-66). რიტუალის დროს მამაკაცებს ფალოსების ძელისგან ან ხისგან დამზადებული მოდელები ბანრით ნელზე ჰქონდათ შემორტყმული, რაც სჭირდებოდათ სექსუალური აქტის იმიტაციისათვის (ნულაძე, 1971: 98). ი. ჩაველიძის აზრით, ადრეულ პერიოდში, სადგრებზე გაკეთებული ნახვრეტები ან მიძერნილი ყურები, რიტუალის დროს მათ ნელზე ჩამოსაკიდებლად იყო გამოიზნული (ჩაველიძე, 1987:31). დიამანტი და რუტერი, ორქიმიან მრგვალ და ოთხკუთხაძირიან სადგრებზე ყურებისა და ნახვრეტების გაკეთებას, გადატანის მოსახერხებლობით ხსნიან (Diamant, Rutter, 1969:167). ამ მოსაზრებას იზიარებს გ. ფხაკაძე (ფხაკაძე, 2004:18). ქართული ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება ფალოსის მოდელების ოჯახებში შენახვის ტრადიცია (სვანეთში "აგბა ლაგრაღის" დღესასწაულზე გამოსაყენებელი ხის ფალოსი ინახებოდა ოჯახში (Чирозани, 1989 189), რითაც მკვლევარ აიხსნას ის ფაქტი, რომ თიხის ფალოსები გვხვდება არა მარტო საკულტო ადგილების, არამედ საცხოვრებელი ნაგებობების გათხრების დროსაც.

მოშავო-მონითალო შეფერილობის მოედანზე, რომელიც ელინისტურ ხანაში სამარხების ჩაჭრისას ჩანს ნანილობრივ დაზიანებული. ფიჭვნარის საკულტო ძეგლი ნამჭედურის V ფენის თანადროულია და ძ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით არის დათარიღებული (ინაიშვილი, 1977:62).

ფიჭვნარის საკულტო მოედნის მასალაში თიხის სადგრები წარმოდგენილია ცალქიმიანი, ორქიმიანი და მრავალქიმიანი (სამქიმიანი, ოთქიმიანი და ა.შ.) ნიმუშებით.

ცალქიმიანი სადგრები სამი სახისაა:

ა) სადგრები, რომელთაც აქვთ შვერილიანი დაბოლოებისაკენ ოდნავ შევიწროებული ტანი. მათთვის დამახასიათებელია ბრტყელი, კორპუსის ძირითადი ხაზისაგან გადაშლილი ძირი (ინაიშვილი, 1977: 63, ტაბ. XXVI);

ბ) სადგრები, რომელთაც კორპუსის შუაში გამჭოლი ნახვრეტი გააჩნიათ (ინაიშვილი, 1977:63, ტაბ. XXVII.8);

გ) სადგრები, რომელთაც კორპუსის ზედა ნაწილში მიძერნილი აქვთ მინიატურული ყური (ინაიშვილი, 1977:63, ტაბ. XXVII).

ორქიმიანი სადგრების (სიმაღლე 10-12 სმ) ცალკეულ ნიმუშებს რქების გასაყართან ერთი ან რამდენიმე ფოსო აქვთ დატანილი,<sup>35</sup> ზოგ ნიმუშს კი აქვს გამჭოლი ნახვრეტი.

მრავალქიმიანი სადგრები დანარჩენი სადგრებისაგან ძირითადად განსხვავდება შვერილების რაოდენობით. ამ ტიპის სადგრების ძირი ბრტყელი და წრიული ფორმისაა, შვერილების რაოდენობის კვალბაზე სხვა სადგრებთან შედარებით უფრო ფართო. სადგართა გარკვეულ ნაწილს ძირში (ცენტრში ქვემოდან) ფოსო აქვთ დატანილი.

თიხის რქისებრშვერილიანი სადგრების ფუნქციონალური დანიშნულების თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ საკულტო საგნებად მიიჩნევს, მეორენი მათ პრაქტიკულ დანიშნულებას უსვამს ხაზს, სხვები სადგრებს საკულტო საგნებადაც განიხილავენ, მაგრამ არც პრაქტიკულ საქმიანობაში მათი გამოყენების შესაძლებლობას არ გამოორიცხავენ.

<sup>35</sup> მსგავსი გაფორმება დამახასიათებელია ურეკში მიკვლევული სადგრებისათვისაც (Хонтириа, 1955:34).

კუფტინი თიხის სადგრებს ხარის რქების სტილიზებულ გამოსახულებად მიიჩნევდა და სადგრებს დიდი დედის კულტს უკავშირებდა (Куптин, 1947:69-74; 1950:31).<sup>36</sup> ხომტარია სადგრებში ხარის გამოსახულებას ხედავდა და მათ საკულტო საგნებად განიხილავდა, ამავე დროს, მათი პრაქტიკული დანიშნულებით გამოყენებასაც არ გამოორიცხავდა (Хоштариа, 1955:32-37).<sup>37</sup> სოლოვიოვის აზრით, სადგრები მარილის ხარშვის პროცესში სპეციფიკური ჭურჭლების – აბაზანების ცეცხლზე შესადგამად გამოიყენებოდა (Соловьев, 1950:281). გარსტანგი, სადგართა ერთ ჯგუფს ჭურჭლის შესადგამად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში (ჭურჭლების გამოწვა) სადგრების შვერილები ცეცხლის ცირკულაციას შეუწყობდა ხელს (Gastang, 1953:9). დიამანტი და რუტერიც ეგეოსურ სადგრებს კერასთან დაკავშირებული ჭურჭლის სადგამებად მიიჩნევენ, თუმცა არ გამოორიცხავენ მათ საკულტო დანიშნულებასაც (Diamant, Rutter, 1969:147-177). ა. რამიშვილიც თვლიდა, რომ დიუნურ სადგომებზე მიკვლეული მოზრდილი სადგრები გამოიყენებოდა მაგნეტიტური ქვიშის რეცხვის პროცესში აბაზანების გრუნტში დასამაგრებლად, სხვებს კი საკულტო საგნებად განიხილავდა (Пам-ишвили,<sup>1</sup> 1975:138). სადგართა ამგვარ დეფინიციას ემხრობა ლ. ჯიბლაძეც (ჯიბლაძე, 2002:32). ნ. ხახუტაიშვილი ნამოსახლარებსა და დიუნურ სადგომებზე მიკვლეულ სადგრებს საკულტო საგნებად მიიჩნევს, თუმცა, მოგვიანო პერიოდში, მათი პრაქტიკული გამოყე-

<sup>36</sup> ბ. კუფტინმა არ გაიზიარა მოსაზრება, რომ დაბლაგომში აღმოჩენილი თიხის სამფეხები (трехножки) ხარის პრიმიტიულ-სტილიზებულ გამოსახულებებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კუფტინს ოჩამჩირის სადგომზე სადგრების მთლიანი ნიმუში არ შეხვედრია, მან არადაძაჯერებლად მიიჩნია ამ ტიპის სადგრების ფუნქციონალური დატვირთვის სამფეხებთან გაიგივება. ეს უკანასკნელი კი, მან პრაქტიკულ საქმიანობაში (გამოსაწვავ ქურაში ჭურჭლების ცეცხლზე შესამაგრებლად) გამოსაყენებელ ნივთებად მიიჩნია (Куптин, 1950:109).

<sup>37</sup> ნინო ხომტარიამ, სადგრების ძირისკენ გაფართოებაში, ამ ნაკეთობისათვის ქალის ფეგურის ფორმის მიცემის სურვილი დაიხაზა. მისი აზრით, ეს გარემოება ხარის კულტსა და ქალღვთაების კულტს ძირის კავშირზე მიუნიშნებდა (Хоштариа, 1955:34).

ნების შესაძლებლობასაც უშვებს (ხახუტაიშვილი, 1986:53).<sup>38</sup> თიხის რქისებრ სადგრებს საკულტო საგნებად თვლიან თ.მიქელაძე, დ.ხახუტაიშვილი (Микеладзе, Хакхутишвили, 1985:18) და ა.ინაიშვილი (ინაიშვილი, 1977: 63).

ვ. ბარდაველიძე, ქართულ ასომთავრულ ანბანში ბგერა „ხ“-ს აღმნიშვნელ ორგრაფემის მობაზულობაში ხარის თავის გამოსახულებას კითხულობდა.<sup>39</sup> დუსო რქებიან სადგრებს „რქიან საკურთხეველს“ უწოდებდა და მას ხარის თავის გამოსახულებად აღიქვამდა (Dousaud, 1919:82). იგივე აზრისაა ო. ჯაფარიძე (ჯაფარიძე, 1950: 118-119). ი. კიკვიძეც რქისებრდაბოლოებიან სადგრებს ხარის გამოსახულებას უკავშირებდა. ხარს ის მთვარის ღვთაების სინონიმად, ხოლო რქისებრ სადგრებს – მთვარის კულტის გამოხატულებად მიიჩნევდა (კიკვიძე, 1976: 160). მ. ხიდაშელის აზრით, მტკვარ - არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა რელიგიურ პანთეონში, დედა-

<sup>38</sup> აღნიშნულ ნაშრომში მკვლევარი ორაზროვნად მიუთითებს, რომ „მოგვიანო პერიოდში“ დასაშვებად მიაჩნია სადგრების „...პრაქტიკული გამოყენება, თუ ამგვარი რამ რეალურად ხდებოდა.“ სხვა ნაშრომში, მკვლევარი უფრო კატეგორიულია: „...სადგრების პრაქტიკული გამოყენება მოგვიანო პერიოდთან ინყება“ (ხახუტაიშვილი, 2007:156). უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთვის ბოლომდე გასაგები არ არის „მოგვიანო პერიოდი“ რომელ ეპოქას მიესადაგება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ნ.ხახუტაიშვილი საკულტო ნივთებად გვიანბრინჯაოს ხანის სადგრებს თვლის, ხოლო დიუნურ სადგრებს (ალბათ, ესენი უნდა იყვნენ დროში მოგვიანო, რადგან ანტიკურ ხანაში ისინი უკვე აღარ გვხვდება), უფრო პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებად საგნებად მიიჩნევს (თუმცა, სად? როგორ? რა მიზნით? მინიშნების გარეშე).

<sup>39</sup> ეს აზრი ვ.ბარდაველიძემ გამოთქვა ნაშრომში „К истории одной древне-грузинской графемы“, რომელიც მითითებული გვაქვს ბ. კუფტინის წიგნიდან (Куптин, 1950:109). ვ. ბარდაველიძე თვლის, რომ ფონემური დამწერლობის წარმოშობამდე ეს სიმბოლოები იმ ცნებებს გამოხატავდნენ, რომლებიც მათ სახელწოდებაში იყო შემონახული, ხოლო ფონემური ანბანის წარმოშობის შემდეგ – ამ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვების პირველ ასოებს (Бардавелидзе, 1952:317-318). ელ. მაჭავარიანიც მიუთითებს, რომ ფინიკური ანბანის ასო-ნიშნებსაც ხატოვანი დამწერლობა ედო საფუძვლად. მაგ. „ა“ ბგერის გამოსახატავად იხმარება „აღეფ“ -ხარის პირველი ასო, „ბ“ ბგერის გამოსახატავად „ბეთ“-სახლის პირველი ასო (მაჭავარიანი, 1982:61).

მინის ქალღვთაების წვიმის საშუალებით გამანაყოფიერებელი ზეცის მამაკაცი ღვთაების მთავარ ემბლემებს კერის ზესადგრები წარმოადგენენ, რომლებიც ყველაზე მევეთრად ხარისა და მთვარის კულტში ვლინდებიან (ხიდაშელი, 1982:106-107; 2001:125). ი. ცვი-ნარია უარყოფდა მოსაზრებას სადგართა პრაქტიკული დანიშნულებით გამოყენების შესახებ და მათ საკულტო ცერემონიალის ატირიბუტებად მიიჩნევდა. სხვებისგან განსხვავებით, ის სადგრების რქისებრ დაბოლოებებს თევზის კუდს ამსგავსებდა და მათ ზღვის ღვთაებას უკავშირებდა (Цвиһария, 1978:32-38,53-54). აინაიშვილი მრავალქიმიან სადგრებს პირობითად "ირმის რქისებურქიმიან" სადგრებს უწოდებდა (ინაიშვილი, 1977:63), თუმცა, მოგვიანებით, მათ „ხარის რქისებრშვერილიან სადგრებად“ მოიხსენიებდა.<sup>40</sup>

თიხის სადგრებისათვის პრაქტიკული დანიშნულების მოძებნის სურვილი გაჩნდა მათი მრავალრიცხოვნობისა და სპეციფიკური ფორმების გამო. ლ. სოლოვიოვის მოსაზრება, რომ სადგრები, შესაძლოა, მარილის გამოხარშვის პროცესში ცეცხლზე აბაზანების შესამაგრებლად ყოფილიყო გამოყენებული, დაფუძნებული იყო აფრიკული მასასის ტომის ეთნოგრაფიულ მასალაზე (სადგრების მსგავსება ხის ორკაპებთან) (ტაბულა 15). როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. რამიშვილი, მასალის სიმცირის გამო მკვლევრის მიერ მხედველობაში არ იყო მიღებული როგორც სადგრების ზომები, ასევე ქვიშაზვინულების სპეციფიკური კონფიგურაცია. ა.რამიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აბაზანების ცეცხლზე შეყენ-

<sup>40</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ ცენტრალურ ამიერკავკასიაში აღმოჩენილ ბრინჯაოს მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე ირემი გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. კოლხურ ცულებზე ხარსა და ირემს ხშირად ერთი და იგივე დამატებითი სიმბოლოებით (ისარი, თევზი) გამოხატავენ, რაც მიუნიშნებს, რომ ხარისა და ირმის ფუნქციები დიფერენცირებული არ არის, ორივე ნაყოფიერების ზოგად იდეასთანაა დაკავშირებული (ფანცხაია, 1988:44-46). ქართულ მეტყველებაში შემორჩენილი ტერმინი "ხარ-ირემი" გამოძახილი უნდა იყოს იმ სინამდვილისა, როდესაც ირემიც მინათმოქმედებაში გამწვევი ძალის ფუნქციას ასრულებდა, რაც უფრო ვახაგებს ხდის უძველეს პერიოდში მას ნაყოფიერების კულტთან კავშირს (ბრევაძე, 1985: 60-61).

ება გაჭირდებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჭურჭლები ვერ გაუძლებდა ამ სიმძიმის დატვირთვას, არამედ იმიტაც, რომ სადგრების სიმაღლე (მხედველობაში ჰქონდა შედარებით პატარა ზომის სადგრები), არასაკმარისი იქნებოდა აბაზანების ცეცხლზე შესამაგრებლად.

არამიშვილი თვლიდა, რომ სადგრების გარკვეული ჯგუფი შეიძლებოდა გამოეყენებინათ საწარმოო პროცესში აბაზანების ქვიშაში გასამაგრებლად. აბაზანისმაგვარი ჭურჭლების სპეციფიკური ფორმისა და ქვიშარი გრუნტის გათვალისწინებით, ჩვენ საექვოდ მიგვაჩნია, რომ დიუნაზე ამის აუცილებლობა საერთოდ არსებობდა. აბაზანისმაგვარი ჭურჭლები ძირითადად ოვალურძირიანი კეთდებოდა, რაც საფუძველშივე გამორიცხავდა მათ მყარ გრუნტზე დასადგამად გამოყენებას. და თუ აბაზანების გრუნტში გამაგრება მაინცდამაინც აუცილებელი იქნებოდა, ამ პრობლემის გადასაჭრელად უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ზღვის მოზრდილი ქვების გამოყენება, რომელთა მოსაგროვებლად სანაპიროზე შორს წასვლა ნამდვილად არ იქნებოდა საჭირო.

სადგრები რომ სამსხვერპლოს მოსაწყობად გამოიყენებოდა, ეს დაფიქსირდა ურეკის, ფიჭვნარის, ბობოყვათისა და ციხისძირის დიუნურ სადგომებზე. ბობოყვათში დიუნაზე დადასტურდა სადგრების გამოყენება მცირე საკურთხევლების მოსაწყობადაც. ბობოყვათის სამსხვერპლოს სადგრების ძირი ნანვეტებულია, ხოლო მათი შვერილები ისე სიმბოლურადაა გამოძერწილი, რომ შვერილებს შორის თხელი ფირფიტის ჩადებაც კი გაჭირდება. თუკი ჩვენ სადგრებს აუცილებლად საწარმოო პროცესში ჩართულად წარმოვიდგენთ, მაშინ, ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა - სად უნდა წარმართულიყო ეს პროცესი? ალბათ, პასუხიც ცალსახაა - რასაკვირველია, ქვიშაზვინულზე. თუკი ამ პროცესს ქვიშაზვინულზე ჰქონდა ადგილი და სადგრებს, გარკვეული მოტივაციით, რალაც სიმძიმე მინის ზემოთ უნდა შეემაგრებინა (ან, თუნდაც, ქვიშაში გაემაგრებინა), მაშინ რა უფრო პრაქტიკული ჩანს - სადგრების გამოძერწვა ნანვეტებული ბოლოთი თუ ბრტყელი ძირით? ან კიდევ, თუ შვერილები სადგრებს რალაცის შესამაგრებლად უკეთდებოდა, მაშინ რა ახსნა ეძებნება ბობოყვათის სამსხვერპლოს სადგრებს, რომლებსაც შვერილები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისე სიმბოლურად აქვთ

გამოყოფილი, რომ მათ შორის ღარიც კი არ იკითხება.

ამიტომ ვხედავთ ჩვენ შვერილებში უფრო სიმბოლიკას, ვიდრე სადგრის, როგორც პრაქტიკული ფუნქციის მატარებელი ნივთის, დეტალს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ფორმა სადგრებისა ზღვისპირა სადგომებზე არ შექმნილა. თიხის რქისებრი სადგრები, რომლებიც ადრეულ ეპოქაში ჩნდება, მიუხედავად გარკვეული სახეცვლილებისა (ერთქიმიანი, ორქიმიანი, სამქიმიანი, ოთხქიმიანი, შუაში ნახვრეტით თუ მიძერნილი სახელურით), დიდი ხნის მანძილზე მაინც ინარჩუნებს არსებით ნიშნებს.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სადგრები გამოეყენებინათ ნახევრადღია კერებში - ჩაბრუნებული ან გვერდზე დაწოლილი აბაზანების გამოწვის დროს მათი ცეცხლთან (და არა ცეცხლზე) შესაყენებლად. ამ საქმეს სადგართა პარამეტრებიც წაადგებოდა, ხოლო სადგრის, როგორც კულტის მატერიალიზებული გამოხატულების, მაგიური ძალა უზრუნველყოფდა სასურველ შედეგს, მაგალითად, დაიცავდა ჭურჭლებს გაბზარვისა და გატეხვისაგან.

ერთ საინტერესო საკითხზეც ვგვსურს შევაჩეროთ თქვენი ყურადღება. როგორც აღვნიშნეთ, იმ მოედნებზე, რომლებიც შესაძლოა საცხოვრებელი ადგილების კვალად მივიჩნიოთ, ფლეთილი ქვებისაგან შედგენილი კერის ნაშთებია აღმოჩენილი. იმ კანონზომიერებასაც ვაკვირდებით, რომ პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, კერის სიახლოვეს თიხის სადგრებია დადასტურებული. ჩვენი დაკვირვებით, ბობოყვათის სამსხვერპლოებიც კერის იმიტაციის წარმოადგენდა და კონსტრუქციულადაც ამ ნახაზით იყო აგებული.

სადგრებისა და კერების ერთ კომპლექსში აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სხვა ძეგლებისათვისაც არის დამახასიათებელი. ტრადიციულად, რქისებრი სადგრები ფიქსირდება როგორც საკულტო მოედნებზე, ასევე კერების სიახლოვეს (ფხაკაძე, 2004: 17). იგივე შეგვიძლია ვთქვათ კერისა და ხარის სკულპტურულ გამოსახულებებთან დაკავშირებით.

კერა იყო ოჯახის საკრალური და სოციალური ცენტრი, კეთილდღეობისა და მთლიანობის გამოხატულება, რომელიც ინტერიერს მითოლოგიურ და რელიგიურ არსს ანიჭებდა (სურგულაძე, 1993:35). კერას უკავშირებოდა ყველა რიტუალი, რომელიც სახლში

სრულდებოდა. კერა იყო ნმინდა ადგილი და მისი შუურაცხყოფა უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიურ მასალაში საკურთხეველთან მონყობილი კერები გაფორმებულია ხარის სკულპტურული ან სქემატური გამოსახულებებით. კოსმოგონიური წარმოდგენების განვითარების კვალობაზე, კერა სიმბოლურად გაიგივდა მზესთან, ხოლო ხარის რქები მთვარესთან. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა რელიგიურ პანთეონში კერაში განხორციელებულ დედამიწის ქალღვთაების ღვთაებრივ წყვილს წარმოადგენს ზეცის მამაკაცი ღვთაება, რომელიც ანაყოფიერებს დედამიწას. ზეცის მიერ დედამიწის განაყოფიერების შემდეგ წარმოიშვა მცენარეულობა - ღვთაება, რომელსაც განასახიერებს სიცოცხლის ხე. კერის გამანაყოფიერებელი მამაკაცი ღვთაების მთავარ ემბლემებს კი კერის ზესადგრები წარმოადგენენ (ხიდაშელი, 2001:125). ეს ზესადგრები, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მკვეთრად ვლინდებიან სწორედ მთვარისა და ხარისა. ტ. ჩუბინიშვილი აზრით, ამირანის გორის ზესადგრები იდგმებოდა კერასთან და ახდენდა მის განაყოფიერებას (ჩუბინიშვილი, 1963: 65). ი. კიკვიძე იზიარებს ამ ვარაუდს და თვლის, რომ ეს არის გასაღები როგორც ანტროპომორფული და იტიფალური კერის ნალისებური სადგრების, ასევე მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ზესადგრების დანიშნულებისა და ფუნქციის სწორად წარმოდგენისათვის (კიკვიძე, 1976:169).

მენამორის სამლოცველოში დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი ხარის სტილიზებული თავები, ხოლო საკულტო ცერემონიალები სრულდებოდა საკურთხეველთან მონყობილ კერასთან (Ханзадян, Мкртчян, Парсамян, 1973).

ნაცარგორას საკურთხეველში გამართული იყო კერა ორი შვერილით, რომელიც ხარის რქების სქემატურ გამოსახულებადაა მიჩნეული. საკურთხეველის უკან, კედელზე, გამოსახული იყო ხარის თავი, კერასთან აღმოჩნდა ხარის ტერაკოტული ქანდაკება (გობეჯიშვილი, 1957:260). ხიზანანთ გორის E ფენაში გაითხარა კერა, რომლის ფსკერზე რქისებური სადგარი იყო დაქრნილი (კიკვიძე, 1972 : 52). სვანური კერა ("კერაი") შემკობილი იყო ცხოველების (მათ შორის ხარის) პლასტიკური გამოსახულებებით (ჩართოლანი,

1961:185). ქვაცხელების ნამოსახლარის ერთ-ერთი ოთახის ცენტრში მოწყობილი იყო ოთხშვერილიანი თიხის კერა. იქვე დაფიქსირდა ორი ზოომორფული სადგარი. კერა სანახევროდ იყო ამოვსებული ნაცრით და ცხოველების დამწვარი ძვლებით (ლლონტი, ჯავახიშვილი, 1965:9).

ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ კუთხით უნდა აღვიქვათ დიუნურ სადგომებზე სადგრების მრავალრიცხოვნება. სადგრების გამოყენება შეიძლებოდა „პრაქტიკული“ მიზნით, ოღონდ არა როგორც უბრალოდ რალაცის შემამაგრებლის ან გამამაგრებლის პირდაპირი დატვირთვით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ნაყოფიერების კულტის მატერიალიზებული (თუნდაც სიმბოლური) გამოხატულების დატვირთვით, რომელსაც, ხალხის რწმენით, თავისი მაგიური ძალით კონკრეტულ სამეურნეო-საწარმოო პროცესშიც უნდა უზრუნველყო სასურველი შედეგი.

### კუთხეებმომრგვალებული ბრტყელი ფილები

ზღვისპირა სადგომების კერამიკულ მასალაში უხვადაა წარმოდგენილი მონითალო-მოყავისფროდ გამომწვარი კუთხეებმომრგვალებული თიხის ბრტყელი ფილები, რომელთა ფრაგმენტები ძირითადად მიმოხეული იყო სამსხვერპლოებისა და კერამიკის გამოსანვაფი ადგილების მახლობლად. მხოლოდ ერთ ადგილას (SW სექტორის 31-ე კვადრატში) მოხერხდა in situ ვითარებაში ერთმანეთზე სამ სვეტად დანყობილი ფილების მიკვლევა (ტაბულა 19). არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ადგილიც მცირე საკურთხეველს წარმოადგენდა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ფილებთან ერთად ელაგა კარგად გამოძერწილი და გამომწვარი ორი სადგარი. ერთ-ერთი სადგრის გვერდზე ტალღისებური ორნამენტი იყო დატანილი.

ბობოყვათის კუთხეებმომრგვალებული ფილები საკმაოდ კარგადაა გამოძერწილი და გამომწვარიც. ფილების კეცი მოყავისფრო-მონითალო შეფერილობისაა. თიხა, სიმყარის უზრუნველსაყოფად, შეიცავს მცირე ზომის მინერალების დანამატსაც.

საქართველოს დიუნურ სადგომებზე ადრე აღმოჩენილი თიხის კუთხეებმომრგვალებული ფილები, იშვიათი გამოხატულების

გარდა,<sup>41</sup> სადაზედაპირიანი იყო.<sup>42</sup> ბობოყვათის ფილები კი მრავალფეროვანი ორნამენტითაა შემკული. ორნამენტი დატანილია მხოლოდ ერთ ზედაპირზე, რაც იმას უნდა მიაწინებდეს, რომ ფილები გარკვეულ ფორმაში მზადდებოდა და გამონვამდე მასზე ჩხირებით (წერტილები), ან თითებით (ტალღისებური ზოლები) დაქონდათ სასურველი ნახაზი (ორნამენტი).

ფილები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ერთი ზომის არიან (სიგრძე–27-29სმ, სიგანე–14-16სმ, სისქე–1,8-2სმ). შემკულობის მიხედვით, შეიძლება ფილების ოთხი ჯგუფი გამოვყოთ:

1. ფილები, რომლებზეც წერტილოვანი ორნამენტია დატანილი. ფილების ერთ ჯგუფს წერტილები თავსა და ბოლოში ორ რიგად აქვთ (წერტილების შეფარდება 10-12 ; 10-11, 14-16; 12-12. 10-10; 11-11, 10-11; 12-11), სხვებს მთელ ზედაპირზე, ორ რიგად, პერიმეტრის გაყოლებაზე. გვხვდება ფილები, რომელთაც ორი ან სამი წერტილი თავთან აქვთ დატანილი (ტაბულა 19).

2. ფილები, რომლებიც ტალღისებური ორნამენტით არის შემკული. აქაც შეიძლება ორი ჯგუფის გამოყოფა: ზოგ ფილაზე ორნამენტი მთელი ზედაპირზეა დატანილი, ზოგზეც — თავსა ან ბოლოში. ორნამენტი თითებით ან ჩხირითაა დატანილი (ტაბულა 20).

3. ფილები, რომლებიც გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. ნახაზი შედგენილია ერთმანეთის პარალელური ან დიაგონალ-

<sup>41</sup> ფიქნარის დიუნურ სადგომზე მოპოვებულია ფილების რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებზეც თითებით გამოყვანილი ქდეული ღარები და რგოლებია დატანილი (რამიშვილი, 1971:176-177).

<sup>42</sup> ნ. ხომტარია, ურეკის დიუნაზე აღმოჩენილი კერამიკის მიმოხილვისას, მიუთითებს, რომ "...Среди описываемой керамики попадаются совершенно плоские черенки от сосудов (?) неизвестного назначения. На их поверхности имеются круглые вдавления – ямочки (исполненные пальцем?) или же параллельно идущие, волнообразно изгибаясь, углубленные линии (также исполненные, возможно, пальцами...(орнамент?)..." (Хомтариа, 1955:40). ჩვენი აზრით, აქ მკვლევარი სწორედ ფილებს აღწერს, მაგრამ, მთლიანი ნიმუშის ვერმიგნების გამო, მათ ქურჭლის ნატყებად მიიჩნევს (როგორც ზევით აღვნიშნეთ, ასევე შეცდომით მიიჩნია ნინო ხომტარიამ აბაზანების ფრაგმენტები ღარიანი კრამიტის ნატყებად).

ურად გადასკვითი ზოლების სახით. ორნამენტი ძირითადად თითოთაა დატანილი (ტაბულა 20).

4. ფილები, რომელთა ზედაპირზე ორნამენტი კომბინირებული სახითაა დატანილი. გვხვდება როგორც ნერტილოვანი, ასევე ტალღისებური და პარალელური ხაზებით შედგენილი ნახაზები (ტაბულა 19).

ბობოყვათის და ციხისძირის სადგომებზე აღმოჩნდა სადაზღვედაპირიანი ფილების (ყოველ შემთხვევაში, ფილების შემორჩენილ ფრაგმენტებზე ორნამენტი არ იკითხება) ორი ნიმუში, რომლებზედაც პატარა ზომის თავმომრგვალებული სახელურია მიძერნილი. ერთი ფილა, როგორც სხვა ცნობილი ნიმუშები, მართკუთხედის ფორმის ჩანს, მეორე კი უფრო მრგვალი, ან წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის უნდა იყოს. ამ სახელურების დანიშნულების თაობაზე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. აღნიშნული ფილების ზედაპირის ორნამენტით არ შემკობა და თვით სახელურის არსებობა, მათ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე (ხუფი, სახურავი) უფრო მიაჩნებდეს.

ბობოყვათის ფილებს ზუსტი ანალოგები არ ეძებნებათ, თუმცა მათთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ელიზავეტსკოეს (ძვ.წ.III-აბ.წ.II სს.) (Соломоник, 1979:167-178), დიაკოვოს (ძვ.წ.V-IIIსს) (Кренке, 1989:79-86), ბელსკის (ძვ.წ.VII-IIIსს) (Шрамко, 1985) ნაქალაქარებსა და ანზილოს სამაროვანზე (Батананов, 1979: 23-36. рис.16) აღმოჩენილი კერამიკული ფილები. ელიზავეტსკოეს ნაქალაქარზე ისინი სამსხვერპლოს ნაშთებთან ერთადაა მიკვლეული, ერთ ადგილას კი, ბობოყვათის მსგავსად, ერთმანეთზე დალაგებული სახითაა დაფიქსირებული. ელიზავეტსკოეს ფილები შედარებით პატარა ზომისაა, გაფორმებულია ნერტილოვანი და ტალღისებური ორნამენტით. მკვლევრები აღნიშნულ ფილებს საკულტო საგნებად განიხილავენ და ძველი საკულტო რიტუალის განმსაზღვრელ ატრიბუტად წარმოაჩენენ.

ფორმითა და ორნამენტაციით ბობოყვათის ფილების მსგავსია კორინთოსა და სიალკში აღმოჩენილი ნიმუშებიც, რომლებსაც ასევე საკულტო საგნებად მიიჩნევენ და ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით ათარილებენ (Ghirshman, 1938:pl. XXIII, XXXI, XCII; Weinberg, 1954:

109-115, pl. 25). საინტერესოა ისიც, რომ კორინთოში არსებული ნესის თანახმად, ადგილობრივი ხელოსნები (ძირითადად მეთუნეები), კერამიკის გამოწვის პროცესის დაწყებამდე, აღნიშნულ ფილებს მიუძღვნიდნენ მათი ხელობის მფარველ ღვთაებებს (Блавадский, 1953:33). როგორც ირკვევა, ასეთივე ტრადიცია ჰქონდათ შუა აზიელ მეთუნეებსაც: მიძღვნით, ან შესანიშნავ საგნებს გამოსაწვავი მოედნის ახლოს, მინაში ფლავდნენ (Пещерева, 1959:120).

ბოზოყვათში აღმოჩენილი ფილები თავისი ფორმით, შემკულობითა და შინაარსით, ქართველ და ზოგადად კავკასიელ ხალხთა ეთნოგრაფიაში კარგად ცნობილ, ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რიტუალის ერთ-ერთ ძირძველ და გავრცელებულ კომპონენტს-სარიტუალო პურებს/კვერებს უნდა ესადაგებოდნენ და შესაძლოა მათ თიხის იმიტაციებს წარმოადგენდნენ. ადრეული ნიმუშები სარიტუალო პურების თიხის იმიტაციებისა ჩვენთვის ცნობილია ხრამის დიდი გორის (ლლონტი, ჯავახიშვილი, 1976:6), ყათნალიხევისა (ხახუტაიშვილი, 1964: ტაბ. XIII) და მენამორის (Ханзадян, Мкртчян, Парсамян, 1973: рис. 116) მასალებიდან. სარიტუალო კვერებთან თუ პურებთან დაკავშირებული რიტუალები ცნობილია ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილიდანაც (მაჩაბელი, 1981:154).<sup>43</sup>

ამ ვარაუდის გასამყარებლად, საქართველოს ზღვისპირეთის მრავალფენიან ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკის ნიმუშების ერთი საინტერესო ჯგუფიც გვსურს მოვიშველიოთ.

ფიჭვნარის ნამოსახლარების არქეოლოგიურ მასალაში, სადგრებთან ერთად, წარმოდგენილია თიხის ნაკეთობები, რომელთა ხასიათი, სადგრების მსგავსად, საკულტო ატრიბუტიკითაა განსაზღვრული. მხედველობაში გვაქვს მრავალგანყოფილებიანი ტაფები, რომლებიც ქარსმინარევიანი თიხისაგანაა დამზადებული და წარმოადგენენ მრგვალი ან ოვალური თეფშისმაგვარი ჩაღრმავებებით შედგენილ ფილებს (ჩაველიშვილი, 1987: ტაბ. XIV-8; Микеладзе, Хахутиашвили, 1985: таб. 55, 77,78) (ტაფის D: 30-35 სმ-ია, თეფშის-

<sup>43</sup> სვანეთში ლილაშუნის დღესასწაულზე აცხობდნენ ხარის გამოსახულებიან პურებს, რომელსაც მინის ნაყოფიერების ღვთაება "ლამარიას" სწირავდნენ (ბარდაველიძე, 1953: 81).

ებრი ჩალრმავების: 12-15სმ. სიღრმე: 1,2-1,5სმ)<sup>44</sup>. ამ ტიპის ნაკეთობებისთვის დამახასიათებელია შავი და ვარდისფერი შეფერილობის კეცი, მათ ზედაპირზე კი აშკარად შეიმჩნევა ცეცხლის მოქმედების კვალი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალგანყოფილებიანი ტაფები, ვიზუალურად, საკმაოდ მყარი ნაკეთობის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მათი მთელი (დაუზიანებელი) ნიმუშის მოპოვება ჯერჯერობით არ მოხერხდა. ამდენად, „ტაფების“ სრული სახით აღდგენა მხოლოდ გრაფიკული რეკონსტრუქციის შედეგადაა შესაძლებელი. გაფორმების თვალსაზრისით, მრავალგანყოფილებიანი ტაფების ზოგიერთ ნიმუშს შუაში ფოსო აქვს დატანილი, ზოგს კიდევ ჩალრმავებათა (განყოფილებათა) გამყოფი ქედები წინვოვანი ორნამენტით აქვს შემკული. ეს ნაკეთობები ჩნდებიან ნამჭედურის V ფენაში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევართაა დათარიღებული. მრავალგანყოფილებიანი ფილები, ჯერჯერობით, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდანაა (ფიჭვნარის ნამოსახლარები, ბათუმის ციხე, მახვილაურის ბორცვი) ცნობილი. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ საკულტო ხასიათს (სარიტუალო პურების ან კვერების გამოსაცხობი) უსვამს ხაზს (კახიძე, 1965: 75; ინაიშვილი, 1977: 63),<sup>45</sup> სხვები კი, საკულტო დანიშნულებასთან ერთად, არ გამორიცხავენ სამეურნეო ყოფაში მათ გამოყენებასაც (Микеладзе, Хахутаншвили, 1985: 26). ჩვენი აზრითაც, აღნიშნული ტაფები, სარიტუალო კვერების, ან პურების გამოსაცხობად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მრავალგანყოფილებიანი ტაფები ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდნენ (რაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს ვარაუდს), ხოლო ტაფებზე თეფშისმაგვარი ჩალრმავებების რაოდენობა ოჯახის წევრთა რიცხვით უნდა ყოფილიყო განპირობებული (ჩავლეიშვილი, 1987: 40).<sup>46</sup>

<sup>44</sup> მრავალგანყოფილებიანი ტაფებზე თეფშისმაგვარ ჩალრმავებათა (განყოფილებათა) რიცხვი მერყეობს ორიდან შვიდამდე.

<sup>45</sup> ფიჭვნარის მრავალგანყოფილებიანი ტაფები ფორმით ძალიან ჩამოგავს კარმირ-ბლურის „სამსხვერპლოებს“ (Ишорговский И. Б. Кармир-наур. Ерван. 1950).

<sup>46</sup> სამეგრელოსა და აფხაზეთში „ფინი ანთარის“ რიტუალის დროს, სახლის უფროსი, სპეციალურად ამ დღისათვის გამოცხობილ კვერს კერაზე დას-

თიხის რქისებრშვერილიანი სადგრებისა და მრავალგანყოფილებიანი ტაფების ერთგვაროვან ფუნქციონალურ დატვირთვაზე (საკულტო ხასიათზე) უნდა მიუნიშნებდეს ის ფაქტიც, რომ ფიჭვნარში, ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გვიანბრინჯაოს ხანის ჯარგვალური ტიპის ნაგებობის (სამჭედლო) გათხრების დროს, თიხით შელესილ კერასთან გვერდიგვერდ დაფიქსირდა თიხის მრავალგანყოფილებიანი ტაფები და რქისებრი სადგრები (ჩაველიშვილი, 1987: 32).

### საყოფაცხოვრებო კერამიკა

ბობოყვათის დიუნური სადგომის საყოფაცხოვრებო კერამიკა წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელთა ფრაგმენტებით. ფაქტია, რომ ბობოყვათის საყოფაცხოვრებო კერამიკა რაოდენობრივად (საკმაოდ მცირეა) და გაფორმების თვალსაზრისით, საგრძნობლად ჩამოვარდება ფიჭვნარის დიუნური სადგომის ანალოგიური ტიპის კერამიკას.

ბობოყვათის სადგომზე სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებისა და კოჭების ფრაგმენტების სახით. მათი უმრავლესობა ყავისფერკეციანია, აქვთ ოდნავ გადაშლილი პირი (პირის დიამეტრი საშუალოდ 15-20 სმ) და ბრტყელი ძირი. ყველა ეს ჭურჭელი მორგვზეა დამზადებული და საკმაოდ კარგადაა გამომწვარი. ქოთანთა ყურები, ძირითადად, ერთგვაროვანია, თუმცა, გვხვდება როგორც ზომორფული, ასევე რკალისებრი მოხაზულობის ოვალურგანივკვეთიანი ნიმუშები. ზოგიერთ ყურს ზედაპირზე მომცრო კოპები აქვს მიძერწილი. ყელისა და ტანის გაფორმებაში გამოჩნეულია საშუალო სისქის პორიზონტალური ლარებით შემკობის წესი. ქოთნის ერთი ნიმუში თითქმის მთლიანი სახით მოვიპოვეთ. ჭურჭელი საშუალო ზომისაა, ყავისფერკეციანია (მაგრამ ცეცხლზე ხშირი ხმარების გამო თითქმის მთლიანად გაშავებულია). ქოთანი შემკულია რკალისებური ოვალურგანივკვეთიანი ყურით. ჭურჭლის პირი ოდნავ გადაშლილია. ყელსა და ტანზე შემოუყვება

---

ანყობად იმდენ ნაჭრად ჰყოფდა, რამდენი ნევრიც იყო ოჯახში (Ковалюк, 1897:99-100).

ჰორიზონტალურ ორ-ორ ღარს შორის მოქცეული ბადისებრი ორნამენტი. კოჭების ფრაგმენტები ძირითადად სადაზედაპირიანია, მხოლოდ ერთი ნიმუშია მეტ-ნაკლებად გაფორმებული. აღნიშნულ კოჭობს ყელზე შემოუყვება ჰორიზონტალური ღარი, ხოლო ტანი შემკული აქვს ვერტიკალურ ღარებს შორის მოქცეული ბადისებრი ორნამენტით. მცირერიცხოვანია სუფრის ჭურჭელიც, სულ რამოდენიმე ნიმუში გვაქვს გოფირებულყელიანი დოქებისა (ტაბულა 21).

ბობოყვათის სადგომზე შედარებით მეტი რაოდენობითაა მიკვლეული სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლები. ეს სახეობა ბობოყვათის სადგომზე წარმოდგენილია დერგებითა და პითოსების ფრაგმენტებით. დერგები საშუალო ზომისაა, ოდნავ გამოყვანილი პირით, უმეტესად, ორნამენტის გარეშე. ჭურჭელთა კეცი რუხი ან ყავისფერია. დერგებს გაპრიალების შედეგად ტანზე შემორჩენილი აქვთ მკრთალი ვერტიკალური ზოლები. მათი პირის დიამეტრი საშუალოდ 25-40სმ-ია. ორი ასეთი დერგი, ერთმანეთში ჩანყობილი, აღმოჩნდა დროებითი საცხოვრებლის შემორჩენილი იატაკის დონეზე, კერის მახლობლად (მოშავო-მონითალო მოედნის საზღვართან) (ტაბულა 8, 22). რაც შეეხება პითოსებს, ისინი, მეტწილად, ფართო ვერტიკალური კანელურებით არიან შემკული, რაც კოლხური კერამიკის გაფორმების ერთ-ერთ სპეციფიკურ და გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს (ბარამიძე, 1998:26). ზოგ ნიმუშზე კანელურებს შორის დისკოსებურქედებიანი წრებია ჩაქერნილი, ზოგ ფრაგმენტზე კი, კანელურებს ზემოთ ყელისაკენ, ჰორიზონტალური ქდეებით შესრულებული სარტყელი შემოუყვება (ტაბულა 22). ერთ-ერთი ჭურჭლის გაფორმება მართლაც გამორჩეულია: ყელზე შემოუყვება ჰორიზონტალური სარტყლის 5 რიგი, ქვემოთ კი ფართო ზოლი ბადისებრი ორნამენტისა. ტანი შემკულია ჰორიზონტალური სარტყლების 5 რიგით. სარტყლების შუა (მე-3) რიგში კი ფოსოების სახით ნერტილოვანი სარტყელი აქვს დატანილი. ძირისაკენ, ჭურჭელი გაფორმებულია ფართო ვერტიკალური კანელურებით (ტაბულა 22).

ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილი საყოფაცხოვრებო კერამიკის ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული პერიოდის კერამიკა ორნამენტაციით ამკარად ჩამოუარდება ზღვისპირა ზოლის

ადრეული (თუნდაც, გვიანბრინჯაოს) ხანის ანალოგიური ტიპის ჭურჭლებს. როგორც ჩანს, ჭურჭელთა გაფორმება (თუ არ ჩავთვლით სპეციფიკურ ნიმუშებს - მაგ. ციხისძირის ჭურჭელი) მეორეხარისხოვანი ხდება და მთავარი აქცენტი ჭურჭლების ფორმათა მრავალსახეობასა და სერიულ წარმოებაზე კეთდება.

### ქვისა და ბრინჯაოს ნივთები

ბობოყვათის დიუნური სადგომის, ისევე, როგორც სხვა სადგომების, ქვის ინვენტარში მნიშვნელოვანი წილი მოდის სათევზაო ბადის ქვის საძირავეებზე. ისინი ზღვის ბრტყელი ქვებისაგანაა დამზადებული და, უმეტეს შემთხვევაში, ორმხრივაა ამოღარული. მსგავსი ორმხრივაამოღარული ქვის საძირავეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ნეოლითის ხანიდანაა ცნობილი (გოგიტიძე, 1975).

ექვს არ იწვევს, რომ მეთევზაეობა ზღვისპირეთის მცხოვრებთათვის საკვების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო უნდა ყოფილიყო. აბაზანისმაგვარ ჭურჭლებზე შემორჩენილი ქსოვილის ანაბეჭდები მიუნიშნებს, რომ ადგილობრივ მკვიდრთათვის სათევზაო ბადის გამოყენებაც უცხო არ იქნებოდა. ასევე სათევზაო ინვენტარს წარმოადგენენ ბრინჯაოს ანკესები, რომელთა მხოლოდ ორიოდ ნიმუშია ბობოყვათის სადგომზე მიკვლეული. სავარაუდოდ, ისინი სათევზაო ძაფზე წამოსაგებად უნდა ყოფილიყო გამიზნული.<sup>47</sup>

ბობოყვათის დიუნაზე რამდენიმე ნიმუში გვაქვს ქვის საპრიალეებლებისა, რომლებიც ზღვის კენჭებიდანაა დამზადებული.<sup>48</sup>

<sup>47</sup> ბრინჯაოს ნივთები, როგორც წესი, ნაკლებად გვხვდება დიუნურ სადგომებზე. ფიჭვნარის დიუნაზეც ორად-ორი ბრინჯაოს ნივთია ნანახი: ერთი ბრტყელი მავთულისაგან დამზადებული სპირალურბოლოებიანი საკიდაია, ხოლო მეორე, ორწილადი მშვილდსაკინძის ფრაგმენტი (რამიშვილი, 1971:160-162).

<sup>48</sup> ქვის საპრიალეები კერამიკული ნაკეთობების ცალკეული ჯგუფის გამოძერწვისას უნდა ყოფილიყო გამოყენებული. როგორც ჩანს, საყოფაცხოვრებო კერამიკა დიუნაზე არ მზადდებოდა, აბაზანებზეც ქვის საპრიალეების გამოყენებას ვერ დადავადასტურებთ, რადგან მათზე ამკარად შეინიშნება ხელით (თითებით) მოსწორების კვალი.

(ტაბულა 23). აღნიშნული საპრიალებლების გამოყენება სადგომების კერამიკული ნაკეთობების გამოძერწვის პროცესში უნდა იყოს სავარაუდებელი. მაგალითად, აბაზანისმაგვარ ქურჭლებს პირის არეში (ნაკლებად ტანზე), აშკარად ეტყობათ ბლაგვი ინსტრუმენტით მოსწორების კვალი.

ბობოყვათის სადგომზე აღმოჩნდა ქვის ურო, რომელიც საშუალო ზომის რიყის ქვისაგანაა დამზადებული (ტაბულა 23). უროს ბოლოები ხმარებისაგან დამუშავებული აქვს. შუა წელზე წრიულად შემოუყვება საშუალო სიღრმის ღარი. ეს ღარი კეთდებოდა ხის ტარის უროზე მისამაგრებლად (თოკის შემოხვევით). ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამგვარი დამაგრების წესი "ამერიკულის" სახელწოდებითაა ცნობილი (Куфтин, 1950:279). მსგავსი ტიპის ქვის უროები აღმოჩენილია სოხუმის მთის (Куфтин, 1950:278-279; Воронцов, 1980 : 33). ურეკისა (Хоштария, 1955:34-35) და ფიჭვნარის (Рамнишвили<sup>44</sup>, 1975: 138) სადგომებზეც. ამგვარი უროები დამახასიათებელი ჩანს იმ ხალხებსათვის, რომლებსაც არ ჰქონიათ სატარებზვრელიანი ცულები. მაგრამ, რითი ახსნება ასეთი უროების არსებობა ჩვენს რეგიონში, სადაც ბრინჯაოს სატარებზვრელიანი ცულები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, ძნელი ასახსნელია. ჩვენი აზრითაც, ეს უროები პროფესიონალი მეტალურგების სამუშაო იარაღი უნდა ყოფილიყო.<sup>45</sup> მათი მიკვლევა დიუნურ სადგომებზე, აქ მომუშავეთა (მადნის მომპოვებელთა) და მეტალურგთა (რკინის მდნობელთა) შორის გარკვეული ურთიერთობაზეც უნდა მიანიშნებდეს.

<sup>44</sup> არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ ამ ტიპის უროები გამოიყენებოდა მადნის დაქუცმაცებისათვის (Чартошани, 1989:таб. XLII-XLV; ჩართოლანი, 1961:54; Хачутиანი, 1987:183). არ არის გამორიცხული, რომ წრიულადამოლარულ უროებს დიუნურ სადგომებზე მიკვლეული სამსხვერპლოებისა და კერების ამოსაყვანი ბაზალტის ქვების დამუშავებისათვისაც იყენებდნენ. რაც შეეხება ქვის უროების თარიღს, უნდა აღინიშნოს, რომ ქრონოლოგიურ დიფერენციაციას ისინი ნაკლებად ექვემდებარებიან. ზოგადად, მათი გავრცელების არეალი ძვ.წ. III-I ათასწლეულებით განისაზღვრება (მ. ბარამიძე, 1998:31).

## თავი მესამე

### ზოგოყვათის ზღვისპირა სადგომის

#### დათარიღების შესახებ

თავიდანვე უნდა აღნიშნოთ, რომ ათწლეულების მანძილზე აზრთა სხვადასხვაობა იყო დიუნური სადგომების ფუნქციონირების სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო როგორც აღნიშნული ძეგლების თვითმყოფადობით, ასევე, სადგომების არქეოლოგიური მასალის არაორდინარულობით.

დიუნური სადგომების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ ტიპის ძეგლების ხასიათის განმსაზღვრელი არქეოლოგიური მასალა (ქსოვილისანაბეჭდიანი და სადაზედაპირიანი აბაზანები, თიხის რქისებრი სადგრები, კუთხეებმომრგვალებული ფილები) ლოკალური ხასიათისაა და არ დასტურდება ზღვისპირა ზოლსა თუ მიმდებარე ტერიტორიაზე შესწავლილ ნამოსახლარებზე.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, დიუნური სადგომების დათარიღებისათვის გადაწყვეტი მიიღებულია შეიძინა საყოფაცხოვრებო კერამიკამ, რომელიც მეტ-ნაკლები ოდენობით წარმოდგენილი იყო სადგომებზე, ხოლო მათი ანალოგები მრავლად იყო მიკვლეული უძველეს კოლხურ მრავალფენიან ნამოსახლარებზე.

სადგომების შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე, ძეგლის მკვლევრები ცდილობდნენ კონკრეტულ პერიოდში მათ ხელთ არსებული (სადგომებზე მოპოვებული) და ზემოთ აღნიშნულ ნამოსახლარებზე მიკვლეული სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ქურჭლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განესაზღვრათ სადგომების ფუნქციონირების სავარაუდო ქრონოლოგიურ ჩარჩოები.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ერთგვარ გამოჩაყლის წარმოდგენენ რქისებრი სადგრები, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარებზე, საკულტო ძეგლებზე და დიუნურ სადგომებზეა მიკვლეული, ამიტომ, უფრო დამაჯერებლად შეგვიძლია ამ ტიპის კერამიკული ნიმუშების ფორმათა ევოლუციაზე ვიმსჯელოთ.

<sup>2</sup> კვლევის ადრეულ ეტაპზე, შემოთავაზებული ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ფართო იყო. მხოლოდ მოგვიანებით, დიუნური სადგომების ინტენსიური შესწავლის კვალობაზე, მოხერხდა ქრონოლოგიური ჩარჩოების შევიწროება და თარიღების დაკონკრეტება.

ლ. სოლოვიოვმა, რომელიც, სხვა მკვლევრებთან შედარებით, უფრო ინტენსიურად იკვლევდა ზღვისპირა ქვიშაზვიწუნულებზე განლაგებულ ძეგლებს, აფხაზეთის ტერიტორიაზე დიუნური სადგომების ფუნქციონირების პერიოდი რამდენიმე ეტაპად დაპყო და ასეთი ქრონოლოგიური ჩარჩოები შემოგვთავაზა: ყველაზე ადრეული ნიშნები ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების შემცველი სარენებისა (ნარმოებისა) მაჭარის სადგომზე დასტურდება და ძვ. წ. X-IX საუკუნეებით თარიღდება. მოქვის სადგომზე უკვე ჩამოყალიბებული სარენებია, რამდენადაც აქაური ჭურჭლის ტიპები მსგავსია ყობანური (კოლხური) კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლებისა. აქედან გამომდინარე, მოქვის სადგომი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ყველაზე განვითარებული ზღვისპირა სარენები ჩანს ოჩამჩირის სადგომზე, რომელიც არსებობს ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში. სოხუმის სადგომის ფუნქციონირების პერიოდში კიდევ ცოცხლობს ყობანური ტრადიციები, მაგრამ შესამჩნევია ცვლილებები. ეს სადგომი თავის არსებობას ანტიკურ ხანაში ამთავრებს (თარიღდება ძვ.წ. VIII-V საუკუნეებით) (Соловьев, 1950:266-179).

თუ შევაჯამებთ ზემოთ თქმულს, შეგვიძლია დავძინოთ, რომ ლ. სოლოვიოვმა დიუნური სადგომების არსებობის პერიოდი ძვ.წ. X-V საუკუნეებით განსაზღვრა.

დიუნური სადგომების კვლევის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ის ფაქტი, რომ სადგომების თემით ბ. კუფტინი დაინტერესდა. მიუხედავად იმისა, რომ ბ. კუფტინი, ძირითადად, ოჩამჩირის სადგომის მასალაზე მუშაობდა, მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ზღვისპირა ზოლის გეოლოგიური ევოლუციის პროცესის, სადგომების ხასიათისა თუ კონკრეტული არქეოლოგიური არტეფაქტის დანიშნულების, ზღვისპირა ზოლის აბორიგენი მოსახლეობის მატერიალური თუ სულიერი კულტურის დანაშრევების შესახებ, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ბ. კუფტინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ზღვისპირა სადგომების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას, რადგან თვლიდა, რომ სადგომების თარიღის განსაზღვრა საინტერესო იქნებოდა არა მარტო არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, არამედ მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს თანამედროვე გეოლოგიური მო-

ძრაობების აბსოლუტური დროის კრიტერიუმების განსაზღვრასა და კოლხეთის ზღვის სანაპიროს ფორმირების პროცესის საფუძვლიან შესწავლას.<sup>3</sup>

ბ. კუფტინმა ოჩამჩირის სადგომი კოლხურ-ყობანური ეპოქის ბოლო პერიოდით დაათარილა (Куфтин, 1950:277). ის არ დაეთანხმა ა. იესენს, რომელსაც ოჩამჩირის სადგომი, ქსოვილისანაბეჭდიან კერამიკასთან ერთად მოძიებული ქდეულორნამენტიანი "შავი ქურჭლის" ნატეხებზე დაყრდნობით, ნაოხვამუს ნამოსახლარის სინქრონულად მიაჩნდა. შეგახსენებთ, რომ ა. იესენმა, ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის შემცველი ნასახლარები, თანმხლები საყოფაცხოვრებო კერამიკის საფუძველზე, ყობანური და ყობანური ზედა ფენების პერიოდით (ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისი) დაათარილა (Несен, 1937:251-252). ბ. კუფტინი თვლიდა, რომ ქდეული ორნამენტი ნაოხვამუსათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი და წარმოადგენს ნაოხვამუს ზედა ფენაში ყობანურის შემდეგი პერიოდის ჩანართს. ბ. კუფტინის დასკვნით, ოჩამჩირის ქსოვილიანი კერამიკა განვითარდა კოლხურ, ანუ ძველი რკინის ეპოქაში, როდესაც საბოლოოდ დამკვიდრდა ქურჭლის მორგვზე გამოძერწვა, რაც წინა პერიოდში "არცთუ აუცილებელი იყო" კოლხურ-ყობანური პროდუქციისათვის (Куфтин, 1950: 277).

დიუნური სადგომების ფუნქციონირების თარიღზე თავისი აზრი გამოთქვა ო. ჯაფარიძემ. მიუხედავად იმისა, რომ მან ურეკის დიუნაზე მიაკვლია საყოფაცხოვრებო თიხის ქურჭლების ნატეხებს, ზოომორფულყურთანსაც კი, მაინც არ მიიჩნია საიმედოდ ამ მასალის მიხედვით ძეგლის დათარიღება. დაეყრდნო რა ოზურგეთის მუზეუმში დაცულ ურეკის დიუნაზე მიკვლეულ შავლაკიან კერა-

<sup>3</sup> ბ. კუფტინი დიუნურ სადგომებზე აღმოჩენილი კერამიკული მასალის თაობაზე აღნიშნავდა: «...Представляемый стоянкой керамический материал оказывается пока единственным в своём роде (особенно для Южного Кавказа) и настолько оригинальным, что не укладывается вовсе в хорошо нам известные с раннего неолита генетических филиации хозяйственно-бытовой глиняной посуды, требуя особых соображений о его производственной назначении » (Куфтин, 1950:274).

მიკას, მკვლევარმა ურეკის სადგომი წინა ელინისტური ხანით დაათარილა (ჯაფარიძე, 1950: 118).

ნ. ხოშტარია, საყოფაცხოვრებო კერამიკის მიხედვით, ურეკის სადგომს ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისით ათარილებდა, თუმცა შესაძლებლად მიაჩნდა უფრო ძველი ფენების არსებობაც (Хоштария, 1955:25). ვერ გეტყვი, თუ რა მასალას დაეყრდნო მკვლევარი, მაგრამ ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში, რომელიც ფიჭვნარის დიუნებზე ჩატარებულ გათხრებს ეხება, წინო ხოშტარიამ ფიჭვნარის დიუნური სადგომი ძვ.წ. III ათასწლეულით დაათარილა (Хоштария, 1957).

მ. თრაპშმა, საყოფაცხოვრებო კერამიკის მიხედვით, გუმისთის კონცხის ძირას განფენილი "წითელი შუქურას" სადგომი, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დაათარილა (Трапш, 1948:185).

ვ. ბუანიამ მაჭარის ზღვისპირა ნამოსახლარზე ოთხი ფენა დაადასტურა. პირველი ფენა თანამედროვე მასალის შემცველ პუმუს წარმოადგენდა. მეორე, ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის შემცველი ფენის ჩამოყალიბება, მკვლევრის აზრით, ბრინჯაოს ხანაში დაიწყო, მესამე ფენა ვ. ბუანიამ ადრებრინჯაოს ხანის დასასრულით – II ათასწლეულის პირველი საუკუნეებით დაათარილა, ხოლო მეოთხე ფენა ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნა. ვ. ბუანია არ დაეთანხმა ლ. სოლოვიოვს მაჭარის ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის დათარილებაში, თუმცა აღნიშნა, რომ სოლოვიოვმა მოგვიანოდ<sup>4</sup>, კისტრიკში ქსოვილიანი კერამიკის აღმოჩენის შემდეგ, მარილის წარმოება აფხაზეთში ენეოლითის ბოლოსა თუ ადრე ბრინჯაოს დასაწყისში გადაიტანა (Жааааа, 1966: 113 -126).

ა. კახიძემ ქვიშაზვინულებზე მიმდინარე კულტურასაზრებების პროცესის ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. VI საუკუნით განსაზღვრა (კახიძე, 1965:67).

ა. რამიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა დიუნური სადგომების კვლევის პროცესში. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა ფიჭვნარისა და ჩაქვის დიუნური სადგომები. ა. რამიშვილმა, პირველმა დიუნური სადგომების შესწავლის პროცესში, კერამიკული ნიმუშ-

<sup>4</sup> ვ. ბუანია ეყრდნობა ლ. სოლოვიოვის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომს.

ების (შესაბამისად, ძეგლის) დათარიღებისათვის, გამოიყენა არქეომაგნიტური მეთოდით მიღებული მონაცემები.<sup>5</sup>

ა. რამიშვილმა ფიჭვნარის დიუნაზე 6 კულტურული ფენა შეისწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ფიჭვნარის კერამიკული მასალაც გარკვეული ერთგვაროვნებით ხასიათდება, მკვლევარმა შეძლო საყოფაცხოვრებო კერამიკის მიხედვით ფენათა ქრონოლოგიური დიფერენცირება.

ა. რამიშვილმა ფიჭვნარის დიუნური სადგომი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დაათარილა. არქეომაგნიტური მეთოდით ფიჭვნარის დიუნური სადგომის II და VI ფენებს შორის სხვაობამ არააკლებ 100 და არა უმეტეს 200 წელი შეადგინა (რამიშვილი, 1971).

დავით ხახუტაიშვილმა 1997 წელს გამოქვეყნებულ ნიგში „ქობულეთის ქვეყანა“ დიუნური სადგომების ფუნქციონირების პერიოდი ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ. წ. VII საუკუნით განსაზღვრა<sup>6</sup> (ხახუტაიშვილი, 1995:72).

როგორც ვხედავთ, საქართველოს ზღვისპირა სადგომების ფუნქციონირების პერიოდი, ძირითადად, ძვ.წ. I ათასწლეულის I ნა-

<sup>5</sup> უნდა აღენიშნოთ, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც ა.რამიშვილი მოღვაწეობდა, აღნიშნული მეთოდის გამოყენებაც გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. რაც მთავარია, ამიერკავკასიისათვის და, კერძოდ, საქართველოსათვის, ჯერ არ იყო შედგენილი სათანადო არქეომაგნიტური შკალა. დამატებით, დიუნური კერამიკული მასალა საკმაოდ სუსტად იყო გამოქმნილი. ამავე დროს, ძნელი იყო კონკრეტული არქეოლოგიური ნიშნის დაფიქსირება გამონების დროინდელ in situ მდგომარეობაში. აღნიშნული ფაქტორებს კი გადაამწყვეტი მნიშვნელობა უქონდა არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღებისათვის.

<sup>6</sup> ჩვენ ვერაფერს ვიტყვით დავით ხახუტაიშვილის მიერ დიუნური სადგომების არსებობის შემოთავაზებული თარიღის საფუძვლიანობის თაობაზე. თუკი, კვლევის ადრეულ ეტაპზე (ხოშტარია, სოლოვიოვი, კუფტინი), სადგომების ფუნქციონირების პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოს სიფართოვე, გარკვეული ობიექტური მიზეზებით (შესწავლილი ძეგლების სიმცირე) იყო განპირობებული, აღნიშნული ნაშრომის შექმნის დროისთვის, საქართველოს ზღვისპირა სადგომებზეა მიკვლეული მასალა არ იძლეოდა (და დღესაც არ იძლევა) მყარ საფუძველს სადგომების არსებობის ქვედა თარიღის ასე დაძველებისათვის.

ხევრით ისაზღვრება. როგორც მოგახსენეთ, დათარიღებისათვის, ძირითადად, კერამიკული მასალა, კერძოდ, საყოფაცხოვრებო ჭურჭლებია გამოყენებული. მართალია, ბობოყვათის სადგომზე არ არის მრავალფეროვნება საყოფაცხოვრებო კერამიკისა, მაგრამ არსებულსაც ზუსტი ანალოგები ეძებნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა გორა-ნამოსახლარიდან.

განსაკუთრებით, ეს ეხება ზოომორფულყურთან და კანელურებიან ჭურჭლებს. ტრადიცია ჭურჭლის ყურების ასეთი სახით შემკობისა უფრო ადრე პერიოდში ივარაუდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მასიური გავრცელება მან სწორედ ადრერკინის ხანაში მიიღო. ზოომორფული ყურები ხარის თავის სტილიზებულ გამოსახულებად არის მიჩნეული და მათი გამოყვანა ჭურჭლის ყურზე ავი თვალისაგან დაცვის მოტივით იყო განსაზღვრული (ნახუტაიშვილი, 1986:52).<sup>7</sup> ბობოყვათის დიუნური სადგომის ახლოს მდებარე ნამოსახლარების მასალა რომ მოვიშველიოთ, მსგავსი გაფორმების ყურები დასტურდება ციხისძირის IV ნამოსახლარის, ნამჭედურის III ფენისა და ჩოლოქისპირა ნამოსახლარის III ფენაში. ეს ფენები დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით (Минкеладзе, Хахугანიшвили, 1985). კანელურებით გაფორმებული ჭურჭლებიც<sup>8</sup> დამახასიათებელია იგივე ფენებისათვის. ფართო კანელურებიანი ჭურჭლები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ჩნდებიან და რამდენიმე საუკუნის მანძილზე განაგრძობენ არსებობას. მათი გავრცელების არეალი სამხრეთით ქოროხამდე აღწევს, ხოლო ჩრდილოეთით – სოხუმის მიდამოების ჩათვლით (ნახუტაიშვილი, 1986:51). ნიშანდობლივია, რომ კანელურებიანი ჭურჭლების კედლის ფრაგმენტები მიკვლეულია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული რკინის სადნობი სახელოსნო "შზიანი I"-ის გათხრების დროს. იქვე აღმოჩნდა ზოომორფული ყურის მსგავსი ნიმუშიც. „შზიანი III-1“-ში დასტურდება ბობოყვათის დერგების მსგავსი კერამიკა და რკალისებურად მოხრილი ყურები (Хахугანიшвили, 1987: 126, рис. 35). დერგების

<sup>7</sup> თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ბობოყვათის კერამიკის ცალკეულ ნიმუშზე, რქებზე უფრო დაცქვეტილი ყურები უნდა იყოს გამოძეწნილი.

<sup>8</sup> კანელურები სილამა ზესთან ერთად სიმტკიცესაც მატებდნენ ჭურჭლებს

შემკულობა პორიზონტალური ღარებითა და ღარებითვე შედგენილი ბადისებური ნახატით ასევე დამახასიათებელია ადრერკინის ხანის ნამოსახლარებისათვის. ის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხია ზღვისპირა სადგომების სამეურნეო და სამზარეულო ქურჭლების გაფორმების თვალსაზრისით (ეს უფრო ეხება პორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეულ ბადისებურ ორნამენტს). სამწუხაროდ, ვერ მივაგენით ზუსტ ანალოგს კანელურებიანი პითოსისა, სადაც შემკობის მთელი გამაა წარმოდგენილი: პორიზონტალური ღარები, ბადისებრი ორნამენტი, ფოსოებით შედგენილი წრიული სარტყელი, ვერტიკალური კანელურები. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენებში (ანაკლია, ნოსირი, ნამჭედური, ჩოლოქი და სხვ.) ფართოდაა წარმოდგენილი ბობოყვათის პითოსების მსგავსი კონცენტრული წრეებით შემკული ქურჭლები.

ბობოყვათის დიუნურ სადგომზე აღმოჩენილი საყოფაცხოვრებო კერამიკა, მთლიანობაში იმეორებს ანალოგიური ტიპის ძეგლებზე მოპოვებულ კერამიკულ ნამუშებს (ფიჭვნარი, ოჩამჩირე, ჩაქვი და სხვა). ჩვენ ვცადეთ ბობოყვათის დიუნის საყოფაცხოვრებო კერამიკის შედარება ფიჭვნარის დიუნის მასალებთან (რადგან ვთვლით, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე მრავალფეროვანი მასალის შემცველია, საფუძვლიანადაა შესწავლილი და ამდენად, დიუნურ სადგომებთან მიმართებაში ეტალონური ძეგლია) და ასეთი დასკვნა გავაკეთეთ: ბობოყვათის დიუნის კერამიკული მასალა ფიჭვნარის სადგომის III ფენაზე ადრინდელი არ ჩანს. ბობოყვათის სუფრის ქურჭლისათვის დამახასიათებელია გოფირებულყელიანი დოქები, რომელიც ფიჭვნარში III ფენაში ჩნდება. ბობოყვათის კერამიკისათვის უცხოა მაღალყელიანი კონუსისებრძირიანი და ტალღისებურორნამენტიანი კერამიკა, რომელიც უხვადაა წარმოდგენილი ფიჭვნარის ქვედა (IV-V-VI) ფენებში. ფიჭვნარის დიუნაზე III ფენიდან ჩნდება „ქსოვილისანაბეჭდიანი“ კერამიკა, რომელიც არ არის დამახასიათებელი ბობოყვათის დიუნური სადგომისათვის. და ბოლოს, რქისებრი სადგრებისაგან შედგენილი სამსხვერპლოები მიკვლეულია ფიჭვნარის დიუნის ზედა ფენებში. ამ და სხვა მონაცემების მიხედვით, ვთვლით, რომ ბობოყვათის დიუნური სადგომის ფუნქციონირების პერიოდი ძვ. წ. VIIIს. ბოლოთი და VIIIს. I ნახევრით უნდა განისაზღვროს.

## თავი მეექვსე

### ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ

საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზინულებზე დღემდე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევის მიუხედავად, ჯერჯერობით, აზრთა სხვადასხვაობაა ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის ფუნქციონალური დანიშნულების თაობაზე, რაც იწვევს მკვლევართა მიერ ზღვისპირა სადგომების ხასიათის შესაძლოა ორიგინალურ, მაგრამ განსხვავებულ ინტერპრეტაციას.

პირველად, მოსაზრება ზღვისპირა სადგომების ხასიათის თაობაზე, ლ. სოლოვიოვმა გამოთქვა (Соловьев, 1947:23-50). ქვიშაზინულებზე მიკვლეული ნაშთები მან ადამიანთა სეზონური საქმიანობის კვალად მიიჩნია, ხოლო წარმოების ხასიათი ზღვის წყლიდან მარილის მოპოვებას დაუკავშირა. საკუთრივ ეს პროცესი ლ. სოლოვიოვს ორ ეტაპად ჰქონდა წარმოდგენილი:

1. ქვიშაზინულების ზღვის სანინალმდეგო მხარის დაბალი დონე შესაძლებლობას იძლეოდა სასურველ ადგილებში გაჭრილიყო ზინული და შტორმის შემთხვევაში ზღვის წყალი მოხვედრილიყო ქვიშაზინულების უკან, სპეციალურად მოწყობილ აუზებში. ამ აუზებში, ბუნებრივი აორთქლების შედეგად, ქვიშაზე დაილექებოდა მარილის ნაერთი;

2. მიღებულ მარილის ნაერთს ხარშავდნენ ცეცხლზე, ქსოვილისანაბეჭდიან აბაზანებში. ამ უკანასკნელთა ცეცხლზე შესამაგრებლად გამოიყენებოდა თიხის რქისებრშვერილიანი სადგრები, რომლებიც მრავლად იყო წარმოდგენილი ზღვისპირა სადგომებზე.

მეორე ეტაპის სხვა ვარიანტით, ქსოვილისანაბეჭდიან აბაზანებს მოათავსებდნენ ქვიშნარ გრუნტში, ჩაასხამდნენ მასში მარილის ნაერთს, შემდეგ აბაზანებში ჩაყრიდნენ ცეცხლზე გავარვარებულ ზღვის კენჭებს, რაც ხელს შეუწყობდა ზღვის წყლის აორთქლების პროცესს (Соловьев, 1950:282-283).

ლ. სოლოვიოვის აზრით, ასეთი გზით მოპოვებული მარილი, ჯერ ერთი, დააკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებას და ასევე, გახდებოდა ვაჭრობის საგანი. სადგომების ფუნქციონირების შეწყვეტას მკვლევარი ხსნის ბაზარზე უფრო იაფი

თავრიდული მარილის გამოჩენით (Соловьев, 1950:284).

თავის დროზე, ლ. სოლოვიოვის მოსაზრება გაიზიარეს ბ. კუფტინმა და მ. თრაფშმა, ნაწილობრივ ნ. ხოშტარიამ (Куфтин, 1950:274 და შემდ. Транш, 1958:185 და შემდ. Хоштария, 1955:25 და შემდ). არსებითად, ეს ვარაუდი მისაღები იყო იმ მკვლევართვისაც, რომლებიც მხოლოდ გაკვრით ეხებოდნენ დიუნური სადგომების საკითხს (Дундзария, 1958:132-133, Ачбадзе, 1964:96; Бжания, 1966:113-116). დიუნური სადგომების შესწავლის კვალობაზე, გარკვეულად ეჭვის ქვეშ დადგა ლ. სოლოვიოვის ზოგიერთი არგუმენტის მართებულობა (Рамшвили, 1975). თუმცა, მოგვიანო გამოკვლევებშიც კი, სადაც ასევე გაკვრით ეხებიან ზღვისპირა სადგომებს საკითხს, ცალკეული გამოწკლისის გარდა, ფაქტობრივად, უკრიტიკოდ იყო მიღებული სოლოვიოვის მიერ შემოთავაზებული დასკვნები და მოსაზრებები (Цвицария, 1978:42; Воронов, 1980:29; Шамба, 1984:76).

ახალი მონაცემების საფუძველზე, ჩვენ შევეცდებით წარმოვანინოთ ქვიშაზვინულებზე მარილის მოპოვების პროცესის რეკონსტრუქციის სოლოვიოვის მიერ შემოთავაზებული ვარიანტების მისაღები და მიუღებელი მხარეები. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეულწილად, სოლოვიოვის ვარაუდის საწინააღმდეგოდ ადრე გამოთქმული მოსაზრებების გამოორებაც მოგვიწევს, მით უმეტეს, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილობითი წყაროები ზღვის წყლიდან მარილის მოპოვების უძველესი ტექნოლოგიის თაობაზე, ძალზე მცირეა. ცნობილია, რომ ძველი ჩინელები და ინდოელები მარილის მოპოვების შემდეგ ხერხს მიმართავდნენ: თავდაპირველად, ხის მორებს ჩაანყობდნენ ზღვის ნაპირზე. გარკვეული ხნის შემდეგ, წყლით გაჟღენთილ მორებს გამოაშრობდნენ მზეზე, სულ ბოლოს კი, გამომშრალ მორებს მოაცილებდნენ მარილის თხელ ფენას (Лепешков, Розен, 1972: 27). Rutilius Numantius (ახ. წ. V ს.) თანახმად, იტალიის სანაპიროებზე, არხების საშუალებით ზღვას უკეთებდნენ ვიწრო გამოსასვლელებს, საიდანაც ზღვის წყალი ჩაედინებოდა სპეციალურად მოწყობილ აუზებში. ცხელ სეზონში გამოსასვლელები იკეტებოდა და აუზებში წყალი ბუნებრივად ორთქლდებოდა. XV საუკუნეში, კესლერმა დაადასტურა მარილის მოპოვების მსგავსი

მეთოდი სერბიაში. მოგზაურის ჩანაწერებში ხაზგასმულია, რომ ამ პროცესს ადგილი ჰქონდა ზაფხულის ცხელ თვეებში (Munlauf, 1978: 21).

ზემოთ აღწერილი ტექნოლოგიური პროცესის (ბუნებრივი აორთქლების გზით) მსგავსია მეთოდი, რომელსაც ძველ ჩინეთსა და ინდოეთში მიმართავდნენ. ზღვის სანაპიროსაგან ცოტა მოშორებით, მიწის მცირე ფართობზე (500-600კვ.მ), ამზადებდნენ აუზებს. გაზაფხულსა და შემოდგომაზე (როგორც მიუთითებენ, ზაფხული ამ ზონაში ნვიმიანი იყო), შერჩეულ ფართობზე ვედროებით მოასხამდნენ ზღვის წყალს, რომელიც თანდათანობით იწრიტებოდა აუზებში. გარკვეული დროის შემდეგ, ისევ იღებდნენ აუზებიდან წყალს და კვლავ მოასხამდნენ იგივე ფართობზე. ასე აკეთებდნენ რამდენიმეჯერ, ზღვის წყლის სრულ აორთქლებამდე. 5-6 დღის შემდეგ მარილით გამდიდრებულ 4-5სმ-იან მიწის ფენას გარეცხავდნენ ზღვის წყლით. მიღებულ მარილწყალს ხარშავდნენ ტაფებზე და ლებულ-ობდნენ სუფთა მარილს (Лепешков, Розен, 1972:28).

კიდევ ერთი მეთოდის შესახებ, რომელსაც ძველი ჩინელები ზღვის წყლიდან მარილის მოსაპოვებლად მიმართავდნენ. ისინი ზღვის ნაპირთან თხრიდნენ დიდ ორმოებს, რომლებსაც აფარებდნენ ლერწმის ტოტებს, ზემოდან კიდევ აყრიდნენ ქვიშას. მოქცევის დროს, ზღვა ავსებდა ორმოებს, ლერწამი და ქვიშა კი ერთგვარი ფილტრის ფუნქციას ასრულებდა. ზღვის მიქცევის შემდეგ, იღებდნენ ორმოებიდან ქვიშას და ამრობდნენ საგანგებოდ მზეზე დატოვებულ სპეციალურ ჭურჭლებში. როგორც მიუთითებენ, ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო, მაგრამ ამ დროის მანძილზე, ანაერობული მიკრობები, რომლებიც მრავლად იყო ზღვის წყალში, ახერხებდნენ გადაექციად კალციუმის სულფატი კალციუმის სულფიტად, რომელიც "შავი თოვლწყაპის" სახით იღებებოდა ჭურჭლების ფსკერზე, რაც აადვილებდა მის გამოორჩევას სუფთა მარილისაგან (Ермеев, 2003; Ковалевский, 1983:6-7).

ევროპაში მარილის მოპოვების ერთ-ერთ უძველეს ხერხს წარმოადგენდა ზღვის წყლის კერამიკულ ჭურჭლებში გამოხარშვა. ამისათვის გამოიყენებოდა სპეციალური ოთხკუთხა ჭურჭლები. ჯ. ნენქუინის მიერ რეკონსტრუირებული მარილის მიღების პროცესის

მსგავსია სურათი, რომელიც 1705 წელს გვინეის სანაპიროზე აღწერა ბოსმანმა: ყურებიან ქოთნებს (ათ-თორმეტ ცალს) დაალაგებდნენ ორ რიგად და თიხით მიაკრავდნენ ერთმანეთს. შემდეგ, მარილწყლით შევსებულ ქოთნებს, გვერდებიდან ცეცხლს შეუნითებდნენ და ასე ტოვებდნენ წყლის სრულ აორთქლებამდე (Munlauf, 1978:21).

ბ. პოლი ასე აღწერს ზღვის წყლიდან მარილის მოპოვების სურათს აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, ლიკეის კუნძულებზე: „...ზღვის ნაპირთან მოწყობილია დიდი მოედნები, რომელთა ზედაპირი გულმოდგინედ დატკეპნილია და დაფარულია ქვიშის თხელი ფენით. ქვიშის მოსასწორებლად იყენებენ ფოცხებს, სახოკებს და ა.შ. დიდი სიცხის დროს, მამაკაცებს დიდი კასრებით მოაქვთ ზღვის წყალი და პატარა ჩამჩებით ასხამენ ამ მოედნებზე. წყალი, მზის მოქმედების შედეგად, ორთქლდება, რის შემდეგაც დარჩენილ მარილს ქვიშასთან ერთად თავს უყრიან სპეციალურ ქვის ჭურჭლებში...ამ ჭურჭლებში კვლავ ასხამენ ზღვის წყალს, რომელიც შეინოვს მარილს და გამოედინება ჭურჭლების ძირში მოწყობილ ნახვრეტიდან გაჯერებული ხსნარის სახით...“ (Гончаров, 1997:494).

ლ. სოლოვიოვი თავის ნაშრომში იმონებს გერმანელ ეთნოგრაფსა და ისტორიკოსს კარლ ვეილეს, რომელსაც სამხრეთ აფრიკული მასასის ტომის ყოფა აქვს აღწერილი. ისინი მარილის მისაღებად (მარილწყლის გამოსახარშად) იყენებდნენ სამკუთხა ფორმის კონუსისებრძირიან თიხის ჭურჭლებს, რომლებსაც ცეცხლზე სადგრებით ამაგრებდნენ (Weule, 1912:106, taf.104) (ტაბულა 15).

ლ. სოლოვიოვს მოაქვს სტრაბონის ცნობა დიოსკურიასში მარილით ვაჭრობის თაობაზე (ყაუხჩიშვილი, 1957:126), თუმცა, საკუთარი ინტერპრეტაციით, სავაჭრო მარილს ადგილობრივ ნაწარმად წარმოაჩენს (Соловьев, 1950:284).<sup>1</sup>

გ. ძიძარია, ეყრდნობა რა აფხაზეთის ეთნოგრაფიულ მასალას, ადასტურებს, რომ XIX საუკუნეში, აფხაზეთის სანაპიროზე სოფ-

<sup>1</sup> ბ. კუფტინი მართებულად აღნიშნავს, რომ ეს მარილი შემოტანილი უნდა ყოფილიყო ან ყირიმიდან, ან ოლთისის მხარის მთა ყორყარის ბუდობებიდან ((Кыфтин, 1950:288). პროკოპი კესარიელს თუ დავიმონებთ: „...ლაზიკეში არსად არ არის მარილი...ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავეებით რომელთა ნაპირებიდან“ (გეორგიკა, 1965:96).

ელ ადზიბუას მცხოვრებნი, ქვიშაზვინულების უკან ამზადებდნენ სპეციალურ აუზებს, სადაც ღელეების დროს ზღვის წყალს აგროვებდნენ. ბუნებრივი აორთქლების შემდეგ, დარჩენილ მარილწყალს იქვე ცეცხლზე გამოხარშავდნენ, საბოლოოდ კი უკვე სახლებში, ფართო ფიცრებზე, ამრობდნენ (Дюмазария, 1958:132-133).<sup>2</sup>

ზემოთ მოტანილი მცირე მასალიდან ჩანს, რომ ზღვის წყლიდან მარილის მოპოვების ტრადიციას სხვადასხვა ხალხებში დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ალბათ, რეალურ საფუძვლს არ უნდა იყოს მოკლებული ვარაუდი, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც არსებობდა პირობები მეურნეობის აღნიშნული დარგის ადრეულ პერიოდშივე ჩასახვა-განვითარებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლ. სოლოვიოვის ვერსია ქვიშაზვინულებზე მარილის მოპოვების შესაძლებლობის თაობაზე, არ არის მხოლოდ მკვლევრის ფანტაზიის ნაყოფი და მას გარკვეული ისტორიული და მატერიალური საფუძველიც ეძებნება.

შედარებით რთულია, ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილი სადგომებისათვის შერჩეული ადგილების რელევანტურობის, ძეგლების სტრატეგრაფიისა და თანმხლები არქეოლოგიური მასალის დაკავშირება მარილის მოპოვების პროცესის ლ. სოლოვიოვის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებთან.

რატომ ვამახვილებთ ყურადღებას ადგილმდებარეობის რელევანტურობაზე? საქმე იმაში გახლავთ, რომ ქვიშაზვინულების გათხრების პროცესში გარკვეული კანონზომიერებები დადგინდა. როგორც ნესი, სადგომების ნაშთები ძირითადად ფიქსირდება მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილას (Рамонивили, 1971:27). როგორც ჩანს, მტკნარი წყლის სიახლოვე აქ მოსულთა საქმიანობისათვის ერთგვარ აუცილებლობას წარმოადგენდა, რასაც, ვფიქრობთ, მარილის მოპოვების პროცესისათვის არსებითი მნიშვნელობა არ

<sup>2</sup> იტალიელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო დე ლუკა, რომელმაც 1630 წელს იმოგზაურა საქართველოში, წერს: "...აფხაზები გაფანტული არიან ზღვის სანაპიროზე, მათი ცხოვრების წესი იგეთივეა, როგორც ჩერქეზებისა...ისინი კმაყოფილდებიან თაფლისაგან გაკეთებული ღვინოთი და ტყეში გაზრდილი ნაყოფით...ხორობალი აქ არ მოდის. მარილს აქ არ ხმარობენ" (ტაბალუა, 1987:169-171).

უნდა პქონოდა. ალბათ, უფრო პირიქით, რადგან, ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ზღვის წყლებში მარილის შემცველობა ყველაზე დაბალი სწორედ იმ ადგილებშია, სადაც დიდი თუ პატარა მდინარეების ზღვასთან შეერთება ხდება (Chemical and Technical Services, 1972:22; Кернштейн, 1964 : 22-23).

ამ კონტექსტშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზღვის წყლიდან მარილის აორთქლების გზით მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა ცხელი კლიმატი და მშრალი ქარები.<sup>3</sup> ამ პროცესის ჯეროვნად წარმართვისათვის, ზღვის სიახლოვისა და მშრალქარიანი ცხელი კლიმატის გარდა, გასათვალისწინებელია კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ: ასაორთქლებელი აუზების გრუნტის სუსტი წყალგამტარიანობა; ფართო მოედნების არსებობა დაბლობ ზონაში, რომლებიც, თავის მხრივ, განთავსებული უნდა იყოს ან ზღვის დონეზე, ან უნდა ირეცხებოდეს ზღვის მოქცევით; ნალექების მცირე რაოდენობა აორთქლებისათვის განსაზღვრულ თვეებში; მდინარეული მტკნარი წყლის განმაზავებელი გავლენის არ არსებობა და ა.შ. (Mepo, 1965).

თუ ამ წინაპირობებს გავითვალისწინებთ, მაშინ, საქართველოს ზღვისპირა ზოლი არცთუ მოსახერხებელი ჩანს მარილის მოპოვების საწარმოო პროცესის ინტენსიურად წარმართვისათვის. დამატებით, თუ ყურადღებას მტკნარი წყლის სიახლოვის მიზანშეუწონლობაზეც გავამახვილებთ, მაშინ სადგომებისათვის შერჩეული ადგილები (მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილას) კიდევ უფრო საეჭვოს ხდის წარმოების პროდუქტიულობას.

რაც შეეხება დიუნური სადგომების სტრატეგრაფიისა და მარილის მოპოვების ვერსიის შესაბამისობას.

ლ. სოლოვიოვს, თავის დროზე, არ ჩაუტარებია ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები. შესაძლოა, არქეოლოგიური მასალის სიმცირემ და სამუშაოთა მასშტაბმა, საშუალება არ მისცა

<sup>3</sup> ექსპერიმენტულად დადასტურებულია - ზემოთაღნიშნული ტიპის ღია აუზებში წყლის ბუნებრივი აორთქლებისათვის ჰაერის მინიმალური ტემპერატურა 25° უნდა შეადგენდეს (Venkatesh Manar, Bradley, 1984:34).

მკვლევარს კრიტიკულად შეეფასებინა საკითხი სადგომების სტრატეგრაფიული თავისებურებისა.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში, სოლოვიოვის მოსაზრებებთან დაკავშირებით, ა. რამიშვილს გაუჩნდა რამოდენიმე კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა, ალბათ უფრო და დამაჯერებელს გახდოდა სოლოვიოვის ვერსიის მართებულობას (Памятник, 1975:136-144). მოგვიანებით, ა. რამიშვილთან ერთად, ჩვენც გაგვიჩინდა კითხვები სადგომების სტრატეგრაფიასთან, ადგილმდებარეობასთან და "აბაზანებთან" დაკავშირებით, რომლებიც, საბოლოოდ, ასე (თემის მიხედვით ცალ-ცალკე) ჩამოვაყალიბეთ:

1. რატომ არის შერჩეული სადგომებისათვის მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილი, სადაც მარილის ნაკლები კონცენტრაციაა?

2. რატომ მონაცვლეობს სადგომები ზღვის სანაპიროს გასწვრივ? (მარილის კონცენტრაცია სანაპირო ზოლში სტაბილურია და საძიებო სამუშაოების ჩატარება თითქოს არ უნდა ყოფილიყო აუცილებელი);

3. როგორ უნდა მოხვედრილიყო (თუნდაც შტორმის შემთხვევაში) ფიჭვნარის სადგომებზე ქვიშაზვინულების გაქრის შედეგად ზღვის წყალი, როდესაც აქ, ზედა I-II დონეები ზღვის თანამედროვე ნიშნულიდანაც კი 7-8 მეტრით ზემოთაა განლაგებული? (Памятник, 1971:27). თუ იმისაც გავითვალისწინებთ, რომ დიუნური სადგომების ფუნქციონირების ისტორიულ პერიოდში, ზღვის დონე, თანამედროვე ნიშნულთან შედარებით 5 მეტრით (ზოგი მკვლევარის აზრით - უფრო მეტით) დაბლა იყო დანეული. ე.ი. ტალღა უნდა აზვირთებულიყო მინიმუმ 13 (5+8) მეტრ სიმაღლეზე.<sup>4</sup> შეგვიძლია კითხვა ასეთი სახითაც ჩამოვაყალიბოთ: მხოლოდ ზღვის შტორმის (ინტენსივობის) იმედზე იგეგმებოდა ქვიშაზვინულებზე მარილის მოპოვების სანარმოო პროცესი?

<sup>4</sup> ალბათ, ამ პრობლემის გააზრებისათვის, სადგომების ადგილმდებარეობაც უნდა გავითვალისწინოთ. ნ. ხომტარია მიუთითებს, რომ სადგომები, ფუნქციონირების პერიოდში, ათეულობით მეტრის მანძილზე მაინც უნდა ყოფილიყო ზღვისგან დაშორებული (Хомтария, 1955:30).

ეს კითხვები, რომლებიც სადგომების სტრატეგიაშია ეხება, კვლავაც ღია რჩება. რასაკვირველია, ქვიშაზვინულებზე სადგომების მიკვლევის ფაქტი, სადგომების სიახლოვე ზღვასთან, თანმხლები სპეციფიკური კერამიკული მასალა, თავისთავად ბადებს ეჭვს ზღვის წყლიდან მარილის მოპოვების წარმოების შესაძლო არსებობის თაობაზე, თუმცა, ისიც ბუნებრივად გვეჩვენება, რომ გაჩენილ კითხვებსაც უნდა გაეცეს არგუმენტირებული პასუხი.

ვაგრძელებთ რა სოლოვიოვის ვერსიის განხილვას, ვისაუბროთ მარილის გამოხდის პროცესში ქსოვილისანაბეჭდიანი, ან სადაზუდაპირიანი აბაზანების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ვიმეორებთ, რომ მარილის მოპოვების ვერსიის მომხრეთა მიერ, აღნიშნული ჭურჭლები ერთხმად და უკრიტიკიდაა მიჩნეული ამ პროცესის ძირითად და განმსაზღვრელ ატრიბუტად.

როგორც აღენიშნეთ, ზღვისპირა სადგომებზე დიდი ზომის თიხის ჭურჭლების ორი ტიპია დადასტურებული: ნაგრძელებული ოთხკუთხა ფორმის ქსოვილისანაბეჭდიანი და სადაზუდაპირიანი აბაზანები. ეს უკანასკნელი ლ. სოლოვიოვმა უყურადღებოდ დატოვა, თუმცა, უკლებლივ ყველა ძეგლზე ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. საქმე იმაში გახლავთ, რომ სოლოვიოვის ვერსიის თანახმად, მარილის მეორადი გამოხარშვა უნდა მომხდარიყო კერამიკულ ჭურჭელში, რომლებიც ცეცხლზე თიხის სადგრებით იქნებოდა შემაგრებული. თუკი ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლის მეტნაკლებად პროფილირებული პირი, თითქოს, იძლევა საშუალებას ჭურჭლების სადგრებზე შესამაგრებლად, ასეთივე ხერხის გამოყენება პრაქტიკულად წარმოუდგენელია სადაზუდაპირიან აბაზანებთან მიმართებით, რადგან მათ გამოყოფილი პირი არ გააჩნიათ. შესაბამისად, თუ სოლოვიოვის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ბოზოყვათისა და ციხისძირის დიუნური სადგომების ხასიათის დაკავშირება მარილის მოპოვების პროცესთან გავვიძნელდება, ვინაიდან აღნიშნულ სადგომებზე არ აღმოჩნდა ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა, მაშინ როდესაც მრავლადაა მიკვლეული აბაზანისმაგვარი ჭურჭლებიცა და თიხის რქისებრი სადგრებიც. ალბათ, არც ფიჭვნარის სადგომზე უნდა იყვნენ მოგვიანო პერიოდში მარილის მოპოვებით დაკავებულნი, რადგან ფიჭვნარის სადგომის ზედა ფენებში არ დასტურდება ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა. ობიექტურობა მოით-

ოვს აღინიშნოს, რომ ლ. სოლოვიოვს სადგრის მთლიანი ნიმუში არ ჰქონია, რომ კონკრეტული პროცესისათვის სადგრებისა და ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების ზომების შესაბამისობა დაედგინა. მოგვიანებით, დიუნურ სადგომებზე სადგრების მთლიანი ნიმუშების მიკვლევამ ცხადი გახადა მარილის ხარშვის პროცესში მათი გამოყენების არაპრაქტიკულობა (Рамншвили<sup>1</sup>, 1975:143).

ზღვისპირა სადგომებზე აღმოჩენილ ქსოვილისანაბეჭდიან და სადაზედაპირიან აბაზანებზე (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ცნობას აღმოჩენის კონკრეტული ადგილის მითითების გარეშე) (Очерки истории Абхазской АССР, 1960:17),<sup>5</sup> არ დასტურდება მეორადი გამოწვის კვალი, რაც, ბუნებრივია, დარჩებოდა ამ ჭურჭლების ცეცხლზე გამოყენების შემთხვევაში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კიდევ ორი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი:

1. თუ სადგრებით ცეცხლზე შემაგრებულ ქსოვილისანაბეჭდიან აბაზანებში ხდებოდა მარილით გაჯერებული ზღვის წყლის აორთქლება, მაშინ რატომ არ იკითხება დღემდე მოპოვებულ აბაზანების ფრაგმენტებზე მეორადი გამოწვის კვალი?<sup>6</sup>

2. თუ მხოლოდ ქსოვილისანაბეჭდიანი აბაზანების პარამეტრები მიესადაგება მარილის გამოხდის სოლოვიოვის მიერ რეკონსტრუირებულ პროცესს, მაშინ, რითი იყვნენ დაკავებულნი ბოზოყათის, ციხისძირის, ფიჭვნარის (მოგვიანო პერიოდის) სადგომებზე, სადაც ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა არ არის მიკვლეული?

და ბოლოს, ქსოვილისანაბეჭდიან ჭურჭლებთან დაკავშირებით, კიდევ ერთ კითხვაზე დაგვრჩება პასუხი გასაცემი: თუ ქსოვილისანაბეჭდიან აბაზანებს მოვიაზრებთ ზღვის წყლიდან მარილის გამოხარშვისთვის დამზადებულ ჭურჭლებად, მაშინ, რისთვის მოიხ-

<sup>5</sup> ეს თავი დანერვილია მ. თრაფშის მიერ.

<sup>6</sup> შესაძლოა, აქვე, ლ. სოლოვიოვის მარილის მოპოვების მეორე ვარიანტიც გაგვეზილა, რაც მარილწყლით შევსებულ ჭურჭლებში აორთქლების პროცესის დამწარებისათვის ცეცხლზე გაავარდებული კენჭების გამოყენებას (ჭურჭლებში ჩაყრას) გულისხმობს. ჩვენი აზრით, მარილის მოპოვების შემოთავაზებული ნაკლებად არგუმენტირებულია, ამიტომ, მასზე ვრცელად არ შევჩერდებით.

მარდნენ ამ ჭურჭლებს სანაპიროდან რამოდენიმე კილომეტრით დაშორებულ უბნებზე?

საქმე იმაში გახლავთ, რომ სოფ. გუდავას მიდამოებში (მდ. ერისწყლის მარცხენა ნაპირთან) არსებულ ბორცვზე, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თიხის რქისებრშვერილიანი სადგურები და ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა იყო მიკვლეული. ამ ძეგლზე, ვრცელი თიხნარი ველის არსებობა (რაც ზღვური დანატოვარი არ არის) მონიშნავს, რომ ეს ტერიტორია, ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების მოხმარების პერიოდში, საკმაო მანძილით იყო დაშორებული ზღვის ნაპირიდან. შესაბამისად, ამ უბანზე ზღვის წყლიდან მარილის მოპოვებაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, არ უნდა იყოს მართებული და დამაჯერებელი.

როგორც ვხედავთ, მოსაზრებას ზღვისპირა სადგომებზე მარილის მოპოვების თაობაზე, ბევრი შეუსწავლელი მხარე გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასმული კითხვების ნაწილი საკმაო ხნის წინ გამოითქვა, მათი კრიტიკული შეფასების მცდელობა, ჯერჯერობით, არ ყოფილა. ჩვენი მხრივ კი აღვნიშნავდით, რომ ლ. სოლოვიოვის ვერსია დიუნურ სადგომებზე მარილის სარეწების არსებობის თაობაზე, ნამდვილად საინტერესოა და არც გარკვეულ საფუძველსაა მოკლებული. მაგრამ, ჯერჯერობით, საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულების არქეოლოგიური მასალა არ იძლევა მყარ საფუძველს, რომ ქვიშაზვინულებზე მიმდინარე პროცესი მარილის მოპოვება-დამუშავებას დავეუკავშიროთ.

ზღვისპირა სადგომების ხასიათი, სხვა მოსაზრებით, მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება-დამუშავებას უკავშირდება. 1950 წელს, ურეკის გათხრებისადმი მიძღვნილ ნაშრომში, ნ. ხოშტარიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა, ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე ადგილობრივი მოსახლეობა მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებით ყოფილიყვნენ დაკავებულნი.<sup>7</sup> სამწუხა-

<sup>7</sup> „...მადნის წყაროდ ზემოთ დასახელებული ლუმელებისათვის შეიძლებადა ყოფილიყო მაგნეტიტი, რომელსაც შეიცავდა მდინარეების ნატანების, ბჟუუისა და მათი შენაკადების მიერ ჩამოტანილი სილები, რაც კარგად დასტურდება სილასთან მაგნეტიტის უბრალო მიახლოებით... საეხებით შესაძლებელია, რომ მაგნეტიტური რკინა, რომელიც ქვიშისაგან მიიღებოდა, იყო პირველი რკინა, რომელიც დასამუშავებლად იყო გამოყენებული. მაგ-

როდ, ამ საკითხს მკვლევარი შემდეგში არ შეხებია. ნ. ხოშტარიას მოსაზრება გაიზიარა ი. გძელიშვილმა (Гзелишвили, 1964<sup>1</sup>:52; 1964<sup>2</sup>: 32). XX საუკუნის 60-იან წლებში, ა. რამიშვილი, ფიჭვნარისა და ჩაქვის ქვიშაზვინულების შესწავლის საფუძველზე, შეეცადა ახლებურად დაესაბუთებინა ზღვისპირა სადგომების კავშირი მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება-დამუშავებასთან.

ა. რამიშვილის აზრით, დიუნური სადგომების განლაგება ზღვის სიახლოვეს სანაპირო ქვიშების დამუშავებით იყო განპირობებული. ეს პროცესი მკვლევარს შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი: მაგნეტიტური ქვიშით შევსებულ და ქვიშნარ გრუნტში მყარად მოთავსებულ ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლებში მიუშვებდნენ მტკნარ წყალს. შედარებით მსუბუქი მინარეები დინებას გადაყვებოდა, ხოლო უფრო მძიმე მაგნეტიტის მარცვლები, ჭურჭლის ფსკერზე დაილექებოდა.

ფლოტაციის მეთოდის გამოყენების მიზნით, უფრო გასაგები ხდება აუცილებლობა სადგომების მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილას მონყობისა (Рамшвили<sup>1</sup>, 1975 :42). ა. რამიშვილის აზრით, როდესაც ინტენსიური სამუშაოების შედეგად შერჩეულ ადგილს მაგნეტიტური ქვიშების მარაგი მოაკლდებოდა, საჭიროება მოითხოვდა მაგნეტიტით უფრო მდიდარი მეზობელი ნაკვეთებისაკენ გადაადგილებას. გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც ზღვა შეავსებდა მოკლებულ მარაგს, შესაძლებლობა იქმნებოდა ძველ ადგილებზე დაბრუნებისა და სამუშაოების განახლებისა. ამ გარემოებით ხსნის მკვლევარი სადგომების მიმობნევის სანაპიროს გასწვრივ და კულტურულ ფენებს შორის სტერილური შრეების არსებობას (Рамшвили, 1971:26-27).

ამ მოსაზრების თაობაზე, ცოტა ქვევით ვისაუბრებთ.

ზღვისპირა სადგომების ხასიათის შესახებ განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ა. კახიძეს. ის თვლის, რომ ქვიშაზვინ-

---

ნეტიტური რკინის მაღალი ლირსება, მისი მადნის, თანაც წერილად დაქუცმაცებულ მდგომარეობაში, მინის ზედაპირზე არსებობა, ათავისუფლებდა ადგილობრივ მოსახლეობას იმ მძიმე შრომისაგან, რაც მადნის მოპოვებისას მაღაროებში იყო .." (Хоштариа, 1955:28-30).

ულებზე შემორჩენილ ნაშთებში, საქართველოს ზღვისპირეთის მინ-ათმოქმედი და მეტალურგი ტომების სულიერი კულტურის მძლავრი დანაშრევები უნდა დავინახოთ. მკვლევრის აზრით, ქვიშაზვინულე-ბი ნარმოადგენდა საერთო სატომო-საგვარეულო ადგილებს, სადაც ნელინადის გარკვეულ დროს სრულდებოდა ხარისა თუ სელის კულ-ტთან, ან ზღვის ღვთაებასთან დაკავშირებული ცერემონიალები (კახიძე, 1971:103).

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიუნურ სადგომებზე კულ-ტმსახურებას ჩვენ განვიხილავთ, როგორც დამატებით, თუმცა აუ-ცილებელ პროცესს ძირითად საქმიანობაში სიუხვის უზრუნველსა-ყოფად. რასაკვირველია, აბაზანების დამზადებისა და გამონვის ხა-რისხი ზღუდავს მისი გამოყენების ფარგლებს, მაგრამ თვით ჭურ-ჭლის ფორმაც ხომ უნდა იყოს კულტის ხასიათთან, ან ცერემონიალ-ის არსთან გარკვეულ კავშირში? დღეს, სადავო აღარ არის, რომ აბ-აზანები სპეციალურად მზადდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავ-სი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი არ დასტურდება არცერთ ნამოსახ-ლარზე, რომელიც სადგომის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსე-ბული. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა მიანიშნებს აბაზანების საკუ-ლტო ხასიათზე? იქნებ ფორმა, იქნებ შემკულობა, ან იქნებ ტრადი-ცია ადრეულ, ან მოგვიანო პერიოდში მსგავსი ჭურჭლებით კულტმ-სახურების აღსრულებისა? ან, რომელ კულტზეა საუბარი, როდესაც სადგომების გავრცელების მიხედვით, ალბათ ეს კულტი თაყვან-საცემია მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჩვენ კი არც მატე-რიალური და არც ზეპირი გადმოცემა არ შემოგვენახა მასთან დაკა-ვშირებული სანესო რიტუალების შესახებ. ამიტომ ვთვლით, რომ ქსოვილისანაბეჭდიანი თუ სადაზედაპირიანი აბაზანების სიმრავლე უფრო მათ სამეურნეო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს, ვიდრე საკულტო ხასიათზე.<sup>8</sup>

ქ. მირიანაშვილი, თევ ზჭერის იარაღებისადმი მიძღვნილ სტა-ტიკაში, ცდილობს ზღვისპირა სადგომები მეთევ ზეთა დროებით სად-

<sup>8</sup> ა. კახიძე აღნიშნავს, რომ ქობულეთ-ფიჭვნარის მოსახლეობის მნიშვნე-ლოვანი ნაწილი დასაქმებული უნდა ყოფილიყო ზღვის სანაპიროზე მაგნე-ტიტური ქვიშების მოპოვება-გაუხვევით, თუმცა, არ მიუთითებს ამ ნარმოების ნაშთების შესახებ (Kakhidze, 1965:8,9).

გომებს დაუკავშიროს. მისი აზრით, ქსოვილისანაბედიანი და აბაზანისმაგვარი ჭურჭლები თევზის დამარილებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ავტორისავე მინიშნებით, ამ მოსაზრებას ამტკიცებს დიუნაზე ნაპოვნი თევზსაჭერი ბადის საძირაკები და დელფინის ძვლები (მირიანაშვილი, 197:98).

რა თქმა უნდა, ზღვისპირა ზოლის მცხოვრებთა კვების რაციონში, მით უმეტეს, საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე, თევზეულის წილი გამორჩეული იქნებოდა (Berg, 1984:91-102; Tannahill, 1973:61-69). ამდენად, დიუნურ სადგომებზე რომ მეთევზეობას მისდევდნენ, ეს საკამათო არ უნდა იყოს. თევზჭერის იარაღის ზემოთ ნახსენები ბადის ორმხრივამოლარული ქვის საძირაკების გარდა, ქვიშაზვინულზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ანკესებიც. მოუხედავად ამისა, მეთევზეობის მიჩნევა დიუნური სადგომების ფუნქციონირების განმსაზღვრელ პირობად არასწორად მიგვაჩნია<sup>9</sup>. ჯერ ერთი, აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება დიუნური სადგომების ტოპოგრაფია, ასევე, ქსოვილისანაბეჭდიანი და აბაზანისმაგვარი ჭურჭლების დეტალური ანალიზი. ჭურჭლების ფორმა კონკრეტულ მიზანს ემსახურება, რომელშიც თევზის დამარილებისათვის მოსახერხებელი დეტალის გამოყოფა ალბათ გავეჭვრიდება. არაფერს ვამბობთ იმის თაობაზე, რომ თევზით შევსებული ჭურჭლების ტრანსპორტირება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ამავე დროს, ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების გამოძერწვის პროცესში გამოყენებული ჩანს სხვადასხვა ტიპის ქსოვილები, მაშინ, როდესაც მეთევზეობის პრიორიტეტული როლის შემთხვევაში, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ბ. კუფტინი, იმავე ფუნქციას წარმატებით შეასრულებდა სათევზაო ბადის სხვადასხვა ზომის ნაჭრებიც კი (Куфтин, 1950:288).

ქ. მირიანაშვილი არაფერს ამბობს მარილის თაობაზე, რომელიც, ალბათ, დიდი რაოდენობით იქნებოდა საჭირო, შესაძლოა, ექსტენსიური, მაგრამ ფართო მასშტაბით მიმდინარე თევზის დამუშავების პროცესისათვის (Кыза, 1970:16). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დასავლეთ საქართველოში მარილის ბუდობები არ

<sup>9</sup> ამის თაობაზე ადრევე მოუთითებდნენ ლ. სოლოვიოვი, ბ. კუფტინი და ა. რამიშვილი.

არის დადასტურებული და ამდენად, ზღვისპირა სადგომებზე თევზის დამარილების წარმოების არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ იქვე, სოლოვიოვის ვერსიის თანახმად, მარილის მოპოვებასაც ექნებოდა ადგილი.

ანტიკურ ავტორებთან, რომლებსაც იმონმებს ქ. მირიანაშვილი, დაცულია ცნობები მეთევზეობის, თევზის ჯიშებისა და თევზის ქონის შენახვის ტრადიციაზე (Salonen, 1970). სწორედ მათზე დაყრდნობით აღვნიშნავდით, რომ პირველადი დამარილება ადრეულ პერიოდში ხის ჭურჭლებში ხდებოდა (Wing, Brown, 1979:95-101), ხოლო მოგვიანებით, სპეციალურად მონყობილ აბაზანებში (Мартин, 1941: 93-96; Шелов, 1975:42, таб.21).

რაც შეეხება დელფინის ძვლებს, რომლებიც თითქოს მიკვლეული იყო ზღვისპირა სადგომებზე. უნდა დავაზუსტოთ, რომ სპეციფიკური კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო, ქვიშაზვინულებზე ხისა და ძვლის ნაშთები არ შემორჩენილა. ფიჭვნარში (ნაშრომში ეს პუნქტი ფიგურირებს) აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა, მათ შორის დელფინის ძვლებიც, განეკუთვნება ზღვისაგან მეტნაკლებად მოშორებულ ნამოსახლარებს, სადაც თიხისა და ტორფის ფენებმა უზრუნველყო აღნიშნული მასალის საიმედო კონსერვაცია (ჩავლეიშვილი, 1987:28, ტაბ. XXIV).

ზღვისპირა სადგომების დანიშნულების თაობაზე გამოთქმული ბოლო მოსაზრება, გარკვეულად, კომპრომისული ხასიათისაა. ნ. ხახუტაიშვილი თვლის, რომ "...თუ საზოგადოების განვითარების ისტორიას გადავხედავთ და დიუნური დასახლებების საკითხსაც ამ კუთხით შევხედავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთის დიუნური დასახლებები საქმიანობის ამ სამივე სფეროს უკავშირდებოდნენ: კერძოდ, ისინი მარილსაც მოიპოვებდნენ, რკინისადნობი სახელოსნოებისათვის ნედლეულსაც ამზადებდნენ და სხვადასხვა საკულტო ცერემონიალსაც აღასრულებდნენ". არ არის გამორიცხული, მიუთითებს ავტორი, რომ საქმიანობის თითოეული ეს დარგი სეზონური იყო: კერძოდ, ზაფხულობით მოიპოვებდნენ მარილს, ხოლო ზამთრობით მაგნეტიტს (ხახუტაიშვილი, 1986:99-103).

ნ. ხომტარიას შესაძლებლად მიაჩნდა ზღვისპირა სადგომებზე

მარილის მოპოვებაც და მაგნეტიტური ქვიშის დამუშავებაც, მაგრამ მკვლევარი მათ თანადროულ პროცესებად არ განიხილავდა. ნ. ხოშტარიას აზრით, ქვიშაზვინულებზე ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლომდე მარილის მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან – მაგნეტიტური ქვიშების დამუშავებით.

ნ. ხოშტარიასა და ნ. ხახუტაიშვილის მოსაზრებებიდან ის საერთო დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ორივე მკვლევარი გამორიცხავს დიუნურ სადგომებზე მარილისა და მაგნეტიტის მოპოვების პროცესის სინქრონულად არსებობის შესაძლებლობას. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის საკითხები, რომლებიც ნაწილობრივ ეწინააღმდეგება დიუნური სადგომების ხასიათის მარილის მოპოვებასთან დაკავშირებას. ნ. ხახუტაიშვილის სეზონური დიფერენციაციის ვარიანტთან მიმართებით, გვსურს შევნიშნოთ, რომ ზამთრის პერიოდი არ უნდა წარმოადგენდეს მოსახერხებელ დროს ზღვისპირა სადგომებზე სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის. სადგომებზე სერიოზული ნაგებობების კვალი არ არის აღმოჩენილი. აქ, საცხოვრებლად, მსუბუქგადახურვიანი „ფაცხისებური“ ნაგებობები ჩანს გამოყენებული. ამავე დროს, ეჭვს არ იწვევს, რომ აბაზანისმაგვარი ჭურჭლების გამოძერწვა და გამოწვა ქვიშაზვინულებზე ხდებოდა: ჯერ ჭურჭლებს გამოაშრობდნენ მზეზე, ხოლო შემდეგ გამოწვავდნენ ნახევრადლია კერებში. საეჭვოა, რომ ზამთარში შესაძლებელი ყოფილიყო როგორც „ფაცხისებური“ ნაგებობების გამოყენება, ასევე, სანაპირო ქვიშების დამუშავების პროცესში სისტემატიურად ცივ წყალთან კონტაქტი. დამატებით, ხელსაყრელი ამინდის მოლოდინში, უსასრულოდ გაჭიანურდებოდა (თუკი საერთოდ მოხერხდებოდა) ქვიშაზვინულებზე გამოძერწილი ჭურჭლების ჰაერზე გამოშრობა და ღია კერებში გამოწვა.

ზღვისპირა სადგომების ხასიათის შესახებ გამოთქმული ვარაუდებიდან ჩვენ უფრო ვისრებით ნ. ხოშტარიასა და ა. რამიშვილის მოსაზრებებს, რომ ზღვისპირა სადგომებზე მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი. ჩვენი პოზიცია დაფუძნებულია როგორც სადგომების არქეოლოგიური მასალის ანალიზზე, ასევე, მნიშვნელოვანწილად, იმ მონაცემებზე, რაც დღევანდელ ეტაპზე დაგროვდა კოლხეთის უძველესი რკინის მეტალურგიის სანარმოო კერების როგორც არქეოლოგიური, ასევე ფიზიკური და ქიმიუ-

რი მეთოდებით შესწავლის შედეგად. ამავე დროს, უნდა ვალიაროთ, რომ ამ საინტერესო ვერსიასაც ჯერ კიდევ გააჩნია შეუსწავლელი, ან ნაკლებად არგუმენტირებული მხარეები.

ზღვისპირა სადგომების ხასიათის გარკვევის დროს, ჩვენ რამდენიმე არსებითი ხასიათის გარემოებას ვითვალისწინებთ:

1. სადგომები ძირითადად განლაგებულია ზღვის სანაპირო ზოლში და ამდენად, ზღვის წყალთან სიახლოვე მათი ფუნქციონირების განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენდა;

2. სადგომების გასამართავად არჩევენ მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილს, შესაბამისად, მდინარეს ზღვასთან ერთად კონკრეტული ფუნქცია აკისრია;

3. სადგომებზე არ იკითხება ინტენსიური ცხოვრების კვალი, რაც მათი ფუნქციონირების სეზონურ ხასიათზე მიუთითებს; აბაზანების დამზადება (გამოძერწვა და გამოწვა) ქვიშაზვინულზე ხდებოდა. დროებით ნაგებობად ქვიშაზვინულებზე ფაცხები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამას თუ დავამატებთ ზღვასთან ინტენსიური კონტაქტის აუცილებლობას, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ სამუშაო სეზონი გაზაფხულის ბოლოთი და ზაფხული-შემოდგომით შემოვფარგლოთ.

4. სადგომებზე აღმოჩენილ კერამიკულ მასალაში ლომის წილი მოდის უხეშად ნაძერწ აბაზანისმაგვარ ჭურჭლებზე, რომლებიც სადგომებზე მიმდინარე სამეურნეო პროცესის ძირითად ატრიბუტს წარმოადგენენ.

5. თვით ფორმა აბაზანებისა, მასში რალაცის დაგროვებაზე (დალექვაზე) უნდა მიუნიშნებდეს. ცხადია, ის უნდა გამოეყენებინათ არა რალაცის შენახვისათვის, რაც ადვილად მოხერხდებოდა დიდი ზომის პითოსებსა და დერგებში, არამედ უფრო დინამიკური პროცესისათვის, რისთვისაც ჭურჭლის მოცულობას და ფორმის ცალკეულ დეტალს არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა. ოვალური ძირი მიუნიშნებს, რომ ეს ჭურჭელი მყარ გრუნტზე დასადგამად არ იყო განსაზღვრული. თუ ბ. კუფტინის დავერნმუნებით და ამ ჭურჭლების ხის ფორმებში დამზადების მოსაზრებას გავიზიარებთ, მყარ გრუნტზე დასადგმელად ბრტყელი ძირის გაკეთება უფრო იოლი იქნებოდა. ამიტომ, უფრო მართებული ჩანს ა. რამიშვილის დაკვირვება, რომ "აბაზანებს" ქვიშაში გაკეთებულ ფორმებში ამზადებდნენ. თან

ვფიქრობთ, რომ დიუნაზე მოღვაწენი სხვა მომენტსაც ითვალისწინებდნენ: ოვალური კორპუსი უფრო მოსახერხებელი ჩანს ჭურჭლის ფსკერზე დაღეკილი მასალის გამორჩევისათვის და ნაერთის ხელით ამოღებისათვის.

სადგომების სტრატეგია, რელიეფისა და ჰიდროქსელის ერთ სანარმოო კომპლექსში ჩართვა, საქმიანობის სეზონურობა სპეციფიკური კერამიკული მასალა (აბაზანისმაგვარი ჭურჭლები), რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, მხოლოდ ქვიშნარ გრუნტში დასამაგრებლად მზადდებოდა და არა ცეცხლთან, არამედ წყალთან მიმართებაში გამოიყენებოდა, გვაძლევს საფუძველს (შესაძლოა, ჯერ კიდევ არასრულ), ზღვისპირა სადგომებზე მიმდინარე სანარმოო პროცესი სანაპირო ქვიშების მოპოვებას დაეუკავშიროთ. ვფიქრობთ, რომ სანარმოო ციკლის ცალკეულ ეტაპებთან (სპეციალური კერამიკული ჭურჭლების გამოძერწვა და გამოწვა, სანაპიროზე ქვიშების კონცენტრაციის დადგენა, რეცხვის პროცესში მტკნარი წყლის მიწოდება) დაკავშირებული პრობლემების მოგვარება იმ ხალხისათვის, ვინც უკვე რკინის გამოდნობის რთულ ტექნოლოგიურ ჩვევებს დაეუფლა და მეურნეობის სხვა დარგებშიც საკმაო გამოცდილებაც დააგროვა, არ წარმოადგენდა რთულ და გადაუჭრელ ამოცანას.<sup>10</sup>

როდესაც ა. რამიშვილმა ზღვისპირა სადგომების ფუნქციონალური დანიშნულების თაობაზე თავისი მოსაზრებები გამოთქვა, ჯერ კიდევ არ იყო სრულად გაშლილი კოლხეთის უძველესი რკინის მეტალურგიის კვლევითი სამუშაოები. უძველესი რკინისადნობი სახელოსნოების გამოვლენა-შესწავლის ადრეულ ეტაპზე, ი. გველიშვილი აღნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოს რკინის სადნობი ღუმელების ნიღები მიღებულია მაგნეტიტური ქვიშების გამოდნობის შედეგად (Гулишвили, 1964:82). მკვლევარი იქვე მიუთითებდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ რკინისადნობ სახელოსნოებთან ახლოს, შავი ზღვის სანაპიროზე მდ. სუფსასა და მდ. ნატანებს შორის, აგრეთვე ბათუმის მახლობლ-

<sup>10</sup> ნ. ზომტარიასაც ეს პროცესი ადგილობრივი მოსახლეობისათვის რთულად განსახორციელებლად არ მიაჩნდა (Хиштариа, 1955:29).

ად არის ყველაზე მდიდარი მაგნეტიტური ქვიშების ბუდობები (Гузашвили, 1964:39).<sup>11</sup> დ. ხახუტაიშვილის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, ძველი რკინის მეტალურგიის ქურა-სახელოსნობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ახლებურად წარმოჩნდა და ნ. ხოშტარიასა და ა. რამიშვილის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს ახალი მატერიალური საფუძველი მოეძებნა.

ზღვისპირა ზოლის გეომორფოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დაადასტურდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით, მდინარეებს – ჭოროხსა და ბზიფს შორის, დაახლოებით 250 კმ მანძილზე, მაგნეტიტური ქვიშების დიდი ბუდობებია განლაგებული. განსაკუთრებით დიდია მაგნეტიტის შემცველობა მდინარეებს – სუფსასა და ჭოროხს შორის, ოჩამჩირედან ქობულეთამდე კი მაგნეტიტის ბუდობების სისქე 10-დან 40 სმ შეადგენს (Степанов, Андриен, 1981: 64-65; Сигуа, Лигтовка, Кекелидзе, 1975:23).

მკვლევართა ვარაუდით, ძველად, მაგნეტიტური ქვიშების გამდიდრება, მაგნიტური სეპარაციის არ არსებობის პირობებში, ფლოტაციის მეთოდით უნდა ეწარმოებიათ.

ფლოტაცია, მადნის გამდიდრების სხვა მეთოდებთან შედარებით, წარმოადგენს უნივერსალურ პროცესს, რადგან არ არსებობს პრინციპული შეზღუდვა ამ მეთოდის გამოყენებისა მინერალების გაყოფა-განცალკევებისათვის (Анрамова, 1976:6). ფლოტაციის მეთოდის დაუფლება ადამიანის მიერ ცივილიზაციის სანყისი ეტაპისა-

<sup>11</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ი. გველიშვილი, ციტირებულ ნაშრომში (Гузашвили, 1964), აღნიშნავს, რომ მაგნეტიტური ქვიშების ძველი გამონამუშევრები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის (გვ. 16). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ი. გველიშვილისათვის ნ. ხოშტარიას მოსაზრებაც და ფიჭვნარისა და ჩაქვის დიუნური სადგომების გათხრების წინასწარი შედეგები იყო ცნობილი, უნდა ვივარაუდოდ, რომ ის არ იზიარებდა ვარაუდს რკინის სადნობი სახელოსნობისათვის საჭირო ნედლეულის ზღვისპირა ქვიშაზინულზე მოპოვება-დამუშავების შესახებ. ნ. ხახუტაიშვილი თვლის, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში "სარკინეები" ძვ. წ. XV საუკუნიდან მაგნეტიტურ ქვიშებზე მუშაობდნენ (ხახუტაიშვილი, 1986:64). მაგრამ სად ხდებოდა ძვ. წ. XV-IX სს. მაგნეტიტის მოპოვება და რომელი არქეოლოგიური მასალით დასტურდება ეს დასკვნა, ამის თაობაზე მკვლევარი, სამწუხაროდ, არ საუბრობს.

თვის იგულისხმება და, რაც უფრო საინტერესოა, მას დღესაც არ დაუკარგავს გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა (Глембояская, 1984:7; Курникова, Кравченко, Орлюк, 2005:111-120; აბშილავა, 2010: 55-65).

ატიკის ცნობილი ვერცხლის მალაროების ნანგრევებში აღმოჩნდა დამრეცზედაპირიანი ქვის მაგიდები, რომლებსაც ათენელები იყენებდნენ ლავრიონის ვერცხლისშემცველი ტყვიის მადნიდან მდიდარი მცირე ფრაქციის კონცენტრაციის მიღებისათვის. ნყალი მიედინებოდა დამრეც მაგიდაზე და თან გაიყოლებდა მცირე და მჩატე მარცვლებს. ამ პროცესს იმეორებდნენ მანამ, სანამ არ მიიღებდნენ სასურველი კონცენტრაციის მასალას (Годен, 1946:16; Эллиптическая техника, 1948:17-25).

ნ. ხომჭარიასა და ა. რამიშვილის მოსაზრებას ზღვისპირა სადგომების ხასიათის მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებასთან დაკავშირებისა, ესადაგება ფსევდოარისტოტელეს (384-322 წწ.) ცნობა ხალიბების მიერ ფლოტაციის მეთოდის გამოყენების შესახებ: „ამბობენ, რომ ხალიბური და ამისიური რკინა განსაკუთრებული წარმოშობის არის. როგორც გადმოგვცემენ, იგი წარმოცენდება მდინარეთაგან ჩამოზიდული ქვიშიდან. ერთნი ამბობენ: ამ (ქვიშას) უბრალოდ რეცხავენ და ლუმელში ადნობენო: მეორენი კი (ამტიციებენ) რეცხვისაგან წარმოქმნილ ნალექს მრავალჯნის ასუფთაებენ ნყლით და ისე ადნობენ..“ (ურუშაძე, 1964:292).

ფლოტაციის მეთოდზე საინტერესო ცნობა მოგვეპოვება გიორგი აგრიკოლასთან (XVI ს.), რომელიც განსხვავებით ნ. ხომჭარიასა და ა. რამიშვილისაგან, უფრო სკეპტიკურად უყურებს ზღვის სანაპირო ქვიშებიდან მადნის მოპოვების შესაძლებლობას: „... ნაყროები აწვდიან ნყალს მდინარეებს, ქაობებს, ტბებს, ზღვებს, მაგრამ ზღვის სანაპიროს ქვიშა იშვიათად ირეცხება, რადგან მოუხედავად იმისა, რომ ზღვაში ჩამდინარე ნყლები გაიყოლიებენ ხოლმე მადნის გარკვეულ მარაგს და ძვირფას ქვებსაც კი, ისინი იფანტებიან ნყლის დიდი მასაში, ნამცეცდებიან, ან უერთდებიან ზღვის ნაპირზე განფენილ ქვიშებს, ან კიდევ ილექებიან ზღვის სიღრმეში. ასე რომ, მათი შეგროვება (მოპოვება) თითქმის შეუძლებელია...“ (Агрикола, 1986: 22).

გიორგი აგრიკოლას სკეპტიციზმი გასაგებია, მაგრამ, ალბათ, გაზვიადებული. „თითქმის შეუძლებელი“ რალაც დოზით შესაძლებელსაც გულისხმობს. რასაკვირველია, ეს საქმიანობა საკმაოდ მომქანცველი და შესაძლოა, ნაკლებად პროდუქტიული ყოფილიყო, მაგრამ ცნობილია, რომ რკინის წარმოების მთელი პროცესი, ნედლეულის მოპოვებიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე, ასეთი გახლდათ. ძველ ნერილობით ნყაროებს თუ ვენდობით, კარგი დღე არც რკინის მადნის მოპოვებლებს (ხალიბებს) ადგათ.<sup>12</sup>

როგორ ყალიბდებოდა მაგნეტიტური ნედლეულით სანაპირო ზოლი და იყო თუ არა ზღვისპირა სადგომებზე პირობები მაგნეტიტური ქვიშების დამუშავებისათვის?

გეომორფოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ შავი ზღვის სანაპიროს საქართველოს მონაკვეთში, მაგნეტიტური ქვიშების დალექვა დაკავშირებულია მდინარეებთან, რომლებიც დრენაჟს უკეთებენ აჭარა-იმერეთის ქედის პალეოგენურ-უულკანურ კომპლექსს და მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ სანაპირო ქვიშების ბალანსს.<sup>13</sup> ამ კომპლექსის ქანები ძირითადად ჩამოყალიბებულია ტუტე და სუბტუტე ბაზალტოიდებით, რომლებიც ხასიათდებიან მაგნეტიტის და დიოფსიდ-ავგიტის დიდი შემცველობით (Твалчрелидзе, 1986:23).

სანაპირო ქვიშები წარმოდგენილია როგორც მძიმე, ასევე მცირე ფრაქციის მინერალებით. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლე-

<sup>12</sup> აპოლონიოს როდოსელი ასე აღწერს მათ დუბჭირ ყოფა-ცხოვრებას: „თემისკირიდან გასული არგომ ხალიბთა ქვეყნის გასწვრივ ვაცურდა. ეს ხალხი ხარებს არ აბამს სახნისს, ხნულს არ მიჰყვება ახოში მხენელი, ხალიბი ნახირს არ აბალახებს გამლილ ველებზე ხელჯოხიანი: ხალიბი ხალხი მხოლოდ მინას თხრის, მადანს დაეძებს, გადასდის ხვითქი, ნახავს, გაადნობს, გაცვლის ხორბალში. რომ არ ამოსძვრეს შიმშილით სული, ჯაფით იწყება ხალიბთა დილა, ჯაფით ღამდება ყოველდღიურად. და ერთი დღეც არ არის მათთვის, რომ შეისვენონ, მოითქვან სული; ჭვარტლით არიან გამურულები - ეს არის მთელი მათი ცხოვრება...“ (აპოლონიოს როდოსელი, 1975:107).

<sup>13</sup> სანაპირო ზოლში, კერძოდ, თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე, მდინარეთა მყარი ნატანის მიგრაცია ხდება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

თის სანაპირო ქვიშებში მძიმე ფრაქციის წილი საერთო რაოდენობაში შეადგენს 72-95%-ს, მცირე ფრაქციისა 4,6-28%-ს. მძიმე ფრაქციის ნახევარზე მეტი (57,7%) მოდის მაგნეტიტზე, პიროქსენზე (დიოფსიტ-ავგიტი) კი 29-35%. ეს უკანასკნელი ან უფერო, ან კიდევ მომწვანო ფერისაა. მძიმე ფრაქციაში შედის პირიტი, რომელიც ღია ყვითელი ფერისაა (ხაზ ვუსვამთ იმ რეალობას, რომ ქვიშები ვიზუალურადაც განირჩევიან ერთმანეთისაგან). მცირე ოდენობითაა წარმოდგენილი ეპიდოტი, რქოვანა მატყუარა, ბიოტიტი, გრანიტი და ლიმონიტი. მცირე ფრაქცია ძირითადად წარმოდგენილია პლაგიოკლაზით, კალიშპატით, კვარცით.<sup>14</sup>

როგორც აღვნიშნეთ, სადგომებს ნაპირთან ახლოს მართავდნენ და ეს სიახლოვე გარკვეული აუცილებლობით იყო განსაზღვრული. ა. რამიშვილი მიუთითებს, რომ ფიჭვნარის დიუნის III ფენის ქვეშ არსებული რიყის ქვების ვიწრო ზოლი წარმოადგენს რიყის ქვებისა და მსხვილი ხრემის ზღვურ დანალექს, რაც, მკვლევრის აზრით, ადასტურებს, რომ სადგომები ისე ახლოს მდებარეობდა ზღვის ნაპირთან, რომ ზღვა ახერხებდა სადგომების „დროდადრო“ გადარეცხვას. ალბათ, გაგვიჭირდება სრულად დავეთანხმოდ ა. რამიშვილის მოსაზრებას, რადგან ძნელია გავერკვეთ ხსენებული „დროდადრო“-ს ინტენსივობაში. თუ ეს დასკვნა კეთდება სტერილური შრის შემქმნელი ქვიშების არსებობის გამო, ვფიქრობთ, რომ ამ ფენის ჩამოყალიბება სანაპირო ქარის მოქმედებითაც იქნებოდა შესაძლებელი. თუ ეს შეეხება ამ შრეების ზოგიერთ უბანზე მოზრდილი კენჭების არსებობას, აქ შტორმის ზემოქმედებაც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომლის ინტენსივობა, მით უმეტეს, თბილ თვეებში, ხშირი და ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო. ა. კახიძის მოსაზრების კრიტიკის დროს, ა. რამიშვილი საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამს, რომ სამსხვერპლოების მონყობა ისეთ სიახლოვეს ზღვასთან, რომ მათ სისტემატურად დაემუქრებოდა გადარეცხვის საშიშროება, გასაკვირი და გაუმართლებელიც იქნებოდა. შესაძლოა, ურეკის, ფიჭვნარის, ბობოყვათისა და ციხისძირის სამსხვერპლოები არ აღეიქვათ მონუმენტურ

<sup>14</sup> მონაცემები მოგვანოდა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა მერაბ თვალჭრელიძემ.

სატომო-საგვარეულო ნაგებობებად (კახიძე), მაგრამ ფაქტია, რომ ისინი კულტმსახურების ადგილებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, არ იქნებოდა ბოლომდე გასაგები, ან თუნდაც პრაგმატული, სამსხვერპლოების მონყობა ისეთ ადგილზე, რომელსაც სისტემატიურად დამუშავებოდა ზღვის ტალღებისგან გადარეცხვის საფრთხე. ან კიდევ, რა პრობლემას წარმოადგენდა საცხოვრებლების (მით უმეტეს, დროებითი „ფასხისებურის“) გამართვა ზღვის ტალღების მოქმედების ზონიდან მოშორებით. ვფიქრობთ, რომ არც მარილის მოპოვების ვერსიის გასაკრიტიკებლად გამოდგება მტკიცება, რომ ზღვა „დროდადრო“ გადარეცხავდა ქვიშაზვინულებს. არამიშვილი ეჭვს გამოთქვამდა, რომ წყალი ვერ მოხვდებოდა ფიჭვნარის დიუნის როგორც ზედა ფენების დონეზე, ასევე, არც ისე ადვილად, ქვედა დონეზეც. თუ ზღვის წყალს თავისუფლად შეეძლო გადაერეცხა ქვიშაზვინულის ზედაპირი, მაშინ სადგომის ტოპოგრაფიის გათვალისწინებით, რატომ უნდა მივიჩნიოთ საეჭვოდ (ვთქვათ, ფიჭვნარის ქვედა I-III ფენის ჩამოყალიბების პერიოდში), ქვიშაზვინულების გადაღმა ზღვის წყლის ასაორთქლებელი აუზების მონყობის შესაძლებლობა (ამ პროცესისათვის ხომ ზვინული უნდა გაეჭრათ, რაც 2-3 მეტრით მაინც დაადბლებდა კონკრეტულ მონაკვეთზე ზვინულის სიმაღლეს). მოკლედ, ჩვენ, სხვა სერიოზული მტკიცებულობის არარსებობის პირობებში, ვიზიარებთ ნ. ხომტარიას ვარაუდს, რომ დიუნური სადგომები, ფუნქციონირების პერიოდში, რამდენიმე ათეული მეტრით მაინც იქნებოდა დაშორებული ზღვის ტალღების ზემოქმედების ზონიდან.

რა არსებითი ფაქტორებით უნდა ყოფილიყო განპირობებული სადგომის განფენა მთელი შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლში? ამ კითხვას ა. რამიშვილი უსვამდა დიუნურ სადგომებზე მარილის მოპოვების ვერსიის მომხრეებს. მართლაც, ძნელია ეს რეალობა ზღვის წყალში მარილის ძიებით სურვილით ავხსნათ. ალბათ, მაგნეტიტური ქვიშების მოპოვების ვერსიის მიმართებითაც დაისმება იგივე კითხვა: რატომ არის სადგომები ასე ვრცელ ზოლზე განფენილი? ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ წარმოებაში იყო დასაქმებული, თუ ეს რეალობა კონკრეტულ უბნებზე მადნის დიდი კონცენტრაციის ძიებით იყო განპირობებული? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო კი ალბათობა იმისა, რომ მდინარეს ყოველთვის არ გა-

მოეტანა ნატანი ერთსა და იმავე ადგილას და ერთი და იგივე მოცულობით?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, საზღვაო გეოლოგიის მონაცემები უნდა მოვიშველიოთ. თუ ამ მასალას დავეყრდნობით, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ასეთი ალბათობა ნამდვილად არსებობს. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ზღვის სანაპირო ზოლში დალექილ-დაგროვებული მძიმე მინერალებისათვის, ხელოვნური ჩარევის (სანარმოო პროცესი) შედეგად მარაგის მოკლების შემდეგ, დამახასიათებელია არსებული მარაგის ბუნებრივი გზით აღდგენა (Rao, 1957: 143-147). როგორც ნესი, ეს პროცესი ასე მიმდინარეობს: ზღვური ტალღების ზემოქმედების შედეგად დალექილი საერთო მინერალური მარაგიდან ხდება სელექციური გადარეცხვა მჩატე მინერალებისა და მათი ზღვაში ჩალვრა, ხოლო მძიმე მინერალები თავს იყრიან სანაპირო ზოლში. თუმცა, რიგი ფაქტორების არსებობის პირობებში, როგორცაა ზღვის მოქცევა-მიქცევა, ზღვის დონის ცვალებადობა და ზვირთცემის ამპლიტუდის უთანაბრობა, ეს ნესი ხშირად ირღვევა. შედეგად, ადგილი აქვს მძიმე მინერალების კონცენტრაციის მონაცვლეობას სანაპიროს სხვადასხვა უბანზე (Meyra, 1965).

უნდა ვალიაოთ, რომ უშუალოდ ქვიშაზვინულზე მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებ-დამუშავების პროცესის რეკონსტრუქცია საკმაოდ რთულია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სანარმოო უბნებზე მტკნარი წყლის მიწოდების სისტემის ტექნოლოგიური ხაზის გააზრებას. ა. რამიშვილი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ სანარმოო უბანს წყალი მიეწოდებოდა ხის დიდი ნაქრებისაგან დამზადებული ღარების საშუალებით (რამიშვილი, 1971). შესაძლოა, მეურნეობის სხვადასხვა დარგში დახელოვნებულ ადგილობრივ მკვიდრთ ეს პრობლემა დაეძლიათ კიდევ, მაგრამ, ვეჭვობთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქვიშაზვინული დიდ საირიგაციო სისტემას დაემსგავსებოდა.<sup>15</sup> ჩვენი აზრით, თავდაპირველად, მაგნეტიტური ქვიშებ-

<sup>15</sup> თუმცა, ავსტრიაში, მიტებერგის სპილენძის საბადოს ერთ-ერთ ძველ სანარმოო უბანთან, ხის ღარებით წყალი მიეწოდებოდა 200 მეტრით დამორებული მთის ტბიდან (Knapik, 1953: 193). აჭარის ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა ტრადიციულ

ის კონცენტრაციის დადგენა, გარკვეული ემპირიული გამოცდილებების კვალობაზე, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ვიზუალურადაც.<sup>16</sup> ფლოტაციის პროცესისათვის კი სასურველი იყო მოემზადებინათ ის ადგილები, სადაც წყლის მიწოდება იქნებოდა უფრო ადვილი და აბაზანებიც სტაციონარულად იქნებოდა მოწყობილი. ვფიქრობთ, რომ აბაზანებთან ქვიშების მიტანა შესაძლებელი იქნებოდა სელის ტომრებითაც (Микеладзе, Хахუტაიშვილი, 1985:29), რომელთა დამზადება ნამდვილად ხელენიფებოდათ ადგილობრივ მკვიდრთ, რისი დასტურიცაა აბაზანისმაგვარი ქურჭლების გარე ზედაპირზე შემორჩენილი ქსოვილის კვალი.

სანაპირო ქვიშების ფლოტაციის პროცესი მარტივი რომ არ იყო, ამას მოწმობს ფსევდოარისტოტელეს ცნობა, სადაც ხაზგასმულია, რომ „...რეცხვისაგან წარმოქმნილ ნალექს მრავალგზის ასუფთავებენ წყლით და ისე ადნობენ“ (ურუშაძე, 1964:292).

მაგნეტიტის, როგორც ნედლეულის, გამოყენებას უძველეს კოლხურ რკინის მეტალურგიაში ცხადყოფს ზღვისპირა ზოლში მიკვლეული რკინის სადნობი სახელოსნოების თანმხლები წიდეების ანალიზი.

უახლესი არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ აღმოსავლეთ (განსაკუთრებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ) შავი ზღვისპირეთში, ნინაანტიკურ ხანაში, ძლიერი სამთო-მეტალურგიული ცენტრი არსებობდა, რომელიც ხუთ სანარმოო კერას მიითვლიდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამი კერაა დადასტურებული და რკინის სახელოსნოების დიდი ნაწილი (ორასამდე) აქ არის გამოვლენილი (Хахუტაიშვილი, 1987:40). რკინის სახელოსნო უბნების ნარჩენების შესწავლით დგინდება, რომ ძველი მეტალურგები რკინის

ხერხს განსხვავებული რელიეფის პირობებში ხის ღარებით წყლის მიწოდების (Чиджавაძე, 1966:21-22).

<sup>16</sup> ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ სანაპირო ქვიშები ზომითა და ფერით განირჩევიან ერთმანეთისაგან. მკვლევართა აზრით, საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე, სასარგებლო წიაღისეულის სეპარაცია (დახარისხება) ხდებოდა მასალის ზომის, სიმკვრივისა და ფერის მიხედვით (Наумко, 2008:8; Барский, 198:152).

გამოდნობისათვის იყენებდნენ როგორც მაგნიტურ რკინაქვას ( $Fe_2O_4$ ) სიღების სახით, ასევე მალაროს მადანს ჰემატიტს ( $Fe_2O_3$ ). ი. გძელიშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის კოლხეთის რკინის მეტალურგის კვლევის საქმეში, მიუთითებდა, რომ ზღვისპირეთში შესწავლილი ქურა-სახელოსნოების ნიდებში მან ჰემატიტის კვალი ვერ აღმოაჩინა, რაც, მისი აზრით, აქ მაგნეტიტის გამოყენებაზე უნდა მიუნიშნებდეს (Гуляшвили, 1964:39). დ. ხახუტაიშვილმა, რომელმაც რკინის მეტალურგიის ნაშთები გამოიკვლია ჭოროხიდან დიდ კავკასიონამდე, ზღვისპირა ზოლში გათხრილ რკინის გამოსადნობ სანარმოო უბნების ნიდებსა და წარმოების ნარჩენებში ვერ დააფიქსირა ჰემატიტი ან მადნის სხვა სახეობა. თ. საყვარელიძემ და გ. ინანიშვილმა შეისწავლეს კოლხური რკინის წარმოების ნარჩენები ნიდების სახით და დაადასტურეს, რომ ეს ნიდები შეიცავენ ტიტანსა და ვანადიუმს. მათი აზრით, რკინის ნიდებში ამ ელემენტების არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ აქაური მაგნეტიტური სიღები გამოიყენებოდა, როგორც მეტალურგიული ნედლეული (Иванишвили. Справочник, 1987:231). რკინის სახელოსნო უბნების გათხრების შედეგად დადასტურდა, რომ ზღვისპირა ზოლში გამოვლენილი რკინის წარმოების კერები ნედლეულად მაგნეტიტს იყენებდნენ, ხოლო ზღვისგან დაშორებულ ადგილებში, მაგალითად, ჩრდილოეთ კოლხეთში, ჰემატიტს. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც დაზუსტდა: დღემდე შესწავლილი რკინის სახელოსნოები, განურჩევლად იმისა, თუ სად მდებარეობენ ისინი, ცენტრსა თუ პერიფერიაში, ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით არ განირჩევიან ერთმანეთისაგან. არის ერთი განმასხვავებელი და არსებითი ნიშანი. ზღვისპირა ზოლთან ახლოს განლაგებულ რკინის სახელოსნოებს არ გააჩნიათ, ხოლო ზღვისგან მოშორებით ყველა რკინის სახელოსნოში დასტურდება მადნის წინასწარ გამოწვისათვის მოწყობილი მოედანი. საქმე იმაში გახლავთ, რომ ის სახელოსნოები, რომლებიც ნედლეულად მაგნეტიტს იყენებდნენ, მადნის გამდიდრებას ფლოტაციის მეთოდითაც მოახერხებდნენ (დონურ სადგომებზე), რისთვისაც სახელოსნოს ტერიტორიაზე დამატებითი უბნების მოწყობა არ სჭირდებოდათ. ჰემატიტზე მომუშავეთათვის კი, აუცილებელი პირობა იყო მადნის გამდიდრება, ოღონდ, ეს პროცესი სრულდებოდა მადნის წინასწარი

გამონვის გზით, სპეციალურად მონყობილ მოედნებზე (Хахутанш-вилл, 1987: 155).

ნიშანდობლივია ისიც, რომ რკინის მეტალურგიის ქურა-სახე-ლოსნოების თავმოყრის უკლებლივ ყველა ზონაში ფიქსირდება დიუნური სადგომი, ან ჯგუფი სადგომებისა, რაც თვალსაჩინოს ხდის რკინის სადნობი ობიექტების (სახელოსნოები) კავშირს ნედლეულის ბაზასთან (დიუნური სადგომები).

ის ფაქტი, რომ უშუალოდ რკინის სადნობი სახელოსნოები ნედლეულის ბაზისაგან მოშორებითაა განლაგებული, ძირითადად, ეკონომიკური მიზანშეწონილობით არის ახსნილი. რკინის სადნობი სახელოსნოების წარმატებული ფუნქციონირებისათვის, ნედლეულ-თან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ცეცხლგამძლე თიხების (ქურის შესაღესად) და ლითონის გამოდნობისათვის საჭირო ხარისხის ნახშირის მოძვეტი ხეების ჯიშების არსებობას. ეს კომპონენტები კი მეტწილად, სწორედ უძველესი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების ფუნქციონირების ადგილებშია დადასტურებული ((Гзелишвили, 1964:38). დ. ხახუტაიშვილს თვლიდა, რომ სანარმოო პროცესისათვის მაგნეტიტური ქვიშების ტრანსპორტირება ეკონომიკურად გაცილებით ეფექტური იქნებოდა, ვიდრე სანვაი ხეების და თიხებისა (ხახუტაიშვილი, 19964:55). იგივე აზრს ავითარებდა თავის სადისერტაციო ნაშრომში ალ. რამიშვილი (რამიშვილი, 1971: 129-130). ამ ვარაუდის გასამყარებლად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ვიან. ივანოვის ცნობა ბასკეთში ცივი ბერვის ქურებში ლითონის გამოდნობისათვის საჭირო ნედლეულის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, სადაც მითითებულია, რომ ბასკეთის რეგიონში, 100 კილოგრამი ლითონის ტრადიციული წესით მისაღებად, 312 კილოგრამი მადანი და 340 კილოგრამი ხის ნახშირი იყო საჭირო (Иванов, 1983:37).<sup>17</sup>

მაგნეტიტური ქვიშების მოპოვების მასშტაბურობა არ უნდა ყოფილიყო განპირობებული მხოლოდ შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რკინას ადგი-

<sup>17</sup> არაფერს ვამბობთ იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობის ხე-ტყე იქნებოდა საჭირო 340კგ ხის ნახშირის მისაღებად.

ლზეც ფართოდ მოიხმარდნენ. არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ რკინის ნივთებს იმ რაოდენობით აკეთებდნენ, რომ ამ პერიოდის სამაროვნების (ერგეტა, ნიგეზიანი, ურეკი) ზოგიერთ სამარხში ათეულობით სამინათმოქმედო თუ საომარი რკინის ნივთია ჩაყოლებული (მიქელაძე, 1985:76-78).<sup>18</sup> უძველესი წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ ახლოაღმოსავლური და ეგეოსური სამყაროსათვის რკინა იმპორტის საგანი იყო. დ. ხახუტაიშვილის აზრით, ადრერკინის ხანაში სწორედ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და სამხრეთ შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთი ნაწილი იყო ის რეგიონი, რომელიც ამ ქვეყნებისათვისაც რკინას აწარმოებდა (Хухутайшвили, 1987:218).

გამოთქმულია აზრი, რომ ზღვისპირა სადგომებზე მაგნეტიტური ქვიშების მოპოვების შეწყვეტა, შესაძლოა დაკავშირებული იყოს ახლო აღმოსავლეთში ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგისათვის მიმდინარე ეპოქალურ ძვრებთან, როდესაც კოლხეთის სამთო-მეტალურგიული ცენტრი ძვ. წ. VIII ს. ბოლოსა და ძვ. წ. VII ს. დასაწყისში კარგავს ყველა სამხრეთულ ბაზარს და იწყება გაფორმება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საერთაშორისო ბაზრისა. დ. ხახუტაიშვილის აზრით, როდესაც ბერძნებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ჩაუყარეს საფუძველი რეგულარულ სავაჭრო-ეკონომიკურ ერთიერთობებს, მაშინ ლითონწარმოება (მათ შორის, რკინის) კოლხეთის მთისწინეთიდან გადავიდა მთიან რაიონში (რაქა-ლეჩხუმი, სვანეთი) (Хухутайшвили, 1985: 237).

<sup>18</sup> დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალა ნათლად მეტყველებს, რომ ამ რეგიონში სწორედ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში იწყება რკინის ფართო ათვისება ხანა (ლორთქიფანიძე, 2002:154). კვლევის დღევანდელ ეტაპზე, როდესაც დაკონკრეტდა დიუნური სადგომების ფუნქციონირების პერიოდი (ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები), ამავე დროს, ძველი სამოსახლოებისა თუ სამაროვნების კარგად დათარიღებულ ფენებსა თუ კომპლექსებში წარმოდგენილი რკინის ნიმუშები ექცევა ვინრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში (მიქელაძე, 1985), აქტუალური ჩანს ახალი მონაცემების შეჯერების მიზანშეწონილობა რკინის მეტალურგიის უძველესი ქურა-სახელმწიფოების ფუნქციონირების თარიღებთან.

## თავი მეშვიდე

### სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირათის სამეურნეო სახე აღრიკინის ხანაში

საქართველოს ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიური მასალა ნათლად მეტყველებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ძველი კოლხური ცივილიზაციის წარმოქმნა-განვითარების უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენდა. ნოყიერი სახნავ-სათესი მიწები, განვითარებული ჰიდროქსელი, უმაღლესი ხარისხის ტყის მასივები, ცეცხლგამძლე და ძნელადღვობადი თიხების მარაგი, მაგნეტიტური სილვების საბადოები, პროდუქტიული სანადირო და სათევზაო სავარგულები, ალპური საძოვრების სიახლოვე, დამატებით კი, მდიდარი სამეურნეო და კულტურული ტრადიციების ქონა, – აი, ის განმსაზღვრელი ფაქტორები, რის საფუძველზეც რეგიონი განვითარების ისეთ მაღალ საფეხურზე ავიდა, რომ კოლხური კულტურის ფორმირებას დაუდო სათავე (ჯაფარიძე, 1982:63; ძიძიგური, 2000;66-77).

როგორც აღვნიშნეთ, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოს, მთავრდება ახალშავზღეური ტრანსგრესიის აღზევების ხანა. ზღვის დონე თანდათანობით დაბლა ეცემა და იწყება აცივება. მდინარეთა ეროზიული ბაზისი 1-3 მეტრით დაბლდება და კალაპოტი სადრენაჟო არხებად იქცევა. ეს პერიოდი კოლხეთის ველის აკუმულაციური ზოლის სამეურნეო და კულტურული აყვავების ხანაა. კოლხეთის ბარი მეურნობრივად დანინაურებულ რეგიონად ყალიბდება, ვითარდება სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით, მინათმოქმედება და მესაქონლეობა.

მინათმოქმედების განვითარება, თავის მხრივ, ემყარებოდა როგორც არსებულ ტრადიციებს, სახელდობრ, საუკუნეების მანძილზე აპრობირებული მარცვლეული კულტურების ენდემური ჯიშების კულტივირებას და სადრენაჟო სისტემის ფართოდ გამოყენებას (მიქელაძე, 1964:160), ასევე, სამეურნეო იარაღების ახალი ფორმების განვითარებას. რეგიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს განძები (რამიშვილი, 1974) თვალნათლივ მეტყველებს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანებისათვის, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩამოყალიბდა სამეურნეო იარაღის თითქმის

ყველა ძირითადი ტიპი, რაც საჭირო იყო სამეურნეო ცხოვრების სრულფასოვნად წარმართვისათვის (ჯაფარიძე, 1982:62-63).

კოლხეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარული იყო ტყეებითა და ბუჩქნარით. ამდენად, ამ ადგილების ათვისება მათი გაკაფვა-გაჩეხვით უნდა დაწყებულიყო. აღნიშნულმა ფაქტორმა ხელი შეუწყო საახაო მიწათმოქმედების განვითარებას. ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს კოლხური ცულის „სამეურნეო ვარიანტებსა“ და წალდს. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წალდები ყველაზე დიდი რაოდენობით დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზეა გამოვლენილი, რაც საფუძველს აძლევს მკვლევრებს, რომ იარალის ამ ფორმის შექმნა-ჩამოყალიბება აღნიშნულ რეგიონს დაუკავშირონ (კახიძე ა., კახიძე ნ., 2000:16-23; Кахидзе А., Кахидзе Н., 1993). საახაო მიწათმოქმედების სხვა იარაღებიდან ხმარებაშია ბართოხები და ქარჩისებური თოხები, რომლებითაც ხდებოდა კუნძების ამოძრევა და ნიადაგის პირველადი დამუშავება, ხოლო ფართოპირიანი თოხები ძირითადად გამოიყენებოდა ვათოხენისა და გამარგვლისათვის.

საახაო მიწათმოქმედებასა და ნიადაგის პირველად დამუშავებაში უმნიშვნელოვანესი როლი თოხს ენიჭება. გვიანბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, თოხი ფართოდ ვრცელდება მთელ კოლხეთში, სადაც კი მოსახლეობა მინის დამუშავებას მისდევდა (ჯაფარიძე, 1982:65). ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით, თოხი ზოგჯერ მიუვალ ადგილებში სახენელის ფუნქციასაც ასრულებდა. ვარაუდობენ, რომ მათ ფართო გამოყენება ექნებოდათ საბალო და საბოსტნე მეურნეობაშიც (ჯაფარიძე, 1982 :64-65). თოხის უნივერსალური ხასიათით იყო განპირობებული ბრინჯაოს და რკინის თოხების მრავალსახეობაც (განსაკუთრებით კი პირის ზომების სხვადასხვაობა), რაც, იე. ჯავახიშვილის მინიშნებით, მათი „ფუნქციონალური დანიშნულების სხვადასხვაობით იყო განსაზღვრული“ (ჯავახიშვილი, 1930: 215).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობა გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანაში ფართოდ იყენებდა ხის სახენელს. ქობულეთში, ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გათხრების დროს, აღმოჩნდა სახენელების ერთი მთლიანი და ცხრა ფრაგმენტ-

ული ნიმუში. სახვნელები მუხისგან იყო დამზადებული, ხოლო მათ გამოსათლელად ერთი მთლიანი ხე იყო გამოყენებული (ჩავლეიშვილი, 2002:11-13).<sup>1</sup>

დ. ხახუტაიშვილი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ ბრინჯაოს განძებში (განთიადი, ჩაისუბანი) აღმოჩენილი იარაღი ე.წ. "ვერტიკალურხვრელიანი ცული" ( რამიშვილი, 1974:13-14), ფაქტობრივად, მარტივი სახვნელის სახნისადაც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული (ხახუტაიშვილი, 1995:51). თუმცა, ფიჭვნარში აღმოჩენილი სახვნელები ამის დასტურად არ გამოდგება, რადგან, როგორც ჩანს, აქაურ სახვნელებს ლითონის სახნისი არ უკეთდებოდათ და არც სხვა დეტალზე არის კონკრეტული მინიშნება. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ძეგლის მკვლევრის – ი. ჩავლეიშვილის მტკიცება, რომ "...რადგან სახვნელები ბრინჯაოს ლითონსასხმელი სახელოსნოს სიახლოვესაა აღმოჩენილი, მაშინ, რომ ყოფილიყო სახვნელზე ლითონის სახნისის გაკეთების აუცილებლობა, ადგილობრივ ხელოსნებს მისი დამზადება არ გაუჭირდებოდათ..." (ჩავლეიშვილი, 1999:17). აქ კვლავ ივ. ჯავახიშვილის მინიშნება უნდა გავიხსენოთ, რომ სახვნელების სხვადასხვა ტიპის არსებობა მათ სპეციფიკურ სიტუაციაში გამოყენებით იქნებოდა განპირობებული. არ არის გამორიცხული, რომ ფიჭვნარის სინამდვილეში, არსებული რელიეფის გათვალისწინებით, მარტივი ხის სახვნელითაც იოლად გადიოდნენ ფონს.

კოლხეთის ზღვისპირა ზოლში მრავლადაა მიკვლეული მსუბუქი სახვნელის სახნისები (Микеладзе, Барамидзе, 1977:33-37). მინათმოქმედების დანიანურებულ როლზე ცხადად უნდა მიუნიშნებდეს კოლხეთის ზღვის ზოლში გათხრილი სამაროვნების მასალა, სადაც ასეულობით სამინათმოქმედო იარაღია დაფიქსირებული. მხოლოდ ერთ სამარხში (ერგეტა №3 სამაროვანი, სამარხი №1) აღმოჩნდა 140 რკინის თოხი, 19 გუთნის რკინის ბუნიკი, 14 რკინის ნამგალი, 7 სეგმენტური იარაღი, რაც, თ. მიქელაძის აზრით, ერთი

<sup>1</sup> საინტერესო აღმოჩენათა რიგს მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გალის რაიონის სოფ. ფიჩორში, ძვ.წ. III ათასწლეულით დათარიღებულ ფენაში სახვნელის ხის მოდელის მიკვლევა (Барамидзе, Джиндзаძე, 1989:657-659).

მხრივ, უნიკალური შემთხვევაა მსოფლიო არქეოლოგიაში, ამავე დროს, მიმანიშნებელია რეგიონში რკინის წარმოების მაღალი დონისა (მიქელაძე, 1985:78).

ხორბლეულის სამკალ იარაღად გამოიყენებოდა ნამგალი, რომლის მორკალულ ხის ტარში კაყის დაკბილული ჩასართები იყო ჩამაგრებული (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:25). ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, მხოლოდ ციხისძირისა და ზენითის განძებშია წარმოდგენილი (ჯაფარიძე, 1953:206). ა. რამიშვილის აზრით ქრონოლოგიურად, ეს ნამგლები ადრერკინის ხანის სანყის ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს (რამიშვილი, 1974:14-17, ტაბ. IX-20).

დასავლეთ საქართველოდან უცნობია ხორბლის სალენი კვერის აღმოჩენის ფაქტი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კვერის უქონლობა კოლხურ ნივთიერ კულტურაში იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, რომ აქაური მოსახლეობის კვების რაციონში მარცვლეულთაგან მთავარი იყო ღომი და მტვრევადთავთავიანი, მარცვალცვენადი ხორბლეული ჯიშები, რომლის თავთავის „გალუნვა“ ტრადიციულად „გაცეხვით“ ხდებოდა (ხახუტაიშვილი, 1986:36). მკვლევართა აზრით, რადგან ადრეული საცეხველები ხისაგან მზადდებოდა, შესაძლოა, მათ ჩვენამდე ვერ მოეღწიათ.<sup>2</sup> რაც შეეხება ხელსაფუძვებს, ისინი მრავლად აღმოჩნდა ფიჭვნარ-ჩოლოქისა თუ სხვა ნამოსახლარებზე (Микеладзе, Хахутаишвили, 1985:გან.115,116; ჩაველიშვილი, 1987:ტაბ. XIV).

ზღვისპირა ნამოსახლარების გათხრების დროს აღმოჩენილია მრავალფეროვანი სამეურნეო კერამიკა, მათ შორის, დერგებიც, რომელიც მარცვლეულის შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს მრავალგანყოფილებიანი ტაფები, რომლებიც როგორც სარიტუალო, ისევე, შესაძ-

<sup>2</sup> ვფიქრობთ, რომ ეს არგუმენტი სადავოა, რადგან საქართველოს ზღვისპირეთში მიკვლეული ნამოსახლარების გადამხურავე თიხის და ტორფის ფენები ორგანული მასალის (მათ შორის, ხის და ძვლის) კარგი კონსერვანტებია (მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იგივე ნამქედურსა და ჩოლოქისპირა თხრილებში ხის სახენქელების, სადღვებლას და ძვლისგან დამზადებული სალამურის მიკვლევის ფაქტი).

ლოა, ყოველდღიური კვერების საცხოზად ყოფილიყო გამოყენებული.<sup>3</sup>

რაც შეეხება მინათმოქმედების სხვა დარგებს, როგორცაა მებოსტნეობა, მევენახეობა, მებაღეობა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან არქეოლოგიური მასალა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რაიმე კონკრეტულ საკითხზე მსჯელობა ჯერჯერობით არ უნდა იყოს გამართლებული (თუმცა, შეგვიძლია ვისაუბროთ თოხების გარკვეულ ტიპზე, რომელიც მებოსტნეობასა და მებაღეობაში იქნებოდა გამოსადეგი).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ადრერკინის ხანაში მეურნეობის დანიშნულებული დარგი ჩანს მეცხოველეობა. გ. მელიქიშვილის მტკიცებით, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა), ქართულ სამყაროში შეინიშნება წერილფეხა საქონლის ხვედრითი ნილის საგრძნობი ზრდა და მეცხენეობის გაჩენა (მელიქიშვილი, 1981).

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ადრერკინის ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა. საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სიახლოვე, პირუტყვის გამოზამთრებისათვის აუცილებელი საკვების დაშადების სიადვილე, ბუნებრივია, ხელს უწყობდა მეცხოველეობის დარგის სწრაფ განვითარებას. თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხეთის დაბლობის ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგი, გარკვეულად ზღუდავდა როგორც საძოვარ-სათიბების, ასევე სახნავ-სათესი სავარგულების ფართობსაც, ხოლო ქარბი ნალექები ხელს უწყობდა მცენარეულის სწრაფ ზრდასა და საძოვრებად გამოყოფილი თავისუფალი მიწების გატყვიანებას. როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ხახუტაიშვილი, კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, თანამედროვე სიტუაციის მისადაგება არ უნდა იყოს მართებული, რადგან, სწორედ გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდში, კოლხეთის კლიმატურ-ნიადაგური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანამედროვესაგან და იგი საუკე-

<sup>3</sup> ჩვენ ამ აზრს ბოლომდე არ ვიზიარებთ, რადგან მრავალგანყოფილებიანი ტაფები უფრო სარიტუალო ნივთებად მიგვაჩნია.

თესო სამინათმოქმედო ზონას წარმოადგენდა.

ზღვისპირა რეგიონის არქეოლოგიურ მასალაში მეცხოველეობის არსებობის კვალი ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს განეკუთვნება. ფიჭვნარში, ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გვიანბრინჯაოს ხანის მასალაში, დადატურებულია შინაური ძროხის (*Bostarus L*) შინაური ღორის (*Sus sirofa domestica*), შინაური თხის (*Capra hircus L*) და შინაური ცხვრის (*Ovis ories L*) ძვლები (ჩავლეიშვილი, 1999:18). აქვე გაითხარა ხის ძელური წყობა ხის ნკნელებისაგან შეკრული მესერიით, რომელიც ფარებს, ანუ აგვარას უნდა წარმოადგენდეს. უნიკალურ აღმოჩენათა რიცხვს განეკუთვნება ზემოთ ნახსენები ძვლის საღამურის მიკვლევის ფაქტი (ჩავლეიშვილი, 1987: 29, ტაბ. XI-4).

ხელშესახები მასალა არ გაგვაჩნია ცხენის მოშენების თაობაზე. არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ცხენი ამიერკავკასიის რეგიონში, ძირითადად, ბრინჯაოს ხანის არცთუ ადრეულ ეტაპზე ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ცხენის ძვლები ნაპოვნია ვაცილებით ადრეული ხანის ძეგლებზე, როგორც ვარაუდობენ, აქველური ცხენის ნაშთებთან გვაქვს საქმე. საკითხის შესწავლას ართულებს ის გარემოება, რომ ველური და მოშინაურებული ცხენების გამიჯვნა მხოლოდ ოსტეოლოგიური მასალით საკმაოდ რთულია (Джапаридзе, 1989: 320).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ცხენის მნიშვნელობა განსაკუთრებით იკვეთება, რასაც მონშობს როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები (ხაზარაძე, 1978:85-87), ასევე სამაროვნების არქეოლოგიური მასალა, სადაც დასტურდება ცხენის ჩაყოლების ფაქტი.<sup>4</sup>

მოგვიანო პერიოდის ავტორები გამოჩენილი არ აღნიშნავენ ცხენის როლს კოლხეთის სამეურნეო ცხოვრებაში, რაც ხარის, როგორც ძირითადი გამწვევი ძალის, უპირატესობაზე უნდა მიუთი-

<sup>4</sup> სამთავრო, დვანი, დმანისი, ზემო ავჭალა, ნინამური, ნავთლული, ნარეკვაუი, არდისუბანი, ყულანურხვა, თლის სამაროვანი (ავალიშვილი, 1974: 99). ეს ტრადიცია გრძელდება მოგვიანო ხანაშიც (ითხვისი, ვანი, ბორის კლდეები). ლარილარის სამაროვანზე (ძვ.წ. I ათასწლეულის შუა წლები) მიცვალებულებს ავგაროვნებად ბრინჯაოს ცხენის მცირე ქანდაკებანი პქონდათ ჩატანებული (ჩართოლანი, 1977:93; 1968).

თებდეს.

ხარს, როგორც სამეურნეო ცხოვრებაში გამორჩეულ პირ-უტყვს, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებაში: ხარი - მთავარი დამხმარე ძალა მინათმოქმედებაში, ხარი - კულტის საგანი, ნაყოფიერების სიმბოლო. უფრო დანვრილებით ამ საკითხზე ზღვისპირა ზოლის მკვიდრთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენების მიმოხილვისას შევჩერდებით.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის მოსახლეობა მისდევდა ნადირობასა და მეთევზეობას. მეურნეობის ეს ორივე დარგი ტრადიციული იყო ადგილობრივ მკვიდრთა ყოფაცხოვრებაში, რაც დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითაც.

ოსტეოლოგიური მასალა, რომელიც ნამოსახლარებზეა მიკვლეული, მეტწილად, შინაური ცხოველების ნაშთს წარმოადგენს. თუმცა, იქვე ნანახია გარეული ღორისა და თხის ძვლები, რომლებიც, ალბათ, ნანადირევს წარმოადგენდა. სანადირო იარაღებიდან უმეტესი წილი მოდის კაჟისა და ბრინჯაოს ისრისპირზე, შურდულის ქვებზე (ჩაველიშვილი, 1987:27; Микеладзе, Хахуганшвили, 1985: 117). ეჭვს არ იწვევს, რომ ტყით დაფარულ მასივებში ნაკლებობა არ იქნებოდა ნადირ-ფრინველისა, რაც საშუალებას მისცემდა მოსახლეობას, დიდი სირთულის გარეშე მოეპოვებინა დამატებითი საკვები პროდუქტი.

როგორც აღვნიშნავდით, საქართველოს ზღვისპირა ზოლის მოსახლეობის კვების რაციონში მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მეთევზეობით მოპოვებული პროდუქტების წილი. მეთევზეობის ტრადიციულ ხასიათზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ რეგიონში ანკესი და ჭვალთი ბადე უძველესი პერიოდიდან დასტურდება. ზღვისპირა დიუნურ სადგომზე ქვის ინვენტარში უმეტესი წილი მოდის ზღვის მოზრდილი და საშუალო ზომის ორმხრივამოლარულ ბადის საძირავეებზე. ბობოყვათის დიუნურ სადგომებზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი ანკესი (თავამაიშვილი, 1987:42, ტაბ. XXXIV-4). მეთევზეობა მომდევნო პერიოდშიც ინარჩუნებს ნამყვან როლს, რომელზეც მინიშნება გვხვდება წერილობით წყაროებში.<sup>5</sup>

<sup>5</sup> ქსენოფონტე მოსინიკების ყოფის აღწერისას მიუთითებს: "...ამფორებში აღმოჩნდა ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ხორცი

ადრერკინის ხანის კოლხეთში განვითარების ახალ საფეხურზე ადის მეთუნეობა (Лордкипანიძე, 1979:74). ზღვისპირა სადგომების არქეოლოგიურ მასალაში წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ქურჭლები. ქურჭელთა უმეტესობა მორგვზეა დამზადებული, თუმცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის მორგვი, ისე როგორც გამოსანვაფი ქურა, ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ქურჭლებზე, ძირითადად, გეომეტრიული ორნამენტია დატანილი. ფართო გავრცელებას პოულობს ფართო კანელურებით შემკული დიდი ზომის ქურჭლები. გრძელდება ტრადიცია ქურჭლების ზომორფული ყურებით გაფორმებისა (ხახუტაიშვილი, 1986:51). კერამიკულ ინვენტარში გამოჩნეულ ადგილს იკავებს სპეციალური დანიშნულების მოზრდილი ქურჭლები (აბაზანები), რომელთა დამზადებით მეთუნეთა გარკვეული ჯგუფი უნდა ყოფილიყო დაკავებული. მნიშვნელოვანი წილი სამეთუნეო ნაწარმისა მოდის საკულტო დანიშნულების კერამიკაზე (სადგრები, ფილები). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდისათვის მეთუნეობა ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგად იყო ჩამოყალიბებული.

ზღვისპირა სადგომებზე ყველაზე უხვადაა წარმოდგენილი ე.წ. ქსოვილისანაბეჭდიანი ქურჭლები, რაც უტყუარი ნიშანია საკვლევ რეგიონში ფეიქრობის განვითარების მაღალი დონისა. მახვილურის ნამოსახლარზე მოპოვებული კვირისტავები, ხელოსნობის ამ დარგის დასაბამს გვიანნეოლითური ხანიდან გვიდასტურებს (გოგიტიძე, 1982:99-101). კოლხეთში ფეიქრობის შესახებ პეროდოტეც მიუნიშნებს: "...მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად...კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი -ეგვიპტურს (პეროდოტე, 1975: 156). სტრაბონი "გეოგრაფიაში" მიუთითებს, რომ კოლხეთში "... ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის, ქვეყნის გარედაც გააქვთ." (ყაუხჩიშვილი, 1957:123-124). ბ. კუფტინი კოლხურ საფეიქრო დაზგას, დაბლაგომში აღმოჩენილ მონეტაზე შემორჩენილი ნიმუშის მიხედ-

[სხვა ქურჭელში კი] შეკაზმული დელფინის ქონი, რომელსაც მოსინიკები ისევე იყენებდნენ, როგორც ელინები ზეითუნის ზეთს.." (მიქელაძე, 1967:104).

ვით, ტიპოლოგიურად ეგვიპტურ დაზგებს უკავშირებს.<sup>6</sup> მისი აზრით, ქსოვილის ანაბექდების ნაირსახეობა, ერთი მხრივ, მიუთითებს ადგილობრივ მოსახლეობაში მასზე გაზრდილ მოთხოვნილებაზე, ამავე დროს, ადასტურებს საფეიქრო საქმიანობის სპეციალიზაციასაც (Куртин, 1950:274-297). ლ. სოლოვიოვი, ა. ლუკინის მასალების მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე (კისტრიკის სადგომი) ჭურჭლის გამოსაძერწ ფორმაში ქსოვილის გამოყენების ტრადიციას გვიანნეოლითური ხანიდან აფიქსირებს (Соловьев, 1950:286). ა. რამიშვილი, ფიჭვნარის დიუნური სადგომის კერამიკაზე შემორჩენილი ქსოვილის ანაბექდების ანალიზის შედეგად, გამოყოფს ორ ტიპს – შედარებით მეჩხერსა და უფრო მჭიდროს. მისი აზრით, აღნიშნული ქსოვილი სელის ნართისაგან იყო დამზადებული და ხელით იყო ნაქსოვი (Рамшвили, 1975:42).<sup>7</sup> თ. მიქელაძისა და დ.ხახუტაიშვილის აზრით, ქვიშაზვინულებზე მოპოვებული მაგნეტიტის ტრანსპორტირება სწორედ ნაქსოვი ტომრების საშუალებით უნდა ყოფილიყო მოსახერხებელი (Микеладзе, Хакхутишвили, 1985:29). ნ. ხახუტაიშვილი თვლის, რომ ადრერკინის ხანის კოლხეთის საფეიქრო წარმოება, ძირითადად, საოჯახო წარმოება იყო და მხოლოდ ცალკეული გამონაკლისის სახით შეგვიძლია დავუშვათ პროფესიული სახელოსნოების არსებობა (ხახუტაიშვილი, 1986:103). ენობრივი მონაცემებით დასტურდება, რომ სელი ქართველურმა სამყა-

<sup>6</sup> ბ. კუფტინი თვლის, რომ კოლხეთში საქსოვი დაზგა უნდა ყოფილიყო პორიზონტალურად დაჭიმული ქსელით, ნერვიო რემიზითა და საფეხურებით. მკვლევარი კოლხურ საქსოვ დაზგას ამსგავსებს ბენ-ხასანის აკლდამის შუა სამეფოს დროინდელ მოხატულობაზე აღბეჭდილ დაზგას (Куртин, 1950:291-297, таб.77-78).

<sup>7</sup> ფიჭვნარის აბაზანებზე ქსოვილის ანაბექდების ტექნიკური მახასიათებლები ზუსტად იმეორებს ოჩამჩირის აბაზანების ანაბექდების მახასიათებლებს. პირველი სახის ქსოვილი ანალოგიურია ქსოვილისა, რომელსაც ბ. კუფტინი "სააფრე ტილოს" უწოდებს (ქსელზე 75 ძაფით და მისაქცეულზე 70 ძაფით 10 სმ ქსოვილზე), ხოლო მეორე სახის ქსოვილი იმ ქსოვილისა, რომელიც თხელ ტილოდ არის მიჩნეული. ასეთი მსგავსება საფუძველს აძლევს ა. რამიშვილს დასკვნისათვის, რომ წინა ანტიკური ხანის კოლხეთში ხმარებაში ერთგვარი ქსოვილი იყო (რამიშვილი, 1971:169-170).

რომ ადრერკინის ხანაში აითვისა (Климов, 1964:36). დ. ხახუტაიშვილის აზრით, ადრერკინის ხანის საქართველოს ზღვისპირეთში გამოიყენებოდა პორიზონტალური საქსოვი დაზგა, რისი მონმობაც უნდა იყოს, ერთი მხრივ, კოლხური ნამოსახლარების ადრერკინის ხანის ფენებში ქსელის დასაჭიმი შეუღლების არმიკვლევა, ხოლო მეორე მხრივ, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში პორიზონტალური საქსოვი დაზგების სხვადასხვა სახეობის შემონახვის ფაქტი (Михеладзе, Хахутаишвили, 1985:29).

დიუნური სადგომების არქეოლოგიური მასალა, თუ არ ჩავთვლით სამსხვერპლოებს, არ იძლევა სამშენებლო საქმის შესახებ საფუძვლიანი მსჯელობის საშუალებას. ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე დაფიქსირებული მოშავო-მონითალო ოვალური ფორმის დატკეპნილი მოედნები, ძეგლის მკვლევრის ა. რამიშვილის მიერ, მსუბუქი კონსტრუქციის „ფაცხისებური“ ნაგებობის კვალად არის მიჩნეული (Рамшвили<sup>1</sup>, 1975:138).

ადრერკინის ხანაში დასტურდება თვისებრივად ახალი ტიპის მსხვილი დაბური ტიპის დასახლებები, რომლებიც რამდენიმე თემს აერთიანებენ. აქ წარმოდგენილია როგორც საცხოვრებელი, ისე სახელოსნო უბნები (ხახუტაიშვილი, 1995:82). იქმნება ხელოვნურ მოსახლეთა სისტემა და ეს პერიოდი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარზე მოდის. მიჩნეულია, რომ ეს დემოგრაფიული აფეთქება განსაკუთრებით კარგად ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ჩანს. ნინაანტიკურ ხანაში, მოსახლეობა, გამრავლების კვალობაზე, უკვე ძველი სამოსახლო ბორცვების შემომსახვრელი არხების გარე ტერიტორიასაც ითვისებს (ნამქედური, ნოსირი, ნაკარგალი, მზიური, ნაშარნუ, ფიჩორი და სხვ.) (ბარამიძე, 1998:8). ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ძვ. წ. II ათასწლეული პირველი ნახევრის არქეოლოგიური მასალის მიხედვით, სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში იკვეთება ერთგვარი განსხვავება ერთიანი კომპლექსის შიგნით, რომელიც გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ-უფლებრივ დიფერენციაციაზე, დანიშნულებული (პეგემონი) გვარის დანარჩენებისაგან იზოლაციაზე უნდა მიუნიშნებდეს (ლორთქიფანიძე, 2002:137). ლ. ჯიბლაძე და თ. ჩიგოშვილი თვლიან, რომ ეს მოსაზრება ყველაზე მეტად მიესადაგება ძველკოლხურ II ეტაპს (ძვ.წ. X-VII საუკუნეები), რადგან პროტო და

ქველკოლხურ I ეტაპზე ცენტრალური სამოსახლოები უმრავლეს შემთხვევაში მარტოა წარმოდგენილი, ხოლო კომპლექსში შემავალი გუშუბები ჩნდება ქრონოლოგიურად მომდევნო საფეხურზე (ჯიბლაძე, 2002:9; ჩიგოშვილი, 1999:5).

რაც შეეხება მშენებლობის ხელოვნებას, აღნიშნულ პერიოდში, ტრადიციულ ფორმებთან ერთად, რიგი მნიშვნელოვანი სიახლეებიც შეინიშნება.

ადგილობრივი მოსახლეობის სამშენებლო კულტურაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-სამოსახლოების ვათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი კოლხური სახლის კონსტრუქციული გადაწყვეტის დეტალები<sup>8</sup> დასტურდება არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითაც (Γαρουσιζε, 1986:9). როგორც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ნამოსახლარების ვათხრები ცხადყოფს, სამოსახლო ბორცვებზე ძირითადად ორი ტიპის ნაგებობა არსებობდა: ჯარგვალისებური წყობის (სქელი მორებით ან შედარებით ვიწრო ძელებით ამოყვანილი) კედლებით და წნულკედლიანი (გოგაძე, 1982:77). თითქმის ყველა შემთხვევაში კედლის ძელები ერთმანეთში ჭდობით არის დაკავშირებული (ხახუტაიშვილი, 1982:18). ადრერკინის ხანაში ფიქსირდება ნაგებობის კედლების თიხის ხსნარით შეღესვა. ეზოსა და სახლის იატაკის მოსაკირწყლავად გამოყენებულია ზღვის ბრტყელი კენჭები, რაც ფრიად პრაქტიკული ჩანს შედარებით ნესტიანი გარემო პირობებისათვის (ჯაველიძე, 1985:5; ჯიბლაძე, 2002:47). ვიტრუვიუსი არაფერს ამბობს კოლხურის სახლის კარების ფანჯრების საკვამურის შესახებ, რაც, ბუნებრივია, ართულებს ნაგებობის სრულად წარმოსახვას. ამჟამად, არქეოლოგიური ნაშთების მიხედვით, აღნი-

<sup>8</sup> „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მინაზე მარჯვნიდან და მარცხნიდან მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით, მათ ზემოდან თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ ძელებს, რომლებიც ამგვარად ზღუდავენ ბინის შიდა სივრცეს. შემდეგ ოთხივე მხარეს კუთხეებში შეულღებული ხეების თანდათანობითი წყობით ამოჰყავთ რა ძირითა ძელების შევლად ხის კედლები, აგებენ კოშკებს, და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო, ამოაესებენ ფათხებითა და თიხით (ყიფიანი, ამაძუკელი, 1995:6).

მწული დეტალების დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჯარგვა-ალური სამშენებლო ტექნიკის უწყვეტობა საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით ფიქსირდება და ამჟამინდელი მონაცემებით, ოთხიათას წელზე მეტს მოიცავს (ჩიქოვანი, 1999:87). უძველესი ჯარგვალური სახლის მსგავსი ნაგებობები ეთნოგრაფიულად დაფიქსირებულია აჭარის ალპურ ზონაში ძირითადი, ანუ ერთსართულიანი, და ზედმედგმული, ანუ ორსართულიანი ჯარგვალური საცხოვრებელი სახლის სახით (რობაქიძე, 1960: 22-23).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, მიმდებარე მხარეებითურთ, კოლხური ბრინჯაოს კულტურის უმთავრეს და უძველეს კერას წარმოადგენს. აქ გამოვლენილი მასალების მიხედვით, ლითონდამუშავება ხელოსნური წარმოების ისეთი უბანია, სადაც ადრერკინის ხანაში პროფესიული დანაწევრების ხარისხი საკმაოდ მაღალია. ამ დარგის თითოეული უბანი - ჩამოსხმა და მჭედლობა მისი ცალკე სახეებით - ფაქტიობრივად დამოუკიდებელი ხელოსნური დარგებია (ხახუტაიშვილი, 1986:103). ფიჭვნარში, ჩოლოქისპირა ნამოსახლარის IV კულტურულ ფენაში (ძვ.წ. XII-Xს), გაითხარა უშუალოდ სამოსახლო ბორცვზე გამართული ჯარგვალური წყობით ნაშენი თორმეტნახნაგა ნაგებობა, რომელიც ლითონსხმასთან დაკავშირებულ უძველეს სანარმოო სახელოსნოდ არის მიჩნეული (ჩავლეიშვილი, 1991:7-8).

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების კოლხეთში ყველა პირობა არსებობდა რკინის მეტალურგიის განვითარებისათვის. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მადნეული, ხე-ტყე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ლითონის დამუშავების მრავალსაუკუნოვანი და უწყვეტი ტრადიციები (ლორთქიფანიძე, 2002:164).

რკინის მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე თავისთავად გულისხმობდა მეტალურგთა პროფესიონალური ფენის ჩამოყალიბებას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რკინის სახელოსნო უბნები, ისევე, როგორც სამუშაო ინვენტარი, შესაძლოა, მათ კერძო საკუთრებასაც წარმოადგენდა. ზღვისპირა ზოლის წინაანტიკური ხანის სამაროვნებში დასტურდება ქონებრივი დიფერენციაციის ნიშნები. ნიშანდობლივია ისიც, რომ სიმდიდრის გამოხატულებას წარმოადგენს არა ოქრო და ვერცხლი, არამედ სპილენძის ზოდე-

ბი, ბრინჯაოსა და რკინის იარაღი. ძვ.წ. VIII ს. კოლხეთის ადრეკლასობრივი ტიპის სამეფოს ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანია სასოფლო თემის და გვაროვნული წყობის ბევრი გადმონაშთის არსებობა. სამეფო ხელისუფლების ორგანიზატორული ფუნქცია, სამხედრო და საკულტო საკითხებთან ერთად, სამეურნეო პროცესზე ვრცელდებოდა, რაც არისტოკრატიის მიერ მონებისა და მეთემეების ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმაში გამოიხატებოდა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზღვისპირა სადგომებზე მიმდინარე სანარმოო პროცესი უფრო მასშტაბური სამეურნეო პროცესის ერთ-ერთი რგოლი იყო. რკინის მეტალურგიისათვის ნედლეულის მოპოვება საკმაოდ რთული საქმე გახლდათ, რომელიც ფიზიკურ გარჯასთან ერთად, გარკვეული გამოცდილების ქონასაც გულისხმობდა. ალ. რამიშვილი არამართებულად მიიჩნევს დ. ხახუტაიშვილის მიერ შერჩეულ ტერმინს „მემთამადნე ხელოსნები“ (ხახუტაიშვილი, 1964:53-54), რადგან თვლის, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული როგორც მადნის მოპოვებელთა, ასევე გამომდნობელთა, ე.ი. მემთამადნე და მეტალურგ პროფესიულ ხელოსანთა ჯგუფები. უფრო მეტიც, არამიშვილს დასაშვებად მიაჩნდა თითოეული ამ ჯგუფის შიგნით, ჩანასახის სახით მაინც, ახალი პროფესიული ჯგუფების გაჩენა (მაგ.: ქურის მშენებლები, სანვავის დამამზადებლები) (რამიშვილი, 1971:131-132).<sup>9</sup>

<sup>9</sup> ტ. გლემბოვსკაია თვლის, რომ მეტალურგიის განვითარების ადრეულ საფეხურზე, იმ ადამიანთა ჯგუფებში, ვინც მადანს მოიპოვებდა, ლითონს ადნობდა და ნედლეულის გამდიდრებას ეწეოდა, არ უნდა ყოფილიყო შრომა განაწილებული (Лемновская, 1984:7); ე. ჩერნიხი კი, ძველ საზოგადოებებში, სადაც სამთო-მეტალურგიული საქმიანობით იყვნენ დაკავებული, შრომის განაწილების ოთხი ძირითად რანგს გამოყოფს: 1. დაბალი რანგი — როდესაც საზოგადოების სტრუქტურაში ერთი უჯრედი: მალაროელი-მეტალურგი-მჭედელი; 2. ორუჯრედიანი: მალაროელი-მეტალურგი და მჭედელი-მსხმელი; აქ სამთო საქმე და ლითონის დამუშავება გაყოფილია ერთმანეთისაგან; 3. სამუჯრედიანი: მალაროელი-მეტალურგი-მჭედელი-მსხმელი; 4. ოთხუჯრედიანი: მალაროელი-მეტალურგი-შრომის იარაღის ოსტატი- იუველირი (Черных Е.Н. Горное дело и металлургия в Древнейшей Болгарии. София, 1978, с.280).

ალბათ, მონების შრომა ამ პროცესში პროდუქტიული ვერ იქნებოდა. ვფიქრობთ, რომ სადგომებზე დასაქმებულები რიგითი მეთემეები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო თემის არისტოკრატიას ნარმოების ორგანიზატორის ფუნქცია დაეკისრებოდა.<sup>10</sup>

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი ადრერკინის ხანის კოლხეთის ერთ-ერთი ყველაზე დანიანაურებული რეგიონია. რკინის მეტალურგიის განვითარებამ უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგზე, ხელი შეუწყო სოციალური დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებას. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამ პერიოდიდან, მიწათმოქმედებას შეუძლია აწარმოოს იმდენი ჭარბი პროდუქტი, რომ გამოკვებოს მეურნეობაში დაუკავებელი მოსახლეობა (მუსხელიშვილი, 1977:37). რკინის იარაღი ცვლის ბრინჯაოს იარაღს და, რაც უფრო ნიშანდობლივია, იმანენტური განვითარების თვალსაზრისით, თითქმის მთლიანად იმეორებს ბრინჯაოს იარაღის ფორმებს (Лордкипანიძე, მიხელაძე, 1981:300).

ადრერკინის ხანაში საფუძველი ეყრება ადრეკლასობრივი საზოგადოების ადრეული ეტაპის ფორმირებას. ადრე რკინის ხანა კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდია. ეს ის დროა, როდესაც ყველაზე მეტად არის გამოხატული ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის მჭიდრო სიახლოვე მატერიალური და და განსაკუთრებით სულიერი კულტურის მხრით (მელიქიშვილი, 1981:79).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ქართველური სამყაროს არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი, არამედ სულიერი ცხოვრების თანამოზიარე იყო, რაც კარგადაა ასახული იმ მდიდარ ნივთიერ კულტურაში, რომელიც რეგიონის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლინდა (ხახუტაიშვილი, 19:89).

<sup>10</sup> თ. მიქელაძის აზრით, კოლხეთის საზოგადოების ძირითად ნაწილს სწორედ თავისუფალი მეთემეები წარმოადგენდნენ, რომლებსაც აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ „კოლხებად“, „ძენი კოლხებისანი“ ან „დემეტროი“ (მეთემე) მოიხსენიებს. ეს უკანსკელინი მიწათმოქმედნი, მელითონეები და მეთუნეები უნდა ყოფილიყვნენ (მიქელაძე, 1974:161-163)

## თავი მარვა

### საქართველოს ზღვისპირა ზოლის მოსახლეობის შპველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ

საქართველოს დიუნური სადგომების არქეოლოგიური მასალა იმითაც არის საინტერესო, რომ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ.

საქართველოს ზღვისპირა ზოლში მიკვლეული დიუნური სადგომების მიმოხილვისას, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ უკლებლივ ყველა სადგომზე, აბაზანისმაგვარ ჭურჭლებთან ერთად, მრავლადაა აღმოჩენილი თიხის რქისებრშვერილიანი სადგრები, ხოლო ურეკის, ფიჭვნარის, ბობოყვათისა და ციხისძირის სადგომებზე - რქისებრი სადგრებისაგან შედგენილი სამსხვერპლოები. ჩვენი წარმოდგენით, სამსხვერპლოებთან მონყობილი რიტუალური ცერემონიალის ძირითადი არსი, კონკრეტულ საქმიანობაში წარმატების, ზეავისა და ბარაქის უზრუნველყოფით უნდა ყოფილიყო განპირობებული. სიმბოლური დატვირთვით, რიტუალის მონაწილე არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ყველა ის ელემენტი (მათ შორის უსულე) უნდა ყოფილიყო, რომლებიც მთლიანობაში განსაზღვრავდნენ რიტუალის ხასიათსა და მისთვის დამახასიათებელ ატმოსფეროს (ხიდაშელი, 2010:383).

თიხის რქისებრშვერილიან სადგრებთან მიმართებით, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მკვლევართა უმეტესება ამ კერამიკულ ნიმუშებში ხარის სიმბოლურ გამოსახულებას ხედავს და შესაბამისად, მათ ხარის კულტს უკავშირებს.

ხარის კულტს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ადრეულ ქართულ სამყაროში. ხარის როლის გამორჩეულობის თვალსაზრისით, ქართული წარმართული რელიგია დიდ მსგავსებას ამჟღავნებს წინა აზიისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხთა რელიგიურ სამყაროსთან (ნარაველიძე, 1975:200; ბარდაველიძე, 1953 :314). ხარის კულტის ჩასახვას ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქებში ვარაუდობენ, მაგრამ განსაკუთრებულ სიძლიერეს და ფართო გავ-

რცელებას მან უძველესი მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის აღმავლობის ხანაში მიაღწია (ხიდაშელი, 1982:82).

ქართველთა ყოფაში ხარი წარმოადგენდა მუშა პირუტყვის, რომელზეც დაკისრებული იყო როგორც მინის მოხვნის, ასევე გამწვევი ძალის ფუნქციაც. ხარმა, როგორც გამორჩეული თვისებების მატარებელმა ცხოველმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა აგრარულ კულტურაში. საქართველოში აღმოჩენილ ენეოლითის, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სკულპტურულ ფიგურებსა თუ რელიეფურ გამოსახულებებში მკაფიოდ იკითხება ხარის კავშირი სამინათმოქმედო კულტებთან (მიქელაძე, 1985:60; Ивашенко, 1941: 47-55; ურუშაძე, 1969:75-78; Лордкипანიძე, 1967:30; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:110-111, ტაბ. XX-1, XXXI-2, XXXII-1,2). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, პრაქტიკულად, ყველა სიმბოლურნიშნაირი ზოომორფული სახე (მათ შორის ხარი) ადრე ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული (კიკვიძე, 1976:221). სამთავროს ბრინჯაოს სარტყელზე დატანილი ხარის შვიდივე გამოსახულება ატარებს სამინათმოქმედო იარაღების სიმბოლურ ატრიბუტებს, გამოხატავს მინათმოქმედების ძირითად პროცესებს (ხვნა, თესვა, ფარცხვა, მოსავლის აღება). ნ. ურუშაძის აზრით, ეს გამოსახულებები სამინათმოქმედო ღვთაების უძველეს თვისებებს ასახავენ, რაც პერსონიფიცირებული იყო შინაური პირუტყვის სახეში (ურუშაძე, 1969: 75).

მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამ გამოკვეთა გამანაყოფიერებლის კულტი. ხარი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, ჯერ "ბულა-მწარმოებელად", ხოლო მოგვიანებით, მოხვნიითი მინათმოქმედების განვითარების კვალობაზე, "მხვნელად" გვევლინება (ხახუტაიშვილი, 1995:93-94). უფლისციხეში გვიანბრინჯაო-ადრერკინით დათარიღებული წარმართული სალოცავის ერთ სათავსოში "ბულა-მწარმოებლის", ხოლო გვერდით სათავსოში "ხარი-მხვნელის" კულტისადმი მიძღვნილი საკურთხეველებია განლაგებული (ხახუტაიშვილი, 1964:35-41). არც ერთ ქართულ დღესასწაულში, სადაც მიღებულია ხარის მსხვერპლშენიერვა, ან რაღაც ფორმით მისი მონაწილეობა, არ ფიგურირებს მხვნელი ხარი, კასტრატ. ყველა რიტუალში მონაწილეობას ღებულობს მწარმოებელი ხარი, რომელიც გამწვევ ძალად საერთოდ არ გამოიყენება. მისი

საკულტო ღირებულება და საკრალური მნიშვნელობა გაცილებით უსწრებს მინათმოქმედების განვითარებას, რომელიც გამწევ ძალად ხარს იყენებდა (სურგულაძე, 1993:51).<sup>1</sup>

ხარი მიჩნეულია ღვთაება ბოსელის (რომელსაც შინაური ცხოველების გამრავლება და მფარველობა მიენერება) უძველეს ზოომორფულ სახედ (ჯაფარიძე, 1958:28; შამილაძე, 1971). ქართული ბოს(ელი) თავისი ძირით მსგავსებას იჩენს ხარის (ძროხის) აღმნიშვნელ ტერმინთან ინდოევროპულ ენებში (ბერძნული βουξ და ლათინური bas)(მელიქიშვილი, 1970: 214-215). ქართული ტერმინი "ხარი" ძალიან ჩამოგავს ხურიტული ღვთაებრივი ხარის სახელს "Hurri" და ეგვიპტური შავი ხარის სახელს "Hapi" (რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ აპისს)( Golan, 1991: 61). ქართულ ეთნოგრაფიულ მასალას თუ მოვიშველიებთ, ბულა-ხარის კულტთან იყო დაკავშირებული თამაში "ბულიების ქედობა" აჭარაში, რომელიც კორიდას ნაირსახეობას წარმოადგენდა და ტრადიციულად გაზაფხულის (აღორძინების) შესახვედრად ეწყობოდა (შამილაძე, 1979).

წარმართულ პერიოდში ხარს წყლის სიუხვის დაცვა-მფარველობის ფუნქციაც ენიჭებოდა (ოჩიაური, 1975:166; Сухарулиძე, 1972:46). ხარი მიწასთანაც ასოცირდებოდა და მისი სახე ქტონიურ მნიშვნელობასაც იძენდა.<sup>2</sup> განრისხებულ ხარს წვიმის, ნიაღვრის, წყალდიდობის და ქექა-ქუხილის გამოწვევა შეეძლო (შამილაძე, 1964:199).<sup>3</sup> კოსმოგონიური შეხედულებების ჩამოყალიბების კვალობაზე, ხარი ასტრალური ღვთაების ატრიბუტი და ემბლემა ხდება (Rise, 1998:6,7; Бардавლიძე, 1975:198).

<sup>1</sup> ხეთური კანონების მიხედვით, 1 მხენელი ხარის (იდეოგრ. GUD. APIN. LAL - "ხარი მიბმული გუთანთან") მომპარავს 15 ხარი უნდა მოეყვანა (Мяконов, 1952:267).

<sup>2</sup> "მათი სულელები, ვინც მიწას მიაბარეს, ხარს ეკუთვნის" (III საუკუნის ავტორი პორფირე)(Gimbutas, 2001:182).

<sup>3</sup> შუმერებთან, ქექა-ქუხილის ღმერთი "იშკური" ატარებდა სახელს "მშინვარების ველური ხარი" (Мшья народоу мира. Москва, 1981:39). ინდური ქექა-ქუხილის ღმერთი "ინდრა" განსახიერებული იყო ხარის სახეში. სკანდინავიური ღმერთი-მეზმტყორცნილი "თორი" (Thor) გამოხატული იყო ხარის რქებით (Golan, 1991:54).

მკვლევართა აზრით, ხარი თავისი შინაარსისა (განაყოფიერება, ბუნების აღორძინება, განახლება)<sup>4</sup> და ურთიერთმსგავსების (რქების რკალისებრი მოყვანილობა)<sup>5</sup> გამო, მთვარის ღვთაების განსახიერებას წარმოადგენდა (ჯავახიშვილი, 1979:99; Кушнарёва. 1977:51). საქართველოს ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ხარის რქები გამოსახულია ნახევარმთვარისებურად (სურგულაძე, 1993:20; ფხაკაძე, 2004: 17). მტკვარ-არაქსის კულტურაში, კერძოდ, კერების გაფორმებაში, თვალსაჩინოა ხარისა და მთვარის კავშირი (კიკვიძე, 1976:165). სხვა მოსაზრებით, ხარი მზის ღვთაებას უკავშირდება (Кушнарёва. 1977:106-107). სვანური "ბარბოლი" მზისა და ცხოველთა ნაყოფიერების ღვთაებაა. ამ ღვთაებისადმი შესანიშნავ ერთ-ერთ მთავარ ცხოველს ხარი წარმოადგენდა, რომელსაც "ბარბლაის" სახელით მოიხსენიებდნენ.<sup>6</sup> სვანეთში ხარი იკვლებოდა მხოლოდ კვირას – მზის დღეს (ქორღიპანიძე. 1970:60). სვანურ წარმართული ხანის ჰიმნში "ლილე" მზის სიმბოლოს და მისთვის შესანიშნავ ცხოველს ხარი წარმოადგენს (Чартолани, 1989: 190). სვანეთის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება ასტრალური კულტის ორივე ფორმის (მზე, მთვარე) დუალიზმი - ერთად თანაარსებობა (Чартолани, 1989:190).

<sup>4</sup> ავესტაში მითითებულია, რომ "მთვარე თავის თავში შეიცავს ხარის თესლს". მუშერულ ტექსტებში მთვარეს მოიხსენიებენ "წვერიან ხარად". ურის ზიკურატში აღმოჩენილ წარწერაში მთვარის ღვთაება "ზეციურ ხარად" იხსენიება. აქედური მთვარის ღმერთის "სინ"-ის და სამხრეთ არაბული მთვარის ღმერთის "სამი"-ს ღვთაებრივ ცხოველად ითვლებოდა ხარი (ოლან, 1991:56). ეგვიპტურ ღვთაებრივ ხარის აპისს უწოდებენ "მთვარის ხარს" (Е.пашакии, 1960:50). ხარისა და მთვარის, როგორც განაყოფიერების ხელშემწყობი ღვთაებისა და მისი ატრიბუტის კავშირის გააზრებისათვის საინტერესო ახსნა ეძებნება მსგავსებას ხეთურ არმა (მთვარე) და არმაპპ (დააორსულოს) შორის (Гамкрелидзе, Пашов, 1984:685).

<sup>5</sup> ძველ დროში ხარის რქები ასოცირდებოდა არა ერთ, არამედ ორ ნახევარმთვარესთან, რომლებიც წარმოადგენდნენ მთვარის ორ ფაზას - სანყისსა და დასასრულს (ოლან, 1991:52).

<sup>6</sup> "მზე შემოაქვთ რქებით ხარებს, მზე შენია, ბარბალ-დოლაშ" (ქავახიშვილი. 1928:657).

ხარი სიცოცხლის ხესთანაც არის დაკავშირებული. ხარი ნში-ნდა ცხოველს წარმოადგენდა კავკასიის იმ რეგიონებში, სადაც ხის თაყვანისცემა იყო გავრცელებული (Mapp, 1915:138).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური მხატვრული ხელოვნობის ძეგლებზე (შუბისპირები, ცულები, აბზინდები, მშვილდსაკინძები), ერთი მხრივ, არ გვხვდება ხარის გამოსახულება,<sup>7</sup> მაგრამ ამავე პერიოდის ბრინჯაოს სარტყლების გრაფიკულ დეკორში მთავარი ადგილი ხარს უკავია (ფანცხავა, 1988:11). რადგან ხარი მამაკაცურ სანაყის განასახიერებდა, ხარის რქები ძალისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ ჩამოყალიბდა, რისი მონუმობაცაა რქებით შემკული მამაკაცების იტიფალური ქანდაკებები (Gimbutas, 2001:265-266, fig.411.412). გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებულ ხარის სკულპტურებზე აქცენტირებულია თავი და რქები, რაც მის სიძლიერეზე მიუთითებს (Чартопанш, 1989:186). დ. დუსო ხაზს უსვამს, რომ ხარის ყველა გამოსახულებაში, სტილიზებულშიც კი, ხაზგასმულია სწორედ რქები, გამოხატულება მისი სიმძლავრისა და ღვთიური ძალისა (Dousaud, 1919:82).

არქაულ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული არქეტიპები მკაფიოდ იყო აღბეჭდილი ქართველი ხალხის ზეპირ ხსოვნაში, სხვადასხვა დღესასწაულზე შესრულებულ რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებში (ხიდაშელი, 2005:219). ქართულ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაში არაერთი ცნობაა დაცული ხარის, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის,<sup>8</sup> კეთილდღეობის დამცველის, გამრავლების ხელშემწყობის<sup>9</sup> და მისი ერთგული თანამშენის შესახებ (გიორგაძე, 1993:70-72; ოქროშიძე, 1969).<sup>10</sup>

<sup>7</sup> გამონაკლისს წარმოადგენს თლის სამაროვანზე აღმოჩენილი ცული, რომელზეც ხარია გამოსახული.

<sup>8</sup> ხარის ხორცს აუადმყოფთა განკურნების ძალაც მიენერებოდა (არქანჯელო ლამბერტი, 1972:142).

<sup>9</sup> ზემოქართული ტრადიციის თანახმად, უშილო ქალს ტბაში აბანაევდნენ, რადგან სწამდათ, რომ ტბაში „ხარი ბულრაობდა“ (ფუტკარაძე, მონყობილი, შერვაშიძე, 2005:29).

<sup>10</sup> აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალით დასტურდება, რომ ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენით, დედამიწა ხარის რქებზე დგას და ხარის ძალა განაპირობებს ადამიანებისა და ცხოველების განაყოფი-

ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზღვისპირა ქვიშაზვიწუნულებზე მიკვლეული თიხის რქისებრშვერილიანი სადგრეები ხარის კულტის ნივთიერი გამოხატულება იყო, ხოლო მისი დატვირთვა საცხოვრისის კერის თუ კერის მსგავსი სამსხვერპლოების კომპლექსში, ნაყოფიერების უზრუნველმყოფის ფუნქციით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.<sup>11</sup>

არქეოლოგიური მასალა თვალნათლივ ამტკიცებს ცხოველთა კულტების უდიდეს როლს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლელ ხალხის პირველად რელიგიაში. ცხოველთა კულტის სიძლიერის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ არქაული ხელოვნების ძირითად თემატიკას ცხოველთა გამოსახულებები წარმოადგენს (სიდაშელი, 2010:16).

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კოლხეთში ყალიბდება ხატოვანი შემეცნების ახალი საშუალებები, ისახება ამ პერიოდისათვის საკმაოდ რთული ამოცანა, რომელიც გულისხმობს სიბრტყეზე ადამიანთა და ცხოველთა განლაგებას, მოძრაობის გადმოცემას და სხვ. (სიდაშელი, 1982:9-10).

როგორც აღვნიშნეთ, ციხისძირის დიუნურ სადგომზე თიხის რქისებრშვერილიანი სადგრებისაგან შედგენილ სამსხვერპლოსთან აღმოჩნდა ჭურჭელი, რომლის მსგავსი არც დიუნურ სადგომებზე და არც თანადროულ ნამოსახლარებზე ადრე არ ყოფილა მიკვლეული (თავაძაიშვილი, 2002:23-27)(ტაბულა 14).

ჭურჭელი, რომელიც თავისი ფორმით უფრო დოქს მიესადაგება, ყავისფერკეციანია და მორგეზეა დამზადებული. გამოძერწვითა და გამონვით საშუალო ხარისხისაა. ჭურჭლის სიმაღლე 19 სმ-ია, მუცლის D- 19 სმ, პირის D-7სმ, ძირის D- 3 სმ. პირი ყელის ვერტიკალურ ხაზს აგრძელებს და უმნიშვნელოდაა გადაშლილი. ტანი სფერულია, შუა ნელზე ოდნავ გამოზურცული. ქუსლი არ იკითხება. ძირი ჭურჭლის ქვედა ნაწილის ოდნავ შებრტყელებითაა გამოყვანილი. ყურის კვალი არ ჩანს არც პირ-ყელზე და არც ტანზე. ტან-

რება-გამრავლებას (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2007: 217).

<sup>11</sup> ჩვენი აზრით, ბობოყვათის სადგომების მასალა მიუნიშნებს კერის ქალურ, ხოლო რქისნებრშვერილიანი სადგრების მამაკაცურ ბუნებაზე.

ის ზედა კალთაზე, მსუბუქი ქდეებით, ნრიულად, ოთხი ცხოველის გამოსახულებაა დატანილი (რესტავრაციის დროს გაირკვა, რომ ქურჭლელს აკლია ზოგიერთი ფრაგმენტი).

ქურჭელზე ოთხივე ცხოველი პროფილშია გამოსახული, თითო წინა და თითოც უკანა კიდურით. სამი ცხოველის გამოსახულება (ორი ცხენი და ერთი ირემი) კარგადაა შემორჩენილი. მეოთხე ფიგურას აკლია თავისა და კიდურების სავარაუდო ნაწილები. ცხენის ორი ფიგურა, გაფორმების თვალსაზრისით, უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთიმეორისაგან. თავის ნაწილი მეტად სტილიზებულია, გამოხატულია ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის კონტურით. უსახოა, არ იკითხება პირი, თვალები. ორივე ცხენი ფაფარაშლილია. გავა ერთს, ჩვეულებისამებრ, მომრგვალებული აქვს, მეორეს არაბუნებრივად დაკუთხული. ორივე ცხოველს სქელი ძუა აქვს, ერთის ძუა, დამატებით, ბოლოშია გაშლილი. ცხენებს გამოკვეთილი აქვთ სასქესო ნიშანი. ცხოველების ტანი გაფორმებულია ოვალური (წინა ნაწილი), პორიზონტალური (შუა ნაწილი) და ვერტიკალური (უკანა ნაწილი) ქდეების კომბინირებით.

მესამე ფიგურა, რომელიც ყველაზე უფრო დაზიანებულია, ჩვენი აზრით, ცხენი უნდა იყოს. მისი გამოსახულება თითქმის ანალოგიურია ზემოთ აღწერილი ცხენების ფიგურებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტანის შუა ნაწილი ვერტიკალური და დიაგონალური ქდეებით აქვს გაფორმებული.

მეოთხე ფიგურა ირემია. თავის ნაწილი აქაც სტილიზებულია, გამოხატულია ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის კონტურით. სახეზე არ იკითხება პირი, თვალები. ირემს მძიმე, ტანთან შედარებით არაპროპორციულად დიდი რქები აქვს.<sup>12</sup> ეს უკანასკნე-

<sup>12</sup> ლ. ფანცხავა, კოლხური ბრინჯაოს ცულეების მიმოხილვისას, აღნიშნავს, რომ ირემების ტანი ყოველთვის პროფილშია გამოსახული, ხოლო რქები ანფასში (ფანცხავა, 1989:88). რქიანი ცხოველის ასეთი ფორმით გამოსახვა დამახასიათებელია ძველი ეგვიპტური ხელოვნებისათვის (KIMIK, 1976: 118). ირმის რქების (განსაკუთრებით, ანფასში) მსგავსება დატოტილ ხესთან, თვალსაჩინოა. შესაძლოა, ირმის რქების ასეთი კუთხით გამოხატვა, თან რქების სიდიდის (ტანთან შედარებით) აქცენტირება, ერთგვარი მინიშნებაა, რომ ირმის რქა ოდითგანვე მიიჩნეოდა „სიცოცხლის ხის“ სიმბოლოდ. რაც შეეხება, ცხოველთა გამოსახულებებზე თვალების არ გამო-

ლი, თავისაგან განსხვავებით, ანფასშია გადმოცემული. გამოსახულებაზე შემორჩენილია კუდის ნაწილი. ტანი ცხენის ფიგურების მსგავსადაა გაფორმებული, თუმცა მცირეოდენი განსხვავებით: შუა ნაწილი ერთმანეთისაკენ მიმართული დიაგონალური ქდეებით აქვს შედგენილი. ირემს, ცხენების მსგავსად, გამოკვეთილი აქვს სასქესო ნიშანი.

ცხოველთა გამოსახულებები, სტილიზაციის მიუხედავად, რეალისტურ ჩარჩოებშია მოქცეული. სიუჟეტი საკმაოდ დინამური, მოხერხებულადაა გადანწყვეტილი ფიგურების სივრცობრივი განლაგების საკითხი, დაცულია სიმეტრია და თვალშისაცემია კომპოზიციური სიმსუბუქე. ჭურჭლის კონფიგურაციის ვათვალისწინებით, საინტერესოადაა შერჩეული ფიგურათა მოძრაობის ხაზი. სხეულების გაფორმების სტილი ლაკონურია და ცხოველთა ხასიათის, ფიზიკური სიძლიერის დამაჯერებლად გამომხატველი.

ციხისძირის ჭურჭლის კეცის ფერი, გამოძერწვისა და გამონვის ხასიათი დამახასიათებელია დიუნური კერამიკული ნიმუშებისათვის, განსაკუთრებით, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლებისათვის. რაც შეეხება ჭურჭლის ფორმას, მისი ზუსტი ანალოგები დიუნურ სადგომებზე ჯერჯერობით არ ყოფილა მიკვლეული. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მსგავსი ტიპის ჭურჭლებისათვის დამახასიათებელია ოდნავ გამოკვეთილი ქუსლი და ნაწილობრივ გადაშლილი პირი. გარკვეული პარამეტრებით, ციხისძირის ჭურჭელი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ ჩრდილოეთ კავკასიურ ე.წ. "მსხლისებრი ტიპის" ჭურჭლებთან (Крытиов, 1960:240; Нещет, 1931:14-18). რაც უფრო ნიშანდობლივია, ისინი ახლოს არიან მხატვრულ-კომპოზიციური გადანწყვეტის თვალსაზრისითაც.

ჩვენი აზრით, ციხისძირის ჭურჭლის ფუნქციონალური დანი-

---

კეთას, შესაძლოა, ესეც სტილიზაციით აიხსნას, თუმცა არ უნდა გამოვირიცხოთ, რომ აქაც გარკვეული აზრი იყო ჩადებული. მაგალითად, ჩრდილოეთ ევრაზიის ტერიტორიაზე, სადაც ირემი ყოველივე ცოცხალის მშობელს განასახიერებდა, ტრადიცია კრძალავდა თვალების დატოვებას მსხვერპლმწენირვის დროს, რადგან თუ ის მინაში არ იქნებოდა ჩაფლული, მას შეეძლო უბედურება მოეტანა (Симченко, 1976:250).

შნულება საკულტო-სარიტუალო ხასიათით უნდა აიხსნას. ჭურჭლის ფორმა (არამყარი ძირი, ვიწრო ყელი, ყურების არ ქონა), ნამდვილად არ წარმოადგენს მოსახერხებელ ვარიანტს სამეურნეო ყოფაში მათი გამოყენებისათვის. ამავე დროს, ჭურჭლის ასეთი გაფორმება, უფრო მის გამორჩეულ ხასიათზე უნდა მეტყველებდეს და წინასწარ განსაზღვრული მიზნისათვის (კულტმსახურება) დამზადებით უნდა იყოს განპირობებული.

საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში, ირმის უძველესი სქემატური გამოსახულება, დადასტურებულია არუხლოს გორის ენეოლითის ბოლოთი დათარიღებულ ფენაში მიკვლეული თიხის ნივთის ერთ-ერთ ნახნაგზე (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962:14), ასევე ხიზანაანთ გორის ფენასა (კიკვიძე, 1972:75, სურ.10) და ქვაციხელების C1 ჰორიზონტის I შენობაში (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962:13). ორივე შემთხვევაში ისინი მოზრდილ ჭურჭლებზე გამოწვის შემდგომად ამოკანრული. შუა ბრინჯაოს ხანაში ირმის გამოსახულებები ნაკლებად გვხვდება მატერიალური კულტურის ძეგლებზე. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, როდესაც გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბდა მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენები, განსაკუთრებულ როლს სწორედ ირემი თამაშობს (ხიდაშელი, 2010:20). ირმის გამოსახულება იკავებს ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს ბრინჯაოს მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე. ცენტრალურ ამიერკავკასიაში აღმოჩენილ 51 სარტყელზე, მხატვრული დეკორის ყველაზე პოპულარულ სახეს წარმოადგენს ირემი და ამ ცხოველზე ნადირობის სცენა (ხიდაშელი, 1982:52). კოლხურ-ყობანურ ცულებსა და აბზინდებს, ძირითადად, ირმის გამოსახულებები ამშვენებს (ფანცხავა, 1989:34,41-44). საინტერესოა ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშები, სადაც ასევე გამორჩეულია ირმის ხვედრითი წილი (ქორიძე, 1961:48-49).

ადრეული პერიოდისათვის, როდესაც ცხოველთა თითოეული კლასის მფარველი ზოომორფული არსება იყო, ირემი ამ ღვთაების უძველეს გამოხატულებას წარმოადგენდა. ქართულ მითოსში ირემი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამყაროს კოსმიური მთლიანობის გამომხატველ ნაყოფიერების ქალღვთაებასთან. იგი მის ზოომორფულ ინკარნაციას წარმოადგენს (ხიდაშელი, 2010: 412).

ამავე დროს, ირმის სახე უკავშირდება მინათმოქმედებასაც და ყალიბდება, როგორც ძლიერების, ბუნების ცხოველმყოფელი ძალის გამოხატულება (Амиранашвили, 1963:62). გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ირმის ნაყოფიერების კულტთან დაკავშირება განაპირობა ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში ირმის რქის გამოყენების პრაქტიკამაც (კიკვიძე, 1976: 62). ირმის რქისაგან დამზადებული თოხები მიკვლეულია ურბნისის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, ხოლო ქვაცხელებზე აღმოჩნდა ირმის რქის სახენელიც (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962:14). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ მეტყველებაში შემორჩენილი ტერმინები "ირემთ კალო" და "ხარ-ირემი" გამოძახილი უნდა იყოს იმ ძველი სინამდვილისა, როდესაც ირემი მინათმოქმედებაშიც გამწევი ძალის ფუნქციას ასრულებდა, რაც უფრო ადვილად გასაგებს ხდის უძველეს პერიოდშივე მის ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებას (ბრეგაძე, 1985:59-61).

რელიგიური პანთეონის ასტრალიზაციის შემდეგ, ირემი, როგორც ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლო, ზეციურ სამყაროს უკავშირდება და მთავარი ღვთაებების მზისა და მთვარის გვერდით ცისკრის ვარსკვლავს გამოხატავს (სურგულაძე, 1986:107).<sup>13</sup> ირმის კულტის არსებობა დასტურდება სამყაროს სხვადასხვა კუთხეში. ირემს, როგორც ღვთაებრივი ნიშნით დალდასმულ არსებას, გამორჩეული ადგილი უკავია ძველი აღმოსავლეთის, მცირე და შუა აზიის თუ ევრაზიის ტერიტორიაზე მოსახლე უძველეს ხალხთა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაში. შუამდინარული ქალღმერთი იშთარი სინკრეტული ღვთაებაა, იგი ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ნაყოფიერებ-

<sup>13</sup> დიდგორის ხეობის არქაულ სამლოცველოში თუკი ხარის, მთის თხისა და ცხვრის თავის ქალები ან რქები მინაზე იყო დალაგებული, ირმის რქების დასაწყობად სპეციალური ფიცარნაგი იყო მოწყობილი. ტრადიციული რიტუალი კრძალავდა ირმის რქისა და თავის შენახვას მინაზე, რადგან ის სხვა, ციურ სამყაროს მიეკუთვნებოდა (Чинчила, 1983:95). მსგავსი აკრძალვა დასტურდება ჩრდილო ევრაზიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ეთნოგრაფიული მასალებით. თუკი მონადირე მოკლეული ირმის თავის ნამოლევას სახლში არ აპირებდა, ის მინაზე არ უნდა დაეტოვებინა, აუცილებლად შემაღლებულ ადგილზე უნდა შემოედო (Синчица, 1976: 250).

ას განაგებს. იშთარის ასტრალური შესატყვისის ცისკრის ვარსკვლავია, ხოლო ყველაზე ხშირი ზოომორფული სახე – ირემი (Март. 1934:308). პროტოხეთურ რელიგიაში ნაყოფიერების ღვთაების ინანას სიმბოლოა. ალაჯა-პუიუკში მიკვლეულ შტანდარტებზე ირემები ყველაზე მრავლადაა გამოსახული. ფრიგიულ ღვთაება კიბელასაც ირემის გამოსახულებები უკავშირდება. არტიმიდესაც ყოველთვის გამოსახავდნენ ირემთან ერთად (ხიდაშელი, 1982:120). გამორჩეული იყო ირემის სახე "სკვითურ ცხოველურ სტილში" (Членова, 1962).

ცხენი, თავისი გამორჩეული თვისებების გამო, ადრევე იქცა კულტის საგნად. რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენათა სისტემაში ცხენი, ირემის მსგავსად, ნაყოფიერების სფეროს უკავშირდება. ბერძნული მითის მიხედვით, ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრას ცხენის ტორსით გამოხატავდნენ. წყლის ღმერთის, პოსეიდონის, როგორც მცენარეთა გამანაყოფიერებლის "წილი ცხოველი," გარდა დელფინისა, ცხენი იყო (ფანცხავა, 1989:47). განსაკუთრებული ადგილი უკავია ცხენს უძველეს ტომთა კოსმოგონიურ წარმოდგენებშიც. ძველ ინდურ მითოლოგიაში სამყაროს ერთიანი ზოომორფული სახე ცხენია (აშვა) (Нестеров, 1990:9). ცხენს მიაკუთვნებენ სოლარული ციკლის ღვთაებებს, რომლებიც სემანტიკურად იყვნენ დაკავშირებული კოსმოგონიასთან (Кузмина, 1977:105-106). მზეს მსხვერპლად ცხენებს სწირავდნენ, რასაც პეროდოტე ასე ხსნიდა: "...ამ მსხვერპლშენიერვის აზრი ისაა, რომ უსწრაფესს ღმერთთა შორის უსწრაფესი ცხოველი შეეფერება" (პეროდოტე, 1975:116). სოლარული ნიშნებითაა შემკული ცხენის გამოსახულებები სკვითური ხელოვნების ნიმუშებზე (Кузмина, 1977:105-106).

სინტერესოა ირემისა და ცხენის ურთიერთმიმართების საკითხი. ნ. მარი ცხენს, როგორც გადაადგილების საშუალებას, ირემის მემკვიდრედ მიიჩნევდა (Март. 1926). მარი თავისი მოსაზრების მატერიალურ დადასტურებად მიიჩნევდა გრიაზნოვის მიერ ალტაის მხარეში შესწავლილ ერთ-ერთ სამაროვანზე აღმოჩენილ ცხენის თავის ქალას, რომელსაც ირემის ნილაბი ჰქონდა გაკეთებული (Худяков, 1933). ირემისნილბიანი თავის ქალები შემდგომში სხვა სამაროვნებზეც იყო მიკვლეული (Кузмина, 1977:104-105; Кудряев, 1979:74-

78).<sup>14</sup> მარმა დაადგინა ერთგვარი სემანტიკური რიგი: ცისკრის ვარსკლავი (ირემი)—მზე (ცხენი) ადამიანთა უძველეს კოსმოგონიურ ნარმოდგენებში (Март, 1935:117-152; Беленицкий, 1948: 164).

ნიმანდობლივია ისიც, რომ ბრინჯაოს სარტყლებზე გამოხატულ ზოგიერთ ფანტასტიკურ ცხოველს სახე ცხენის აქვს, ხოლო რქები ირმის (ხიდაშელი, 2002:87). შ. ამირანაშვილის დაკვირვებით, მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე, ქრონოლოგიურად, ფანტასტიკურ ცხოველებს ჯერ ავინრობენ ირმის ფიგურები, შემდეგ კი ირმის გამოსახულებები ნანილობრივ იცვლება, იძენს რა ცხენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (ფაფარი, ჩლიქები, გრძელი კისერი და სხვა). მოგვიანოდ, ცხენის რეალისტური გამოსახულებები საბოლოოდ გამოდევნიან ირმებს (Амиранашвили, 1963:62). საგულისხმოა, რომ თუკი საქართველოს ადრეშუასაუკუნეების არქიტექტურულ რელიეფებზე ირმების გამოსახულება კიდევ გვხვდება, მოგვიანო პერიოდში ის სრულიად ქრება (Кильчевская, 1968:37).

ლ. ფანცხავას აზრით, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე გამოსახული ირემი, ხარი და ცხენი, ქართველი ტომების მითოლოგიურ აზროვნებაში ერთი და იგივე სფეროს განეკუთვნებიან და მათი, როგორც ღვთაებათა მონაცვლეობის ფაქტი დასტურდება, რაც, ლ. ფანცხავას აზრით, არ გამოხატავს მათ ქრონოლოგიურ მონაცვლეობას (ფანცხავა, 1989 : 67).

სიუჟეტი ოთხი ცხოველის მსვლელობისა გარკვეული ცენტრის გარშემო, ცნობილია წინააზიური და ახლო აღმოსავლეთის კერამიკული ნიმუშებიდან (Флинтнер, 1958:52-56; Чанлд, 1958:53; Клима, 1967:38). ირანული კერამიკისათვის დამახასიათებელია პორიზონ-

<sup>14</sup> ალბათ, თვით ტრადიცია მიცვალებულისათვის ცხენის ჩაყოლებისა, არ უნდა აიხსნას მხოლოდ იმ სამყაროში გადაადგილების საშუალებით უზრუნველყოფით. ის უფრო მიცვალებულის მფარველ არსებად უნდა ნარმოვიდგინოთ (Гамкрелидзе, Иванов, 1984:482). ბ. კუფტინიც ხაზს უსვამს, რომ ძველ ხალხთა ნარმოდგენებში ცხენი მხოლოდ მინიერ სამყაროში „გმირის“ გადაადგილების საშუალებად კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ უნდა გავიაზროთ, როგორც გმირის სულის გამცილებელი, ან, თუნდაც „გმირის“ სული (Куптин, 1950:214-215).

ტალურფრიზებიანი კომპოზიციები, სადაც ერთი ჯიშის ცხოველების მსვლელობა ერთი მიმართულებით (ძირითადად, აღმოსავლეთით) არის გამოხატული (Maccioni, 1964:356). ცხოველთა წრიული მსვლელობის მსგავს კომპოზიციებში, ძირითადად, ორი ვარიანტი გამოიყოფა: პირველი ვარიანტით, ეს მოტივი მოცემულია ჩაკეტილ გარემოში, სადაც ცხოველები გამოსახული არიან ერთიმეორეს მიყოლებით მშვიდად მიმავალნი, ხოლო მეორე ვარიანტით, წარმოდგენილია ღია კომპოზიცია, როდესაც ცხოველებს თავი უკან აქვთ მიბრუნებული და ამდენად, გამოსახულება უფრო დინამიურად აღიქმება. პირველი ვარიანტის კომპოზიციები, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშებისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენი აზრით, ციხისძირის ჭურჭელზე დატანილი კომპოზიცია ადგილობრივი მოსახლეობის უძველეს კოსმოგონიურ წარმოდგენებს უნდა გადმოგვცემდეს. აზრობრივი დატვირთვით, ის მუდმივი მოძრაობის, ბუნების განახლების იდეის გადმოცემის სურვილით უნდა იყოს ნასაზრდოები. ყურადღებას ვამახვილებთ იმ საგულისხმო დეტალზე, რომ კომპოზიციაში ოთხი ფიგურიდან სამი, ერთი ცხოველის (ცხენის) გამოსახულებაა და მხოლოდ ერთია განსხვავებული სახე - ირემი. მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე, სადაც წრიული ბრუნვის პროცესი ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა ან სულაც გეომეტრიული სხეულების ერთი მიმართულებით მოძრაობით არის გადმოცემული, უმეტეს შემთხვევაში, ოთხივე ერთგვაროვანი ან ორ-ორად დანაწილებული სახეებით არის გადმოცემული, რაც ძირითადი მოტივის (ბრუნვის) ხაზგასმასაც წარმოადგენს და, ამავე დროს, მხატვრულ-ესთეტიკურ ასპექტსაც (სიმბოლოთა სიმეტრიული განლაგება) ითვალისწინებს.

ციხისძირის ჭურჭელზე დატანილ ცხოველთა ფიგურები ციხა და ქვეყნის ოთხ კიდეზე, ან მხარეზეც უნდა მიუნიშნებდეს. ჭურჭლის პირის ღრუ, მისი წრიული ფორმით, დედამიწას უნდა განასახიერებდეს, ცხენები მზისკენ მოძრაობის სამ მდგომარეობას უნდა გამოხატავდნენ, ირემი კი - ჩრდილისა. სამყაროს მხარეთა აღმნიშვნელი ქართული ტერმინები აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთია, რომელთაგან სამი ცაზე მზის მდგომარეობას აღწერს, ხოლო მეოთხე ჩრდილის მხარეა, სადაც მზე არ დგას. ძვე-

ლი მითების თანახმად, მზე წრიულად მოძრაობს დედამიწის გარშემო და ეს წრე ხილულია მის სამ მეოთხედზე, მეოთხე ნაწილი გადადის ლამის ქვეყანაზე და კვეთს უხილავ ცას. ამ უხილავ ნაწილს იგი ცხენების დახმარებით ძლევს (სურგულაძე, 1986:38).<sup>15</sup>

ცხოველთა მსვლელობის მიმართულება მარტჭნივ, როგორც ეს ციხისძირის ჭურჭელზეა აღბეჭდილი, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის კერამიკის შემკულობისთვისაა დამახასიათებელი. მიმართულება მარტჭნივ ხაზგასმულია მსგავსი სიუჟეტის სკვიტური პერიოდის კერამიკაზე (Членова, 1984:6). ზოგადინდურ მსხვერპლშენიერვის რიტუალში ცხოველთა ნაწილები ასოცირდებოდნენ კოსმოსის ელემენტებთან: ცხოველთა წინა ნაწილი აღმოსავლეთის გამოხატავდა, უკანა – დასავლეთს (Девлет, 1990:67). სვანეთში მარჯვენა და მარცხენა მხარეები გაიაზრება, როგორც აღმოსავლეთის (მზის) და დასავლეთის. აფხაზური ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მოძრაობა მარჯვნივ აღიქმება, როგორც მოძრაობა მზისაკენ "აკუახშა" (Чеснов, 1989:138). ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა ცხადყოფს, რომ მზესთან მიმართება ერთგვარად ამტკიცდება მარჯვენა მხარის უპირატეს როლს (Чартошани, 1989: 216).<sup>16</sup>

ციხისძირის ჭურჭლის გაფორმება ზღვისპირა სადგომების მკვიდრთა მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე უნდა მიუნიშნებდეს. ამავე დროს, უეჭველია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას თავისი კოსმოგონიური წარმოდგენები გააჩნდა. ხელოსნის სტილი გამოხატავს ყველა იმ ფასეულობათა სისტემას, რომელიც მისი დროის სა-

<sup>15</sup> ჩვენი აზრით, ჭურჭელზე დატანილი სიუჟეტი კონკრეტული პერიოდის წარმოდგენებს უნდა ასახავდეს. სივრცობრივი განსაზღვრებით, შესაძლოა, ცხენი, როგორც ადრეერკინის ხანაში ფეხმოკიდებული ცხოველი, რომელზეც დამოკიდებული იყო ადამიანთა კეთილდღეობა (სამეურნეო, სამხედრო თვალსაზრისით), აღიქმებოდა როგორც ახლოს მყოფი, ხილული, ხოლო ირემი, როგორც ტყის მოსახლე-შორს მყოფი, უხილავი. ქართულ ზღაპრებში ფრიად გავრცელებულია სიუჟეტი ირმის დევნისა, რომელიც შორს, ტყის ბოლოს, ან კიდევ, მაღალი მთის გადაღმა ცხოვრობს (ვირსალაძე, 1964).

<sup>16</sup> ვ. ივანოვი ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური მასალის საფუძველზე ასკვნის, რომ მარჯვენა მხარეში მამაკაცური სანყისი მოიაზრება, მარცხენაში კი ქალური (Иванов, 1972:105-133).

ზოგადობისათვის იყო დამახასიათებელი.<sup>17</sup>

ცხოველთა რიტუალური მსველელობის სიუჟეტები დასტურდება საქართველოში აღმოჩენილ მოგვიანო პერიოდის კერამიკაზეც (Kurgadze, 1976: 35. таб. XL).<sup>18</sup>

ბობოყვათის სადგომის არქეოლოგიურ მასალაში გამოვყოფდით თიხის რქისებრ სადგარზე დატანილ ორ გამოსახულებას. პირველი, თიხის რქისებრშვერილიან სადგარის ერთ-ერთ გვერდზე, მსუბუქი ჭდეებით დატანილი ცხოველის სტილიზებული ფიგურაა, რომელიც ძალს ან მგელს უნდა წარმოადგენდეს. ცხოველის სხეულის ნანილები არაპროპორციულადაა გადმოცემული: ტანი წაგრძელებულია, წინა და უკანა ორ-ორი კიდური მოკლე, კუდი გრძელი და ძირამდე სწორად დახრილი, პირი ფართოდ გაშლილი, ყური დაცქვეტილი.<sup>19</sup> მეორე ფიგურაც სადგარის გვერდზეა დატანილი და გველის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს (ტაბულა 18).

ვ. ბარდაველიძის აზრით, ქართულ წარმართულ პანთეონში ასტრალური ღვთაებების დამხმარეებად ზოომორფული და ანთროპომორფული სულები გვევლინება, რომელთა შორის ძალს გამორჩეული ადგილი უკავია (Barдавелидзе, 1957:53). მკვლევარი ძალის კულტს მგლის კულტს უკავშირებს, ამ უკანასკნელს კი უფრო ადრეულად მიიჩნევს. თავის დროზე ნ. მარმა ყურადღება გაამახვი-

<sup>17</sup> სავესებით მართებულად შენიშნავს ი. სურგულაძე, რომ "...არქაული სიმბოლიკა უპირატესად უნდა განიხილებოდეს არა როგორც ოსტატის კერძო მხატვრულ-ინტელექტუალური დაკვირვების შედეგი, არა როგორც მისი პიროვნული ინტერესების გადმოცემის ცდა, არამედ როგორც ცნობა ამ მხატვრული ნიმუშის შემქმნელი საზოგადოების სისტემური შეხედულებების შესახებ" (სურგულაძე, 1993:5).

<sup>18</sup> ელინისტურ ხანაში ირემთან დაკავშირებული საკრალური სამყარო მატერიალურ კულტურის ძეგლებზე ახალ სიცოცხლეს იძენს. აქტიურად იწყებს მოქმედებას სემანტიკური მწკრივი - ირემი, ცხენი, ხარი, ფრინველი, გველი, თევზი (ხიდაშელი, 2010:409).

<sup>19</sup> სადგარზე დატანილი ცხოველის გამოსახულება სტილისტურად (დაღებული ხახა, დაცქვეტილი ყური, წაგრძელებული, კუდი), მსგავსია (განსხვავდება მხოლოდ დანეული კუდით) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ ცულებზე დატანილ ძაღლების გრაფიკული გამოსახულებების (რამიშვილი, 2010:81-93).

ლა ეტიმოლოგიურ რიგზე ძალღ-წყალ (Март, 1912:28). მეშჩანინოვი აღნიშნავდა, რომ კოლხურ ცულებზე გამოსახული ძალღი და გველი წყლის სამყაროს უკავშირდება და ადასტურებდა ნ. მარის ამ მოსაზრების მართებულობას (Мещанинов, 1925:26,154,251). თ. მიქელაძე თვლის, რომ მგელ - ძაღლები განასახიერებენ ასევე წყლის სტიქიონსაც, რაზეც მიუთითებს როგორც კოლხური ცულების, ასევე ბრინჯაოს სარტყლებზე მგელ-ძაღლების გამოსახვა არა მგლის ან ძაღლის თათებით, არამედ თევზის კუდის ფარფლებისებურად (მიქელაძე, 1985:87).

ბ. კუფტინმა ყობანურ ბრინჯაოზე გამოსახული ძალღი, გველი და თევზი განსაზღვრა, როგორც კომპლექსი ერთი და იგივე წარმოდგენათა ასახვისა (Куфтин, 1950). საგულისხმოა, რომ გენამის ვეშაპოიდზე, რომელზეც წყლის გამომხატველი ტალღისებური ხაზებია დატანილი, იქვე მგლის/ძაღლის გამოსახულება არის გამოყვანილი (Урушадзе, 1984:29).

ქართველ ტომთა უძველეს შეხედულებებში გამორჩეული ადგილი ეჭირათ მითოლოგიურ ძაღლებს (ყურშა)(ხიდაშელი, 1982:67). შ. ამირანაშვილის აზრით, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკურ სახელწოდებაში ძირითად ელემენტს შეადგენს გერგვერ (მარგალი, ეგრისი, ენგური, არგვეთი და სხვა), რაც მეგრულ-ჭანურში ნიშნავს მგელს (ამირანაშვილი, 1971:34).

ლ.ფანცხავა თვლის, რომ ისევე, როგორც ირემი ცხენი და ძალღი, გველი და თევზიც "ბუნების დიდი დედის" უძველესი ზოომორფული სახეები უნდა იყვნენ, რაც ასე მრავალფეროვნად აისახა კოლხური ცულების დეკორში (ფანცხავა, 1989:49). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დიუნურ სადგომებზე მოსულთა საქმიანობა ძირითადად წყალს (ზღვას, მდინარეს) უკავშირდებოდა, საკულტო საგნებზე ძაღლის გამოსახულებების გამოყვანა, მათი კონკრეტული საქმიანობის დაცვითა და ხელშეწყობით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

რაც შეეხება ბოძოყვითის დიუნაზე აღმოჩენილ კუთხეებმომრგვალებულ თიხის ფილებზე დატანილ გამოსახულებებს. შეგახსენებთ, რომ ფილების ერთ ნაწილზე ტალღისებური ხაზებია (ღარებია) გამოყვანილი, სხვებზე დიაგონალური და პარალელური ხა-

ზებია გამოსახული. არის კომბინირებული ვარიანტიებიც, წარმოდგენილი წერტილოვანი და ტალღისებური ორნამენტის ერთობლიობით. განსხვავებული ჯგუფია ფილებისა, რომელზეც თავსა და ბოლოში ორრიგად, პერიმეტრის გასწვრივ ორრიგად და ერთრიგად, ერთ ბოლოში ორი ან სამი წერტილით გაფორმებული ნახაზია შესრულებული.

ჩვენი აზრით, ბობოყვათის ფილებზე ყველაზე უკეთაა გამოხატული სადგომების არსი. როგორც აღვნიშნავდით, ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ დიუნური სადგომების ხასიათი მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებას უკავშირდება. ამ საქმიანობისათვის აპრობირებული ფლოტაციის პროცესი გულისხმობს ზღვიდან ამოღებული ქვიშის წყლით გარეცხვას. შედეგად, მცირე სტრუქტურის ქვიშა წყალს მიყვება, ხოლო და მაგნეტიტის მარცვლები აბაზანებში დაილექება. ვფიქრობთ, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ტალღისებური ხაზები წყლის სიმბოლიკას უნდა გამოხატავდეს (Рынаков, 1981: 196). ხოლო წერტილები – მარცვალს (Урушанич, 1984:17.36).

აღბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ბობოყვათის დიუნაზე მიკვლეული ორნამენტიანი ფილები, როგორც ერთ-ერთი ელემენტი სადგომებზე მიმდინარე კულტმსახურებისა, თუმცა სიმბოლური დატვირთვით, მაგრამ არსებითად განსაზღვრავდნენ კონკრეტული რიტუალის ხასიათსა და ქმნიდნენ მისთვის დამახასიათებელ ატმოსფეროს. ვფიქრობთ, რომ ზღვისპირა სადგომების ცალკეულ მხატვრულ ნიმუშზე გამოსახული სიმბოლოები თუ ცხოველთა ფიგურები, საკრალურ სამყაროს უკავშირდებოდა, სარიტუალო ცერემონიალები კი, გარემოზე კეთილი ზემოქმედების საშუალებად მოიაზრებოდა.

საქართველოს ზღვისპირეთში ჩამოყალიბებული სულიერი ფასეულობები, წარმართული ღვთაებები და კულტები, მათთან დაკავშირებული სარიტუალო საგნები, გრაფიკასა და ორნამენტში წარმოდგენილი სიმბოლოები, შესაბამისი მითოსტრუქტურებითა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროებით, მიუთითებენ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან საერთო კულტურულ-გეოგრაფიული არეალის არსებობაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2007:226).

## რეზიუმე

1. საქართველოს ზღვისპირა ზოლის მოსახლეობის უძველესი ისტორიის შესწავლის პროცესში, არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია რეგიონის გეომორფოლოგიური კვლევის მონაცემები. სწორედ ამ მონაცემთა შეჯერების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს ზღვისპირა ზოლის მკვიდრნი, ისტორიულ წარსულში, გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და მისი თანმხლები პროცესების შედეგებიდან გამომდინარე, იძულებული იყვნენ პერიოდულად შეიცვალათ ადგილსამყოფელი, სხვაგან მოეწყობათ საცხოვრისები და ეძებნათ სარჩო-საბადებლის მოპოვების გზები. მეტ-ნაკლები სტაბილური პირობების დადგომის შემდგომ, ისინი უბრუნდებოდნენ ძველ საცხოვრისებს, აღადგენდნენ ტრადიციული მეურნეობის სახეს და ქმნიდნენ მყარ ეკონომიკურ საფუძველს წარმოების ახალი დარგების განვითარებისათვის.

2. ადრერკინის ხანის ზღვისპირა ზოლის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე მიკვლეული დიუნური სადგომების ნაშთები, მათთვის დამახასიათებელი მსუბუქი საცხოვრისის კვალითა და სპეციფიკური კერამიკით. სადგომები ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახითაა მოღწეული, რამაც განაპირობა სადგომების ფუნქციონალურ დანიშნულებასთან დაკავშირებული მოსაზრებების (მარილის მოპოვება, მაგნეტიტური ქვიშების დამუშავება, მეთევზეობა, კულტმსახურება) გარკვეულად პიპოთეტიური ხასიათი.

3. სადგომების სტრატეგრაფია, რელიეფისა და ჰიდროქსელის ერთ სანარმოო კომპლექსში ჩართვა, საქმიანობის სეზონურობა, სპეციფიკური კერამიკული მასალა (აბაზანები), რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, მხოლოდ ქვიშნარ გრუნტში დასამაგრებლად მზადდებოდა და ნყალთან მიმართებაში გამოიყენებოდა, გვაძლევს საფუძველს (შესაძლოა, ჯერ კიდევ არასრულ), ზღვისპირა სადგომებზე მიმდინარე სანარმოო პროცესი სანაპირო ქვიშების მოპოვებას დაეუკავშიროთ. ჩვენი პოზიცია დაფუძნებულია როგორც სადგომების არქეოლოგიური მასალის ანალიზზე, ასევე, იმ მონაცემებზე, რაც დღევანდელ ეტაპზე დაგროვდა კოლხეთის უძველესი რკინის

მეტალურგიის სანარმოო კერების როგორც არქეოლოგიური, ასევე ფიზიკური და ქიმიური მეთოდებით შესწავლის შედეგად.

4. კოლხეთის უძველესი რკინის მეტალურგიის ქურა-სახელოსნოების თავმოყრის უკლებლივ ყველა ზონაში ფიქსირდება დიუნური სადგომი, ან ჯგუფი სადგომებისა, რაც თვალსაჩინოს ხდის რკინის სადნობი ობიექტების (სახელოსნობი) კავშირს ნედლეულის ბაზასთან (დიუნური სადგომები). როგორც ჩანს, კოლხეთის სანაპირო ქვიშაზვინულებზე ძვ.წ. VIII საუკუნიდან ფუნქციონირებას იწყებს მადნის მოპოვებელი წარმოება, რომელიც მაგნეტიტური ნედლეულით უზრუნველყოფს ზღვისპირა ზოლში განლაგებულ რკინისსადნობ სახელოსნობებს. სანაპირო ქვიშაზვინულებზე სადგომების გასამართავად სპეციალურად არჩევენ ზღვასთან მდინარეების შეერთების ადგილებს. უშუალოდ სანარმოო პროცესს წინ უძღვის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც გულისხმობს დროებითი საცხოვრისებისა და სამეურნეო უბნების მოწყობას. თვით სანარმოო პროცესში მთავარი ფუნქცია ეკისრება აბაზანისმაგვარ ქურჭლებს, რომლებშიც ხდება სანაპირო ნედლეულის (მაგნეტიტის) დამუშავება. სადგომებზე მოსულები, კონკრეტულ საქმიანობაში სიუხვის უზრუნველყოფის მიზნით, აწყობენ საკულტო ადგილებს - სამსხვერპლოებს. ქვიშაზვინულებზე სამუშაო სეზონი, წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, წლის თბილი თვეებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

5. საქართველოს ზღვისპირა სადგომებზე მაგნეტიტური ქვიშების მოპოვების შეწყვეტა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ახლო აღმოსავლეთში ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგისათვის მიმდინარე ეპოქალურ ძვრებთან, როდესაც კოლხეთის სამთო-მეტალურგიული ცენტრი ძვ. წ. VII საუკუნისათვის კარგავს ყველა სამხრეთულ ბაზარს და იწყება გაფორმება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საერთაშორისო ბაზრისა, შედეგად, ლითონწარმოების ცენტრმა შეიცვალა ადგილმდებარეობა და კოლხეთის მთისწინეთიდან მთიან რაიონში გადაინაცვლა (დ. ხახუტაიშვილი).

6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალა თვალნათლივ მეტყველებს ადრე რკინის ხანის მოსახლეობის მრავალმხრივი სამეურნეო საქმიანობისა და მაღალი სულიერი ღირებულებების შესახებ.

Гиорги Тавамаишвили

Древние стоянки на новочерноморской террасе  
Юго-Западной Грузии  
(Резюме)

Целью представленной работы, является обобщение итогов изучения приморских стоянок, уточнение вопросов, связанных с функциональным назначением этих памятников на основе новых археологических артефактов. Наряду с археологическим материалом, мы также ссылаемся на данные, которые накопились в процессе палеогеографического и геоморфологического изучения региона. Прежде всего, это касается вопросов, связанных с формированием и возраста новочерноморской террасы, вопросов влияния процессов морских трансгрессий и регрессий на условия жизни и хозяйственной деятельности населения прибрежной полосы Грузии. Основываясь на данные этих исследований, можно утверждать, что, несмотря на глобальные климатические изменения, которые способствовали изменению природной среды обитания и демографической ситуации в регионе, жители прибрежной зоны систематически восстанавливали и развивали традиционные отрасли хозяйства, а также, закладывали основы новых прогрессивных производств.

В отдельной главе представлен краткий обзор прибрежных стоянок Восточного Причерноморья, а также перечень научной литературы, касавшийся вопроса характера и датировки дюнных стоянок. Подчеркнута роль ученых, исследовавших памятники этого типа (Л.Н. Соловьев, Б.А. Куфтин, Н.В. Хонтария, А.Т. Рамшвили и др.), труды которых, несмотря на незначительные масштабы, проведенных ими археологических раскопок, содержат интересные доводы и рассуждения, которые и по сей день не теряют своё значение и актуальность.

Большая часть работы связана с результатами раскопок Бобокватской дюнной стоянки. В 1982-84 гг. археологическая экспедиция Юго-Западной Грузии, в прибрежной полосе с. Бобоквати Кобулетского р-на, раскопала однослойную дюнную стоянку с остатками жилых помещений, хозяйственных участков и культовых сооружений.

Так как донные стоянки носили сезонный характер, жилые помещения строили при помощи легкой конструкции. Но, вместе с этим, специфика производства обуславливала и устройство специальных хозяйственных участков. Остатки жилых помещений представляют собой площадки вытянутой овальной формы уплотнённым песчаным грунтом черного и красного цвета (длина 6-8м. ширина 3-4м.) с очагами квадратной формы (1х1.1м), составленные из обработанных с внутренней стороны базальтовыми камнями. В большинстве случаев, площадки содержат убогий инвентарь, состоящий из фрагментов ванночек и бытовой керамики. К хозяйственным участкам мы причисляем сооружения овальной формы, стены которых также выстроены большими базальтовыми камнями. По-нашему мнению, эти сооружения (своеобразные открытые очаги) предназначались для легкого обжига сосудов т.н. «ванночек», характерных для донных стоянок, фрагменты которых сохранились на стенах этих сооружений. Жертвенники также имеют вытянуто-овальную форму и составлены из глиняных, в плане четырехугольных с заостренным дном, роговидных подставок. На Бобокватских жертвенниках стенки из подставок сверху перекрыты несколькими «слоями» фрагментов ванночек.

Керамический материал Бобокватской донной стоянки, в основном представлен обломками четырехугольных «ванночек», роговидных подставок и орнаментированных плит. К бытовой посуде можно отнести фрагменты хозяйственной, столовой и кухонной керамики.

На донных стоянках встречаются «ванночки» двух типов:

1. Ванночки красноватого цвета, в плане овальной формы, из плохо отмученной глины, с обильной примесью песка и плохо обожженные.

2. Ванночки такого же типа, с гипертрофированным венчиком, более тонким корпусом, слегка выпуклым дном и с отпечатками ткани на внешней стороне.

На Бобокватской стоянке представлены ванночки только первого типа. Формовка ванночек производилась без гончарного круга, от руки. Естественно, архаический прием лепки был обусловлен не незнанием гончарного круга, а потребностью получить для определённых целей специфическую форму сосудов (Куфтин, 1950:276).

На дюнных стоянках встречаются подставки четырех типов. Все они красноватого цвета, с примесью песка и среднего качества обжига. На Бобоватской стоянке представлены подставки только трех типов:

1. Массивные подставки с плоским дном, в плане четырехугольным корпусом и роговидными выступами.

2. Подставки средних размеров с заостренным дном, несимметрично вылепленными роговидными выступами. Подставки этого типа были использованы в строительстве жертвенников.

3. Подставки среднего размера в плане четырехугольные, с плоским дном. Подставки этого типа отличаются более качественной лепкой и обжигом. Некоторые из них украшены точечным и волнистым орнаментом, а на одном экземпляре выцарапано стилизованное изображение животного.

На дюнных стоянках Пичвнари и Уреки встречаются подставки четвертого типа - среднего размера, с плоским дном и в плане круглым или овальным корпусом.

Мы придерживаемся мнения, что глиняные роговидные подставки являлись культовыми предметами, и даже в случае их «практического» применения (строительство жертвенников, использование в качестве подпорок в процессе обжига «ванночек» на открытом огне), они, прежде всего, являлись атрибутами культового церемониала и оберегами конкретного хозяйственного процесса.

Оригинальными изделиями Бобоватской дюнной стоянки, являются плоские керамические плитки с закругленными углами, лицевая сторона которых украшена точечками и волнообразными линиями. По-нашему мнению, эти плитки также имели культовое значение и представляли собой имитации ритуальных хлебцев.

Бытовая керамика Бобоватской стоянки представлена фрагментами (целые экземпляры - редкость) сосудов столового, кухонного и хозяйственного назначения. Все они вылеплены из глины хорошего качества и изготовлены на гончарном круге. Из общей массы можно выделить колхские пифосы с широкими канелюрами и горшки с зооморфными ручками. Орнаментация сосудов (выемчатые и простые пояски с насечками, лощеные линии, шевроны, ромбовидные клеточки)

аналогична орнаментации керамики доантичного периода Западной Грузии.

На Цихисдзирской дюнной стоянке был обнаружен сосуд с изображениями животных - трёх лошадей и оленя. Мы считаем, что смысл сюжета обусловлен космогоническими представлениями местного населения и, заключается в передаче идеи вечного движения.

Сравнительный анализ хозяйственно-культового инвентаря («ванночки», роговидные подставки, орнаментированные керамические плитки) и бытовой керамики Бобокватской стоянки с материалом Пичвнарской дюнной стоянки и многослойных поселений приморской полосы Колхиды доантичной эпохи, дает возможность датировать Бобокватскую стоянку концом VIII и началом VII вв. до н.э.

Касательно характера дюнных стоянок, надо отметить, что непосредственная близость стоянок с морем способствовали разрушению, как керамических изделий, так и целых археологических комплексов. Это обстоятельство определило противоположность толкования ряда проблем, в частности вопроса о функциональном назначении стоянок.

Долгое время превалировало мнение, что характер стоянок был связан с добычей соли из морской воды (Л.Н.Соловьев). Скрупулёзный анализ стратиграфии и детальное изучение характерных для стоянок сосудов т.н. "ванночек", способствовало появлению новых версий о функциональном назначении этих памятников, в частности, о связи стоянок с обработкой прибрежных магнетитовых песков (Н. Хошгария, А. Рамишвили). Высказывалось также мнение, что стоянки являлись только культовыми местами, где в разное время года проводились обряды, связанные с культом быка, воды и льна (А. Кахидзе). Другие учёные определяли характер стоянок рыбным промыслом (К. Мириаишвили). Предлагалось и компромиссное решение характера стоянок, основанное на сезонной дифференциации соляных и магнетитовых промыслов и культовых церемониалов (Н. Хахутаншвили).

Причины появления и дальнейшего функционирования дюнных стоянок, мы тоже связываем с развитием железной металлургии древней Колхиды. С II тысячелетия до н.э. древнеколхидский железодобывающий центр с пятью основными производственными очагами располагается на территории Юго-Восточного и Восточного Причер-

номорья. Предположительно, сырьевой базой железоплавильных очагов расположенных поблизости от морского берега, являлись магнетитовые пески новочерноморской террасы, добычей и обработкой которых занимались на дюнных стоянках прибрежной полосы Грузии. а «ванночки» предназначались для промывки (обогащения) прибрежных магнетитовых песков.

Во время функционирования дюнных стоянок, причерноморская полоса Колхиды является высокоразвитой областью земледелия и животноводства. В археологическом материале представлены деревянные пахотные орудия (Чавленшвили, 2002), бронзовые и железные наконечники деревянных сошек, узкие и широколезвийные мотыги для корчевания и обработки земель, в том числе и на песчаной полосе (Хоштария, 1955:50), железный лемех плуга (Микеладзе, 1990:73), жатвенные орудия, зернотёрки и т.д. В культурных слоях засвидетельствованы кости домашних (коров, козлов, овец, свиней). К оригинальным находкам можно отнести остатки отары для загона скота и костяную свирель (Чавленшвили, 1987:29). Находки разных типов топоров свидетельствует о наличии в регионе богатых лесных угодий. Охота и рыболовство являются источником пополнения пищевых запасов, о чем свидетельствуют находки костей дельфинов, диких кабанов и коз, каменные грузила для рыболовных сетей, бронзовые крючки, кремневые и бронзовые наконечники стрел (Микеладзе, Хахутаншвили, 1985).

Разнообразие форм и орнаментации сосудов, также умелое использование материала для создания новых неординарных форм (культовый и хозяйственный инвентарь), свидетельствуют о высоком уровне развитии гончарного дела. Керамика с отпечатками ткани указывает о распространении в регионе культуры льна (Хоштария, 1955) и об уровне ткацкого ремесла (Микеладзе, Хахутаншвили, 1987). О развитии ремесленного производства свидетельствует богатый археологический материал, который указывает о разделении труда, также об окончательном разделении ремесла и сельского хозяйства и зарождении первых признаков регулярного обмена (Хахутаншвили, 1995).

Развитие сельского хозяйства и ремесленного производства отражалось на мировоззрении местного населения и обуславливало существование определенных религиозных представлений и культов.

**Giorgi Tavamaishvili**

**Ancient Sites on the New Black Sea Terrace of  
South-Western Georgia  
Summary**

The aim of the article is to generalize the results of the study of the coastal sites, to clarify the issues connected with the functional purpose of these monuments on the basis of the recent archaeological artifacts. Apart from the archaeological materials, we are also referring to the data accumulated in the process of the paleogeographical and geomorphological study of the region. First of all it refers to the issues connected with the formation and age of the New Black Sea terrace, the issues of the impact of the sea transgression and regression processes on the living standards and economic activities of the coastal population of Georgia. Based on the investigation data we can state that despite the global climatic changes that caused the alteration of the natural habitat and demographic situation in the region, the inhabitants of the coastal zone used to restore and develop systematically the traditional trades as well as laid the foundation for new progressive productions.

A separate chapter deals with the brief outline of the coastal sites of the Eastern Black Sea littoral together with the list of scientific literature concerning the nature and dating of the dune sites. It also underlines the role of the scholars studying this type of monuments (Leonid Solovyov, Boris Kufin, Nino Khoshtaria, Alexandre Ramishvili, etc.) whose works, despite the small scale of the conducted archaeological excavations, contain interesting conclusions and reasoning that have not lost the topicality and importance to this day.

The most part of the work is connected to the outcomes of the excavations of the Bobokvati dune sites. In 1982-1984 the archaeological expedition of South-Western Georgia excavated a single-layer dune site

with the remains of dwelling buildings, farming area and places of worship in the village of Bobokvati, Kobuleti region.

As far as the dune excavations were seasonal ones the dwelling buildings were built with lightweight constructions. But, at the same time, the specific nature of production preconditioned the arrangement of special economic areas. The remains of the dwelling buildings represent the areas of extended oval shape compressed with black and red sandy soils (length 6-8 m, width – 3-4 m) with square hearths (1x1.1 m) structured with basalt stones faced inside. In most cases the areas contain poor inventory consisting fragments of baths and household ceramics. We also include into the economic area the oval-shaped constructions the walls of which are built with basalt stones too. In our opinion, these constructions (peculiar open hearths) were reserved for light firing of vessels, the so called "small baths" characteristic of dune sites, the fragments of which have been preserved on the walls of these constructions. Altars also have the stretched-oval shape and consist of clay quadrangular bottom-pointed horn-like andirons. On the Bobokvati altars the walls are covered with several "layers" of bath fragments.

Ceramic ware from the Bobokvati dune site is mostly represented by the fragments of quadrangular "small baths", horn andirons and ornamented slabs. To the household vessels belong the fragments of farming, dining and kitchen ceramics.

Two types of "small baths" are found in the dune site:

1. Baths of reddish color, oval shaped, from badly elutriated clay, with plenty of sand admixture, badly fired.
2. The same type of baths, with hypertrophied corolla (rim), more slender body, slightly convex bottom and the fabric imprints outside.

The Bobokvati site contains the baths of the first type only. The moulding of the baths was performed without a potter's wheel, by hand. Naturally, the archaic means of modeling was caused not through the ignorance of a potter's wheel but the demand to get specific forms of vessels for definite purposes (Kuftin, 1950:276).

Four types of andirons are found in the dune site. All are red in color, with sand admixture and average quality firing. The Bobokvati site represents only the three types of andirons:

1. Massive andirons with flat bottom, with quadrangular body and horn-like projections.

2. Andirons of average size with pointed bottom and asymmetrically modeled horn-like projections. Such types of andirons were used for altar constructions.

3. Andirons of average size, quadrangular, with flat bottom. This type of andirons is distinguished with more quality modeling and firing. Some of them are decorated with wavy and dotted ornaments while there is a stylized animal image scratched on one of the samples.

The dune site of Pichvnari and Ureki contain andirons of the fourth type – average-sized, with flat bottom and round or oval body.

We adhere to the opinion that the clay horn andirons were items of worship, and even in cases of their practical application (construction of altars, usage as a support in the process of bath firing on the open fire) they, first and foremost, were the attributes of worship ceremonies and amulets of definite household process.

Flat ceramic slabs with rounded angles represent the original ware of the Bobokvati dune site. Their front part is decorated with dots and wavy lines. We presume these slabs also had religious purpose and represented the imitations of ritual bread.

The household ceramics of the Bobokvati site is represented with fragments (the wholesome items are rare) of dining, kitchen and economic purpose. All of them are modeled from good quality clay and performed on a potter's wheel. Out of the general quantity the Colchian pithoi with wide grooves and pot with zoomorphic handles can be singled out. Ornamentation of the vessels (emarginated and simple belts with notches, glazed lines, chevrons, rhomb-like cells) is analogous with the ornamentation of ceramics of the pre-Antique period of Western Georgia.

A vessel was found on Tsikhisdziri dune site with the images of animals – three horses and a deer. We consider that the essence of the plot preconditioned by the cosmogony beliefs of the local population and that it consists in the passing of the idea of the eternal movement.

Comparative analysis of the household-worship inventory ("small baths", horn andirons, ornamented ceramic slabs) and household ceramics of the Bobokvati site with the materials from the Pichvnari dune site and multi-layer settlements of Colchis littoral of the pre-Antique period enables us to date the Bobokvati site to the end of 8<sup>th</sup> and beginning of 7<sup>th</sup> cc BCC.

As for the character of the dune sites, it should be noted that direct closeness of the sites with the sea caused destruction of ceramics as well as the whole archaeological complexes. These circumstances determined the contradictory explanation of a number of issues, in particular the issue of the functional purposefulness of the andirons.

For a long time an opinion prevailed that the nature of the andirons was connected to the salt extraction from the sea water (L. N. Solovyov). Scrupulous analysis of stratigraphy and a detailed study of the characteristic to the andirons vessels – the so called "small baths", promoted the appearance of new versions about the functional purposes of these objects, particularly the connection of andirons to the processing of coastal magnetite sand (N. Khoshtaria, A. Ramishvili). A supposition was also put forward that the site were only worship places where rituals connected with bulls, water and flax were held at various seasons (A. Kakhidze). Other scholars determined the character of sites as fishing trade (K. Mirianashvili). There was proposed a compromise solution of the site nature based on seasonal differentiation of salty and magnetite trade and worship ceremonies (N. Khakhutaishvili).

We also connect the reasons of appearance and further functioning of dune sites with the development of iron metallurgy in ancient Colchis. From II millennium BCC the ancient Colchis iron-extraction center with five main production centers were situated on the territory of South-Eastern and Easter Black Sea littoral. Supposedly, raw materials sources for iron-melting centers situated near the sea coast were the magnetite sands of the New

Black Sea terraces which were processed in dune site of the Georgian coastline, whereas "small baths" were used for rinsing (enriching) of the coastal magnetite sands.

During the functioning of the dune sites the Black Sea littoral zone of Colchis represented the highly developed region in agriculture and animal husbandry. The archaeological materials contain wooden arable weapons (Chavleishvili, 2002), bronze and iron terminations of wooden plow, narrow and wide-blade hoes for land stubbing and cultivation including the sandy areas (Khoshtaria, 1955:50), iron plowshare (Mikeladze, 1990:73), reaping tools, graters, etc. The cultural layers confirm the bones of domestic animals (cows, goats, sheep, and pigs). The remains of flock for the enclosure and the bone pipe can be included into the original finds (Chavleishvili, 1987:29). The finds of various types of axes confirm the presence of rich forest areas in the region. Fishing and hunting are the sources for food supply; it is confirmed by the findings of dolphin, wild boar and goat bones, stone sinkers for fishing nets, bronze hooks, flint and bronze arrowheads (Mikeladze, Khakhutaishvili, 1985).

Diversity of vessel shapes and ornamentation as well as skilled application of the material for the creation of new unusual forms (worship and household inventory) confirm the high level of the development of pottery in the region. Ceramics with fabric imprints indicate to the widespread role of flax in the region (Khoshtaria, 1955) and the level of weaving (Mikeladze, Khakhutaishvili, 1987). The rich archaeological material confirms the development of handicraft trade that indicates to the labor distribution as well as the final separation of trade and agriculture and origin of the first signs of regular exchange (Khakhutaishvili, 1995).

Development of agriculture and handicraft trade was reflected in the beliefs and outlook of the local population and preconditioned the existence of definite religious beliefs and worship.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- **აბშილავა, 2010**  
აბშილავა ა. წიაღისეულთა გამდიდრების საფუძვლები. თბილისი, 2010.
- **ავალიშვილი, 1974**  
ავალიშვილი გ. ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი, 1974.
- **ამირანაშვილი, 1971**  
ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი, 1971.
- **აპოლონიოს როდოსელი, 1975**  
აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი ნერილი აკაკი გელოვანისა. თბილისი, 1975.
- **არქანჯელო ლამბერტი, 1972**  
არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1972.
- **აფაქიძე, 1963**  
აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბილისი, 1963.
- **აფაქიძე, 1971**  
აფაქიძე ა. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში. „დიდი პიტიუნტი“ I, თბილისი, 1971.
- **ბარამიძე, 1998**  
ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ავტორეფერატი. თბილისი, 1998.
- **ბარდაველიძე, 1953**  
ბარდაველიძე ვ. ქართული (სევანური) სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი. 1953.
- **ბრეგაძე, 1995**  
ბრეგაძე ნ. ირემი და ხარი. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XXII, ხელეური. თბილისი. 1985.
- **გეორგიკა, 1965**  
გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი II. ტექსტები ქართულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1965.

- **გიორგაძე, 1993**  
გიორგაძე მ. ქართული ხალხური კალენდარული სანესჩეველ ებო პოეზია. თბილისი, 1993.
- **გობეჯიშვილი, 1957**  
გობეჯიშვილი გ. სტალინის ნაცარგორა. მიმომხილველი. II. თბილისი. 1957.
- **გოგაძე, 1982**  
გოგაძე ე. კოლხეთის ბრინჯაოს ხანისა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბილისი, 1982.
- **გოგიტიძე, 1975**  
გოგიტიძე ს. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1975.
- **გოგიტიძე, 1982**  
გოგიტიძე ს. მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1979 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XI, თბილისი 1982.
- **გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964**  
გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ. რკინის უძველესი მეტალურგიის კერები და არქეოლოგიური გათხრები გონიო-აფსაროსში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 1964.
- **გძელიშვილი, 1964**  
გძელიშვილი ი. აჭარაში 1960-1961 წწ. აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 1964.
- **ვირსალაძე, 1964**  
ვირსალაძე ე. ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი, 1964.
- **თავამაიშვილი<sup>1</sup>, 1987**  
თავამაიშვილი გ. ურეკის ქვიშაზვინულებზე 1987 წ. ჩატარებული დაზვერვების ანგარიში. ხელნაწერი. ბათუმი, 1987.
- **თავამაიშვილი<sup>2</sup>, 1987**  
თავამაიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები ბობოყვათის ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბილისი, 1988.
- **თავამაიშვილი, 1988**  
თავამაიშვილი გ. ციხისძირის სამსხვერპლო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIX, თბილისი, 1988;

- **თავამაიშვილი, 1991**  
თავამაიშვილი გ. ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIX, 1991,
- **თავამაიშვილი, 1999**  
თავამაიშვილი გ. უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე. ავტორიფერატი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1999.
- **თავამაიშვილი, 2002**  
თავამაიშვილი გ. რიტუალური ჭურჭელი ციხისძირიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, 2002.
- **ინაიშვილი, 1977**  
ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის მუშაობის შედეგები (ანგარიში). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI თბილისი. 1977.
- **კახიძე, 1965**  
კახიძე ა. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. IV. თბილისი. 1965.
- **კახიძე, 1971**  
კახიძე ა. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები. თბილისი, 1971.
- **კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989**  
კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVIII. თბილისი. 1989.
- **კახიძე, მამულაძე, 1993**  
კახიძე ა., მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი. 1993.
- **კახიძე, მამულაძე, 2000**  
კახიძე ა., მამულაძე შ. ჭოროხის აუზი - კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი, 2000.
- **კახიძე, კახიძე, 2000**  
კახიძე ა., კახიძე ნ. კოლხური კულტურის ისტორიიდან(ნაღდი) ბათუმის არქეოლოგიისმუზეუმის შრომები, I, ბათუმი, 2000.
- **კვასხვაძე, 1965**  
კვასხვაძე კ. ისპანის ტაობის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ხელნაწერი, ბათუმი, 1965.

- **კიკვიძე, 1972**  
კიკვიძე ი. ხიზანანთ გორის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. თბილისი. 1972.
- **კიკვიძე, 1976**  
კიკვიძე ი. მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი. 1976.
- **ლორთქიფანიძე, 2002**  
ლორთქიფანიძე ო. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი, 2002.
- **მაკალათია, 1926**  
მაკალათია ს. ფალოსის კულტი საქართველოში. მიმომხილველი. ტ. I. თბილისი. 1926.
- **მაჩაბელი, 1981**  
მაჩაბელი ნ. მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვერები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI, თბილისი, 1981.
- **მაჭავარიანი, 1982**  
მაჭავარიანი ე. ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბილისი, 1982.
- **მელიქიშვილი, 1981**  
მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის. თბილისი, 1981.
- **მელიქიშვილი, 1970**  
მელიქიშვილი გ. ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი. საქართველოს ისტორიის წარკვევები, ტ. I, თბილისი, 1970.
- **მირიანაშვილი, 1975**  
მირიანაშვილი ქ. თევზჭერის იარაღის შესწავლისათვის: ანკესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVIII, თბილისი, 1975.
- **მიქელაძე, 1967**  
მიქელაძე თ. ქსენოფონტის "ანაბასისი". თბილისი, 1967.
- **მიქელაძე, 1974**  
მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ.წ. II-I ათასწლეულები), თბილისი, 1974.
- **მიქელაძე, 1985**  
მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (ურე

კისა და ნიგვზიანის სამაროვნები). კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II, თბილისი, 1985.

- **მორჩაძე, 1979**  
მორჩაძე თ. შიდა ქართლის ანტიკური კერამიკა. პეტროგრაფიული ანალიზის მიხედვით. თბილისი, 1979.
- **მუსხელიშვილი, 1977**  
მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1977.
- **ნემანიშვილი, 1973**  
ნემანიშვილი ს. მთიანი მხარეების მდინარეული ტერასები. თბილისი, 1973.
- **ნიჟარაძე, 1967**  
ნიჟარაძე ნ. აჭარის ასსრ ფიზიკური გეოგრაფია. ბათუმი, 1967.
- **ონიანი, 1966**  
ონიანი ჯ. სვანური "მურყვანობა" - კვირიაობა. „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 4, თბილისი, 1966.
- **ორჯონიკიძე, 1999**  
ორჯონიკიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურის კერა-სადგრები (საქართველოს მასალების მიხედვით). ძიებანი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. №4, თბილისი, 1999.
- **ოქროშიძე, 1969**  
ოქროშიძე ო. ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები (ხარი). ქართული ფოლკლორი. III. თბილისი. 1969.
- **ოჩიაური, 1975**  
ოჩიაური თ. წყლის კულტის ელემენტები საქორწინო რიტუალში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVIII, თბილისი, 1975.
- **პაპუაშვილი, 2002**  
პაპუაშვილი რ. არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წლებში. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბილისი, 2002.
- **რამიშვილი, 1961**  
რამიშვილი ა. ფიჭვნარის ზღვისპირა ქვიშნარი ნაზურგის ძველი დასახლებანი, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის I სამეცნიერო სესია (მოხსენებათა თეზისები), ბათუმი, 1961.

- **რამიშვილი, 1964**  
რამიშვილი ა. ფიჭვნარის ძველი სადგომის 1962-63 წლების საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია (მოხსენებათა თეზისები), ბათუმი, 1964.
- **რამიშვილი,<sup>1</sup> 1964**  
რამიშვილი ა. ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში. 1960 წლის არქეოლოგიური დაზვერვის მასალები. ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბილისი, 1964.
- **რამიშვილი,<sup>2</sup> 1964**  
რამიშვილი ა. ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე. 1961 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, 1964.
- **რამიშვილი, 1971**  
რამიშვილი ა. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1971.
- **რამიშვილი<sup>1</sup>, 1974**  
რამიშვილი ა. ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების დათარიღებისათვის. "მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2. თბილისი, 1974.
- **რამიშვილი<sup>2</sup>, 1974**  
